

ელიუს ანტონიოს მოგზაურობა პლანეტებზე

სათავგადასავლო რომანი

ვუძღვნი ჩემს საყვარელ ძმებს, ბექას და სანდროს. მათ ხომ ასე ძალიან უყვართ ზღაპრული ამბები! იქნებ, ზღაპრული სამყარო მართლაც არსებობს და ოდესმე ზღაპრის გმირები დედამიწისკენაც დაიძრან.

*

ოდესღაც, მეთვრამეტე საუკუნეში, იტალიაში ერთი ახალგაზრდა ასტროლოგი, სახელად ელიუს ანტონიო, ცხოვრობდა.

ერთხელ მას მთვარეზე გაფრენა მოუწია, ჩაჯდა რაკეტაში და გაფრინდა ოცნებებითა და სილამაზით აღსავსე ცაში (ოცნებებით აღსავსეში იმიტომ, რომ როდესაც ცაში მიფრინავ, ღელავ: ვთქვათ, რაკეტას მეტეორიტი არ დაეტაკოს, ან რაკეტა წყობიდან არ გამოვიდეს. ჰოდა, ოცნებობ, რომ “მალე მივიდე მთვარესთან, მშვიდობით დავბრუნდე შინ. არ მექცეს მხარი”. სილამაზით აღსავსე ცაში კი - იმიტომ, რომ ღამით ცა ვარსკვლავებით არის სავსე, აქა-იქ ხანდახან კომეტა ჩაიქროლებს, პლანეტებს ჩაუქროლებ და სხვ. დღისითაც ასეა, ოღონდ დღისით ვარსკვლავები ოდნავ ბჟუტავენ). გზაშივე დაინახა, თუ როგორ ასცდა დედამიწას და როგორ შეიჭრა პლანეტებს შორის. ელიუსს ეშინოდა, მხარი არ ქცეოდა, რადგან გაგონილი ჰქონდა, რამდენიმე ასტროლოგს მხარი ქცეოდა და დაღუპულიყო. სწორედ მაშინ, როცა არ ელოდა, მოხდა საშინელება. რაკეტა წყობიდან გამოვიდა და გიჟვით გაიჭრა წინ. ელიუსს თვალთ დაუბნელდა, ვერაფრით მოახერხა რაკეტის მარცხნივ შემოტრიალება. რაკეტა წინ, მზის მარშრუტით მიჰქროდა. წარმოიდგინეთ, რომ რაკეტას ვერ აჩერებთ, განსაცდელი კი დიდია. მზე! მზის ხსენებაც არ უნდოდა ელიუსს. აბა, მზეს ათასორმოცდათვრამეტი კილომეტრით დაშორდი, მაინც დაიწვები. ბოლოს ელიუსმა ფანჯრიდან გადახტომა გადაწყვიტა. ეშინოდა, მაგრამ მაინც გაამტვრია ფანჯარა, დახუჭა თვალები და... სულ რაღაც ხუთ წამში პლანეტებს შუა დაფარფატებდა. ჰაერი შემხუთველი იყო. ირგვლივ სიჩუმე გამეფებულიყო. მზის გალაქტიკას სულ არ ჰგავდა. უეცრად ელიუსი დიდი სისწრაფით დაეშვა ერთ-ერთ პლანეტაზე. რბილად დაეცა, არაფერი სტკენია. წამოდგა, მიიხედა-მოიხედა ირგვლივ, იქ მისი თავისხელა გვირილები ჰყვავოდნენ. სანამ გონს მოეგებოდა, ვიღაცამ მიმართა:

- ელიუს!

ელიუსმა მიიხედა და რას ხედავს, ზურგიდან პატარა ფერიების გუნდი უახლოვდება, გუნდს კი ვარდისფერკაბიანი ფერია მოუძღვის.

- ბატონო ელიუს! - წარმოთქვა მან, თან ოქროს დაღალეები შეარხია.

ელიუსი გახედა. ბოლოს ძლივს ამოღერდა:

- თქვენ ჩემი სახელი საიდან იცით?

- მე, ჰმ, მე ყველაფერი ვიცი...

და უეცრად ყველა ფერიამ ერთად დაიძახა:

- კეთილი ყოფილიყოს შენი ფეხი გვირილკონაში!

შემდეგ ჩაჰკიდეს ხელი და გვირილის ფურცლებისგან ნაგებ შენობაში შევიდნენ. შეუკვეთეს ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელი, ისეთი, როგორც ელიუსს დედამიწაზე ჯერ არ ენახა. რას არ ნახავდით აქ: გვირილის ნექტარს, რომელიც გემოთი მარწყვის პუნშს წააგავდა, უცნაური ყვითელი ნაყოფის წვნიანს, ლურჯ თაფლს, ყვითელი მასის კრემს და ამავე ფერის ყავას. ელიუსს ძალიან გაუკვირდა, როცა გაიგო, რომ ყავა სხვადასხვა ფერის იყო, ჩაი კი - შავი. ბოლოს დაუსვეს ნანატრი კითხვა:

- ვის ეძებ? იქნებ, დაგეხმაროთ?

- დედამიწის ადგილსამყოფელი მიმასწავლეთ! - სთხოვა ვარდისფერკაბიან ფერიას ელიუსმა.

- დედამიწა? - გაუკვირდა ვარდისფერკაბიან ფერიას, - დედამიწა არ ვიცი, მაგრამ ერთს კი გირჩევთ, წადი და ვარსკვლავებს ჰკითხე.

ელიუსმა მადლობა გადაუხადა და ვარსკვლავების სამებნელად გაეშურა.

გზად ფეხი დაუცდა და ისევ კოსმოსში ამოყო თავი. ისე შორს წამოსულიყო, რომ ვარსკვლავები ამ გალაქტიკის ციციქნა ნაწილში არ არსებობდნენ. უეცრად რომელიღაც პლანეტისკენ გაფრინდა. მაგარ საგანს დაეცა. წამოდგა. მიიხედ-მოიხედა. ყველგან ქვები ეყარა. ხის მცენარის მაგივრად ეკლები ამოზრდილიყო.

- ელიუს, დატყვევებული ხარ! - მიმართა ვიღაცამ.

შეშინებულმა ელიუსმა უკან მოიხედა, მაგრამ მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ შავგვრემანი ქალები ეცნენ, შებოჭეს და იქვე დატოვეს. ელიუსს პირი შეკრული ჰქონდა, ამიტომ ვერ იყვირა. უეცრად მოხდა საოცრება. მან გვირილკონელი ვარდისფერკაბიანი ფერია იხილა.

- აბა, ელიუს, დროს ნუ დაგვარგავთ. როცა დაღამდება, ქალები ორმოში ჩაგაგდებენ. მე მოვალ და გაგაპარებ. შენ იყვირე: - ჰეი, რომელი ხართ, ამ გოგომ გამაპარაო. ისინი მოცვივდებიან და გკითხავენ, რატომ არ გაიქეცი და რატომ გაამჟღავნეო. შენ კი უპასუხე: თქვენი ტყვე ვარ და ლაჩრული გაქცევა მე არ მეკადრებაო. გული მოუღებებთ და გაგიშვებენ.

მართლაც ასე მოხდა. ფერიამ ღამით ორმოს სახურავი ახადა, ჩამვრა და დანით აუხსნა ხელ-ფეხი. ამოვიდნენ. ელიუსმა იყვირა:

- ჰეი, რომელი ხართ, ამ გოგომ გამაპარა!

ქალებმა ხელმეორედ შეიპყრეს ელიუსი. შეიპყრეს ფერიაც. მერე ჰკითხეს ელიუსს:

- რად არ გაიქეცი, რად გაამჟღავნე?

მანაც ისე უპასუხა, როგორც ფერიამ დაარიგა.

ავსულებს შეებრალათ და გაუშვეს. ფერია გამოემშვიდობა ელიუსს. ელიუსმა კი გზა განაგრძო.

- უეცრად კლდე შენიშნა, ჩაიხედა და დაინახა პლანეტები და ზეცა, მაგრამ პატარა ვარსკვლავები - ვერა. შორიდან შენიშნა მწვანე პლანეტა. დედამიწა ეგონა.

- ჰოპლანა! - და მწვანე პლანეტის მიმართულებით გადახტა.

*

იფიქრა, მწვანე ცაზე დავეციო. გონს რომ მოვიდა, ნახა, მწვანე ცაზე კი არა, მწვანე ბალახით შემოსილ მიწაზე იწვა. გვერდით კი პატარა ჩამქრალი მთა აღმართულიყო (ალბათ, ხვდებით, რომ ვულკანის მთაზეა ლაპარაკი, ელიუსს ამის გამოცნობა არ გასჭირვებია, მთა ხავსს დაეფარა, ზემოდან კი უზარმაზარი კრატერი მოუჩანდა). შორიახლოს ასეთი ორი მთა კიდევ იდგა. უეცრად ხმა მოესმა:

- შენ მძიმე ხარ. შენ მხოლოდ რიცხვები და არითმეტიკა გაინტერესებს. მძიმე ხარ, არ ჩაანგრიო ჩემი პლანეტა, წადი, წადი!

ელიუსი წამოდგა. გვერდით პატარა უფლისწული ედგა. ელიუსს სადღაც წაეკითხა პატარა უფლისწულის შესახებ, მაგრამ ვერ იხსენებდა - სად. და უეცრად გაახსენდა: “პატარა უფლისწული” ხომ პატარაობაში წაეკითხა. წამოდგა. იქაურობას თვალი მოავლო. პატარა უფლისწულმა რომ ნახა, ელიუსი წასვლას არ აპირებსო, ნაწყენმა შეაქცია ზურგი. ერთხანს ასე ჩუმად იყვნენ. ბოლოს ისევ ელიუსმა დაარღვია სიჩუმე:

- პატარა უფლისწულო, ნუთუ... შენ ხომ ზღაპრის გმირი ხარ?

- ვითომ და რატომ? - გაბრაზდა ბიჭუნა.

- შენ ხომ გამოგონილი ხარ?

- მეე... - ჩაფიქრდა პატარა უფლისწული, - მე... მე... შენ ხომ მხედავ, ესე იგი, არა ვარ გამოგონილი.

- როგორ არა, შენს შესახებ წიგნი გამოიგონა ანტუან დე სენტ ეგზიუპერმა, ჩემმა ბავშვობის მეგობარმა.

- შენ რატომ არ გიყვარს ფიქრი? (თვითონ კი ახლა ჩაუფიქრდა მდგომარეობას). თუ მე გამოგონილი ვარ, ერთხელ რატომ არ გაგიელვებს თავში აზრად, რომ შენ ახლა ზღაპრების გალაქტიკაში იმყოფები?! აბა, მომიყევი შენი თავგადასავალი და გეტყვი, რატომ ჰქვია სამყაროს ამ ნაწილს ზღაპრების გალაქტიკა.

ელიუსმაც დაიწყო თავისი თავგადასავლის მოყოლა.

ყვებოდა, თუ როგორ გამოვიდა რაკეტა წყობიდან; თუ როგორ მოხვდა ელიუსი გვირილკონის პლანეტაზე, როგორ დაატყვევეს მეორე პლანეტაზე ავსულებმა და როგორ დაინახა მან მწვანე პლანეტა. ბოლოს ისიც უთხრა, თუ ვინ იხსნა ავსულებისგან და როგორ.

როდესაც მოყოლა დაასრულა, პატარა უფლისწულს შეხედა.

პატარა უფლისწული მიხვდა, დაპირების შესრულებას ელისო, და დაიწყო:

- ბატონო ელიუს, როდესმე, სანამ აქ მოხვდებოდით, ასეთი ამბები გადაგხდენია?

- არა.

- ჰოდა, მომისმინე. ახლა შენ ბევრ პლანეტას შეხვდები, მაგრამ ყველგან ზღაპრის გმირები დაგხვდებიან. არსად ცხადის ამბები არ შეგემთხვევა. როგორ მოხდა ეს? ჩვენ, ყველანი, ერთ პლანეტაზე ვბუდობდით, რომელსაც წიგნი ჰქვია. მერე ეს წიგნი მრავალ ნაწილად, პატარ-პატარა პლანეტებად დაიშალა, და თითო პლანეტაზე რამდენიმე ან ერთი გმირი დარჩა. მე ხომ ერთი ვარ?

ელიუსმა კარგად მოუსმინა. მერე კვლავ ჰკითხა:

- უფლისწულო, ბარემ ისიც მითხარი, რატომ არ არიან ამ... - ელიუსი დაიბნა.

- ზღაპრების გალაქტიკა. - შეახსენა ბიჭუნამ.

- ჰო, ბარემ ისიც მითხარი, რატომ არ არიან აქ, ზღაპრების გალაქტიკაში, ვარსკვლავები?

- ვარსკვლავები? ძნელი სათქმელია. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ვარსკვლავები ძალიან კეთილები არიან, ამიტომ ვერ დაგეხმარები.

ელიუსი დაღლილი იყო, ამიტომ პატარა უფლისწულმა ნება დართო, დარჩენილიყო მის პლანეტაზე.

ხუთი დღე დაჰყო ელიუსმა მწვანე პლანეტაზე, მეექვსე დღეს კი ისევ გამგზავრება გადაწყვიტა. ადგა და დაიწყო მზადება. პატარა უფლისწული მივიდა ელიუსთან და ერთი ყვითელი ყვავილი გაუწოდა.

- როცა დაგჭირდეს, აიღე ეს ყვავილი და თქვი: “კომბრილინდრი”, მეც მაშინვე შენთან გავჩნდები.

ელიუსს გულში გაეცინა, - ნეტავ რაში უნდა დამჭირდეს ბავშვი, ჩემს თავს მარტოც მოუფელიო. მაგრამ მალე მიხვდა, რომ უფლისწულის დახმარება დასჭირდებოდა. აი, როდის მიხვდა ამას.

როდესაც ელიუსი პატარა უფლისწულის პლანეტას

დაშორდა (როგორც ყოველთვის, მას ფეხი დაუცდა და ისევ, ასე ვთქვათ, დიდ კოსმოსში ამოყო თავი). მან ახლა ოქროსფერი პლანეტა შენიშნა. უცრად ზღაპრულმა ქარმა დაუბერა და პირდაპირ ოქროსფერ პლანეტაზე დაფრინდა (ზღაპარში რა არ ხდება!) და წყალში ჩავარდა. ნაპირზე ძლივს გამოვიდა. უცრად რაღაც ტკბილი ხმები ჩაესმა. დიდხანს იყურებოდა აქეთ-იქით. ბოლოს ოქროს ქოხი შენიშნა. მიიპარა ფანჯარასთან და სახლში შეიჭვრიტა. ბროლის სკამზე ქალი მღეროდა, მაგრამ რა ქალი! მხრებზე ოქროს დალალები ეყარა. ვერცხლის კაბა იატაკზე ჩამოჰფენოდა. წითლად მოელვარე ტუჩებს ნაზად ამოდრავებდა. ელიუსს არ გაახსენდა, რომელი წიგნის წარმომადგენელი იყო იგი. უცრად ქალმა მოიხედა და ელიუსს მოჰკრა თვალი. ელიუსი ჩაიკუზა, მაგრამ ქალი მიხვდა, რომ ფანჯრიდან უცხო უყურებდა.

- კვიმო, მიდი, სტუმარია, - მიმართა მან მსახურს.

მსახურმა ელიუსს კარი გაუღო და ქოხში შეიპატიჟა. ელიუსი ქალს გაუსწორდა და თავი დაუკრა. ქალი წამოდგა. მან ელიუსს შესთავაზა, ერთად ევახშმათ. ვახშმობისას ელიუსი ქალს თვალს ვერ აშორებდა. სწორედ ეს იყო საშიში. ქალი რომ ხედავდა, მე მიყურებსო, ამ დროს თვითონაც თვალს თვალში უყრიდა და რაღაცას ბუტბუტებდა. ელიუსი ამით ჯადოვდებოდა და როცა კარგად გააბრუებდა ქალი ელიუსს, მერე მოკლავდა. ნეტავ, რაში სჭირდებოდა ქალს ელიუსის მოკვლა? იქნებ, ეს სიამოვნებდა? ან, იქნებ, კაცის მოკვლით უნდოდა თავისი ძლიერება დაემტკიცებინა? მაგრამ არა, ქალის ჩანაფიქრი სულ სხვაგვარი იყო. ეს ბოროტი ქალი იყო. მისი სახელი იყო ურსულა. ის ელიუსს რომ მოკლავდა, თავის დედას მიუტანდა. დედამისი მასზე ნაწყენი იყო და იმ პირობით შეურიგდებოდა, თუ ურსულა არაზღაპრის გმირს მიუყვანდა, ან ცოცხალს ან მკვდარს.

მოკლედ, ურსულას იმედი მოეცა, რომ დედის გულს მოიგებდა. ღამით ურსულამ ელიუსი ცეცხლთან მიიყვანა და უთხრა:

- მადამ ელიუს, აბა, ჩაყავით თავი ცეცხლში.

ელიუსი კარგა გვარიანად მოჯადოებულიყო, ამიტომ არც ასეთი მიმართვა გაჰკვირვებია და არც იმას დაუფიქრდა, თუ რა სისულელე უთხრა ურსულამ. და იგი ცეცხლში თავის ჩასაყოფად მოემზადა. ამ დროს კედლიდან თავი გამოძვრა. ეს თავი პატარა უფლისწულს გამოეგზავნა, რადგან მიმხვდარიყო, რომ ელიუსი ბოროტ ურსულას ჩაუვარდა ხელში. თავმა დაინახა, რა უბედურებას დაატეხდა თავს ურსულა ელიუსს. მიცუნცულდა იმ მაგიდასთან, სადაც ელიუსმა ყვავილი შეინახა, ამოიღო და დაიწრუწუნა:

- “კომბრილინდრი!”

უცრად მთელი ოთახი განათდა. ეს ნათება პატარა უფლისწულის თმიდან გამოიყოფოდა (პატარა უფლისწულს ხომ ოქროს თმა ჰქონდა).

- არაა-ა-ა!.. - იყვირა მან და ელიუსს თავში ქვა ესროლა.

- ქვა ელიუსს საფეთქელთან ახლოს მოხვდა. თითქოს, ახლა გამოერკვაო. რას ხედავს, მის წინ ცეცხლი გიზგიზებს, ის კი მასში თავს ყოფს!

- ვაიმე! - დაიძახა მან, - ხომ არ გავგოჭდი!

ურსულას ელიუსზე ძალა დაეკარგა და იქვე ჩაიფერფლა, კვიმო კი გაქრა.

პატარა უფლისწულმა შეატყო, ქოხი ქრებოდა და ელიუსთან ერთად გარეთ გავარდა, რომ ქოხთან ერთად არ გამქრალიყო. ქოხი მართლაც გაქრა, და რატომ, არ გაინტერესებთ? ქოხი დაწყევლილი იყო და ჩაინთქებოდა, თუ ურსულა მოკვდებოდა. მოკლედ, პატარა უფლისწულმა და ელიუსმა თავი მშვიდობით დააღწიეს საფრთხეს. ბიჭუნა გამოემშვიდობა ელიუსს და ყვავილის ძალა შეახსენა...

- ოჰ, ყვავილი! - იყვირა ელიუსმა.

ახსენა თუ არა ყვავილი, უგონოდ დაეცა. როდესაც გონს მოვიდა, პატარა უფლისწული ვეღარ დაინახა. მხოლოდ წერილი იდო მის თავთან. წერილში კი ეწერა: “ძია ელიუს, რადგანაც ყვავილი დაკარგეთ, ჩვენ ერთმანეთს ვეღარ შევხვდებით. პატარა უფლისწული.”

ელიუსი დაღონდა, რა ვქნა, სულ მარტო ვარო. გახედა ზღვაში ჩამავალ მზეს. უეცრად მშვენიერმა აზრმა გაუელვა. თუ შეძლებდა და ნავს გათლიდა, გაცურავდა და მიწას მოძებნიდა. მაგრამ მალე მიხვდა, რომ ნავის გამოთლას, სულ ცოტა, წელიწადნახევარი მაინც დასჭირდებოდა.

მაშინ მან ერთ-ერთ ხეს, რომელიც უფრო გამძლე ეჩვენა, ქერქი ააგლიჯა. მერე მოტეხა ორი მსხვილი ტოტი და ზღვაში შეცურდა. პირდაპირ მზის მიმართულებით მიაცურებდა თავის “ტივს”. ამასობაში მზეც ზღვაში ჩაესვენა. დაღამდა. აცივდა და უეცრად ამოვარდა ქარიშხალი. გამძვინვარებული ქარიშხალი თანდათან მატულობდა. ტალღები ხის ქერქს ზევიდან ევლებოდნენ. ელიუსს მაგრად ეძინა. მაგრამ ერთი ტალღა ზედ დაასკდა და ელიუსსაც გამოეღვიძა. ყველაფერი სველი იყო. თვითონაც წვაპაწკუპით სცვიოდა წვეთები. ქარიშხალი ხის ქერქს უგზოუკვლოდ მიაქანებდა. ელიუსმა ჯერ ისიც კი იფიქრა, ნამდვილად თოვსო. ისე იყო ზღვა აქაფებული, კაცს ჰოკუსაის “კანაგავას დიდ ტალღას” მოაგონებდა. და უეცრად ნავი აყირავდა. ქარიშხალი თითქოს ელიუსის ჯიბრზე იქცეოდა: როგორც კი ელიუსი ზღვაში ჩავარდა, იმწუთასვე ჩაწყნარდა. ელიუსი ხის ქერქზე აბობლდა. ქარიშხალი კი ჩაწყნარდა, მაგრამ ტალღები ჯერ კიდევ არ გამქრალიყო. ელიუსმა ნიჩბები ვეღარ იპოვა, ამიტომ ნავი მარჯვნივ შებრუნდა და თავისით გაცურდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ელიუსმა შორს მწვანე წერტილი შენიშნა. წერტილი თანდათანობით იზრდებოდა და ბოლოს გამოჩნდა კუნძული. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ კუნძულზე ერთი პალმაც არ იდგა. კუნძულის შუაგულში ცეცხლი გიზგიზებდა. გარშემო ოციოდე ინდიელი ცეკვავდა, ნაჯახით ხელში. მოშორებით კი ხუთი ინდიელი უტყაპუნებდა ხელს ტამტამებს. საოცარი კი ის იყო, რომ ტამტამებს ცილინდრები ხისა ჰქონდა. ელიუსს აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა და ნაპირზე გადასვლისთანავე მიწვა და ჩაეძინა. როცა მოსულიერდა და თვალი გაახილა, ჭილოფზე იწვა. წამოჯდა. მიიხედ-მოიხედა და რა დაინახა: დაბალ ქვებზე ჩამომჯდარან: პეპი, ტომი, ანიკა და პეპის მამა. ოთხივეს გვერდით თითო მსახური უდგას და ნაჭრის მარაოს უნიავეებს. უყურებს ელიუსი პეპის და მის მამას და თვალეებს არ უჯერებს.

- თქვენ... - მაგრამ თითქოს ბურთი გაეჩხირა ყელში და ხმის ამოღება ვეღარ მოახერხა.

სამაგიეროდ პეპიმ წამოიწყო:

- ვიცი, რომ გინდა მკითხო, ასეთი ლამაზი საიდან ხარო, ხომ?

ელიუსი, იმის მიუხედავად, რომ სხვა რამ უნდა ეკითხა, დაბნეულობისგან დაეთანხმა.

ისე, უნდა ითქვას: პეპი მართლაც ლამაზად გამოიყურებოდა. სახეზე (რომელიც დაჭორფლილი ჰქონდა), ნიკაპზე, შუბლზე და ლოყებზე წითელი ორი პატარა და სქელი ზოლი ეხატა. თმებში არწივის ბუმბული გაერქო, კაბა გვირილის ფოთლებისგან ჰქონდა შეკერილი, (გვირილის ფოთლები, ჩანდა, “გვირილკონიდან” მოეტანა), ტანზე კი კი ირმის ტყავი ემოსა.

პეპის ელიუსი ისე მოეწონა, რომ შესთავაზა:

- გინდა? აქ, ჩვენთან დარჩი! ზრუნვას არ მოგაკლებთ: მსახურებსაც დაგინიშნავ, ელას და ლუასს.

ელიუსი დაფიქრდა: მას დედამიწა უნდა ეპოვნა, მაგრამ ცდუნებას ვეღარ გაუძლო და დათანხმდა.

მაშინვე გამოცხადდნენ ელასი და ლუასი. ელიუსი ტოტებით ნაშენი სახლის სხვენზე აიყვანეს, აჭამეს (სხვათაშორის, ელიუსი ამ სადილს ხშირად იხსენებდა, როცა თავის სამყაროში დაბრუნდა) და ლოგინში ჩააწვინეს. იწვა ელიუსი, ფიქრობდა, უყურებდა მზეს ფანჯრიდან. ფიქრით კი, აი, რას ფიქრობდა: “პეპი ისეთი კარგი გოგოა... თუ ვთხოვ, ნავის გგაკეთებაში დამეხმარება. მაგრამ მამამისი? მისგანაც ხომ ნებართვა უნდა ავიღო? როგორ მივმართო? იულიმ, თორმია, გვალემა, ტაბალუგა, ჩონჩხია...” ჩონჩხიას გაფიქრებაზე შიშის ჟრუანტელმა გადაუარა. მერე დამშვიდდა და თქვა, არა, არაფერს არ დავუმახებ, ვკითხავ, რა ჰქვიაო.

გათენდა...

ელიუსი ქვემოთ ჩავიდა. კარიდან გავიდა თუ არა, ვიღაც შეახტა და თვალებზე ხელები ააფარა.

- ვინ ვარ?! - ბოხი ხმით ჰკითხა უცნობმა, მაგრამ პასუხს აღარ დალოდებია და იყვირა: - პეპი!

ელიუსს გაეღიმა. პეპიმ კი უთხრა:

- დღეს სანადიროდ მივდივართ მე, ტომი და ანიკა. მამას დავპირდი: ირემს და ლომს მოვინადირებ-მეთქი.

- ლომი? ლომი იჭმევა განა? - გაუკვირდა ელიუსს.

- რა თქმა უნდა, იჭმევა. თან ტყავიც გამოსადეგია.

- მაშ ასე, წავედით! - აყიჟინდნენ ტომი და ანიკა.

ოთხივენი - პეპი, ელიუსი, ტომი და ანიკა - გზას გაუდგნენ. ბალახში კალიები ხტუნაობდნენ და მგზავრებს ფეხებში ედებოდნენ. პეპლები ერთმანეთს ყვავილებამდე მისწრებაში ეჯიბრებოდნენ, თუმცა ხეები არ ჩანდნენ. მაგრამ, როგორც შემდეგ ელიუსი იტყოდა ხოლმე, ამ პატარა ბელურებს ეს არ სჭირდებოდათ, ისინი დასასვენებლად პირდაპირ ღრუბლებზე სხდებოდნენ.

უეცრად ბუჩქებში რაღაც გაფაჩუნდა და იქიდან კარგა გვარიანად მოზრდილი ლომი გადმოხტა.

- ეი, ელიუს, ფრთხილად!

ლომი ელიუსს ეცა. პეპის რომ არ ემარჯვა და შუბი არ ესროლა, ელიუსი ნამდვილად ლომის მორიგი ლუკმა გახდებოდა.

ლომს შუბი ფეხში მოხვდა, ილრიალა და გაიქცა. შუბი კი დავარდა და მიწაში ჩაერქო.

- იტკინეთ რამე? - შეწუხდა ანიკა.

- არა, დიდიც არაფერი, ცოტა გამეკაწრა ლოყა.

ელიუსმა ანიკას თავზე ხელი გადაუსვა.

- პეპი, რა ვქნათ ახლა? გაგვექცა ლომი! - მიუბრუნდა დაღონებული ტომი პეპის.

- უნდა გავედევნოთ! - ბრძანა პეპიმ და შუბი ველურების კივილით მიწიდან ამოაძრო, მერე კი დასძინა, - აი, სისხლის კვალი მიდის ტყემდე. ამით კი ადვილად მივაგნებთ.

ნახევარი საათი მიჰყავდა ტყისკენ პეპი თავის საყვარელ ცხენს, ნახევარი საათი მიჰყვებოდა ჩაფიქრებული ელიუსი და ასევე ნახევარი საათი მიკუნტრუშობდნენ ტომი და ანიკა. ნილსონს კი, ტყემდე რომ მისულიყო, სულ 10 წუთი დასჭირდა. ის ხიდან ხეზე დახტოდა და ჭყლოპინებდა. ("საოცარი იყო, მაიმუნი ჰაერში მიფრინავდა, ხეები კი არსად ჩანდნენ"- იტყოდა ხოლმე ელიუსი შემდეგ). ტყეს რომ მიატანეს, სისხლის კვალი ერთ ქვასთან გაქრა (რა არ ხდება ზღაპრებში! ტყე ხის გარეშე!). მონადირეები შეჩერდნენ, მხოლოდ ელიუსი განაგრძობდა გზას. უეცრად რაღაცას შეეჯახა. არადა, მის წინ მხოლოდ სიცარიელე იყო და მეტი არაფერი.

- რა მოხდა? რა მემართება? სიცარიელეში რაღაცას შევეჯახე! - აღრიალდა ელიუსი.

პეპი ახარხარდა:

- რა სიცარიელე, რის სიცარიელე! პალმა დგას, ვერ ხედავ?

- ერთი ის მითხარი, ტამტამის ცილინდრი რისგან კეთდება?

- რა ვიცი, ჩვენ ხისგან ვაკეთებთ. ისე, სულ დამავიწყდა - მზინავი ქვები.....

- პეპი, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ამას ძვირფასი ქვები ჰქვია! - ანიკას ყოველთვის აღაშფოთებდა პეპის მიერ დამახინჯებული ან არასწორად ნათქვამი სიტყვები.

- ჰო, მდინარე ტაკადუქა გვამღევს ყოველ კვირას. დღეს კი კვირაა. წამოდით, ტაკადუქას მივაკითხოთ.

- ნადირობა? - აბუზუნდა ტომი.

- რა თქმა უნდა, ვინადირებთ, ოღონდ ჯერ ძღვენი მივიღოთ.

ყველანი მდინარე ტაკადუქასკენ გაემართნენ. ელიუსი იმ მოვლენაზე ფიქრობდა, რაც შეემთხვა. ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა სიცარიელეში ხეს შეეჯახებოდა. უეცრად იგი რაღაცას მიხვდა და პეპის ასეთი შეკითხვა დაუსვა (შეკითხვა ნამდვილი შეკითხვის დასაწყისი იყო. ისე, უბრალოდ რომ საუბარი დაეწყო):

- ძვირფასო პეპი, შენს მამიკოს... მამას რა ჰქვია?

- სვენსონ-ინზან უილიამ-ვირტუალია. "უილიამ" რომ მთავრდება, მაქამდე სახელია. "ვირტუალია" გვარია.

- რა საინტერესო სახელია!

- მართლა? - გაუხარდა პეპის, - ვაი, დაგვაგვიანდა, ჩემმა ქვეშევრდომებმა დამასწრეს ძღვენის მიღება.

- უი, რას ამბობ! - ჩქარა უპასუხა ელიუსმა. ის ჯერ კიდევ სიცარიელეზე და ხეზე ფიქრობდა.

და უეცრად მიხვდა, ნამდვილი შეკითხვის დასმის დრო დადგაო. დაიწყო:

- პეპი, მე რადგან ვერავითარ ხეს ვერ ვხედავ, გამოდის, რომ დედამიწელი ზღაპრის გმირების მიწაზე ხეს ვერა, ყვავილ-მცენარეებს კი დაინახავს!

- ალბათ... მართლა ვერ ხედავ? - ხმა აუკანკალდა პეპის, მაგრამ მისი ხმა კივილმა შეცვალა.

- მიშველეთ!

იგი მფრინავმა დრაკონმა გაიტაცა. პეპის მოულოდნელობისგან ხელიდან შუბი გაუვარდა.

- პეპი, ძალა! ძალა! - იყვირა ელიუსმა.

პეპი ხომ მართლაც ძლიერი იყო. მან დრაკონს მთელი ძალით ჩასცხო თავში მუშტი. მაგრამ დრაკონი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. არაფრად ჩააგდო მუშტი და გოგონა ცაში აიტაცა.

მისტერ სვენსონ-ინზან-უილიამ ვირტუალიამ ბრძანება გასცა, ვინც პეპის დამიბრუნებს, ის გახდება ტახტის მემკვიდრეო.

ელიუსმა პეპის საძებნელად წასვლა გადაწყვიტა და იმ ღამესვე გაემგზავრა. ტომი და ანიკაც აედევნენ. იარეს, იარეს და ერთ კლდეს მიადგნენ. ელიუსმა ჩაიხედა და, როგორც ყოველთვის, ლურჯი “ცა” დაინახა. ჰოპლას! ელიუსი, ტომი და ანიკა ერთმანეთის მიყოლებით გადახტნენ კლდიდან.

- გამიგონია, აქ რომელიღაც პლანეტასთან ახლოს ცხოვრობს დრაკონი! - თქვა ტომიმ. შეიძლება ის არის, პეპი რომ მოიტაცა.

ელიუსი დაფიქრდა.

- ჰო, მაგრამ რომელ პლანეტასთან?

ტომმა ეს უკვე აღარ იცოდა, მაგრამ იმედი მაინც არ დაუკარგავთ და ერთ პლანეტაზე დაფრინდნენ.

პლანეტა სიჩუმეს მოეცვა. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. ბალახი დამჭკნარიყო. ყველგან ეკლები ეყარა, საშინელი ხუთვა იყო. ელიუსი, ტომი და ანიკა ფრთხილად მიაბიჯებდნენ. აქა-იქ ხანდახან ორთქლი ამოიფრქვეოდა. გარშემო, ძირითადად, ვულკანის მთები იყო. ჩვენი მაძიებლები ვერც კი ამჩნევდნენ, ეს მთები ნელ-ნელა როგორ წითლდებოდა. ელიუსი იქაურობას ათვალთვლიერებდა.

უეცრად მიწა შეიძრა და ტომი გაქრა. თითქოს, მიწამ ჩაყლაპაო.

- ტომ! ტოლომ... - იყვირა ანიკამ და ყველა მთიდან ერთდროულად სწორედ ამ დროს ამოიფრქვა ვულკანი.

- ანიკა, მოდი, ჩქარა! გადავხტეთ!

- ტოლომ!..

- ანიკა, მოდი!

- ტოლომ!..

ასეთი შემახილები ისმოდა პლანეტაზე. ბოლოს ანიკა

დამორჩილდა და ელიუსთან ერთად კოსმოსში გადახტა. დაფარფატებდნენ, უყურებდნენ ცეცხლის ალში გახვეულ პლანეტას.

შეშინებული ანიკა კვლავ ტიროდა.

- ტომ... მოდიიი... არ მიმატოვოოო....

მაგრამ მის ძახილს მხოლოდ კოსმოსური ექო ეპასუხებოდა.

ელიუსს კი ცხოვრება უაზრობად ეჩვენებოდა. არ იცოდა, როგორ დახმარებოდა ანიკას. ყველაფერი მობეზრდა. თუმცა, ანიკას ძმა და პეპი უნდა ეპოვა.

ელიუსი ჩაფიქრდა: “მოდი, ჯერ პეპის ვიპოვნით და მერე ის გვაპოვინებს ტომს... მაგრამ რომელ პლანეტის სიახლოვეს ცხოვრობს დრაკონი? რომ ვიცოდე, რომელი ზღაპრის გმირია, ადვილად მივაგნებდი. ჯერ იმ ზღაპრის პლანეტას მოვძებნიდი, მერე კი იქვე, სადმე ახლოს, ვიპოვნიდი დრაკონს”.

შორს ჭრელი პლანეტა შენიშნა. უფრო სწორად - ნახევარჭრელი, იმიტომ, რომ მეორე ნახევარი წითელი და ნაცრისფერი ჰქონდა. ელიუსი ნახევარდჭრელ პლანეტაში შევიდა, ანიკაც მიჰყვა. პლანეტა ხმაურობდა. ძაღლები კატებს მისდევდნენ. ბავშვები თამაშობდნენ. ელიუსმა იფიქრა, ანიკა გაერთობაო და ბავშვებს გააცნო.

- ბავშვებო, ეს ანიკაა! შეიძლება თქვენთან ერთად ითამაშოს?

- როგორ არა, როგორ არა, რა თქმა უნდა, თუ სათამაშო აქვს.

ელიუსმა ანიკას შეხედა. ანიკამ თავი გადააქნია.

- არა აქვს, - შეწუხებული მიუბრუნდა ბავშვებს ელიუსი, - მაგრამ, გთხოვთ, დარჩეს. ბავშვები დასთანხმდნენ და ანიკასთვის თამაშის წესების ახსნას შეუდგნენ. ელიუსი კი წითელში და ნაცრისფერში გახვეული ნახევრისკენ გაეშურა. როდესაც მიაღწია, საშინელი სუნი იგრძნო.

- გოგირდი? - გაუკვირდა ელიუსს.

უეცრად ხმა მოესმა:

- ღრრ... ააა!.. - და გამოქვაბულიდან დინოზავრი გამოვიდა. ის ელიუსს უყურებდა და გრძნობდა, რომ ელიუსს რაღაც უნდოდა მისგან.

უყურა ელიუსს, უყურა და მასზე თავდასხმა გადაწყვიტა. მან უკან დაიხია და ელიუსისკენ გამოქანდა. ელიუსი ქვას მოეფარა. დინოზავრი დიდხანს ეძებდა, ბოლოს ისევ თავის გამოქვაბულში შებრუნდა. ელიუსსაც ეს უნდოდა, გამოვიდა სამალავიდან და გამოქვაბულის სახურავზე აძვრა. დინოზავრს ხმა მოესმა და გარეთ გამოვარდა. ელიუსი დააკვირდა:

- ეს ხომ დინოზავრია! არა, ამას პეპი არ გაუტაცია. ახლა თავი როგორ დავაღწიო? ეჰ, თავიდან უნდა მივმხვდარიყავი. ახლა რაღა ვქნა?

ელიუსი ღრმად ჩაფიქრდა. იქვე დიდი ღრმული დაინახა, რომლითაც გამოქვაბულში ჩასვლა შეეძლო. ჩაიხედა და ნახა, სუფრა იყო გაშლილი. ელიუსს ნერწყვი მოადგა. გაახსენდა, რომ შიოდა, მაგრამ როგორ ჩასულიყო? სახურავი მაღალზე იყო და რომ ჩამბტარიყო, დაიმტვრეოდა. უეცრად მოისაზრა: შემოიხსნა წელიდან ქამარი, ერთი ბოლო გამოქვაბულის სახურავის შვერილს გამოაბა, მეორეს თვითონ მოეჭიდა და ღრმულში ჩახტა. პირდაპირ ქვაზე დაეცა. წამოდგა, მიიხედ-მიიხედა. დაინახა საჭმლით გავსებული მაგიდა და ეცა. ელიუსი ხარბად ჭამდა. მან ვერც კი შეამჩნია, როგორ მიუახლოვდა ტომი.

- ტრა-ლა-ლა-ლა... - ამღერდა ელიუსი. უცებ რაღაცამ უკარნახა, შებრუნებულიყო უკან და, მართლაც, ელიუსი შებრუნდა.

- ტომ!... ნუთუ? აქ რა გინდა? როგორ მოხდა ეს?

- ეჰ, - ამოიოხრა ტომმა, - სულ ამ დინოზავრის ოინები იყო... თუმცა, მოდი, ყველაფერს თავიდან მოგიყვები. რომ გავქრი, ეს ყველაფერი დინოზავრის ბრალი იყო. იჯდა ამ პლანეტაში, შიგნით, და უეცრად დამქაჩა ფეხზე, იმდენად სწრაფად, რომ მოგეჩვენათ, თითქოს გავქრი. მერე მე შიშისგან გონება დაგვარგე. რომ გამომეღვიძა, გამოქვაბულში ვიწექი, თავზე დინოზავრი დამყურებდა. ამის შემდეგ ხელებით მანიშნა, საჭმელი მინდა, მშიაო. იმის მერე დინოზავრს ვემსახურები.

დაამთავრა თუ არა ტომმა მოყოლა, გამოქვაბულში დინოზავრი შემოვიდა. ელიუსი დაიმალა. დინოზავრმა ნახა, საჭმელს აკლდა, და ტომს შეხედა.

- ისა... მე.. აქ... ბოდიში. ისა... მე აქ არაფერ...

მაგრამ დინოზავრმა წინადადების დამთავრებაც არ აცადა, ისე მივარდა, მაგრამ სანამ ეცემოდა, ელიუსმა იყვირა:

- ეი, შეჩერდი. საჭმელი მე შევჭამე.

დინოზავრი ელიუსისკენ შებრუნდა. უკან დაიხია. ელიუსი გამჭრიახი კაცი იყო და მიხვდა, რაც უნდა ექნა. ახტა ერთ ქვაზე, თან დინოზავრი წააქეზა. გაქანებულმა დინოზავრმა ქვისკენ აიღო გეზი. მაგრამ ელიუსი გადახტა. დინოზავრი კი ვეღარ შეჩერდა და პირდაპირ ქვას შეასკდა. ბედნიერი ელიუსი ტომს მიუბრუნდა, გაუღიმა და ორივენი გასასვლელისკენ გაემართნენ. სადამოხანს იმ ადგილას მიაღწიეს, სადაც ელიუსმა წამოსვლის წინ ანიკა დატოვა. მაგრამ ტომს ელდა ეცა, ანიკა რომ არ დახვდა. არც ელიუსს ადგა კარგი დღე. უეცრად გზის მეორე მხარეს სახლი შენიშნეს. შუქი ენთო. სახლიდან ბავშვების კისკისის ხმა გამოდიოდა.

- ანიკა? - იკითხა ტომმა.

ელიუსმა უპასუხა:

- იცი, ტომ? ღამეა. ანიკა რომელიმე ბავშვის სახლში იქნება. მოდი, გზის მეორე მხარეს რომ სახლია, იქ მოვინახოთ ანიკა და ჩვენც ხომ გაგვათევეინებენ ღამეს?

- კი, ნამდვილად, - დაეთანხმა ტომი, თუმცა რაზე თანხმებოდა, ვერ ხვდებოდა.

მოკლედ, გადაწყვიტეს, იმ სახლში შევიდეთო. მასპინძელი ჭიშკარშივე გამოეგება.

- მოზრძანდით. მოზრძანდით. კარგ დროს მოხვედით, ჩემს შვილს დაბადების დღე აქვს. მოზრძანდით, მოზრძანდით.

ხმაზე ეტყობოდა, ქალი იყო, მაგრამ გამომეტყველებით ამას ვერ შეამჩნევდი, იმიტომ, რომ თმა კაცურად შეეჭრა და გამომეტყველებაც კაცის ჰქონდა.

ქალმა სტუმრები მორთულ დარბაზში შეიყვანა. თვითონ სადღაც გავიდა. (ალბათ, სამზარეულოში). დარბაზი სავსე იყო ბავშვებით. მათში ანიკაც ერია. დაინახა თუ არა ტომი, გამოქანდა და ჩაეხუტა.

- რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, - ამბობდა ის, თან სიხარულის ცრემლებს იწმენდა ხელსახოცით.

ამ დროს ოთახში დიასახლისი შემოვიდა, ელიუსს და ტომს ვახშამი შემოუტანა. ელიუსს არ შიოდა, მან ხომ გამოქვაბულში ისადილა, ტომს კი ისე შიოდა, უარს როგორ იტყოდა, და ივახშმა.

შესრულდა თორმეტი საათი. ბავშვები სახლებში წავიდნენ, ელიუსმა დიასახლისს სთხოვა, ღამე გაგვათევეინეთო, დიასახლისიც სიხარულით დათანხმდა. ელიუსმა, ტომმა და ანიკამ ღამე იმ ოჯახში გაათიეს, დილით კი ყველანი სასაუზმოდ შეიკრიბნენ.

- სად ისწავლე ასე ხმაურით ჭამა?! - ჰკითხა საუზმობისას ტომმა ანიკას.

- პეპიმ მასწავლა...

ანიკა შეჩერდა და ამოიოხრა:

- ჩემი პეპი...

- პეპი? პეპი ვინ არის? - იკითხა დიასახლისმა და ვაშლის ტორტის დაჭრას შეუდგა.

- პეპი, ეს ერთი მამისერთა, ზღვაზე გაზრდილი გოგონაა, - უპასუხა ელიუსმა.

- მერე, განა ცუდია, ზღვაზე რომ არის გაზრდილი? - სულ დაიბნა დიასახლისი.

- არა, ცუდი ისაა, რომ პეპი დრაკონმა მოიტაცა, - ელიუსის მაგივრად უპასუხა ტომმა.

- ერთი ის დრაკონი როგორი იყო, ამიხსენი, - მიუბრუნდა ელიუსს ოჯახის უფროსი.

- აქვს წითელი ფრთები, შავი თვალები, მწვანე კუდი და იასამნისფერი სხეული. შიგადაშიგ ნაცრისფერი ლაქებიც.

- ეს ხომ მარუბაა! იგი ისეთივე საშიშია, როგორი საშიშიც ხანძარი და ვულკანია. ყოველ კვირას ხარკს ვაძლევთ. ეგ გოგონა ცოცხალი ვერ გადაურჩებოდა! - სერიოზულად თქვა დიასახლისმა.

- კი, მაგრამ იცით, როგორი ძალა აქვს? - ცრემლი ჩამოეკიდა ტომს წამწამებზე.

- აბა, რა ვიცი, რა გითხრათ?! ერთს კი გირჩევთ: მოხუც ანჯაფასთან მიდით. მან ყველაფერი იცის, - თქვა დიასახლისმა.

- მერედა, სად ცხოვრობს ანჯაფა? - იკითხა ტომმა.

- მწვანე მდინარეში, თეთრ სახლში. თევზთა მეფეა. - მიუგო ოჯახის უფროსმა.

- კი, მაგრამ, მწვანე მდინარე სადღაა?

- მწვანე მდინარე იორკის მთებშია. ხოლო იორკის მთები იორკის ლურჯ პლანეტაზე. აქედან იქამდე ათი კილომეტრის სავალი იქნება.

- გმადლობთ საუზმისთვის, ახლა ანჯაფასთან უნდა წავიდეთ, - გაიღიმა ელიუსმა და სკამიდან წამოდგა.

- ნახვამდიის! - დაემშვიდობნენ ტომი და ანიკა მასპინძლებს.
სამივენი სახლიდან გამოვიდნენ და ქუჩაში მოსიარულე ხალხს შეერივნენ.
შუადღე იყო, როდესაც იორკის პლანეტა დაინახეს.
- აბა! - შეხედა ელიუსმა ტომს და ანიკას.

- დიახ!!! - უპასუხეს მათ და სამივენი პლანეტაზე დაემშენენ.

იქაურობა ძალიან მოეწონათ. ველ-მინდორი ყველგან დიდი ქვებით ანაოჭებულიყო. ამ ველ-მინდორებზე ჭრელ-ჭრელი ყვავილები ცეკვავდნენ, ქარი არხევდათ, ისინიც ირხეოდნენ და თითქოს ცეკვავდნენ. პატარა ნაკადული ლოდებს შუა მისრიალებდა. ხეებზე ჩიტები ჟღერტულდებდნენ.

ეს ყველაფერი მართლაც ძალზე სასიამოვნო სანახავი იყო.

- მიკვირს! - თქვა ელიუსმა, - ლურჯი პლანეტა რატომ ჰქვია მაშინ, როცა მწვანეა?

ბავშვებმა კამათი წამოიწყეს იმის თაობაზე, თუ რატომ იყო ეს პლანეტა მწვანე და ერქვა ლურჯი პლანეტა.

ელიუსი მათ კამათს ყურს არ უგდებდა. იგი შორეულ ლურჯ სივრცეს გაჰყურებდა.

- შეხედეთ, ბავშვებო! იქ მწვანე ზოლი მოძრაობს, წავედით! - შეჰყვირა გახარებულმა ელიუსმა და გაიქცა.

მირბის ელიუსი, მისდევს და-ძმა.

ათი წუთიც არ იყო გასული, უკვე მწვანე მდინარესთან იყვნენ. შეჩერდნენ.

- რა უნდა ვქნათ? - იკითხა ანიკამ.

- უნდა ჩავხტეთ! - გასცა ბრძანება ელიუსმა.

სამივე მდინარეში გაუჩინარდა. ერთი საათი იცურეს და თევზების სამეფოში ჩაცურდნენ. ყველგან ნიჟარები ეყარა. ერთ ადგილას ნიჟარის ძალიან დიდი გროვა იყო. აქა-იქ ბრილიანტი ბზინავდა.

- ეს, ალბათ, ანჯაფას სასახლეა, ესენი კი ქვეშევრდომები არიან, - თქვა ელიუსმა.

ამ დროს პატარა ნიჟარებიდან თევზები გამოცურდნენ და სამივეს გარს შემოეხვივნენ.

- გამარჯობა! - შესძახეს თევზებმა.

- გაგიმარჯოთ! ანჯაფა თქვენი მეფეა? - ჯერ მიესალმა, შემდეგ კი იკითხა ელიუსმა.

- დიახ! - უპასუხა ერთმა მოხუცმა თევზმა. წამოდით, მე მიგიყვანთ მეფესთან.

მან წინ გაცურა. ელიუსი, ტომი და ანიკა უკან გაჰყვნენ. მალე ქვების დიდ გროვას მიადგნენ. ხვრელთან ორი ორაგული გამოჭიმულიყო.

- ესენი კარის გუშაგები არიან, - უჩურჩულა ელიუსს მოხუცმა თევზმა, მერე კი გუშაგებს მიესალმა.

- გამარჯობათ, ბატონებო! მეფის ნახვა გვინდა.

ერთ-ერთი გუშაგი მეფესთან წავიდა. უნდა ეკითხა, ინებებდა თუ არა იგი ელიუსთან შეხვედრას.

- მეფეო, სამი უცნაური არსება მოვიდა. თქვენი ნახვა უნდათ.

- შემოუშვით! - ბრძანა ანჯაფამ.

ცოტა ხანში კარი გაიღო და დარბაზში ელიუსი, ტომი, ანიკა და მოხუცი თევზი შემოვიდნენ.

- აბა, რა გნებავთ?

- თქვენო უდიდებულესობავ, პეპი დრაკონმა მოგვტაცა. გაგვიგონია, ბრძენი მეფეა ანჯაფაო. ჰოდა, იქნებ რამე გვირჩიოთ.

- პეპი?! პეპი... პეპი... ეს სახელი მეცნობა.

და აი, რა უამბო თევზთა მეფემ ელიუსს:

- პატარა ვიყავი. მიყვარდა ადამიანები. ახლაც მიყვარს. ერთხელ გზა ამებნა და ნაპირისკენ გავცურე. ტალღამ ქვიშაზე მომისროლა. უკანვე შეცურვა ვცადე, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ამ დროს გამოჩნდა პატარა გოგონა, ჟღალი თმა ჰქონდა. ნაწნავები რქებივით აეპრიხა. მან გამიღიმა, ხელში ამიყვანა... მე პეპი ვარო, ასე მითხრა და მდინარეში მომისროლა. სასწაული! პირდაპირ სასახლეში მოვხვდი. ამის მერე მე ადამიანები ძალიან შემეყვარდა. ასევე თქვენც მიყვარხართ. ხოლო ჩემმა ხალხმა იმიტომ არ იცის, თუ რა არის ადამიანი, რომ მე არასოდეს მითქვამს ეს მათთვის...

ანჯაფამ თხრობა დაასრულა.

- დიახ, დიახ, ის პეპი იქნებოდა, ჩვენ რომელსაც დავეძებთ. მასაც წითელი თმა და აპრეხილი ნაწნავები აქვს. ჰოდა, გთხოვთ უმორჩილესად, რომ მისი ადგილსამყოფელი მიგვასწავლოთ... დაგვეხმაროთ...

- კეთილი, დაგეხმარებით, ბატონო ელიუს! ოღონდ სამი გამოცანა უნდა გამოიცნოთ. პირველი: რომელ თამაშს თამაშობდნენ პირველყოფილი ადამიანები?

- ჰმ, ეგ ძალიან ადვილი კითხვაა. კოჭაობას.

- და რატომ?

- იმიტომ, რომ პირველყოფილი ადამიანები ხომ ნადირობდნენ?! ჰოდა, კოჭს გამოაცლიდნენ ნადირს, გარეცხავდნენ და ერთმანეთს კოჭებს ესროდნენ.

- კარგი, ეგ სწორია! ახლა მეორე: რა არის ის, რაც წყალში შედის, გამოდის, მაგრამ წყალს არ ეკარება.

- ჰოოო, გასაგებია-ა-ა. ალბათ, ბაყაყი.

- არა, ძია ელიუს, მთვარე! - უჩურჩულა ტომმა.

- დიახ, მთვარე! - სასწრაფოდ გამოასწორა შეცდომა ელიუსმა.

- რატომ? - ჰკითხა მოხუცმა ანჯაფამ.

- იმიტომ, რომ ღამით ცაზე მთვარე რომ გამოჩნდება, წყალი ირეკლავს მას და იგი წყალშია. როდესაც თენდება, მთვარე ქრება და წყალში აღარ ჩანს მისი ანარეკლი. ესე იგი, მთვარე წყლიდან გამოდის. ისე, ვარსკვლავებიც ასე არიან. იმიტომ პასუხია: მთვარე და ვარსკვლავები წყალში შედიან, გამოდიან, მაგრამ წყალს არ ეკარებიან.

- ყოჩაღ, ყოჩაღ! აბა, ვნახოთ, მესამეს თუ გამოიცნობ. ვეფხვისფერია, მაგრამ მრავალკუთხა ლაქები აქვს, ერთმანეთისგან თეთრი ზოლებით გამოყოფილი.

- მოიცა... მოიცა... მოიცა... ჟირაფი, ჟირაფი!

- რატომ?

- იმიტომ, რომ ჟირაფიც ვეფხვის ფერებშია გამოწყობილი, ოღონდ მას მრავალკუთხა ლაქები აქვს.

- დიახ, ბატონო ელიუს! თქვენ სამივე კითხვას სწორად გაეცით პასუხი და მაშინ მეც ჩემს პირობას შევასრულებ. მე თქვენ დაგეხმარებით პეპის მოძებნაში!

- დიდი მადლობა, მეფე ანჯაფა!.. მაგრამ ჩვენ ერთ

ოჯახში ვიყავით სტუმრად და იქ გვითხრეს, რომ ამ დრაკონს ჰქვია მარუბა. და რომ პეპი ვერ გადაურჩებოდა.

- ვარ თუ არა ბრძენი?

- დიახ!

- ჰოდა, გეუბნებით, რომ პეპი ცოცხალია.

- კი, მაგრამ...

- არავითარი “კი მაგრამ”! რადგან ვამბობ ცოცხალია, ესე იგი, ცოცხალია.

ამ დროს ისინი მიუახლოვდნენ შავ კარიბჭეს. ელიუსი, ტომი და ანიკა შეჩერდნენ. ანჯაფა კი კარიბჭეს მიუახლოვდა, გადაატრიალა სახელური და ოთხივენი ჯადოსნურ ქვეყანაში აღმოჩნდნენ. ყვავილები ნაზად ირხეოდნენ. ჩიტები ჟღურტულელებდნენ, წყარო

ცისფრად მოჩუხჩუხებდა და ღრუბლებს ირეკლავდა. მზე კამკაშებდა, რაც სითბოს მატებდა მიდამოს.

ანჯაფამ ელიუსს უთხრა:

- აქედან სულ ადვილად მიხვალთ დრაკონთან, ოღონდ ის აქ არ ცხოვრობს, ის შავი მთის გამოქვაბულში ბინადრობს. ძალზე ავია. თუ ვინმე იგდო ხელთ, ცოცხალს არ დატოვებს, მაგრამ ღაჟღაჟა ფერი უყვარს და ამიტომ ხელსაც არ დააკარებს პეპის. პეპი, ალბათ, ახლა დრაკონთან ერთად დასეირნობს ბუნებაში.

- მაგრამ, როგორ მივაგნოთ შავ მთას? - იკითხა ელიუსმა.

- შავ მთას მიაგნებთ მაშინ, როდესაც ჯადოსნური ქვეყნის კიდეს მიაღწევთ, იქ ცამდე აზიდულ შავ მთას დაინახავთ. მთაში გამოქვაბულია, მაგრამ ახლა არავინ დაგხვდებათ, რადგან საღამოობით დრაკონი სანადიროდ სხვა პლანეტებზე დაფრინავს. პეპის კი თან გაიყოლიებს. მაშ ასე, გამოქვაბულში შეხვალთ თუ არა, ვაშლს დაინახავთ. იცოდეთ, ხელი არ ახლოთ. მოწამლულია. შემდეგ სკამს დაინახავთ, არ გაბედოთ დაჯდომა, თორემ ზედ შეეყინებით. ბოლოს სანოვაგით დატვირთულ მაგიდას შენიშნავთ, ბევრი სასუსნავი თუ ხორცეული იქნება. არაფერი არ გასინჯოთ. მოიწამლებით. დილის ექვს საათზე დრაკონი და პეპი დაბრუნდებიან. თქვენ სადმე დაიმალეთ. ხოლო როდესაც დრაკონი ხვრინვას ამოუშვებს, პეპისთან ერთად მოკურცხლეთ.

ასე დაარიგა ანჯაფამ ელიუსი, ტომი და ანიკა, მერე ტაში შემოჰკრა და გაქრა.

*

- ახლა რაღა ვქნათ? - იკითხა ანიკამ.

- შავი მთისკენ გავემუროთ. - გადაწყვიტა ელიუსმა.

და მართლაც, სამივენი გზიდან გადავიდნენ. გამოჩნდა ყვავილებით მოსილი მდელო. იმის იქით მდინარე იწყებოდა. მერე - ისევ მდელო და მერე - ისევ მდინარე.

ტომი ფიქრობდა, ამ ჯადოსნურ ქვეყანას დასასრული არა აქვსო. მაგრამ მალე ჯადოსნური ქვეყნის კიდე გამოჩნდა. ბალახებში კი მართლაც შავი მთა აზიდულიყო ცამდე. შუა მთაში გამოქვაბული იწყებოდა. ელიუსმა ბავშვები ერთი დიდი ხის ფულუროში დამალა და თვითონ გამოქვაბულში შევიდა. გამოქვაბული ბნელი და ნესტიანი იყო. კედლებზე გაკრული იყო ფრინველთა ფიტულები. დერეფნის ბოლოს პატარა კარი შენიშნა, გააღო და შევიდა. ეს იყო ძალიან პატარა, ნათელი და მყუდრო სივრცე. დერეფნისგან განსხვავებით აქ ბუხარც ენთო და ხალიჩაც ეფინა.

შუაგულ ოთახში მრგვალ, პატარა მაგიდაზე იდგა თეთრი სინი, რომელიც სავსე იყო ქლიავით. შუაში იდო დიდი, მადისაღმძვრელი წითელი ვაშლი.

მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, გინდოდა თუ არა მისი ალება, მაინც აიღებდი და შეჭამდი. მაგრამ ელიუსი ხომ დარიგებული იყო. მან ვაშლს ხელი არ ახლო, მოპირდაპირე კარი გააღო, დერეფანში გავიდა და გზა განაგრძო. ეს დერეფანი საშინლად გრძელი და დამლელი აღმოჩნდა. მიწა სულ წვეტიან ქვებს დაეფარა. როგორც ელიუსმა ივარაუდა, ოთხი კილომეტრი მაინც გაიარა. როგორც იქნა, ეს დერეფანიც ჩათავდა. დერეფნის ბოლოს არც კარი იყო და არც რაიმე ღრმული. სამაგიეროდ ისეთ დალლილ ადამიანებს, როგორც მაშინ ელიუსი იყო, დერეფნის ბოლოს მშვენიერი, ჩითგადაკრული სავარძელი ელოდათ. საბრალო ელიუსს კინაღამ ცდუნებამ სძლია და სავარძელში ჩაჯდა. ბატონი ელიუს აანტონიო, ცნობილი ასტროლოგი და მეცნიერი, წარსულს ჩაბარდებოდა, რომ არ შეენიშნა მის თავთან მოკონწიალე თოკი. მან საჩქაროდ ჩაავლო თოკს ხელი და ზევით იწყო აცოცება. თოკის

დასაწყისში ერთი კარი დახვდა, სწორედ ისეთი, ძველი სახლის სხვენებს რომ აქვთ. უბოდიშოდ გააღო და გადახობდა. უცნაურ, სამკუთხა ოთახში ამოჰყო თავი. სულ მორებისაგან აეგოთ. ელიუსს თახვების სახლი ეგონა. დიდი ვერაფერი ოთახი იყო. ერთადერთი, რაც სამკაულად შეიმღებოდა ჩაგვეთვალა, ყვითელი და შავი მაგიდები იყო. თითოეული მათგანი საჭმელ-სასმელისგან იზნიქებოდა. თუმცა, ელიუსს მოეჩვენა, რომ შავი მაგიდა უფრო დელიკატურად გამოიყურებოდა. ოო, როგორ შიოდა! რა მოხდებოდა, რომ აი, ეს ქათმის ბარკალი გაესინჯა? ასეთი საყვარელი, ლამაზი და კობტად დაბრაწული! უეცრად ქათმის ბარკალი თავისით შებრუნდა და ელიუსს უკანა, მეტად დაბრაწული და ქონით გატიკნილი მხარე აჩვენა. აქ კი თავი ვეღარ შეიკავა ელიუსმა, აიღო და მოკბიჩა. ერთხანს იდგა და აგემოვნებდა, მერე გულისრევის შეგრძნება დაეუფლა. წამოხტნენ მაგიდები და მის ირგვლივ ბოროტი ცეკვა წამოიწყეს, თან ეუბნებოდნენ: ”ჰაიტ, შე მახინჯო! არ გაგაფრთხილა ანჯაფამ? ჰა-ჰა-ჰა-ჰაააა...” მაგიდებმა გამყივანი ხმით გადაიხარხარეს. ბოლოს ყველაფერი ჩაქრა და მიილია.

გათენდა. დრაკონიც გამოჩნდა, პეპი ხელით მოჰყავდა.

- აი, დრაკონი და პეპი! - შეეშინდა ანიკას.

- ნეტავ, ელიუსი დამალულია?! - ეჭვი შეეპარა ტომს.

დრაკონი გამოქვაბულში შეფრინდა. სწორედ იმ ოთახში აფრინდა, სადაც ელიუსი ბოლოს შევიდა. იქ უგონოდ გამოტილი ადამიანი დახვდა. ბედი ელიუსის, რომ წითელი ფეხსაცმელები ეცვა, ამიტომ დრაკონმა ხელი არ ახლო.

დრაკონი ყვითელ მაგიდას მიუჯდა. ყვითელი მაგიდაც იზნიქებოდა, მაგრამ არც ერთი საჭმელი მოწამლული არ იყო. დრაკონი დამშეული ჭამდა, პეპი კი ელიუსს დასცქეროდა.

“ნამდვილად შავი მაგიდიდან აიღო რამე”, ფიქრობდა იგი. მერე გაახსენდა: თვითონაც, პირველად რომ მოვიდა აქ, შავი მაგიდიდან აიღო ვაშლი. სანამ უგონოდ დაეცემოდა, შენიშნა, როგორ მოიტანა დრაკონმა მწვანე სითხე და როგორ ჩაასხა მას პირში. პეპი კვლავ ჩაფიქრდა: “სად ინახავს დრაკონი იმ სითხეს, რომ არ ვიცი, რა ვიღონო?” იგი მთელი დღე ფიქრობდა. ხოლო საღამოს, დრაკონი სანადიროდ წასასვლელად რომ ემზადებოდა, პეპი არ წაჰყვა. მაგრამ დრაკონი წასული დაიგულა თუ არა, მის ოთახში შევარდა. ადვილად იპოვნა სითხე. დააღვივინა ელიუსს და განკურნა.

ელიუსი წამოხტა და მიიხედ-მოიხედა.

- პეპი, გავიქცეთ, მოვკურცხლოთ!

პეპიმ ყვითელი მაგიდიდან ხილი აიღო და ელიუსთან ერთად გასასვლელისკენ გაიქცა.

ბავშვები შეშინებულები ელოდნენ მათ, მაგრამ გამოჩნდა თუ არა პეპი, გაუხარდათ და გახალისდნენ. პეპიმ მათ ხილი მისცა, რადგან ბავშვებს მოშიებოდათ.

- გმადლობ, პეპი! - ელიუსმა პეპის ხელი ჩამოართვა. - თუმცა, იმის მაგივრად, რომ მე შენ გადაამერჩინე, სულ პირიქით მოხდა ყველაფერი. მე გავხდი გადასარჩენი.

- აბა, რას ამბობ, ჩვენ ხომ ერთმანეთი გადავარჩინეთ. მე გაქცევა არ შემეძლო, სანამ ვინმე არ მომაკითხავდა. წესია ასეთი!

- იცი, პეპი? როდესაც დრაკონმა მოგიტაცა, ვეღარ გკითხე ერთი რამ.

- რა? - გაეცინა პეპის.

- შენ რომ თქვი, ხეს მიეჯახეო, მე ვერავითარი ხე ვერ დავინახე, რატომ?

- ალბათ, იმიტომ, რომ ჩემს წიგნს შენ კი არ კითხულობდი, არამედ ვინმე გიკითხავდა. თანაც, იმ წიგნში, სადაც ჩემი ამბავია მოთხრობილი, საერთოდ ხე არ არის

ნაჩვენები. მხოლოდ ადამიანები, ზღვა, ცხენი, მაიმუნი, ვილა და ქოხები. შენ ყველაფერს ხედავ აქ, აი, ხეებს კი - ვერა. რადგან ჩემი ცხოვრებიდან ხე არ გინახავს.

- გასაგებია, - აბუზღუნდა ელიუსი, - ესე იგი, შენთან რომ დავბრუნდები, ხეებს უნდა შევასკდე ისევ და კოპებით გავივსო?

- რატომ ჩემთან? შენ ხომ დედამიწას ეძებ! შეგიძლია გზა განაგრძო.

და იგი გამოემშვიდობა ელიუსს. ტომი და ანიკა პეპისთან დარჩნენ. რალა ბევრი გავაგრძელოთ და ელიუსმა ისევ დედამიწის საძებნელად გასწია.

საათნახევარში იგი ერთ კლდეს მიადგა. გადაიხედა. უამრავი პლანეტა მოჩანდა, უეცრად კომეტამ ჩაიქროლა, რომელსაც ბოლოში ლენტები უფრიალებდა. ეს პირველი კუდიანი ვარსკვლავი იყო ზღაპრის გმირთა ცაში. ელიუსი ჩაფიქრდა და თავის თავს გამოელაპარაკა: “კომეტას რომ გავყვე, სად მიმიყვანს? იქნებ, დედამიწისკენ მიქრის?” ბოლოს მაინც გადაწყვიტა, გაჰყოლოდა. კომეტა რომ დაშორდა, გადახტა და თითქოს ზღვაში მიცურავსო, ხელები აამოძრავა წრიულად. ცოტა ხანს შეჩერდებოდა, რომ კომეტას არ მიახლოებოდა, მერე კი ისევ გზას განაგრძობდა. ასე იფრინეს დიდხანს. კომეტა ერთ-ერთ პლანეტასთან შეჩერდა. ელიუსი კომეტას ვერ მიუახლოვდა, მაგრამ პლანეტას შემოუარა და ისე დაეშვა იქ. ყველაფერი ლურჯი იყო (სხვათა შორის, ელიუსი პლანეტას იმიტომ ესტუმრა, რომ დედამიწის ამბავი ეკითხა, თუმცა, დიდი იმედი არ ჰქონდა). ეს იმის გამო, რომ პლანეტას გარს ზღვა ეკრა. ამიტომ ელიუსმა პლანეტაზე დაშვებისთანავე წყალში ამოყო თავი. ღრმად ჩაცურა და ლამაზ ქალაქში მოხვდა. მშობლები ბავშვებს პარკში დაასეირნებდნენ. ბებიები სახლებიდან გამოდიოდნენ და ვარდის ბუჩქებს რწყავდნენ. ბაბუები ბარავდნენ. ახალგაზრდა ყმაწვილი ბიჭები თოხნიდნენ. გოგონები ყვავილს კრეფდნენ და ლარნაკში ათავსებდნენ. პეპლები დაფრინავდნენ. ჩიტუნები ჟღურტულავდნენ. ნამდვილი სამოთხე იყო. ელიუსი ერთმა ბებომ შენიშნა, რომელიც ყვითელ ვარდებს რწყავდა. აქეთ მოდიო, დაუძახა და სახლში შეიპატიჟა. ელიუსს იქაურობა ძალიან მოეწონა. რაც მთავარია, ბევრი ოთახი იყო ამ სახლში, ამიტომ ელიუსს შეეძლო დარჩენილიყო და ღამე მოხუც ბებიასთან გაეთია. დედაბერმა სუფრა გაუშალა, რა არ დააწყო: შემწვარი გოჭი, ცხვრის ძეხვი, ღორის მოხარშული სუკები, ნამცხვარი, ყურძენი, პაშტეტი და ვაშლის ღვინო. მარტო ელიუსის საყვარელი მაკარონი არ ჩანდა. იტალიელებს ხომ ყველაზე მეტად მაკარონი უყვართ! არადა, მოხუცი ბებია (ზღაპრის გმირი) ფრანგი იყო. სხვა რა გზა ჰქონდა ელიუსს. ცხვრის ძეხვი გადმოიღო თეფშზე. როდესაც ისადილა, დასასვენებლად წამოწვა ტახტზე.

- ბებია, მისმინე, - დაიწყო მან, - შეიძლება, ღამე გამათევინო შენთან? გთხოვ.

ქალი ფრანგი კი იყო, მაგრამ მიხვდა, რასაც სთხოვდა. მან ელიუსს თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

ელიუსმა იფიქრა, ესმის იტალიური, და განაგრძო:

- ბებო, იცი თუ არა, დედამიწა სად არის? დედამიწელი ვარ.

მაგრამ ფრანგი, აბა, როგორ მიხვდებოდა, რას ეკითხებოდნენ? იფიქრა, მეკითხება, რამდენი წლისა ვარო, და ფრანგულად უპასუხა:

- მე სამოცდათორმეტი წლის ვარ.

ახლა ელიუსმა ვერ გაიგო რას პასუხობდნენ. მან ფრანგ ბებოს კითხვა გაუმეორა. ბებომ იფიქრა, ალბათ, ვერ გავაგონეო, და უფრო ხმამაღლა გაუმეორა პასუხი:

- მე სამოცდათორმეტი წლისა ვარ! სამოცდათორმეტი წლის!

ბოლოს ელიუსმა გადაწყვიტა, ისეთი რალაცეები ეთქვა, რომ ბებია მიეხვედრებინა. რადგან ღამის გათევაზე

დასთანხმდნენ, მივიდა ბებიასთან და დაამთქნარა, მერე თითი საწოლისკენ გაიშვირა. ბებიას მისი საქციელი სასაცილო ეჩვენა, მაგრამ მერე მივიდა საწოლთან და ელიუსს გაუშალა. ელიუსმაც გაიხადა და დაწვა... სადამო ხანი იყო, რომ გამოეღვიძა. დამწვრის სუნი იგრძნო. წამოდგა. მეორე ოთახიდან ბოლი გამოდიოდა. ელიუსი სასწრაფოდ ეცა კარს, გამოაღო და, მტრისას, რაც მან იქ დაინახა: კომოდს, საწოლს, მაგიდას, კედლებს სულ ცეცხლი უკივია, სადაცაა საბანზე გადავა, სადაც ფრანგი ბებია ხვრინავს. შევარდა შეშინებული ელიუსი ოთახში, გამოიყვანა ბებია და მეხანძრეთა დასაძახებლად გაიქცა. კვილით მოქროდნენ სახანძრო მანქანები. შეგრიალდნენ ეზოში, ჩამოხტნენ მანქანებიდან მეხანძრეები და მალე ხანძარი ჩააქრეს.

მასპინძელს არაფერი გაუგია, ის ტკბილად ხვრინავდა ელიუსისთვის მიჩენილ საწოლზე. ხოლო ელიუსი მიხვდა, რომ ამ ქალისგან დედამიწის შესახებ ვერაფერს გაიგებდა და ჩუმად გაიპარა. მან ბევრი იარა, მაგრამ სულ წრეს ურტყამდა ქალაქს. მაშინ ელიუსმა ზევით-ზევით დაიწყო აცოცება (მან ერთი კედელი იპოვა და იმას აჰყვა). მალე ზღვაში აღმოჩნდა. ახლა ზევით, ზევით აცურდა და ისევ კოსმოსში აღმოჩნდა. უეცრად მოწაბლისფრო-მოშავო პლანეტას მოჰკრა თვალი, იფიქრა და გადაწყვიტა, აქაც გავიკითხავ დედამიწის ამბავსო. მიფარფატდა პლანეტასთან, ჩახტა და წამში ერთ უღიმამო ქალაქში აღმოჩნდა. დაფაზე ეწერა: “წარბეთ-წამწამეთი”. ვერ მიხვდა ელიუსი ამ სახელწოდების შინაარსს. იფიქრა, აქ ხალხს წარბების მაგივრად წამწამები აქვს და წამწამების მაგივრად - წარბებიო, მაგრამ შეცდა. წარბეთ-წამწამეთი ამ ქალაქს იმიტომ ერქვა, რომ აქ ხალხი წამწამებს და წარბებს იძრობდა. ელიუსი შევიდა ქალაქში. ბევრი წარბის და წამწამის გროვა ნახა, ადამიანი კი - ვერა. ახლავა მიხვდა ელიუსი, რატომ ერქვა წარბეთ-წამწამეთი ამ ქალაქს.

ალბათ, გაინტერესებთ, ადამიანები რატომ არ იყვნენ ქუჩებში. ელიუსმა მიიხედ-მოიხედა. გზაზე ჩამწკრივებული იყო დახლები, პატარა პლაკატებზე კი ეწერა: “წამწამების და წარბების დაძრობა”. თურმე, მთელი ქალაქის ხალხი ამ პატარ-პატარა დახლებში შესულა და თვალსაფარს იძრობს. იგი ერთ-ერთი დახლის კარს მიუახლოვდა და მორიდებით დააკაკუნა. კარი უწამწამო მოხუცმა კაცმა გაუღო და შეიპატიჟა. ელიუსი წარბ-წამწამების იტალიელ მპუტავებთან აღმოჩნდა.

- მობრძანდი, მობრძანდი! ზედმეტი წამწამის ბევრი საპუტი მოწყობილობა დამრჩა, წარბებისა სამწუხაროდ აღარ მაქვს. ყველა დავარიგე. ელიუსმა უპასუხა:

- არა, გეთაყვა, წამწამების დასაგლეჯად ნამდვილად არ მოვსულვარ, მწყურია.

მოხუცმა კი, ვითომ არც გაეგონოს, ელიუსი სკამზე შეაგდო (გაკოჭა) და საქმეს შეუდგა. აიღო წამწამსაპუტი, მიუახლოვდა ელიუსს და წამწამების ამოძრობა დაუწყო (თვითონაც უწამწამო იყო).

- არა, არა, გთხოვთ, არ მინდაა... ავადმყოფობა დამემართება, მიშველეეთ! - ყვიროდა ელიუსი.

ბოლოს, როდესაც სკამიდან ააყენეს და სარკეში ჩაახედეს, წამწამის ნასახი არ ჰქონდა ქუთუთოზე.

- ეს რა ჰქენი?! - უყვირა მოხუცს, - ასე ხომ ყველა, მათ შორის მეც, დაავადდმყოფდებით!

- ეგ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, - უპასუხა კაცმა.

მალე მოსალამოვდა. ელიუსს თვალები ასტკივდა, დაუავადდა. ჩაუქრა თვალებში შუქი. ძლიერ შეშინდა. უეცრად მიხვდა, რომ დაბრმავდა. იხეტიალა, იხეტიალა და ისევ კოსმოსში აღმოჩნდა.

ვერც კი გაიგო, როგორ დაეშვა ჩვეულებრივ, დედამიწისნაირ პლანეტაზე. ეს კარლსონის პლანეტა იყო. ელიუსი პირდაპირ მის სახლში შეფარფატდა.

- ეი, შენ, ვინა ხარ? გადი აქედან, ჩქარა! გესმის კარლსონის ბრძანება?!

ელიუსი იატაკზე იწვა, ხოლო როცა წამოდგა და ნაბიჯი გადადგა, მაგიდას დაეჯახა. ხელი უმწეოდ მოაფათურა, მერე კი თქვა:

- მაპატიეთ, მე ვერ გხედავთ. უფრო სწორად, ვერაფერს ვხედავ... მე... დავბრმავდი...

- ატირდა ის, - გთხოვთ, შემიფარეთ, ვიდრე ბრმად მუშაობას და სიარულს შევეჩვეოდე. შეეცოდა კარლსონს ელიუსი. მან ნება დართო დარჩენილიყო, მაგრამ:

- კარგი, კარგი, ოღონდ ჩემს საწოლში ვერ დაეტევი, იატაკზე გაგიშლი ლეიბს.

ასე დაიწყო ელიუსმა კარლსონთან ცხოვრება. გავიდა კარგა ხანი. ერთხელ კარლსონმა ელიუსს უთხრა, დამელოდეო, და თვითონ სადღაც გაფრინდა. დიდხანს ელოდა ელიუსი კარლსონს, მაგრამ ის მოსვლას აგვიანებდა. მაშინ გადაწყვიტა, - მოდი, აფთიაქში წავალ და წამალს ვიყიდო. გამოეწყო. გაუდგა გზას. თან თუ ვინმე ადამიანს შეხვდებოდა (ბრმები გრძნობენ მიახლოებას), ეკითხებოდა:

- გეთაყვა, სად არის აფთიაქი?

აბა, ვის დაეხარებოდა საწყალი ელიუსის დახმარება.

შეჩერდებოდნენ და აფთიაქის გზას მიასწავლიდნენ.

ბოლოს აფთიაქსაც მიაღწია. დეიდა მეაფთიაქე კლიენტს ქაფურის მაღამოს აძლევდა. როდესაც კლიენტი წავიდა, ელიუსი ხელის ცეცებით მივიდა მაგიდასთან.

- გეთაყვა, გთხოვ, დამეხმარე, დაბრმავებული ასტროლოგი ვარ. ერთ-ერთ პლანეტაზე წამწამები დამაძრეს, თვალები ამომიღამდა, ვერაფერს ვხედავ.

- გასაგებია, თქვენ წამალს მთხოვთ, არა?

- დიახ, გთხოვთ, გამიწიეთ ანგარიში!

- რა თქმა უნდა! ასეთი სიტყვები კი საჭირო არ არის, თქვენ სამკურნალო ბალახებისგან დამზადებული ნაყენი გჭირდებათ. ჩვენთან ნაყენი არა, მაგრამ სამკურნალო ბალახები კი იყიდება.

და მან ელიუსს რაღაც ნაზი ბალახების კონა გაუწოდა.

- ოცდახუთი ერე! - მეაფთიაქემ ხელი გაუწოდა ფულის გამოსართმევად.

ელიუსმა ფულის ნაცვლად ხელში სამკურნალო ბალახები ჩაუდო.

- არა მაქვს, მაპატიეთ! - მხოლოდ ცამეტი მაქვს.

იგი კარისკენ წავიდა, რომ უეცრად ქალმა შეაჩერა.

- ნუ წახვალთ! ცამეტი ერეც საკმარისია! - და ბალახები დაუბრუნა.

- ოჰ, როგორი კეთილი ბრძანდებით, - ცრემლი მოადგა ელიუსს თვალზე.

შუადღე იყო, სახლში რომ დაბრუნდა. კარლსონი უკვე მოსულიყო.

- ა, მოხვედი? აი, რა მოვიყვანე! - და მან ბომბორა ძალღი გამოიყვანა ოთახიდან, - ეს პუმპაა.

ძალღი ელიუსს ლოკავდა, კუდს აქიცინებდა, წკაწკავებდა. აშკარა იყო, უხაროდა.

- ეს ძალღი შენ გამოგადგება, დაგიცავს, გზაზე გადაგიყვანს და, საერთოდ, ბევრი რამ შეუძლია.

ელიუსმა ამოიოხრა:

- არ მომწონს სიბრძავე.

- ეგ ვის მოეწონება, მაგრამ...

კარლსონი გაჩუმდა, ელიუსს გული არ დაეწყვიტო.

- იცი, დღეს აფთიაქში სამკურნალო ბალახი ვიყიდე, ამის ნაყენისგან განვიკურნები.

ელიუსმა კარლსონს ბალახი მიაწოდა, მან კი საჩქაროდ ნაყენი დაამზადა და ელიუსს თვალეზში ჩაასხა, მაგრამ - ამაოდ, არაფერიც არ მომხდარა.

გავიდა კიდევ ერთი წელი, მაგრამ ელიუსი ვერავითარ ცვლილებას ვერ ამჩნევდა. თურმე მეაფთიაქეს შეშლია და სხვა ბალახი მიუცია, რომელიც მხოლოდ წამწამებს

აძლიერებდა, ხოლო რადგან ელიუსს წამწამები არ ჰქონდა, ქუთუთოები გაუმაგრდა. თქვენი თავი წარმოიდგინეთ ელიუსის ადგილას და ნამდვილად იქვითინებთ. ჩვენ მოგზაურს სიკვდილი სანატრელი გაუხდა.

ხანდახან ხდებოდა ისეც, რომ ელიუსი მთელი დღე ფანჯარასთან იჯდა და არც ჭამდა და არც სვამდა. მიხვდა კარლსონი, ელიუსს გული მშობლიური მიწისაკენ იზიდავს, მაგრამ მაინც არ უშვებდა გარეთ. ფიქრობდა, ძალი კერ კარგად შეეჩვიოსო. და, აი, ვახშმობისას გამოუცხადა:

- ელიუს, შენ გული დედამიწისკენ მიგიწევს! ხვალ დილით სამოგზაუროდ წახვალ, უფრო სწორად, დედამიწის მოსამებნად.

- მაგრამ მე ხომ უსინათლო ვარ!

- პუმპა! - შეახსენა კარლსონმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ელიუსმა თეფში გადადგა და ჩაფიქრდა.

- ძალი! ძალი რას მიშველის, წყალს იპოვის თუ საჭმელს? ან შეშას ხომ ვერ დაჩეხავს. ეჰ!

ამასობაში კარლსონმა იატაკზე ლეიბი დაუგო და დაიძინეს.

დილით, როგორც კი ირიჟრაჟა, ლოგინზე წამოჯდა, ელიუსს ჯერ კიდევ ეძინა. კარლსონს საგზალი უნდა მოემზადებინა, შეიხედა მაცივარში. რას არ ნახავდით შიგ: - ძეხვის რვა ნაჭერი, ოთხი ფუნთუშა, ქილა ერბო, ლორის ოთხი ნაჭერი, ერთი ქილა რძე, ერთი ჯამი მაწონი და, რაც მთავარია, ვაშლის ღვინო. ხოლო კარლსონმა ელიუსს სუფთა ნაჭერში გაუხვია რძე, ლორი, ორი ფუნთუშა და სამი ნაჭერი ძეხვი.

ძალი ელიუსმაც აამოძრავა გაშეშებული ქუთუთოები.

- მცევა, მაჟრიალებს!

- ჯერ ექვსის ხუთი წუთია და იმიტომ გცევა! - უპასუხა კარლსონმა, - მიდი, განაგრძე ძილი.

- არა, რატომღაც აღარ მეძინება! - უარი განაცხადა ელიუსმა.

წამოდგა, ჩაიცვა და მაგიდას მიუჯდა.

ისაუბრეს თუ არა, კარლსონი მაღაზიაში გაფრინდა, ელიუსი კი ისევ და ისევ სიმარტოვეს მიენდო.

ძალი კარლსონიც დაბრუნდა. თან ერთი ფუთა მოატრია.

- ამაში შენი ტანსაცმელია. მართალია, გამყიდველი სწორედ ამ დროს ყავაზე წავიდა, მაგრამ მე მაინც გადავიხადე ხუთი ერე.

- როგორ? როგორ თუ ხუთი ერე?! - გაიკვირვა ელიუსმა მას მერე, რაც ფუთაში ხელების ფათურს მორჩა, - აქ ბევრი ტანსაცმელია. გამოდის, ფული შენი ნებით გადაიხადე?

- ალბათ... მართალი ხარ, - ჩაფიქრდა კარლსონი.

- არა, კარლსონ, ასე არ შეიძლება, ახლავე წადი და კიდევ ხუთი ერე დაუმატე, თორემ მეწყინება.

- ეგრე თუ ვუყურე შენს ფიქრებს... - ჩაიფრუტუნა კარლსონმა და ფულის დასამატებლად მაღაზიაში გაფრინდა. გამყიდველი ის-ის იყო მოსულიყო და გაკვირვებული იყურებოდა ტანსაცმლის ყუთში.

- მაპატიე, დეიდა, არ ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი ერთად ათი ერე ღირდა.

და ხუთი ერე დაუდო მაგიდაზე. მერე დასძინა:

- დეიდა, ჩემი ამხანაგისთვის ავიღე შარვალი, ჯინსის პიჯაკი, სვიტერი და ორი წყვილი წინდა.

ეს თქვა და მაღაზიიდან გამოფრინდა.

დაბრუნდა სახლში, გამოაწყო ელიუსი, გაუსუფთავა ძაღლი, აჰკიდა გუდა და გაისტუმრა.

*

ბევრი იარა ელიუსმა და ბევრი გასაჭირი გამოიარა, გაუცვდა წაღები, და ბოლოს ერთ სასახლეს მიადგა. რადგანაც ბრმა იყო, არ იცოდა, სად მივიდა. ჰოდა, კარიბჭის წინ იჯდა საბრალო. პარაზიტებით სავსე მისი ერთგული ძაღლი პუმპა კი გვერდით ეწვა.

ამ დროს კარებს გუშაგი მოადგა.

ჰეე, ესენი ვინლა არიანო, გაიფიქრა, მაგრამ მაინც გაიქცა მეფესთან ამბის მოსახსენებლად.

- მეფე თანახმაა, მობრძანდით! - უთხრა ცოტა ხნის მერე ბრმა ელიუსს და კარიბჭე გაუღო. დაექაჩა ელიუსს ერთგული მსახური კბილებით, შეიყვანა ეზოში, მაგრამ გუშაგმა ძაღლს აღარ აცალა, თვითონ მოჰკიდა ხელი ელიუსს და სასახლის კარი გაუღო. წარუდგინა მეფეს: - აი, მეფეო, ეს არის ბრმა მათხოვარიო.

უეცრად ელიუსი გაშმაგდა:

- რაო? რა თქვი? მე, ელიუსს, მიწოდე მათხოვარი? მე? მე ხომ ასტროლოგი ვარ, ბრმა, მაგრამ მაინც ასტროლოგი, შე... შე უზრდელო, შენა!

- წყნარად, წყნარად, ბატონო ელიუს! გთხოვთ, აგრესიას ნუ გამოიჩენთ მეფესთან, თქვენ ახლა მეფის პირისპირ დგახართ.

ამასობაში მეფემ კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერა ბრმა სტუმარი, შეიცნო მისი ხასიათი და ბრძანა:

- ბატონი ელიუსი და მისი ძაღლი მოახლემ კარგად დაბანოს, ახალი ტანსაცმელი ჩააცვას. შემდეგ კი საწოლი ოთახი მიუჩინეთ! აბა, ცოცხლად!

ასე დაიწყო ელიუსმა მეფის სასახლეში ცხოვრება.

ერთხელ, სადილობის დროს ელიუსმა მეფეს ასე უთხრა:

- დიდებულო მეფეო, მე ზღაპრის არსება არ ვარ, დედამიწელი გახლავართ, დავიკარგე. თუმცა, ფერიებმა ვარსკვლავებთან მისვლა მირჩიეს. ეს ვარსკვლავები კი ვერსად ვიპოვნე.

სწორედ ამ დროს მეფე ჯამიდან კოვზით წითელ მოცვს იღებდა, მაგრამ ელიუსის ნათქვამი რომ მოისმინა, მთელი მოცვი მუხლებზე დაეყარა და ელიუსს მიმართა:

- ჭაბუკო, მე ხომ ვარსკვლავთხელმწიფე ვარ! ასე რომ, ვარსკვლავებთან მისვლა არ დაგჭირდება, მე თვითონ მოგამებნინებ დედამიწას!

მერე ცოტა ხანს ჩაფიქრდა, სანამ რამეს იტყოდა, და განაგრძო:

- დიდი ხნის წინათ, ცაზე, დედამიწის თავზე, კვიაფობდით. გამოხდა ხანი და ადამიანებმა მიგვივიწყეს, ცისკენ საერთოდ აღარ იყურებოდნენ. ავდექი, შევკრიბე ჩემი ხალხი და ცას მოვმორდით. ამის მერე დღისით ადამიანებად გადავიქცევით ხოლმე, საღამოს კი - ვარსკვლავებად. ჰოდა, რადგანაც დედამიწას ზევიდან დავყურებდით, გეტყვი, როგორ უნდა იპოვო დედამიწა. საღამოს მოვალ შენი ოთახის კართან და დაგიკაკუნებ. შენც ჩაიცვი, გამოდი და ერთად გავემგზავროთ.

მართლაც, საღამოს ელიუსის კარზე კაკუნი გაისმა. ელიუსი წამოდგა, ჩაიცვა და კარი გააღო. კარში ვარსკვლავად ქცეული მეფე იდგა, მაგრამ ელიუსმა ის ვერ დაინახა და მის ხმას მიჰყვა. ცოტა გზა რომ გაიარეს, ვარსკვლავთხელმწიფემ ჰკითხა ელიუსს:

- დედამიწის რომელ ქვეყანაში და ქალაქში ცხოვრობ?

- იტალიაში! მე იტალიელი ვარ!

- ააა!

ამასობაში მიადგნენ პლანეტა ვინიპუჰს. მოშივდათ და პლანეტას ესტუმრნენ. ყველაფერი ტყეს მოეცვა. შორს ხე-სახლი დაინახეს, იქით გასწიეს და ვინიპუჰი არ გამოეგებათ?!

- დუნდე-დუნდეე... - ღიღინებდა მხიარულად.

სტუმრები თავის სახლში შეიწვია, დასხა ხის მაგიდასთან და თვითონ თაფლის მოსატანად სხვა ოთახში გაიქცა. მალე დაბრუნდა, ერთ ხელში თაფლით სავსე ქოთანს ეჭირა, მეორეში - ვაშლით და კენკრით სავსე სინი. მიუჯდა სტუმრებს. შუა ღამიდან ადგა ვარსკვლავთხელმწიფე, მივიდა ფანჯარასთან, ხელები მალა ასწია და ვინაიდან თენდებოდა, ადამიანად გადაქცევა დაიწყო.

ადამიანად ქცეული ხელმწიფე და ელიუსი ვინიმ კურდღელთან წაიყვანა. კურდღელს ჯერ კიდევ ეძინა, ამიტომ ვინის მოსვლა დიდად არ გაჰხარებია, მაგრამ დათუნია აჩვენა თუ არა სტუმრები, კურდღელი სასწრაფოდ წამოხტა საწოლიდან და სტუმრები შინ შეიპატიჟა. დაჭრა სტაფილო, გაწურა, მერე წვეს ცოტა თაფლი შეურია და სტუმრებს გაუმასპინძლდა. როდესაც სტაფილოს წვენი მიირთვეს, კურდღელმა, რომელსაც უფროსობა უყვარდა (ასევე წესრიგიც), სასწრაფოდ გაიკეთა პარიკი, მოაჩოჩა მაგიდა, სკამი, აიღო ჯობი, მიამაგრა დაფა კედელს და ვინი პუჰიც, ელიუსიც და ვარსკვლავთხელმწიფეც მისი მაგიდის წინ სამ სკამზე დასხა, თვითონ აიღო ცარცი და დაფაზე რაღაცის წერას შეუდგა. შემდეგ ელიუსს მიუბრუნდა:

- ელიუს, რადგანაც შენ მხედველობის პრობლემა გაქვს, მე მხოლოდ გკითხავ და შენ მიპასუხებ.

მანაც ყველაფერი უამბო თავის თავზე. ახლა კურდღელმა ვარსკვლავთხელმწიფე გამოიძახა დაფასთან. მანაც დაწერა: პიროვნება: ალიონა, ასაკი 11110 წ. მშობლიური ქალაქი: მზის გალაქტიკა. ბოლოს კი ყველას ხმამაღლა წაუკითხა, რაც დაწერა.

- მშვენიერია, - თქვა ელიუსმა, - მაშ, თქვენ ალიონა გქვიათ!

- დიახ, მე ალიონა ვარ...

- ბატონებო! - მიმართა მათ პუჰმა, - მოდით, მინდორში გავიდეთ და კენგას და რუს გაგაცნობთ.

ოთხივენი - კურდღელი, ვინი, ელიუსი და ვარსკვლავთხელმწიფე - მიადგნენ კენგას. კარი რომ გააღეს, დაინახეს: კენგა, ციცქნა რუ, დრუნჩა და ვეფხვი ერთად საუზმობდნენ. საუზმედ კენგურუების ოჯახს თევზი და კენკრა ჰქონდა.

სტუმრებმა თევზზე უარი თქვეს. აი, კენკრა კი სიამოვნებით მიირთვეს.

- დღეს სამჯერ ვისაუზმეთ, - გაიცინა ელიუსმა.

მერე ყველამ ცას ახედა, ციცქნა რუსა და ელიუსის გარდა.

- წვიმას აპირებს, - თქვა რუმ, - არ მჭირდება ახედვა. ეს უკვე ვიცი.

კენგამ კიცხვით შეხედა.

- ნუ ლაპარაკობ, ჩუმად იყავი, როცა ყველა ჩუმად არის!

- მაგრამ, ქალბატონო, გარეთ უკვე წინწყლავს, - გაიხედა ფანჯარაში ალიონამ.

- მაშ, დღეს ჩვენთან დარჩით, რადგანაც...

კენგამ ვარსკვლავთხელმწიფე კვლავ გაახედა ფანჯარაში.

- ვინაიდან უკვე დასცხო! - დააბოლოვა მერე.

და მართლაც, ელიუსი, პუჰი, ალიონა, კურდღელი, დრუნჩა და ვეფხვი კენგასთან დარჩნენ.

მოსალამოვდა. ვარსკვლავთხელმწიფე ისევ ვარსკვლავად იქცა და ყველამ დაიძინა.

ღამით ელიუსმა უცნაური სიზმარი ნახა: ვითომ ის და პუჰი დილით გარეთ გავიდნენ, ხეს მეხი დაეცა და კენგას სახლს ცეცხლი წაეკიდა.

რომ გამოეღვიძა, თენდებოდა. სიზმარი აღარც ახსოვდა. პუჰის ოთახში შევიდა და გარეთ გასვლა შესთავაზა. ისიც დასთანხმდა. მაგრამ უეცრად ელიუსის სიზმარი ახდა. კენგას ხე-სახლს, კაცმა არ იცის როგორ, ცეცხლი წაეკიდა (თუმცა, კენგამ, რაც სახლის ნივთი იყო, ავეჯის გარდა, ყველაფერი გადაარჩინა). ყვირილით გამორბოდნენ კენგა, ალიონა, ვეფხვი დრუნჩა, კურდღელი. მაგრამ რუმ ვერ გამოაღწია, რადგან მისი ოთახის კარ-ფანჯარას სულ ცეცხლი მოსდებოდა. გარეთ გამოვარდნილმა კენგამ ქვითინ-ყვირილი მორთო:

- მიშველეთ, მიშველეთ! ვაიმე, რუ, პაწიავ! გადამირჩინეთ ჩემი რუ! რუუ, რუუ, ნუ ტირი, შვილო, მიშველეთ, გადამირ... ალიონა, ვინი, ელიუს! ვაიმე! რუ, პატარავ!

ალიონა, კურდღელი და ვინი ფანჯრიდან შეხტნენ სახლში.

- რუ, სადა ხარ, რუუ?

- მიშველეთ! ახა, უხუ, მიშველეთ, ოხ, ოხ, ახ, აჰ! - ყვიროდა, თან ახველებდა რუ.

ბოლოს ვინიმ წყლით სავსე სათლით რუს ოთახის კარებზე მოდებული ცეცხლი ჩააქრო, ალიონამ კარი შეამტვრია (ვარსკვლავთხელმწიფე უკვე ადამიანად ქცეულიყო) და მტირალი რუ ოთახიდან გამოიყვანა. ამის შემდეგ ისინი სახლიდან გამოცვივდნენ და აფეთქდა კიდევ გაზქურა, რომლის გამოტანაც კენგამ სხვა ნივთებთან ერთად ვერ შეძლო.

- რუ, ციცქნა, პატარა ანგელოზო, რუ, როგორ შემეშინდა! - ამბობდა კენგა, თან შვილს გულში იკრავდა, - წარმომიდგენია, რა იქნებოდა შენ რომ... რომ... რა ბედნიერი ვარ...

იდგნენ დანარჩენები დედა-შვილის გარშემო და ილიმოდნენ. დრუნჩა კი ხანძრის შემდეგ შეშინებული იდგა ვინი პუჰის უკან და შიშის ცრემლებს იწმენდა. “რუ რომ ცეცხლს ჩაეყლაპა, მერე, მერე, ვაი, როგორ შემეშინდა!” ჩურჩულებდა იგი.

- ახლა კი, რადგან ყველაფერი კარგად დასრულდა, იო-იო მოვინახულოთ! - ხელი ასწია კურდღელმა.

- არა, იცით, მე დედამიწას ვეძებ და ვერ დავრჩები. თან ჩემი ძალიც უნდა წამოვიყვანო ვარსკვლავების სამეფოდან.

- აჰ, ძალიან სამწუხაროა თქვენი წასვლა! მაგრამ, რას ვიზამთ. აბა, ნახვამდის, ნახვამდის! - დაემშვიდობნენ პლანეტა ვინი პუჰის ბინადარნი.

*

მაშ, ასე, ელიუსი და ალიონა ამ პლანეტიდან წამოვიდნენ. მათ კვლავ განაგრძეს გზა დედამიწისკენ (მათ უკვე წამოიყვანეს ძალი). ალიონას პლანეტა ვინი პუჰიდან კენკრა და ნაკადულის წყალი წამოეღო. რომ მოგვშივდება, კენკრას შევჭამთ, თუ მოგვწყურდა, წყალს დავლევთო.

სულ მალე საჭმელ-სასმელი შემოელიათ და ერთ-ერთ პლანეტასთან შეჩერება მოუწიათ. ამ პლანეტას კი „ტილ ულენშპიგელი” ერქვა.

- აჰ, სასიამოვნოა თქვენი მოზრძანება! - მიეგება მათ კატლინი, - მოზრძანდით. მან სამზარეულოში შეიყვანა ორივე, ბუხართან კლასი (ულენშპიგელის მამა) მიმჯდარიყო და ტიტუსს (ულენშპიგელის ძალს) ეფერებოდა.

- გამარჯობათ, სტუმარი ღვთისაა! - წამოხტა კლასი.

- სოოტკინ, სოოტკინ! ნელე სოოტკინ, სად ხართ? გასძახა კატლინმა ტილის დედას.

სამინებლიდან სოოტკინი გამოვიდა.

- ხომ არ იწექით? - მორიდებით ჰკითხა ალიონამ.

- არა, რას ბრძანებთ, რა დროს ძილია, თანაც სტუმარი გვეწვია. იშვიათად გვესტუმრება ვინმე...

ამ დროს ნელემ და ულენშპიგელმაც მოირბინეს.

- ნახე, დედა, ხისგან გამოთლილი ჩიტები გავყიდეთ. ჩიტები იოსმა (კლასის ძმა) შეგვიღება და ფულიც ავიღეთ.

ნელემ კატლინს კალთაზე მოქაჩა.

- ჰო, და ოცი ფლორინიც გამოგვივიდა.

- აბა, ისეთ ლამაზ ჩიტუნებს ვინ არ იყიდდა! - მხარი აუბა ულენშპიგელმა ნელეს.

კატლინმა შვილს ფული გამოართვა. კლასმა კი ელიუსი და ვარსკვლავთხელმწიფე სუფრასთან დასხა. გამოუტანა წითელი ღვინო და ხაჭაპურები. სოოტკინმა სალათა მოამზადა, ნელემ ქადა გამოაცხო. უნდა ითქვას, რომ ამ ოჯახს სტუმარი უყვარდა.

სადამოს, დასაძინებლად მზადება რომ დაიწყო, ალიონა ისევ ვარსკვლავად იქცა, ძალიან ეძინებოდა და მალე ჩაეძინა კიდეც. სხივებმაც ნელ-ნელა დაიძინეს. მხოლოდ ელიუსს არ ეძინა. იგი წრიალებდა საწოლში და ცხოვრება არაფრად ეჩვენებოდა.

- რა ცხოვრება აქვს იმას, ვისაც თვალში... თვალში სინათლე არ აქვს, ვისაც ქუთუთოები გაშეშებული აქვს და წამწამები ღერა-ღერა დაძრობილი აქვს...

მერე მასაც ჩაეძინა.

შუალამისას ულენშპიგელი საწოლიდან ჩუმად წამოდგა, აიღო ხმალი და გარეთ გავიდა. სანამ გავიდოდა, შემთხვევით დოქი გადმოაგდო მაგიდიდან. დოქი დაიმტვრა. ხმაურზე ალიონას გაეღვიძა. აციმციმდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მიჰყვა ულენშპიგელს. ის კი პირდაპირ იმპერატორი კარლოსის სასახლისკენ მიემართებოდა. ალიონამ დაინახა, რომ მას სასახლის ტერიტორიაზე კარლოსის ვაჟი ფილიპე ელოდა, რომელსაც ხელში თოხის ნაცვლად ხმალი ეჭირა. ფილიპე და ულენშპიგელი გათენებამდე იბრძოდნენ. ულენშპიგელმა უფლისწულს ხმალი ორად გაუტეხა და ბრძოლაც 1:0 დასრულდა. წასვლისას ფილიპემ ტილს მუშტი მოუღერა. ულენშპიგელი სახლში რომ დაბრუნდა, ვარსკვლავთხელმწიფე უკვე საწოლში იწვა. მეორე ღამესაც იგივე განმეორდა. ხოლო მესამე ღამეს ორივეს, ფილიპესაც და ულენშპიგელსაც, პირველივე ხმლის დაკვრაზე, ერთდროულად გადაუტყდათ ხმლები, მაშინ ისინი ერთმანეთთან მივიდნენ და გადაეხვივნენ ერთმანეთს, მერე ერთი სასახლისკენ წავიდა, მეორე - ქობისაკენ. მაგრამ ალიონამ ულენშპიგელს აქ კი ვეღარ შეასწრო და ბიჭი მას გადაეყარა.

- მხ, მხ, ჰხ! - უხერხულად ჩაახველა ვარსკვლავთხელმწიფემ, - მე ამ სამი დღის განმავლობაში... მე... გადევნებდი თვალს, რომ... შენ სადღაც გადიოდი ღამით... მე მაინტერესებს...

მაგრამ თვით ულენშპიგელს აღარ აინტერესებდა, თუ რა აინტერესებდა ალიონას, მასაც ჰქონდა რაღაც საკითხავი.

- თქვენ, ბატონო ჩემო, რა მაინტერესებს ერთი, გეთაყვა: დღისით ადამიანი რომ ხართ და სადამოთი ვარსკვლავი, რა ხდება?

- დიახ, მე..... მერე პირი გააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ ულენშპიგელი უკვე შორს იყო.

გათენდა. კატლინმა სტუმრებს სუფრა გაუშალა. სოოტკინს ეძინა.

- ნელე, ნელე, წამოდი, ვილაპარაკოთ! - ბრძანების კილოთი უთხრა ულენშპიგელმა ნელეს და წელზე ხელი მოხვია. ორივენი საძინებელში შევიდნენ. მათ ელიუსი და ალიონა მიჰყვნენ. ვარსკვლავთხელმწიფეს ელიუსისთვის მოყოლილი ჰქონდა წინა სამი ღამის ამბავი. ვერც ერთს ვერ ამოეცნო ამ ღამეების შინაარსი. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ელიუსი და ალიონა კარებთან მიჩოჩდნენ.

- ტილ, მომისმინე! ღამით სად მიდიოდი ხოლმე? არ დაგედევნე, თორემ მეღვიძა. უფრო სწორად, გამეღვიძა.

“გასაგებია. ამ შრომანსაც ღვიძებია. ნეტავ, დამინახა?” - გაიფიქრა ალიონამ.

- ნელე, ეს შენი საქმე არ არის. მთავარია, მოისმინო და დაიხსომო, რასაც გეტყვი! - უთხრა ულენშპიგელმა.

ნელემ თანხმობის ნიშნად თავი დახარა.

- ჰო, - განაგრძო ბიჭმა, - დღეს ბაზრობის მთავარ მოედანზე ორ მონას გაყიდიან, რომელიც ორი ოქრო ღირს. იმას ნუ იყიდი. ათ ვერცხლიანი იყიდე! - და ფული გაუწოდა.

შემდეგ ორივენი გარეთ გამოვიდნენ. ყველა მიუჯდა მაგიდას.

- ნელე, თუ არ შეწუხდები, ბარკალი მომაწოდე, - სთხოვა კლაასმა.

- ჰო, მართლა, წუხელ ხმაური ჩამესმა ყურში, - ულენშპიგელმა ნერწყვი გადაყლაპა, - არ გამეღვიძა, თუმცა, მგონი... ღამურამ ჩვენი დოქი...

- კლაას! კლაას! - მოისმა ხმა.

- იოს... მოვდივარ! - დაფაცურდა კლაასი, მაგრამ სარეცხის თოკში გაიბლანდა და ძირს მოადინა ბრაგვანი.

- ფრთხილად, ადამიანო! - შემფოთდა სოოტკინი, - მე გავადებდი, რა მოგივიდა!

სოოტკინმა კარები გაუღო სტუმარს.

- დიასახლისო, შეიძლება?

- ჩემი მაზლისთვის კარი ღიაა, მობრძანდი!

კლაასმა სტუმარს სკამი დაუთმო, თვითონ კი ჯორჯოზე დაჯდა.

- აბა, შენი ამბები მოგვიყევი! - უთხრა ძმამ.

- რა ვიცი, ვარ ასე, კარლოსის ბრძანებებში ჩაფლული ვარ. ხომ იცი, ვეზირად დავდექი. მართლა, გუშინ უფლისწული ფილიპე ავად გახდა, ქვეყნის მკურნალები...

- ვაი! ვაი! ფილიპე, ჩემი მეგობარი! ჩემი ძმა! - წამოხტა ფეხზე ულენშპიგელი.

- რა შენი მეგობარი, რა შენი ძმა ის არის!..

- ტილ, გვითხარი, - შეაწყვეტინა იოსს ალიონამ, - რატომ ებრძოდი წინა ორ ღამეს და წუხელ უფლისწულ ფილიპეს? ამ ორ ღამეს მუშტი რად მოგიღერა მან და მესამედ რომ შეები, ორივეს იარაღი რად გადაგიტყდათ პირველივე დაკვრაზე? ან ერთმანეთს რად გადაეხვიეთ?

- მე... და ფილიპეს გვიყვარს ნელე... - და მან ნელეს ცარიელ სკამს შეხედა, - ჰო, მოკლეთ გვიყვარს. უფლისწული მე... ან, უფრო, მე უფლისწულს მოსისხლე მტრად გადავეკიდე, არ ვანებებდი ნელეს. ერთი თვეა, ყოველ ღამე ვიბრძვით, იმ ორ ღამეს კი არა, მთელ 27 ღამეს მე ვუტეხდი ხმაღს. და ისიც ბრაზიანად მიღერებდა მუშტს, მე მინდა ნელე, შენ კი არაო. აი, წუხელ კი ორივეს გადაგიტყდა. გადაეხვიეთ ერთმანეთს, ნელეს ამიერიდან ორი მეუღლე ეყოლება.

ეს თქვა და ნელეც დაბრუნდა, რომელსაც თან მონა ახლდა.

- გამარჯობა! - გაუღიმა ულენშპიგელმა, - შენ ჩემი მორჩილი, მონა-მორჩილი იქნები, მხოლოდ იცოდე: თუ გვიღალატებ, დაემშვიდობე ახლანდელ ნეტარებას.

- ნელე, გოგოვ, სააბაზანო აჩვენე. გასუფთავდეს, ტანისამოსი მიეცი! - უთხრა მიჯნურმა გულისსწორს.

სულ მალე მათი სახლის ახალი მონა ოთახიდან სუფთა და კოხტა გამოვიდა.

- დიდი მადლობა, დიდი! - ამის თქმალა მოახერხა ბიჭმა, - ხელიდან ხელში გადავდიოდი ათი წელი, ყოველდღიური საკვები წყალში ახელილი პური იყო; მივეჩვიე სალაფავებს, ბუზები მეხვივნენ, თვეში ერთხელ ვიბანდი... მუდამ... რაც თავი მახსოვს, მე სხვისი მონა-მორჩილი ვარ.

- არა, შენი მუშაობა, რა თქმა უნდა, გრძელდება, არ შეიცვლება, მაგრამ გპირდები, კვირაში სამჯერ იბანავებ, აღარც სალაფავს შეჭამ, ჩვენთან ერთად ისაუზმებ, ისადილებ და ივახშმებ.

მეორე დღეს ნელემ და ულენშპიგელმა პიკნიკის მოწყობა გადაწყვიტეს. კატლინმა გოჭი დაკლა, სოოტკინმა ძეხვი დაამზადა, კლასმა ღვინო ჩაასხა ბოთლში, ნელემ სამწვადე შამფურები გათალა და ხორციც ჩადო კალათში. ტილმა ნამცხვრები და წვენები აიკიდა ზურგზე. ალიონამ კი ცხელი პურები ჩაალაგა. საწყალი ელიუსი, ჩვენი მთავარი გმირი კი უსაქმოდ იჯდა სკამზე, დროდადრო ყავასაც სვამდა. მერე მთელი ეს კამპანია დაიდრა, ელიუსის ძაღლის ჩათვლით. ზაფხულის სიო ნელეს თმებს ელოლიავებოდა. ყვავილები ნაზად ირხეოდნენ, ნაკადული მზის სხივებს ეთამაშებოდა. “ლილისფერი ღრუბლები” ცას ამწვანებდნენ. მინდვრებში ჯეჯილი აპყოლოდა ყვავილთა ცეკვას. ბაბუაწვერები ჰაერში დაფრინავდნენ. პეპლები კი თავის უმანკო ერთდღიან სიცოცხლეს ესალმებოდნენ ფარფატივით. ბელურების ჟრიაღულმა საოცარი სიხარული მოჰგვარა ულენშპიგელს, იგი ნელეს უყურებდა და ფიქრობდა:

- რომ ვუთხრა, მიყვარხარ-მეთქი, ვერ ვბედავ. იმას საერთოდ ვერ ვეტყვი, მეც და უფლისწულსაც გვიყვარხარ-მეთქი. აბა, რა ვუთხრა? იქნებ, აჯობებს, წერილი მივწერო? არა! მოდი, ვეტყვი, პირში ვეტყვი, რომ მე... მე ის მინდა საცოლედ. აი, ასე:

- „ნელე, მიყვარხარ!“.

და ეს სიტყვები თავისდაუნებურად ხმამაღლა წამოსცდა.

გოგონა წამოწითლდა, მერე ერთი ლაზათიანი სილა გააწნა. ულენშპიგელს ლოყა აეწვა, მაგრამ მალე გაუარა ტკივილმა და იგრძნო, რაღაცამ თუ ვიღაცამ გაათამამა, ამიტომაც ნელეს უკნიდან მიეპარა და ჩაეხუტა.

- ნელე, იცი, რა ლამაზი ხარ?! გაზაფხულის ნაზი შიკრიკივით, იასავით, ბულბულივით ხმაწვრიალა ხარ! ვინც შენ შემოგხედავს, გული აენტება თაფლის სანთელივით. მერცხლები ბედნიერების ნიშანს დაადებენ, შეუყვარდები, შემოგხვევს ვინმე ვაჟი ხელებს! სიტყვები აღარ მყოფნის, შენ მზეს ფარავ, ატირებ, სილამაზით დაჯაბნი ყველას. ნელე, არ გინდა ჩემთან და ფილიპესთან ერთად ცხოვრება? ორი ქმარი გეყოლება.

ნელეს ეგონა, ხუმრობს საქმროებზეო და მხოლოდ ეს უთხრა:

- შე ენამოქარგულო!

- შენმა სიყვარულმა მომიქარგა ენა!

გოგონას არა უპასუხნია რა. ჩუმად განაგრძეს გზა. სოოტკინს, კლასს და კატლინს ცრემლი უსველებდათ თვალებს, რაც შვილების ნაუბარი ისმინეს. აი, ბეპო კი, მათი მონა, არაფერზე ფიქრობდა, ღრმად უსმენდა ბუნების შვილთა საიდუმლო საუბარს.

მალე ისინი სასურველ ადგილს მიაღწენენ, სადაც იყო ნაკადული, თაფლის ხე ანუ ხე, რომელშიც თაფლს ინახავდნენ ველური ფუტკრები. ყვავილები, ჯეჯილი, ბალახით მოსილი მინდორი, და ას მეტრზე ჩანჩქერი. პუმპამ სიხარულით გაინავარდა ველზე.

- რა კარგია! - გაუხარდა ბეპოს. მე ხომ პატრონს პიკნიკზე არასოდეს წავუყვანივარ, გმადლობ, კეთილო ხალხო, გმადლობთ.

უპირველეს ყოვლისა, კლასი შეშის მოსატანად წავიდა. კატლინი ხორცის გასუფთავებას შეუდგა. სოოტკინმა კალათიდან ამოიღო საპიკნიკე საჭმელი.

- ტილ, არ გინდა, ერთად წავიდეთ კენკრის დასაკრეფად?

- როგორ არა.

შეყვარებულებმა კალათი აიღეს და გზას სიმღერით გაუყვნენ. გზადაგზა ერთმანეთისკენ თვალს გააპარებდნენ, ჩაიღიმებდნენ, მაგრამ თქმით არაფერს ამბობდნენ, სიჩუმეს ფოთოლთა შრიალი, ბულბულთა სტვენა, ჩანჩქერის შორეული ხმა,

ფუტკართა ზუზუნნი, ჯეჯილის რხევა, სიოს წამოქროლვა არღვევდა. ცხელოდა. ნელეს დასცხა. მხოლოდ ულენშპიგელი იყო ბედნიერებისაგან გრილად.

- ნელე, რაღაც მინდა გითხრა, თუ არ გამიბრაზდები.

- თქვი, - გაუღიმა ქალიშვილმა.

- ჰჰჰჰ, - ამოისუნთქა ულენშპიგელმა. შემდეგ დაიწყო:

- ნელე, ჩვენ, მე და უფლისწულ ფილიპეს თავდავიწყებით გვიყვარხარ, შენთვის ვომობდით, ბოლოს კი ორივეს ერთად გაგვიტყდა იარაღი. ესე იგი... მოდი, რა, ორი ქმარი გყავდეს.

- ნახე ტილ, რამდენი ჟოლოა.

- ხო, ხო, გყავდეს...

- ალბათ, მთელ კალათას ავავსებთ.

- ხო, გყავდეს... ან თუ არ გინდა ორი ქმარი, მაშინ - ორი ძმა.

- კარგი, თანახმა ვარ... მოდი, მომეშველე.

ულენშპიგელი კრეფდა ჟოლოს, თან ნელეს ესაუბრებოდა:

- შენ ხარ მარგალიტი, ფირუზი, ზურმუხტი, ალმასი, მოწი და სხვა. როცა ლაპარაკობ, ასე მგონია, ვარდი მეალერსება, ია მეფერება და ენძელა მიმღერის, ყვავილთა დედოფალო, ასევე ფრინველთა და ძვირფასი ქვებისა, რა გირჩევნია, ორი ძმა თუ ორი ქმარი?

- მე... - გოგომ თმა გაიშალა, - უფრო ორი ძმა, ან ერთი ქმარი, მეორე მაზლი, და ეს ქმარი შენ იქნები, ფილიპე კი - მაზლი, იმიტომ, რომ თქვენ ძმები იქნებით, თუ დობას მთავაზობთ.

და ნელემ ხელი ჟოლოსკენ გასწია, მაგრამ ულენშპიგელმა ხელი დაუჭირა, ქალიშვილმა შეხედა.

- ნელე, შენ... ნუთუ, მე მირჩევ საქმროდ? გმადლობ.

- ჰი, ჰი, - გაუცინა ნელემ, - წამოდი, უკვე ავავსეთ კალათა.

როდესაც მინდორზე დაბრუნდნენ, ყველაფერი მზად დახვდათ, რომ მწვადი შეეწვათ. კლასმა შამფურები წიფლის ორად გაყოფილ ტოტში ჩადო. სოოტკინმა ნამცხვრები დაჭრა, კატლინმა თეფშები დაალაგა გაშლილ

სუფრაზე. ბეპო კი პუმპას ეთამაშებოდა.

- მგონი, დროს კარგად გავატარებთ, - გაიღიმა კლასმა.

- უეჭველად! - წამოიძახა ბეპომ და პუმპას ჯოხის მოტანისთვის ხელი გადაუსვა თავზე.

ულენშპიგელი შამფურებს ატრიალებდა, თან ოცნებებში მოცურავე გემს მართავდა. ელიუსი ფიქრობდა: “ვარსკვლავთხელმწიფე დედამიწას კი მომადებნიებს, მაგრამ - ჩემს ქვეყანას? ეჰ, რატომ დავეშვი იმ ავადმყოფების პლანეტაზე?! ის წარწერა რომ წავიკითხე, იმწუთასვე უნდა გამოვსულიყავი იქიდან, რა ცუდია, ყველა მხიარულობს, მე მოწყენილი ვზივარ. არა! ახლავე გამხიარულდი, ელიუს! ასე მოწყენილი ხომ არ დავბერდები?! ჯერ ხომ ორმოცდაშვიდი წლისა ვარ!

ელიუსი წამოხტა და კატლინთან ერთად დაუარა. ყველას გაუხარდა ელიუსის გამხიარულება. საღამოს კი, როცა ყველანი შინ ბრუნდებოდნენ, ულენშპიგელს ნელესთვის მოეხვია ხელი, კლასს - ალიონასთვის. ელიუსს - კატლინისთვის, ხოლო სოოტკინი და ბეპო ერთად მოდიოდნენ. აი, პუმპა კი ტიტუსთან ერთად მორბოდა. ყველანი ნამხიარულები იყვნენ. სახლს რომ მიაღწიეს, უკვე ღამე იყო. დაწვნი დასამინებლად. ელიუსმა სიზმარი ნახა, ვითომ ათი დღის შემდეგ დედამიწას მიაღწია და რომში მოხვდა; იქ ერთი კაცი მიასწავლეს, რომელიც თვალს უხელდა ხალხს”.

გამოედვიდა, ჩაიცვა და ეზოში გავიდა. იგი ისევ სიზმარზე ფიქრობდა: “ნეტავ, ცხადში მომავალი იყოს”. როდესაც ელიუსი სამზარეულოში შევიდა, სოოტკინი მიეგება.

- დღეს ჩემს ბიჭს ქორწილი აქვს.

- მართლა?

- ჰო, მთელი დღე, უფრო სწორად, მთელი დილაა ვფუსფუსებ. ხოლო შუა დღეს წვეულება გვექნება.

- რა სასიხარულოა!

- აბა! - დაეთანხმა სოოტკინი.

სოოტკინს მთელი დილა ენა არ გაუჩერებია, სულ ულენშპიგელის ბედნიერებაზე ლაპარაკობდა: რომ ის ოჯახის წევრის ქალს თხოულობს, რომ რა კარგი საყურებელი იქნებიან მათი პატარა შვილიკოები...

- ეჰ, რა ბედნიერი ვარ.

სოოტკინს ხელიც არ გაუნძრევია, სანამ კატლინმა არ დაიწყო ღორის გამოშიგნვა.

ნელე და ულენშპიგელი სასიეროდ იყვნენ წასული. კლაასმა თქვა, კაკალი უნდა დაგვრიფო, რისთვისაც ტყეში წავიდა. ასე რომ, სახლში მხოლოდ კატლინი, ელიუსი, სოოტკინი და ბეპო დარჩნენ. ქალებმა ცომი მოზილეს, პური დააცხვეს, ბეპომ წინა დილით დაჭრილი პური გახუხა, შემდეგ სოოტკინმა და კატლინმა სახლი დაგავეს, ახალი საფენები დააფინეს, სუფრა გააწყვეს, ხალიჩა გაბერტყეს და ჭერიდან აბლაბუდები ჩამოხსნეს. ბეპომ ღორები დაანაყრა, ბაკი გაწმინდა, ცხვრები გარეკა. ამასობაში კლაასიც დაბრუნდა, კალათა კაკლით აევსო.

- იოსი გავაფრთხილე, ფილიპე დაპატიჟე-თქო.

- ძალიან კარგი! - გაუცინა სოოტკინმა, - მაშ, ჩვენი შვილი ნამდვილად ბედნიერია, რადგან უფლისწულის ძმა გახდა.

- მეტ-ნაკლებად! - ჩაილაპარაკა კატლინმა, - ქალო, წიწილა არ დაწვა!

- ბეპო, საღორე ღია დაგირჩა, აგერ, ჩვენი კოპლა გამოსულა.

ულენშპიგელი და ნელე ერთად შუადღისთვის დაბრუნდნენ.

მოდოდნენ ცხენ-ეტლებით სტუმრები, მათში უფლისწული ფილიპეც ერია. იგი ექვსცხენიანი კარეტით მობრძანდა.

- უფლისწული მოვიდა, - უთხრა ალიონამ ულენშპიგელს.

ამ დროს ფილიპეც შემოვიდა.

- მაპატიე, ძამიავ, თავიდანვე რომ არ გითხარი, ნელე მე მომთხოვდა-მეთქი, და არც ქორწინებაზე არაფერი მითქვამს.

- არა, პირიქით, მე მაინც ვეღარ შევირთავდი ნელეს, მე დიდებულის ქალზე დამნიშნეს.

- ჰო, თორემ ცოტა სასაცილო იქნებოდა უფლისწული და უბრალო ქალი ერთად, ცოლ-ქმრად.

- არ ვიცი, - და უფლისწულმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

მალე წვეულებაც დაიწყო. სუფრა გარეთ გაშალეს. ბევრი რამ დაემზადებინათ კატლინსა და სოოტკინს: ღორის დიდი ძეხვი, შემწვარი ქათმები, შემწვარი გოჭი, მოხარშული კალმახი, ხბოს მუჟუჟი, ცხვრის მოშუმული ტვინი, ხორცში შენელებული.

ულენშპიგელი და ნელე ერთად ისხდნენ, თამადა კი ფილიპე იყო. ელიუსი უფლისწულის გვერდით იჯდა, ალიონა, კლაასი და სოოტკინი კი ნელეს გვერდით ისხდნენ. არა, ელიუსი მარტო არ იყო, მას გვერდს ნელე უმშვენებდა. ხოლო სტუმრები მაგიდის სიგრძეებზე დამსხდარიყვნენ. მოსაღამოვდა, სტუმარ-მასპინძელმა ფერხული ჩააბეს, შუაში ნეფე-პატარძალი ტრიალებდა. დაღამებისას დაღლილი სტუმრები

მასპინძლებს გამოემშვიდობნენ და გაიფანტნენ, ხოლო ელიუსი დაპირდა, ერთი დღე კიდევ დავრჩებითო. ალიონაც დაეთანხმა.

ალიონას მეორე დღეს დილის ექვს საათზე გაეღვიძა. სოტკინი და კატლინი საგზაოს უწყობდნენ კალათაში. ნელე საუზმეს აწყობდა.

- დილა მშვიდობისა, ბატონო ალიონა! - გაუღიმა კატლინმა.

- დილა მშვიდობით ჩაგითავდეთ! - სალამი დაუბრუნა ალიონამ, უკაცრავად და, დღეს რას ამზადებთ? იქნებ, პიკნიკია? - კალათაზე ანიშნა.

- არა, საგზაოს გიწყობთ. ნელე, ბოთლი მომაწოდე, შვილო! აი, იქ რომ პარკი დევს, ისიც! შემწვარი ქათამია.

მოგვიანებით კი ვარსკვლავთხელმწიფე და ელიუსი კვლავ დედამიწას ეძებდნენ ორი კალათით.

გადიოდა დღეები...

მეგობრები ნელ-ნელა დედამიწას უახლოვდებოდნენ. მეხუთე დღეს უკვე ცარიელი კალათებიდა მიჰქონდათ. მოშივდათ, მაგრამ საჭმელი არ ჰქონდათ და რა უნდა ექნათ.

მეექვსე დღეს ერთ მშვენიერ, აყვავებულ პლანეტას მიადგნენ.

- ალიონა, ნუთუ ერთი ნატეხი პურიც არ დაგვრჩა? შიმშილით კუჭი მეწვის, საწყალი პუმპა, წყალი მაინც არ გვაქვს? ყელი ჩამიშრა.

- არა, არა გვაქვს, მაგრამ, აი, აგერ ფერადი პლანეტაა და იქ შევისვენოთ, - უპასუხა ელიუსს ვარსკვლავთხელმწიფემ.

პლანეტა გაზაფხულს დაესაკუთრებინა. უეცრად ხმა მოესმათ:

- დუნდე, დუნდე, დუნდე, დუნდე. - ოი, ოი, ოი...

და ვინი პუპი წაიქცა.

- ვინი! არ გვეგონა თუ კიდევ შეგვხვდებოდი, რა პლანეტაა? - იკითხა ალიონამ.

- უიიიი! - იყვირა დათუნია, - ეს აღდგომის პლანეტაა. დღეს ყველანი კურდღელთან წავალთ, იმან უნდა გვიხელმძღვანელოს. ეს რა არის? - ვინი გააოცა ძაღლმა.

- ეს პუმპაა, ჩემი ძაღლი.

ამ დროს რუ, დრუნჩა, იო და ვეფხვიც მოვიდნენ.

- უჰუ, ჰუ, ჰუ, ჰა, ჰა, ელიუს, ალიონა, უჰუ, როგორ ხართ? მშვიდობაა, რა კარგია, შევხვდით ერთმანეთს! - აყვირდა ვეფხვი.

- გამარჯობა, კარგად ვართ. ჰოო, გამარჯობა, რუ, ბიჭუნა! იო, მოწყენილი ხარ?

- არა, რა მომაწყენს, დღეს აღდგომაა! აბა, ჰე!

ყველანი, სტუმრების ჩათვლით, კურდღლისკენ გაემართნენ.

ელიუსს წყურვილი ახრჩობდა. კურდღელმა ყველას სუფრა გაუშალა და ელიუსმაც იქ მოიკლა წყურვილი. ახლავ, თითი ასწია კურდღელმა, სააღდგომო კვერცხები უნდა შევლევოთ და მოვხატოთო. იგი კარადასთან მივიდა, გამოიღო იქიდან ოთხი ყუთი და გახსნა მაგიდაზე. ყუთები სავსე იყო თეთრი კვერცხებით. მოკლედ, კურდღელს უფროსობა დიდად უხაროდა. მან საღებავები გამოიღო და მეგობრებმა კვერცხების ღებვა-მოხატვა დაიწყეს. ელიუსს კურდღელი ეხმარებოდა. მისი მემშვეობით რვა კვერცხი გაალამაზა. ალიონამ ხუთი კვერცხის მოხატვა მოასწრო. მართალია, ელიუსის კვერცხებზე ცოტა, მაგრამ - ბევრად უფრო ლამაზი. აბა, რა იქნებოდა, როცა ელიუსის ყველა კვერცხი ერთფეროვანი იყო. აი, რუმე კი თორმეტი კვერცხით დაამთავრა საქმე. თავისი დედიკოსთვის - კენგასთვის - ვარდისფერი, წითელი და ცისფერი კვერცხები გადაინახა. შემდეგ ყველამ ის ველი მორთო, სადაც უნდა ეზეიმათ. მაგიდა გააწყვეს: კვერცხით, კრაწუნა კვერებით, თაფლის ხუთი ქოთნით, ძეხვით, კანფეტებით, თევზით, წვენი და ყვავილებით. საღამოს ზეიმიც დაიწყო, სუფრაზე ყველა მხიარულობდა. იო-

იო რატომღაც მოწყენილი დაჰყურებდა მაგიდას, მაგრამ მიაღწევს თუ არა ნარშავი, ისიც გამხიარულდა.

- მერიდება, მაგრამ უნდა ვთქვა... - ალიონა შეყოვნდა, - ...ვთქვა, რომ მე, ჩვენ, ამ პლანეტაზე შიმშილმა მოგვი...

- დამშვიდდით, მე ეს გავითვალისწინე! - მიუგო კურდღელმა.

დილამდე არ შეწყვეტილა მხიარულება. შუადღეზე კი მასპინძელმა მოგზაურებს კალათა გაუვსო და, აი, მეგობრებმა კვლავ დედამიწის სამებნელად გასწიეს. ბოლოს კი ორი დღის სავალი დარჩათ დედამიწამდე. ზღაპრის გმირების ქვეყანა უკან მოიტოვეს, ახლა ისინი სრულიად ჩვეულებრივი პლანეტების მიდამოში ტრიალებდნენ, როგორებიცაა: ნეპტუნი, ურანი, პლუტონი, ვენერა, სატურნი და ა. შ. კიდევ ერთი დღე იარეს. კალათაში მხოლოდ ერთი ბოთლი წყალი რახრახებდა. ბოლოს ის წყალიც გამოელათ. შუადღე გადასული იყო, როცა პლანეტა პლუტონზე დაისვენეს. ელიუსმა ამოიღო დანა და პლუტონს ერთი ნაჭერი ქვა აატეხა. დედამიწელებს ვაჩვენებო, უბეში შეინახა. ასე იმოგზაურეს დედამიწამდე, უფრო იქით კი აღარ წასულან, მხეს მოერიდნენ.

- ალიონა, შენი დიდი მადლობელი ვარ! შენ რომ არა,

მე ხომ დედამიწას ვერ მივაგნებდი, შენ ჩემი დიდი მეგობარი ხარ და დარჩები ჩემს სიკვდილამდე. დამშვიდობების დროც დადგა.

- მე მინდა რაიმე გისახსოვრო! - ამ სიტყვებთან ერთად, მან შარვლის ჯიბიდან ოქროს ვარსკვლავი ამოიღო, - მე თვითონ გავაკეთე.

მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ და დაემშვიდობნენ.

- ნახვამდის, ელიუს!

- კარგად, კარგად, ჩემო ალიონა.

როგორც კი დედამიწასა და ელიუსს შორის ასი მეტრი დარჩა, უეცრად ელიუსს უხილავი ძალა მიაწვა და დედამიწაზე დაებერტყა. ჩვენი ახალგაზრდა იტალიელი თივის ზვინზე დავარდა, გონება დაკარგა და მხოლოდ ორი საათის შემდეგ გამოელვინა. მიიხედ-მოიხედა, "საწოლს" ხელი მიუსვ-მოუსვა, და ღმერთს მადლობა შესწირა. ეს თივა რომ არა, მე ცოცხლებში არ ვიქნებოდიო. წამოდგა. სად ან რა გზით წასულიყო, არ იცოდა, ამოიოხრა და ძაღლს მიეფერა, რომელიც პატრონს გარს უვლიდა ყევით.

- რას მირჩევ, რა გზას დავადგე, ჰა? - ელიუსმა ცხოველს კუდზე მოჰკიდა ხელი. ძაღლმა შეჰყეფა და გეზი ტყისკენ აიღო.

მოსალამოვდა. ტყეში ბუმ კონცერტი გამართა, ჩიტმა ჩიორამ ბუდე მონახა, შველი ნუკრს აძინებდა, ყვავილებმა ფურცლები შეიკვეცეს და ციცინათელები ხეებზე აციმციმდნენ. სად მიჰყავდა ძაღლს ელიუსი? პუმპამ პატრონი ტყის სიღრმეში შეიყვანა და გაჩერდა. ელიუსი ჩაიკუზა, მიწაზე ხელი მოაფათურა, ხელთ კაკალი და მარწყვი შერჩა.

- გმადლობ, პუმპა, საჭმლისთვის, მაგრამ ნადირს ხომ ვერ გადავურჩები?

- ჰამ, ჰამ! - დაიყეფა ძაღლმა და ელიუსმაც მშვიდად დაიძინა.

როდესაც გამოელვინა, იგრძნო, რომ საწოლში იწვა. უეცრად ხმა მოესმა:

- დილა მშვიდობისა!

იგი წამოხტა, ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ქალის ხმა ისევ მიესალმა:

- როგორ ბრძანდებით? მე კასიოპედია ვარ, რომის მმართველის ქალი. აქ მსახურებმა მოგიყვანეს. მე შემეცოდეთ, რადგან უსინათლო ბრძანდებით და ლოგინი გაგიშალეთ. თქვენი ძაღლი სამაღლეში მოვასვენეთ. ჩემი აზრით, თქვენ იტალიელი ხართ.

- დიახ, - ამოიოხრა ელიუსმა - იტალიელი ასტროლოგი ვარ, ელიუს ანტონიო. მთვარეზე მინდოდა გაფრენა, მაგრამ ხომალდი გაგიჟდა და გეზი მზისკენ აიღო.

დავიწვებოდი, ამიტომ ფანჯრიდან გადმოვხტი, ვიფარფატე, ვიფარფატე და ბედმა ზღაპრის გმირების ცაში ამომაცოფინა თავი.

ელიუსმა მმართველის ქალიშვილს უამბო თავისი თავგადასავალი. რასაკვირველია, ქალმა ელიუსს არ დაუჯერა, მაგრამ ჯადოქარი ექიმი როგორ და სად ეძებნა, მინც უთხრა. საუზმის შემდეგ რომაულ ტანსაცმელში გამოწყობილი იტალიელი პუმპასთან ერთად გზას გაუდგა ხრამისკენ, სადაც ჯადოქარი ექიმი ბიადარე ცხოვრობდა. ელიუსმა ათასორასმეტრიან ხრამს ორი დღის შემდეგ მიაღწია. ორასი მეტრის სიღრმეზე, გამოშვებულ ქვაზე, შავი ქოხი იდგა. უსინათლომ თოკი ჩააგდო და ჩასრიალდა. როდესაც კლდის შვერილს ფეხი დაადგა, ზევიდან პუმპას წკაფწკავი მოესმა. ელიუსისთვის მიებადა და ახლა, თოკზე ჩამოკონწიალებული, თავს ძლივს იკავებდა. ელიუსმა თოკი დაქაჩა და ემძიმა. მიხვდა, მასზე პუმპა ეკიდა.

- ოჰ, პუმპა, გაგიჟდი? მოვდივარ, - იგი თოკს უკანვე აუყვავა, ძაღლს ხელი ჩაავლო და შვერილზე დაბრუნდა. ამ დროს ჯადოქარი გამოფლატუნდა. სტუმარიც ამას ჰქვია, მოდი გენაცვალე, ვისადილოთ, თავგი შეიწვაო. “ფუჰ, - გაიფიქრა მან, - რომაელები თუ თავგებს შემომთავაზებდნენ, რას ვიფიქრებდი...” მაგრამ თავგის კერძი ეგემრიელა.

- ეი, ეს ის თავგი კი არ იყო, ნაგავში რომ იქექება... აბა, რა ამბავი მოგიტანია?

- უსინათლო ვარ, - უპასუხა ელიუსმა, - ქუთუთოებიც გაშეშებული მაქვს.

- მმმ, აბა, აქეთ, ოთახში შემოდი!

მოხუცმა სამკურნალო ბალახი დაჩეჩქვა და ელიუსს თვალზე დაადო, მისი წვენი კი თვალში ჩააწვეთა. უეცრად ასტროლოგს ქუთუთოები აუმოდრავდა და თვალში ნათელი ჩაუდგა. მაღლი თქვენს მარჯვენას, მაღლი, ღმერთმა ბედნიერება არ მოგაკლოთ, ბარაქალა თქვენო, იმახდა გახარებული ელიუსი.

ჯადოქარმა უთხრა:

- ბატონო, რადგან თვალი აგეხილათ, აბა, კოლიზეუმისკენ წავიდეთ. ძაღლი აქ დატოვეთ, თორემ თავის ემოციას გამოხატავს და აყეფდება.

ერთი დღის შემდეგ კოლიზეუმს მიაღწიეს (რადგან ელიუსი ხედავდა, ჩქარა იარეს). კასიოპედიამ ელიუსი იცნო და დაუძახა. ელიუსს მზრუნველი გოგონას ხმა ახსოვდა და ადვილად იცნო. მანაც დაუქნია ხელი. კასიოპედიამ კი უყვირა:

- როცა დამთავრდება, სასახლეში მოდი!

ელიუსმა თავი დაუქნია და გართობაც დაიწყო. ელიუსი ამ საშინელებას რომ უყურებდა, ყოველ დანის გამოსმაზე კრთოდა. ერთი-ორჯერ ჩუმად გააპარა თვალი პრინცესისკენ, იგი სიცილით უყურებდა სანახაობას. ელიუსმა ამოიოხრა. უეცრად კვამლის სუნი იგრძნო და რა დაინახა მისმა თვალემა: ფიცრებს ცეცხლი ეკიდა, ქვევით ჩასულიყო და იატაკს აწვებოდა ცეცხლი.

- არააა... ხალხო, თავს უშველეთ, ხანძარია, ხალხო, ცეცხლი!

ქალებმა იკივლეს, რადგან იყვირა თუ არა ელიუსმა “ცეცხლი”, ერთ-ერთი ქალის კაბის ბოლოს ცეცხლი გაუჩნდა.

ამაოდ ცდილობდნენ სტიქიასთან ბრძოლას, ცეცხლი მთელ არენას მოედო. კასიოპედიამ ბრბოში ჩაიკარგა. მას გული წაუვიდა. იგი იატაკს დაენარცხა. მამამ იგი ვერ იპოვა და მმართველი სასახლეში გაიქცა. საბრალო ქალს ხალხმა გადაუარა. ელიუსმა იგი დაინახა, გაარღვია ხალხის ბრბო, მიიჭრა, დასწვდა და მეფის ასული მკლავებზე გადაიწვინა.

ჯადოქართან ერთად ერთი ვაივაგლახის მერე, როგორც იქნა, გამოაღწიეს გარეთ. ორი წუთიც და კოლიზეუმი ცეცხლის ალში გაეხვია.

მიიყვანა ელიუსმა ქალი სასახლეში. მმართველმა მას დიდი მადლობა გადაუხადა.

- თქვენ რომ არა, ჩემს ასულს დაგვარგავდი.

მალე მეფის ასული მოსულიერდა. პირველი, ვინც მან დაინახა, მისი გადამრჩენელი იყო.

- გამარჯობა, ელიუს, შენ გადამარჩინე?

ამ დროს ოთახში მმართველი და ოთხი მსახური შემოვიდნენ. გოგონა მამას ჩაეხუტა.

- დღეს საღამოს წვეულებას ვმართავ, ჩემი ქალიშვილის გადარჩენის აღსანიშნავად.

და მართლაც, საღამოს დიდი სუფრა გაიშალა, სადაც სამეფო გვარის ხალხი შეიკრიბა მმართველთან. მთელი ქალაქი ზეიმობდა. ელიუსი მმართველმა სუფრის ხელმძღვანელად დანიშნა. შუადამემდე ილხინეს. სრულ სამ საათზე ხალხი დაიშალა, დილით კი ელიუსი, მმართველის ნებართვით, პუმპასთან ერთად გზას გაუდგა იტალიისკენ. ელიუსი იმის მაგივრად, იტალიისაკენ სწორი გზით წასულიყო, ეგვიპტისაკენ გაუდგა გზას. ძალიან ბევრ ხანს იარა, საგზალი სულ შემოათავდა. ორი დღის შემდეგ ერთ ხრიოკ ადგილას გაჩერდა და რადგანაც უკვე მოსაღამოვებულიყო, იქ დარჩა. წამოწვა და თავი პუმპას მუცელზე მიდო. როდესაც დილით გამოეღვიძა, ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა.

- ეს რა არის, სად ვიმყოფები? ჩემი ძაღლი სად არის? ესენი ხომ მოწეები არიან? ოი, პირამიდას აშენებენ. ჰოო? ფოტოაპარატი რომ მქონდესო, ინატრა, მაგრამ ამ დროს ფიქრიდან მათრახმა გამოაფხიზლა, ზურგი აეწვა. იგი უკან მიტრიალდა და... ბოროტი ზედამხედველი მათრახს ხელში ატრიალებდა.

- ჩქარა! მე აქ მთელი ღამე ვერ ვიდგები... ქვები დაობდება, სანამ ხელს გაანძრევ. წინასწარ იცოდე, შენი ძაღლი სხვაგან ჩავაბარეთ.

- რეებს ლაპარაკობ? შენ ხომ არ დათვერი, მე იტალიელი ვარ... ჩემი ძაღლი, დამიბრუნეთ, სერ! გიბრძანებთ!

მას ტუჩებში მათრახი მოხვდა. იფიქრა, ღმერთი ჩემს ბედს თვითონ გადაწყვეტსო და პირამიდის მშენებლობას შეუდგა. მთელი დღე მძიმე ქვებს ეზიდებოდა, მტვერში ამოიგანგლა. მოსაღამოვდა. მოწებმა მუშაობა შეწყვიტეს. ელიუსი დასაბანად არავის მიუწვევია. პირამიდის კიბეზე ჩამოჯდა. მზე ჩადიოდა. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა, გარდა... ერთ-ერთი სახლიდან ცოლ-ქმრის კამათი მოისმოდა. ელიუსი დაიძაბა. ვერ არჩევდა სიტყვებს. თუმცა, თავი ასტკივდა და მოეშვა. გახედა ჩამავალ მზეს, ოჯახი გაახსენდა, დედ-მამა, ცოლ-შვილი. წარმოიდგინა, როგორ ტიროდნენ ისინი.

- ეჰ... - ღრმად ამოიოხრა და დაიძინა ცრემლმორეულმა.

- ჩქარა, ზოზინავ, გაიღვიძე, პირამიდა ააშენე! - აუყვირდა ზედამხედველი მეორე დილას ახალგამომცხვარ მონას.

ელიუსმა თვალი ზანტად გაახილა.

- ვაი, მეძინება! - დაიკვნესა მან.

პასუხად ზედამხედველმა ხელი სტაცა და ფარაონს მიჰგვარა, ზარმაცობსო. ელიუსმა იფიქრა, მმართველი შემიწყალეზსო, მაგრამ უმოწყალო მეფემ მისი დაპატიმრება ბრძანა. დღეში ორ ნატეხ პურსა და ერთ ჭიქა წყალს აძლევდნენ. იტანჯებოდა ადრე დიდ პატივში მყოფი კაცი. თუმცა, იგი ფარ-ხმალს არ ყრიდა. ღმერთს თავისუფლებას შესთხოვდა.

ხუთი დღის შემდეგ უმოწყალო სასამართლომ ელიუსს თავის მოკვეთა მიუსაჯა. გაიყვანეს დასჯის ადგილას. ელიუსი იმედს არ კარგავდა. ღმერთს შველას შესთხოვდა. მშვიდად დადო თავი. ჯალათმა ასწია ხმალი, მაგრამ როდესაც დაუშვა, იარალი შეიმუსრა: ვერაფრით ვერ მოჰკვეთეს თავი. ბოლოს კი ორი წელი კლდის თავზე დაბმა მიუსაჯეს, დღეში ერთი ჭიქა წყალი და ნახევარი პური ეძლეოდა. ამგვარ ტანჯვაში მიიღია ეს ორი წელი.

მეორე წლის თავზე დაბმული იტალიელი გაათავისუფლეს და ეგვიპტიდან გააძევეს. იარა ელიუსმა, იარა, ბევრი გასაჭირი გამოიარა... და ბოლოს უდაბნოში აღმოჩნდა. შუადღე გადასული იყო, უდაბნოში რომ შეაბიჯა. ირგვლივ სიჩუმეს გაედგა ფესვი. სასტიკად ცხელოდა. ელიუსს ხვითქი გადასდიოდა, თანაც სწყუროდა. შორს ადამიანის ფიგურა შენიშნა. იკითკენ გაეშურა. უეცრად, როდესაც მათ შორის ხუთი მეტრი იყო, იცნო.

- ანტუან, ბიჭო, მომხედე! ანტუან! - იგი სწრაფად გაემართა ძველი მეგობრისკენ, ანტუან დე სენტ ეგზიუპერისკენ.

ანტუან დე სენტ ეგზიუპერმაც იცნო მეგობარი. ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. სადამოს კი უკვე ცეცხლს უსხდნენ.

- აბა, ელიუს, ახლა უნდა მომიყვე შენი ამბები!

ელიუსიც ადგა და ყველაფერი უამბო. არ დაუჯერა ანტუანმა, მაგრამ ერთი რამ კი უთხრა:

- ელიუს, ეს შენი ფიქრებია, ალბათ, დაგესიზმრა, თორემ ასეთი რამ სად გაგონილა? შენ ახლა დასვენება გესაჭიროება, თორემ მაგ აბდაუბდით ტვინი დაგიავადდება.

დაწვინ დასაძინებლად. და აი, უდაბნოში წვიმამ გაიღვიძა. წვიმდა, ანტუან დე სენტ ეგზიუპერს ეძინა, მაგრამ ელიუსი თვალის მოტყუებას არ ცდილა. “ალბათ, ოჯახი უკვე ამომიწყდა, - ფიქრობდა ის, - ყველა ზურგს შემაქცევს, სახლს დამინგრევენ. მოჩვენებითი ხარო, მეტყვიან იმის მერე, მე რასაც მოვყვები. ეჰ, განა ამ ყველაფერს არ სჯობდა მწერლობა? რაღა ასტროლოგობა... ჰმ... თუმცა, მე ამის ნიჭი გამაჩნდა. მამაჩემმა “არგოსს” იმიტომ მიმაბარა... დიდი ჭკვიანი ვარ მეც ერთი... მეგონა, ამის შემდეგ ბედნიერება მომეჯაჭვებოდა. არა, რა ბედნიერება, მთელი დღე ვმეცადინებოდი. ახლა კი... ანდა, ჩემს თავგადასავალს რომელი ადამიანთაგანი დაიჯერებს, მიმაბარებენ ჭკუათხელთა ბანაკში, იქნებ დიაგნოზის მერე ჩემი სიმართლე დამტკიცდეს... უხ, რა ძალე გარბის დრო... ისე გარბის, როგორც ძაღლებადევნებული კურდღელი. როგორც ვიბადებით, ისევე ვქრებით. ჰო, თითქოს ასეა...”

ელიუსმა გვერდი იცვალა და ცრემლმორეულს ჩაეძინა. მოდით, ჩვენც ვაცადოთ ორ მეგობარს მშვიდი ძილი. ვნახოთ, რა ხდება ამ დროს იტალიაში, ამ ქვეყანაზე ხომ არაფერი მითქვამს.

*

არ ვიცი, ზუსტად ასეთია თუ არა, როგორც მე მოგიტხრობთ, მაგრამ ჩემი ფიქრით ასეა:

იტალიაში მთელი ოჯახი მწარედ ნატრობდა ელიუსის დაბრუნებას. იტალია მშვენიერი ქვეყანაა. იქ მოსახლეობას სახლის სახურავზე ბლომად მიწა უყვია, ზოგის სახლს სურო მიუყვება, ზოგისას - ვარდები, ზოგის ღობე კი თეთრი ყვავილებით არის მორთული. ეზოებში ყვავილების მთელი არჩევანია, სხვადასხვანაირი ხეები კი ჩრდილით ფანჩატურს ქმნიან. მდიდარი ხალხიც უცნაურია, მათი სახლები ჩვეულებრივი მოსახლეების სახლებისგან არაფრით განსხვავდება, ოღონდ მათ ბევრი მსახური ჰყავთ.

ელიუსი იტალიის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა.

უი, სულ დამავიწყდა მეთქვა, როგორი იყო ელიუსის სახლი. ის ოთხკუთხა კი არ იყო, როგორც სხვა სახლები, არამედ - მრგვალი. გარშემო რგოლი ჰქონდა შემოსალტული. რგოლზე სხვადასხვანაირი პლანეტა იყო ამოტვიფრული. კარი ვარსკვლავის ფორმისა იყო, სარკმელი - მთვარისა. შიგ მხოლოდ ორი ოთახი და

დერეფანი იყო. ერთიც: ტუალეტი და სამზარეულო. პირველ ოთახს ბიბლიოთეკა ეწოდებოდა, მეორეს - “ვიძინოთ კოსმოსში”. ელიუსის სახლის გვერდით კოხტა შენობა იდგა. მშვენიერი ეზო ყვავილებს დაეფარათ, და როგორც უკვე გითხარით, სურო-ვარდი აქაც მრავლად იყო. ამ სახლში კი ელიუსის ცოლ-შვილი, მამა და ბებია ცხოვრობდნენ. ჰოდა, სწორედ ამ სახლის ბინადარნი ტიროდნენ, მათ ელიუსი ძალიან უყვარდათ. პატივისცემას არ აკლებდნენ, მაგრამ იმის მერე, რაც ის დაიკარგა, მათთან სიცოცხლე ჩაკვდა. ელიუსის სახლიც დაობდა, ჩაღბა, დაჟანგდა პატრონის მოლოდინში. ახლა ამ სახლს მათხოვრები აფარებდნენ თავს, მხოლოდ რომელიმე ცნობისმოყვარე თუ გადაავლებდა თვალს ქსელმოდებულ წიგნებს. ასე გავიდა ორი წელი. გარდაიცვალა მისი დედა. იმ საღამოს, როდესაც უდაბნოში ელიუსს ეძინა, მისი ოჯახი ბუხრის წინ ვახშმობდა, ვახშმად კი მაკარონი და ბისკვიტი ჰქონდათ.

- ეჰ, - ამოიოხრა ელიუსის ცოლმა, - ალბათ, ჩემი ქმარი აღარ გამოჩნდება.

- ნუ დაღონდები, მერიენ, ღმერთი თავის მიწის შვილს არ დაღუპავს, ალბათ... ალბათ, იკვლევს, თუმცა, არა, ამდენხანს ა... ზუსტად ვერაფერს ვიტყვი!... - დაღონდა ელიუსის მამა სალკროკი. ყველაზე უდარდელი ბებია ბებკინი იყო, სულ არ ანაღვლებდა ელიუსის ბედი. ელიუსი ხომ სწორედ მან დაღუპა იმით, რომ ხომალდს ძრავი დაუზიანა. რატომ? ერთხელ ისინი უბრალოდ შეკამათდნენ, მაგრამ ელიუსის ბებია ბოროტი ქალი იყო, ადგა და ასე არ უნდაო, ასეთი რამ ჩაიდინა. თუმცა, ამის აღიარება სულაც არ ნებავდა.

- დედი, მამიკო სად არის? როდის ჩამოვა? რას ჩამომიტანს? დედამიწის სურათს ხომ მომიტანს? რომ ჩამოვა, ხომ ჩამიხუტებს და მეტყვის: “ოჰ, გონსალო, ჩემო მემკვიდრე”, ჰა? - შეეკითხა ელიუსის ვაჟი გონსალო მერიენს.

დანაღვლიანებულმა მერიენმა შვილს უხმოდ მოარიდა თვალი.

- ალბათ! - ამოიოხრა და სასწრაფოდ თქვა, - აბა, გონსალო, წადი, დაწეჟი, პიჟამო კომოდის მეორე უჯრაში მონახე!

თან ცდილობდა, მეტი სიმტკიცით ელაპარაკა. მაგრამ ახსენა თუ არა “კომოდის მეორე უჯრა”, ხმა აუკანკალდა, რადგან სანამ იქ გონსალოს ტანისამოსს ჩადებდნენ, მანამდე ელიუსის ნივთები ელაგა.

გონსალომ შეკამათება სცადა. მერიენმა წარბები ასწია და ფანჯრის რაფაზე თითები დააკაკუნა: ნეკი, ცერი, საჩვენებელი. შუათითი, არათითი, ისევ ცერა, მერე ნეკა და ასე შემდეგ. მიუხვდა ბავშვი, წელმოწყვეტით წავიდა საძინებლისკენ, კარი მიიჯახუნა და ჩაწვა. არა, ამას დაწოლა არ ერქვა, დაბერტყებას უფრო ჰგავდა. მოკლედ, დაიძინა გონსალომ. სიზმარში კეთილი ფერია გამოეცხადა, რომელმაც, აი, რა უთხრა:

- წადი, ძეო ელიუსისა, ბებიაშენის საძინებელში, და კომოდის უჯრიდან საშინელი შეთქმულება ამოიღე!

ბიჭუნას გამოეღვიძა. ერთხანს იფიქრა და იგი ფეხაკრეფით შეიპარა ბებიას საძინებელში. შიშით გული აჩქარებოდა. ის-ის იყო გამოაღო უჯრა, რომ:

- როგორ ბედავ ჩემს ოთახში შემოპარვას და უჯრის გამოღებას! ჰა, შენ გინდა შეიტყო, როგორი განრისხება ვიცი, ხომ?! აჰა, იგემე!

ის იყო, ქალმა მუშტი ასწია დასარტმელად, რომ კარი მერიენმა შემოაღო.

- ჩემს ვაჟს თავი დაანებე! - დაუყვირა მერიენმა.

ბებიამ ამრეზით შეხედა.

- აბა, ჩემს ოთახში რას შემოეთრეოდა, ჰა, აჰა!

ბებერმა ბავშვს სილა გააწნა. გონსალო ძირს უგონოდ დაეცა.

- ხომ შეიძლებოდა, მოგეკლა?!

- შენც იგემე! - გამწარებულმა დედამ ბებიას მუშტი დაარტყა.

ამ ხმაურზე ელიუსის მამას გამოეღვიძა. გააშველა ქალები, ხოლო ბოროტი ბებკინი სკამზე დააბა. მეორე დილას ბებკინს დიაგნოზი დაუსვეს და აღმოჩნდა, რომ ავადმყოფი იყო.

*

გათენდა უდაბნოშიც. მზე გამობრწყინდა. მიდამომ სიცხე მოიპატიჟა, მაგრამ მზემ პირი დაიბანა, ამიტომ ქვიშაზე გუბურები მომრავლდა. გამოეღვიძა ელიუსს, ანტუნს ჯერ კიდევ ეძინა, თან ძილში იჭმუხნებოდა. მოსწყურდა ელიუსს, ჩაფიქრდა, სად ეძებნა ჭა. ცოტა ხანს შეიცადა, სანამ ეგზიუპერი გაიღვიძებდა, ნახევარ საათში მასაც გამოეღვიძა.

- ანტუნ, მწყურია, რა ვქნათ?

ეგზიუპერი ჩაფიქრდა, მერე უთხრა:

- “პატარა უფლისწულში” ვწერდი, რომ მე და იმან ჭა ვიპოვეთ. წამოდი, მაინტერესებს, სწორად დავწერე თუ ისე მოვიგონე.

გაუდგნენ გზას. საღამოს იმ ადგილს მიაღწენენ, სადაც ჭა უნდა ყოფილიყო და მართლაც ქვის ჭა წყლით იყო სავსე, სათლიც იქვე ეგდო.

ელიუსმა და ეგზიუპერმა წყურვილი მოიკლეს.

- ახლა მივხვდი, რომ ქვეყანაზე სასწაული უღევია. მაგრამ შენ რომ ამბავი მომიყევი, იმას ვერ დავიჯერებ. მგონი ტვინი დაგიავადდა.

ელიუსმა შიშის ნერწყვი გადაყლაპა.

- მე საფრანგეთს ვეძებ, - გაუმხილა ეგზიუპერმა და თან თავგადასავალი მოუყვა: - სამი წელია, რაც უდაბნოში ვცხოვრობ. ეს ყველაფერი იმით დაიწყო, რომ საფრანგეთის განმგებელმა გამოაცხადა, დიდ ქონებას ვუბოძებ იმას, ვინც უდაბნოდან ხუთ სკივრ ოქროს მომიტანსო. ავდექი და წამოვედი. მთელი ერთი წელი ვეძებე განძი. რომ ვერ ვიპოვე, საფრანგეთში დაბრუნება გადავწყვიტე, რუკა დამეკარგა და დავრჩი ასე. ეს ორი დარჩენილი წელია, დავეხეტები უდაბნოში. ელიუსმა გულისყურით მოუსმინა და შემდეგ წაიღიღინა:

- “ყველაფერი შეიცვალა, შენ ხარ ჩემი ბატონიი...” წამოდი, მეგობარო, მე იტალიას ვეძებ, წავიდეთ, ჩვენს გზას ვეწიოთ, გავიგოთ, რა ბედი გვაქვს.

და გზა განაგრძეს.

*

მოდით, დავუბრუნდეთ ელიუსის ოჯახს. ჩვენ ამბავი მაშინ შევწყვიტეთ, როდესაც ბებკინს დიაგნოზი დაუსვეს. გამოაშკარავდა თუ არა ამ ქალის ავადმყოფობა, სასწრაფოდ ჭკუათხელთა ბანაკში მიაბრძანეს. ამ ამბის შემდეგ ერთი თვე გავიდა, ბებკინის ოთახში არავის შეუხედავს. ერთ საღამოს კი, როდესაც მერიენი, ელიუსის მამა და გონსალო ბუხრის წინ ისხდნენ, დედამ ბიჭს ჰკითხა:

- რას აკეთებდი ბებკინის ოთახში?

გონსალო ყოყმანობდა, მაგრამ მერე მოუყვა, როგორი სიზმარიც იხილა. დედა თვალეზგაფართოებული უსმენდა, შემდეგ კი ბებოს ოთახში შევარდა. როდესაც დაბრუნდა, ხელში ქალაღდის შეკვრა ეჭირა, შიგნით კონვერტი იდო, და როცა დედამ სალკროკს წერილი მისცა, აი, რა წაიკითხა ელიუსის მამამ:

“როდესაც ელიუსი დაიბადა, არ მომეწონა, ისე ნიშნისგებით მიყურებდა ჯერ კიდევ ჩვილი. ჰა, რა არის ცხოვრება! ხანდახან, როცა ვბრაზობ, ყელის გამოლადრვა მინდებდა, არ მინდა ვინმემ ჩემი ავადმყოფობის ისტორია გაიგოს. ეჰ, წამოიზრდება ეს ელიუსი, არ მინდა მისი ბებიობა”.

25 წლის მერე:

“ელიუსიც წამოიზარდა, ვერ ვიტან. რატომ? მე თვითონაც არ ვიცი. ჰმ, ერთხელ ჩვენ შორის უბრალო კამათი მოხდა, მაგრამ, მე, ჩემი ავადმყოფობის გამო, რაკეტა მოვშალე, და მზის მარშრუტი ჩავუყენე, ეჰ, ოდნავადაც არ ვნანობ. ამ ჩემს ნაწერს ვერავინ იხილავს. ვერავინ! ჰა-ჰა-ჰა-ჰა...”

- რა საშინელებაა! ჩემი ქმარი სად არის, ახლა რომ ვიცოდე... ო, არა... - ატირდა მერიენი, როდესაც სალკროკმა კითხვა დაასრულა.

გავიდა ხანი. ძალიან აღარ დარდობდნენ ელიუსზე, რადგან დარწმუნებული იყვნენ, უკვე დაიღუპაო. გათენდა. მერიენმა თვალი გაახილა. მოწესრიგდა და სამზარეულოში შევიდა.

„დღეს რით ვისაუზმობთ?“, - მან თვალი ოთახს შეავლო. “რატომაც არა!”, - გაიფიქრა.

მერიენმა მაგიდაზე შოკოლადის სამი ულუფა პუდინგი დადო. შემდეგ კი ჩაიც გაამზადა. ქალმა ვერ შეამჩნია სამზარეულოში გონსალოს შემოსვლა.

- დილა მშვიდობისა, დედა!

- აჰ, შენ ხარ გონსალო? ერთი, ჭიქა მომაწოდე!

გონსალომ ჭიქა მიაწოდა და კვლავ გაუმეორა:

- დილა მშვიდობისა!

- როდემდე უნდა მიმეორო?

- სანამ პასუხს არ გამცემ.

- ჰო, კარგი, ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგაკლოს! ოჰ, გონსალო, რა აბეზარა ხარ, იქამდე იტიტინებ, სანამ პასუხს არ გაგცემენ.

ამასობაში სალკროკმაც გაიღვიძა და ყველანი მაგიდას მიუსხდნენ. ამ ოჯახში წესად ჰქონდათ ჭამა და ქაქანი ერთდროულად. როდესაც საჭმელად სხდებოდნენ, ვისაც რაზე ნებავდა, იმაზე ლაპარაკობდა, მაგრამ დღეს აღარაფერზე უქაქანიათ, ყველა დაღუპულ ელიუსზე ფიქრობდა. როდესაც საუზმობა მოათავეს, გონსალო გავიდა ეზოში და ხელები მზისკენ აღაპყრო:

- მზეო, ლამაზო, ცხრათვალავ, ნუ დასწვავ ჩემს მამიკოს!

თუმცა ბიჭუნა თავისი სიტყვების ამოებაში დარწმუნებული იყო.

იმ დღეს გონსალოს არ უსადილია, დაკარგულ მამაზე

დარდობდა.

ვახშმობისას დედამ დაუკაკუნა.

- შეიძლება?

- შემოდი, დედა!

მერიენმა კარი გააღო.

- შეხედე, შენი საყვარელი ვაშლის ნამცხვარი გამოვაცხვე, - და ქალმა თეფში გაუწოდა. გონსალოს დედისთვის არ შეუხედავს.

- გამარჯობა! ჰეი, დედიკოს სიყვარულმა ნაღველი მიირთვა? მოდი, ჩამეხუტე, ჩემო ანგელოზო!

მერიენი საწოლზე ჩამოჯდა, ბიჭი კისერზე მოეჭდო და ატირდა.

- ესე იგი, დედიკო, მე მამა აღარ მყავს.
- იცი, გონსალო, მიჭირს ამ თემაზე საუბარი. ელიუსი ხომ ჩემი ქმარი იყო...
- დედა!
- ჰო, იყო... მაპატიე, გონსალო, სხვანაირად ვერ ვიტყვი, ის ხომ დაიღუ...

- კარგი, დედა, აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი. სჯობს, შენ და მამიკო როგორ მოგზაურობდით საფრანგეთში, ის მომიყევი.

- კარგი, მაშ ვიწყებ. აბა, მომისმინე! მაშინ შენ დაბადებულ იც არ იყავი, შენს დაბადებამდე ერთი წლით ადრე, მე და ელიუსმა საფრანგეთში გამგზავრება გადაწყვიტეთ, რადგან მე მაშინ ოპერაცია გამიკეთეს და ამ ოპერაციის შემდეგ ექიმმა თქვა, სუფთა ჰაერი გესაჭიროებაო. მაგრამ იტალიის ჰაერი დაბინძურებული იყო. ამიტომაც, მე და მამაშენმა საფრანგეთში გამგზავრება გადაწყვიტეთ. იქ ბევრი თავგადასავალი გადაგვხდა. ერთხელ, ლამაზი ხარო, მომიტაცეს.

- რაო?

- ჰო, მომიტაცეს, აბა! ახლა გეტყვი, როგორ მომიტაცეს. როცა საფრანგეთში ჩავედით, სახლი ვიქირავეთ. ერთხელ, ღამით, ქუჩაში გავისეირნე. უეცრად რაღაც ფაჩუნს ვავიგონე. დავეყრებაც ვერ მოვასწარი, ისე ამიტაცა ვიღაც შაოსანმა. მე შიშით გონება დავკარგე. როცა მოვსულიერდი, მანქანის სამრეცხაოს საკუჭნაოში ვიჯექი, უფრო სწორად, სკამზე მიბმული ვიყავი. “ეი, პრინცესა, ლამაზო, გახდი ჩემი ცოლი და არას გავნებ!” - კუთხიდან გამოვიდა ის შაოსანი. მე არა ვუპასუხე რა, მაგრამ ხანჯალი რომ დამანახა, უარი ვუთხარი. მაშინ აიღო პისტოლეტი და ის-ის იყო, უნდა ესროლა, რომ კაცის ხმამ შესძახა: “შეჩერდი!” მე ვიცანი ჩემი ქმარი.

მერიენმა შვილს დახედა.

- გონსალო, იცი?... - მაგრამ ბიჭს უკვე ეძინა.

მერიენსაც ხელი აღარ შეუშლია, აკოცა და ოთახიდან გავიდა.

- აღარ ვიცი, რა ვიღონო, ბავშვი დარდისგან აღარ ჭამს! - შესჩვილა სალკროკს.

ელიუსის მამამ მხრები აიჩეჩა.

მერიენი ფანჯარასთან მივიდა და ცას ახედა.

- მივხვდი! - წამოიძახა მან, - უფრო მეტ დროს დავუთმობ გონსალოს, მეც ვიმხიარულე, შევეცდები არ ვინაღვლო.

მაგრამ გადიოდა დრო და ბიჭი ნელ-ნელა უფერულდებოდა. მადა ეკარგებოდა, ბოდავდა. ნაღვლიანი გახდა. საბრალო დედამაც აღარ იცოდა, რა ეღონა, წამლებს ასმევდა, ოფლს ადენდა, ცხელ აბაზანაში სვამდა, სუფთა ჰაერს არ აკლებდა. ამოდ. გონსალოს ავადმყოფობა ამ ყველაფერს გულგრილად იღებდა. დაკარგული მამის გამო წუხილს ბავშვი ერთიანად შეეხოჭა. გონსალო გახდა, ცარიელი ძვალი და ტყავი იყო, კაცი ნეკნებს დაუთვლიდა. გავიდა ორი თვე, შემოდგომის გრილი დღეები დაქროდნენ, ფერადი ფოთლები ქარს მიჰყვებოდა, ბიჭუნაც შემოდგომასავით დარდიანი იყო, ხანდახან თუ გაიღიმებდა.

- გონსალო, ნუ ხარ ნაღვლიანი, მაგით მამას რას უშველი? ტყუილად გულის მიკლავ, - ეტყოდა ხოლმე დედა.

- დედი, განა მე არ მინდა, ნაღველი გავიქარვო?! მაგრამ გული მაიძულეებს, რომ ასეთი ვიყო. ალბათ, ეს გლოვის დროა, - ამოიოხრებდა გონსალო და მერიენიც აღარაფერს ეკითხებოდა, სანამ ერთ დილას ბავშვი თვითონ არ შემოვიდა სამზადში, სადაც დედა ყავას სვამდა.

- გავუმკლავდი!.. - გაიცინა მან.

- რას გაუმკლავდი? - გაუკვირდა მერიენს. იფიქრა, ჩემმა შვილმა იჩხუბაო, - ჰო, რას გაუმკლავდი?

- წუხილს! მე წუხილს გავუმკლავდი! - ახარა გონსალომ.

- ოჰ, გონსალო, მოდი, ჩაგეხუტო, ჩემო პატარავ!

გახარებულმა მერიენმა ბავშვი გულში ჩაიკრა. მოსვა ერთი ყლუპი ყავა და აგიზგიზებულმა ბუხარმა რამდენიმე წლით უკან გადაისროლა: გაახსენდა, ის და ელიუსი ბუხართან ჩაის როგორ სვამდნენ, გაიხსენა და მწარედ ამოიოხრა.

*

ელიუსი და ეგზიუპერი უდაბნოში დაეხეტებოდნენ. ეს ორი თვე იქიდან ვერ გამოაღწიეს. ჭიდან წამოღებული წყალიც შემოელიათ, წყურვილს ნერწყვის ყლაპვით იკლავდნენ, მაგრამ ამ სიცხეში სიარული უჭირდათ. თანაც, მძიმე კარავს მიათრევდნენ. ორივეს ხშირად უნატრია შემწვარ-მოხრაკულები. შიოდათ, მაგრამ მაინც მამაცურად იბრძოდნენ. ელიუსი მეოცნებე იყო. ბევრი საოცნებო ჰქონდა, მაგრამ მალე მიხვდა, უდაბნოში ოცნება ფუჭი ნაღველიაო და თავი მიაწვია.

ერთ ნაშუადღევს გიგანტური კაქტუსი დაინახეს.

- სადილმაც მოგვისწრო! - გაუხარდა ეგზიუპერს.

- შენ რა, ამ ეკლების ჭამას აპირებ? ან, საერთოდ, კაქტუსი იჭმევა?

- ნახე, მას ეკალი თითქმის არა აქვს. თანაც, ამ სახეობას ინდიელები ჭამდნენ, ისინი კაქტუსს ნესვივით ჭრიდნენ.

ანტუანი კაქტუსს მიუახლოვდა, მერე კი ჯიბის დანით უეკლო ნაწილი მოაჭრა და ორად გაყო.

- აჰა, - გაუწოდა ელიუსს.

- არ არის ურიგო, პირდაპირ ნესვის ტყუპისცალია. ჰმ...

ანტუანმა ბლომად მოაჭრა ნესვს და ზურგჩანთაში ჩადო. ახლა მათ საჭმელიც ჰქონდათ და სასმელიც (ანუ წვენი).

განაგრძეს გზა, მიდიოდნენ, არ კი იცოდნენ - სად. ელიუსი ხანდახან იმედს კარგავდა. ახლაც ასე დაემართა, მივიდა ანტუანთან და უთხრა:

- მეგობარო, ჩავიქნით ხელი! შეიძლება, კარგა ხანს ვერ ვიპოვოთ საფრანგეთი და იტალია. ვიცხოვროთ უდაბნოში, დავბრუნდეთ იმ კაქტუსთან.

- არა, ჩემო კარგო, იმედს ნუ დაგკარგავთ! რა იცი, იქნებ, მივალწიოთ ესპანეთს, იქიდან კი ჩვენ-ჩვენს ქალაქებში დავბრუნდეთ.

რა ექნა ელიუსს, დაეთანხმა.

- მაშინ წინამძღოლი მე ვიქნები, - სთხოვა ანტუანმა.

ამაზეც დათანხმდა ელიუსი.

- წინ! - დაიძახა ეგზიუპერმა და ისინი ჩქარი ნაბიჯით წინ გაემუზნენ.

დრო? ჰმ, რა საკითხავია, რომ დრო ქარივით მიქროდეს. დილა იყო, არის ღამე, თამაშობ ფეხბურთს, გაიხედავ, უკვე ღამდება, მაგრამ აი, რაშია საქმე, დრო კი მიქრის, მაგრამ შენ ეს დრო არ უნდა გაფლანგო. მუდამ საქმიანი მეგობრები კი ხეტიალში დროს ფლანგავდნენ. თქვენ არ იცით, რამდენჯერ უნატრიათ კალამი და ფურცელი.

ამიტომ ძალიან გაუხარდათ, როცა ინგლისის მეფის ბანაკი დაინახეს.

- გამარჯობათ, თქვენო ბრწყინვალეზავ! - თავი მოკრძალებულად დახარა ელიუსმა, ასევე ეგზიუპერმაც.

- გაგიმარჯოთ, აქ რას აკეთებთ? ანდა, მოიცადეთ. უილიამ, მოდი აქ, სტუმრებს მიხედე!

მეგობრებმა ახალა შენიშნეს მეფის კარვიდან ოდნავ მოშორებით დაცემული სხვა პატარა კარვები.

ჩარლზის ერთ-ერთმა ვეზირმა მოგზაურებს მეფის გვერდით კარავი გაუშალა, სადამოს კი ყველანი ცეცხლის პირას რომ ისხდნენ და მწვადს მიირთმევდნენ, მეფემ სიტყვა თქვა:

- ელიუს, ანტუან, თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ, უდაბნოში რატომ ვარ.

- დიახ, დავინტერესდით, - კვერი დაუკრა ეგზიუპერმა.

- მაშ, კარგი, გეტყვით. ჩემმა შვილმა მითხრა, რომ დაქორწინება სურდა. მე დავიწყე მისთვის საცოლის ძებნა, მაგრამ ჩემი ვაჟი ყველას იწუნებდა. მე ვკითხე, აბა, შენ თვითონ ვინ გინდა-მეთქი. მან მითხრა, უდაბნოში ერთი ქალიშვილი ცხოვრობს, ის მინდა, სხვა არავინო. მეც, რა უნდა მექნა, ავდექი და გამოვემგზავრე. ხვალ უკვე ინგლისში დაბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ სამეფო რუკას ცეცხლი წაეკიდა და დავრჩი ასე.

- მე მესმის თქვენი, ჩვენც ასეთ დღეში ვართ, - ამოიოხრა ელიუსმა.

- თუ გინდათ, ჩემთან ერთად იარეთ. ხვალ შევკრებ ჩემს ვეზირებს, რომელიმეს მაინც ექნება რუკა. მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს, ორივეს ერთი აზრი დაეხადა: ეს რა უცოდინარი მეფე ყოფილაო.

მეორე დილას შეკრებაზე მხოლოდ ერთ ვეზირს, ედუარდს, აღმოაჩნდა ძველი რუკა.

- ძალიან კარგი, ხვალვე ინგლისში ვბრუნდებით. უფრო სწორად, ხვალ დავიძრებით! - ბრძანა ჩარლზმა, შემდეგ კი დასძინა: - რაკი რუკის მეშვეობით სამშობლოში შეგვეძლება დაბრუნება, უნდა აღვნიშნოთ ეს სასიხარულო ამბავი, დღეს სადამოს წვეულებას გავმართავ!

მოსადამოვდა. სიჩუმეს მხოლოდ წვეულების მხიარულება არღვევდა. ბევრ სიმღერესა და შეძახილებს მოისმენდით:

- ღვინო მომაწოდე, უილიამ!

- ახლავე, თქვენო ბრწყინვალეზავ.

- აბა, ედუარდ, იცეკვე, ჩვენ ვიმღერებთ!

- ეჰ, ფრედ, ფეხები მტკივა.

- ელიუს, მომაწოდე ლორი!

- აი, ბატონო!

ამ დროს ვიღაცამ ცეკვა წამოიწყო:

- ტაში, ტაშიი...

შუალამემდე იმხიარულეს, შემდეგ კი ყველანი დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ.

ამასობაში გათენდა კიდეც, მთელი სამეფო რაზმი, ელიუსთან და ანტუანთან ერთად დაიძრა.

*

რაც გონსალო გამხიარულდა, დედასა და ბაბუას საქმე გაუჩნდათ. ხომ გახსოვთ, სანამ ბიჭუნა ავადმყოფობდა, საქმეს ვერ აკეთებდნენ, მაგრამ ახლა, როცა გონსალო დარდს მოერია, საქმე გასაკეთებელი ჰქონდათ. შემოდგომაზე მერიენს მწნილები, მურაბები და ხორბალი საკუჭნაოში უნდა შეენახა. მარტო ეს? არა, ეს ყველაფერი ვინმეს ხომ უნდა დაემზადებინა, ვინმეს ხორბალი ხომ უნდა მოეყვანა, არც სალკროკს ჰქონდა გულზე ხელდასაკრეფი დრო, შეშა დასაჭრელი იყო, ხილი - მოსაკრეფი, გახვრეტილი სახურავი - ამოსაგლესი, სამზარეულო კიდეც - ამოსაშენებელი.

როგორც იქნა, ამ საქმეს მორჩნენ და ოქტომბერიც მიიწურა.

ერთ დილას გონსალომ დედას შეახსენა:

- დედიკო, დღეს ჩემი დაბადების დღეა, ხომ?

მერიენი შეშფოთდა:

- ოი, ძვირფასო, აღარც მახსოვდა. კარგია, რომ გამახსენე. გილოცავ! გისურვებ ყოველივე კარგს! შენ დღეს ათი წლის გახდი.

- ჰოდა, შენ ხომ დამპირდი, ათი წლის რომ იქნები, ტყეში სეირნობის უფლებას მოგცემო. ასე რომ, მინდა კუნძულ სიცილიაზე წავიდე დასასვენებლად. დედამ ამოიოხრა. მაინც შიშობდა, მაგრამ პირობა არ გატეხა და დათანხმდა.

ბიჭუნა მზადებას შეუდგა.

- კი, მაგრამ, გონსალო, შენი დაბადების დღის აღნიშვნა...

- ჩემი საჩუქარი და დღეობა ბუნების წიაღში გასეირნებაა. - უპასუხა ბავშვმა.

მან ბევრი რამ ჩაალაგა ორ ჩემოდანში, ტანსაცმელი, აპარატი, ანკესი, ელიუსის თოფი, ტყვიები, ჯიბის დანა, ტოსტერი და შაქარი, შემდეგ კომპასი ჩადო, ასევე - წიგნები ველურებზე. მაგრამ როცა მეორე ჩემოდანში ქოხის მასალა და სამუშაო იარაღები ჩააწყო, მერიენი გაუწყრა.

- მაპატიე, დედა, იქ დარჩენას ერთი თვე ვაპირებ.

- მერედა, საჭმელი?! - შეეშინდა მერიენს და სასწრაფოდ ზომები მიიღო, ერთი თვის სამყოფი საჭმელი გაუმზადა და ფუთებში გამოუკრა. ბოლოს სალკროკმა მდინარემდე მიაცილა და ნავი გაუმართა. ბიჭმა ბარგი ნავში ჩადო და ნაპირს მოსხლიტა. ნიჩბებს ნელა უსვამდა, რადგან მიდამოს ცქერით ტკბებოდა. და აი, გამოჩნდა ნანატრი სიცილია.

- ახ, რა ლამაზია! - გაიფიქრა გონსალომ, - ვინადირებ კურდღლებზე, ბატებზე. ოჰ, ვითამაშებ ციყვებთან, აქ ერთი თვის გატარება სასუფეველში ნეტარებას ნიშნავს. ნეტავ, ქარიშხალი ამოვარდეს, მე ხომ თავგადასავალი მწყურია. ერთი თვე მარტოდმარტო უნდა ვიყო! არაჩვეულებრივია, ყოველ დღე მწვადებს მივირთმევ! არც ვიცი, რა ვთქვა...

ბიჭმა ნიჩაბი სწრაფად მოუსვა და უკვე კუნძულზე იყო. ფეხი გადმოდგა თუ არა, თითქოს ფრთები შეესხა. უეცრად სერიოზული გამომეტყველება მიიღო, ახლა კი ქოხის შენებას შევუდგებო. მან ერთი დიდი პალმის ქვეშ ორმოს თხრა დაიწყო. სადამომდე საკმაოდ ღრმა ორმო ამოთხარა. შემდეგ კი ოთხი გრძელი ძელი ჩადო და სახლიდან წამოღებული ფისი გაადნო და ჩასახა, მაგრამ სინათლე აღარ ეყო. “ხეზე უნდა ავიდე, იქ გავათიო ღამე. თუმცა, ხომ შეიძლება ჩამოვვარდე! არ დავიძინებ. როცა ქოხის შენებას დავასრულებ, მაშინ დავიძინებ. ააჰ, მეძინება, მაგრამ რა გაეწყობა!”

მართლაც, ცდილობდა არ დაეძინა. ამ წვალეებაში შემოათენდა კიდევ. იგი მარდად ჩამოხტა ხიდან. კედლები ამოსაყვანი იყო. აიღო ხერხი და ტყეში შევიდა. ჩიტუნების ჟღურტული არემარეს ახალისებდა, ყვავილებს კვირტები სალხინოდ გაეშალათ. ხეები მაცურებლების როლს კისრულობდნენ. გონსალო უზარმაზარ ნაძვთან შეჩერდა.

“ეს კი გამოდგება კედლების ამოსაყვანად, რა მშვენიერია!”, თქვა და ხეს ხერხვა დაუწყო. როგორც იქნა მოხერხა. შემდეგ მთელი ერთი საათი ტოტების ასხეპვას მოანდომა და დიდი მორი გამოიყვანა. საქმე ამ მორის დანიშნულ ადგილამდე მითრევა იყო. გონსალო საზრიანი ბავშვი იყო და მალევე მოიფიქრა, როგორ წაეღო ადგილამდე ეს მძიმე ტვირთი. აიღო გრძელი თოკი, ერთი ბოლო მორს მოაბა, მეორე - ხუთ მეტრში მდგარ მუხას. მერე იმ თოკს ჩაავლო ხელი, რომელიც მუხასთან უფრო ახლოს იყო და მუხის ირგვლივ სირბილს მოჰყვა. ნაძვის მორამდე თოკი დაიჭიმა. მალე თავად მორიც მუხასთან მიგორდა. ბიჭმა მუხას თოკი ახსნა და პალმას მოაბა. იქაც იგივე პროცესი განმეორდა... ასე, ნელ-ნელა, მორი ოთხ ძელთან მიათრია. ახლა ფიცრები უნდა დაეხერხა. თუმცა დაღლილი იყო, მაინც არ შეისვენა და სადამომდე ეს საქმეც გაიჩარხა.

ცას მეწამულისფერი შეეპარა, ალაგ-ალაგ მტრედისფერი ღრუბლები მაინც მოჩანდნენ.

ახლა მთავარი საზრუნავი იატაკი იყო. სახლიც ხომ უნდა გადაეხურა. ეს საქმე კი მეორე დღისთვის გადადო, თვითონ ისევ ნაცნობ საწოლს მიაშურა.

*

სანამ გონსალო ახალსახლობისთვის ემზადებოდა, მეფის ხალხმა, ანტუანმა და ელიუსმა უდაბნოს ბოლოში პატარა სოფელს მიაგნეს. ოცდაათი ოჯახი თუ ცხოვრობდა იქ. მეფემ რუკას შეხედა, უდაბნოს ბოლოში მართლაც იყო ნაჩვენები პატარა დასახლება. აქ შევისვენოთო, ბრძანა. ისინი ნაკადულთან შეჩერდნენ და სუფრა გაშალეს.

- თქვენი ბრწყინვალეების ნებართვით ვინადირებ კურდღელზე, - სთხოვა ანტუანმა. მეფემ დასტური მისცა. ეგზიუპერმა აიღო თოფი და პატარა ტყეში შევიდა. როცა დაბრუნდა, ხუთიოდე ცოცხალი კურდღელი და მკვდარი ციყვი მოენადირა. მეფეს ეამა და ნასიამოვნებმა იგი დროებით მთავარ მონადირედ დანიშნა.

*

გონსალო კი დილით საქმე განაგრძო. ფანჯარა გამოჭრა, იატაკად ფიცრები დააწყო, ქოხი ფიცრით გადახურა, ზევიდან კი ხავსი დააფარა. რაზე დავწვეო, და ხელსაქმის წიგნს გადახედა. წიგნში არაფერი ეწერა საწოლის შესახებ. გონსალომ იხტიბარი არ გაიტეხა და დიდი ფიცრის გამოთლას შეუდგა (სხვათა შორის, იმ დღეს მან უამრავი მორი მოათრია სახლამდე). ამ ფიცარს გონსალომ სასთუმალი დაუტოვა და პალმის ფოთლები გადააფარა. ახლა საქმე მაგიდა იყო. ამაში ხელსაქმის წიგნი დაეხმარა. აიღო სამი ფიცარი და ერთმანეთზე დააჭედა. ზევიდანაც ასეთი პრინციპით მიჭედებული სამი ფიცარი დადო. ასე ადებდა ფიცრებს, სანამ ათი ფენა არ მიიღო. სკამებად ორი დიდი ქვა დაუდო. ჭურჭელი, დედამ რომ გამოატანა, არ ინდომა, ქოქოსი გატეხა და ჯამებად ის იხმარა. შემდეგ მერიენის გამოტანებული კალათა ბანანით და ქოქოსით გაავსო. და ბოლოს, როდესაც ყველაფერი მოაგვარა, ნადირობის სიმღერა წამოიწყო, რომელიც თვითონ შეთხზა ბავშვურად:

ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა,
სანადიროდ მივიჩქარი,
აქ კურდღელი გამოხტა,
იქ მელია წკმუტუნებს.
პაწაწინა ციყვები
რკოს მესვრიან უმაღვე.
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა,
მივიჩქარი სანადიროდ.
ჰერი, ჰეეე...

ამ სიმღერით გონსალო ტყისკენ გაემართა. რა გასაკვირია, რომ ხელს “ინდიელების ცხოვრების შესახებ” და “ხელსაქმის” წიგნი გააყოლა. თოფიც არ დავიწყებია. სხვათაშორის, ბიჭუნა პატარაობიდანვე გაიწაფა სროლაში. ნამდვილი მონადირისთვის თოფი განძია, აბა...

მაგრამ ერთი პატარა ბელურის მეტი ვერაფერი მოინადირა. ესეც იმ ბავშვური გულის გამო, ყოველ ჩვენგანს რომ გააჩნია. რამდენჯერაც კურდღელს გადააწყდა, იმდენჯერ გაუშვა ხელიდან.

- ნეტავ, როგორ აჩაღებდნენ ინდიელები ცეცხლს?

წიგნში “ინდიელების ცხოვრების შესახებ” ეწერა: “ინდიელები გამხმარ ტოტში ან მორში ასევე გამხმარ წვეტიან ჯოხს ატრიალებდნენ. აი, ასე ჩაღებოდა ცეცხლი”. როცა ცეცხლი დაანთო, ჩვენმა გამოუცდელმა მონადირემ გაუპუტავი ბელურა ტოტზე წამოაცვა... დანახშირებული ბელურა აღარაფრად ვარგოდა, ამიტომ გონსალო ისევ ბანანით დანაყრდა.

დაღამდა, ბიჭუნა ქოხში შევიდა, საწოლზე წამოგორდა და ჩაეძინა კიდეც.

*

შინ დარჩენილი მერიენი და სალკროკი კი გონსალოზე დაობდნენ.

- არ უნდა გამეშვა, ვინ იცის რა მოუვა აზრად! ხომ შეიძლება, ეტნაზე ასვლა მოისურვოს, და მერე ისე გათამამდეს, რომ შიგაც ჩავიდეს. აჰ, ჩემი ბრალია, არ უნდა დავპირდე წინასწარ არაფერს, - ამბობდა დედა.

- ნუ ნერვიულობ! იმედია, გონსალო ამას არ იზამს, - ცდილობდა მის დამშვიდებას სალკროკი.

მერიენს კიდეც რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ უეცრად კარზე კაკუნი გაისმა. მერიმ კარი გააღო და ადგილზე გაშეშდა, მის წინ სინიორ ფერნანდო იდგა, ასტროლოგების, ასტრონავტების, მეცნიერების პრეზიდენტი.

- გამარჯობათ! - სერიოზულად თქვა მან.

- ეჰ, სენიორ, მობრძანდით, ახლავე დავტრიალდები.

მან სტუმარი მაგიდასთან დასვა და თვითონ სადილის მზადებას შეუდგა.

- როგორ ხარ, სალკროკ? - ჰკითხა ფერნანდომ.

- უმუშევარი ვარ. სამსახურიდან გამომიშვეს, დაბერდიო. მართლა აღარ შემეძლო ამდენი პაციენტის მოვლა.

მაღე სუფრაც გაიშალა. მერიენმა სტუმარს შამპანიური დაუსხა.

- ელიუსისა აღარაფერი ისმის?

მერიენმა და სალკროკმა ამოიოხრეს. სალკროკმა მიუგო:

- არა ბატონო, არა! ჯერ არა!

- იცით, რას გეტყვით? აღარ შემიძლია უკვე ფულის ტყუილად მოცემა, მე ფულს იმ იმედით გაძლევდით, რომ ვფიქრობდი, ელიუსი დაბრუნდება-მეთქი. მაგრამ მე ფულს ტყუილად არავის ვაძლევ და არც არავის მივცემ, ასე რომ, თქვენი შრომით მოგიწევთ ცხოვრება. და კიდეც, თუ ელიუსი არ დაბრუნდება და არ მოკიდებს საქმეს ხელს, ბოდიში, მაგრამ, სამუშაოს სამუდამოდ ჩამოვართმევ. დიახ, დიახ, გმადლობთ, ნახვამდის.

პრეზიდენტმა კარი ფართოდ გააღო და გარეთ ჩქარი ნაბიჯით გავიდა. სალკროკი იმედს მაინც არ კარგავდა, მაგრამ ბებკინის ნაწერს გაიხსენებდა თუ არა, ისიც შიშობდა.

*

ცოტა ხნის სიარულის შემდეგ მეფის ამაღამ ტყე შენიშნა.

- ალბათ, აქ საკმაო ნადირია, - თქვა მეფემ.

- კი, მაგრამ, თქვენო აღმატებულება, თუ კურდღლებს გულისხმობთ, მათ ბევრი დამცველი ეყოლება, - შეახსენა ელიუსმა.

- ამას მნიშვნელობა არა აქვს! როცა მეფე მოდის, ვინ გაბედავს, მას ნადირობა აუკრძალოს?

რალა ბევრი გავაგრძელო და მათ ტყეში კურდღლებზე ნადირობა დაიწყეს. ისე, იქ კი იდგა თხუთმეტიოდე მცველი, მაგრამ მეფესთან შეკამათება ვერ გაბედეს, თუმცა, ბოლოს, ასი კურდღელი რომ მოინადირეს, მცველებმა სთხოვეს: თქვენი უდიდებულესობავ, მოდით, სულ ნუ დახოცავთ კურდღლებსო. მეფე ჩარლზს ამ მორიდებულ შენიშვნაზე შერცხვა და სასწრაფოდ გასცილდა ტყეს. იქვე, მდინარის პირას, დასხდნენ საჭმელად. ელიუსი ისევ ტყისკენ გაემურა.

- ჰეი, ელიუს, მოდი, ვერ ხედავ, რამდენი კურდღელი გვაქვს? - დაუძახა ეგზიუპერმა.

მაგრამ ელიუსმა არ უსმინა, ტყეში შეაბიჯა, მალე იქიდან მუხის ტოტებით დაბრუნდა.

- რა გინდა მაგით ქნა? - ჰკითხა მეფემ.

- სარები თევზებისთვის.

მეტი არაფერი უთქვამს, აიღო თავისი დანა და ტოტების სხეპას შეუდგა. ცოტა ხანში სარები მზად იყო.

- ოჰო, - გაიღიმა მეფემ, - სწორედ თევზების მადაზე ვარ.

- ჰოდა, მოემზადეთ.

მან მეგობრებს სარები დაურთო და მდინარეში შევიდა.

ერთი, ორი, სამი... და ოთხი თევზი უკვე სარზე იყო. თუ ასეო, ყველამ - მეფის გარდა - მდინარეს მიაშურა. ისროდნენ სარებს და თევზებს იჭერდნენ. ხუმრობდნენ, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ უფრო მარჯვე გამოდგებოდა თევზის ჭერაში. ბოლოს ორი კალათა აავსეს, მოსალამოვებულზე უკვე შემწვარ თევზს მიირთმევდნენ. საამო იყო ასე, მდინარის ტალღები ნაპირს ელამუნებოდნენ, ტყიდან ბუს ყრუ ხმა ისმოდა, ცაზე ვარსკვლავები ჭორაობდნენ, ზოგი გუნდებდა, ზოგი წყვილებდა, ზოგს კი ცალად ეძინა. ბატონი მთვარე ჩუმად უსმენდა ვარსკვლავებს. ეს ცაში ხდებოდა, თორემ მიწის შვილები მათ ჩვეულებრივ ვარსკვლავებად აღიქვამდნენ. მთვარეც არ იყო არაჩვეულებრივი.

ელიუსს გულზე დარდი შემოაწვა. თევზი გვერდზე გადადო და მდინარეს მიუახლოვდა.

ეგზიუპერი ამ დროს მეფის სეფექალს ესაუბრებოდა.

- ააა, უკაცრავად, ახლავე მოვალ, უკაცრავად! - ანტუანი ადგა და გვერდით ამოუდგა ელიუსს.

- მეგობარო, რაზე ჩაფიქრებულხარ?

- ჩემი ოჯახი მენატრება, თანაც ვინ იცის, მოვხვდები კიდეც იქ, საიდანაც დავბრუნდი?

*

გათენდა. გონსალომ გაიღვიძა, შეიშმუნა, წამოდგა.

- უჰ, როგორ მცოცა, რა დროა?

საათს შეხედა. აბა, დედამისი საათის გარეშე გამოუშვებდა? ხომ უნდა სცოდნოდა, როდის იყო ძილის დრო. სადაცაა, ექვსი საათი შესრულდებოდა. აი, ამიტომაც სციოდა. ახლა ირიჟრაჟა.

- საუზმედ რა მოვამზადო?

გონსალომ მაგიდაზე დადებულ კალათას შეხედა. ბოლოს გადაწყვიტა: ბანანით, ქოქოსით და ვაშლით (რომელიც დედამ გამოატანა) ესაუზმა. სასმელად ქოქოსის რძე მიირთვა.

- ახლა სანადიროდ წავალ, - თქვა და საკუთარ სხეულს შეხედა. უნდა მოვიხატო, გადაწყვიტა, სახლიდან წამოღებული საღებავით შუბლზე, ლოყებზე და ნიკაპზე წითელი ზოლები დაიხატა, ხოლო ფეხზე სამაჯური მოიბა. მერე კი ველურივით წელზე პალმის ფოთლები დაიმაგრა. ბაბუამ რომ უყიდა, ყელზე ის მძივი ჩამოიკიდა. შემდეგ აიღო თოფი და სანადიროდ წავიდა ტყეში. ტყე ნაზად შრიალებდა, წყაროს ჩუხჩუხი, ჩიტების ჟღერტული, ბულბულის საამო სტვენა, ყვავილთა რხევა და, რაც მთავარია, ნამდვილ მონადირედ თავის წარმოდგენა, ბიჭს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. რატომღაც მოისურვა, რომ სახელი შეეცვალა, დროებით, სანამ პატარა ველური იყო. “წითელი ლომი”, ასე უწოდა თავის თავს. წითელმა ლომმა გზა განაგრძო, ბუნების სიდიადეს აღარ აკვირდებოდა, ველურების ცხოვრებაზე ფიქრობდა. წარმოიდგინა, რომ წმინდა სისხლის ინდიელი იყო, მთელი სიცილია მის ხელთ იყო, ყველა მას ემორჩილებოდა, და უეცრად მზეზე აბრჭყვიალებულ ჭრელ მინას მოჰკრა თვალი. ნაბიჯს აუჩქარა.

- საკვირველია! ამ მიწის რუკას აქ რა უნდა? - ხმამაღლა ჰკითხა თავის თავს და რუკა აიღო.

- მოიცა, ეს უბრალო რუკა არ არის, მასზე მინიშნებებია... ვაიმე, ეს განძის რუკაა! ვაჰა, ვაჰა!

რუკაზე მართლაც იყო განძის მინიშნება. ბევრი მდინარე და ტყე ეხატა, ბოლოში კი მთაზე ისრით მონიშნულ ადგილას სკივრი ეხატა. საღებავი თითქმის წაშლილი იყო, მაგრამ მინიშნებას და გზას გარკვევით დაინახავდით.

გონსალომ მინის კუთხეში ნაწერი ძლივს გაარჩია, შემდეგ - წინადადება: “განძის რუკა, იტალია, კაპიტანი ვარბერი”. იმ დღეს “წითელ ლომს” აღარ გაუგრძელებია ნადირობა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: ათი წლის ბავშვმა განძის რუკა იპოვა.

საღამოს გონსალოს ერთი კითხვადა აწვალედა: როგორ აღმოჩნდა აქ, განძის რუკებს ხომ მაღავენ, თვალსაჩინოდ რატომ ეგდო? იქნებ, ამ ადგილას ღრმად იყო ჩაფლული და ქარიშხალმა მიწა და ქვიშა გადააცალა? გონსალომ გადაწყვიტა, ამის გარკვევა მეცნიერებისთვის მიენდო, მთავარი ახლა განძის მოძებნა იყო.

ბავშვი მზადებას შეუდგა, თან ეშინოდა; ვინ იცის, თავს რა გადახდებოდა. ეშინოდა, მაგრამ მაინც მიუწევდა თავგადასავლებისკენ გული. ტომარაში საჭმელად ხილი ჩაილაგა, ერთი გუდა კი ტყვიით გაავსო. თოფი? რა თქმა უნდა, თოფიც მხარზე გადაიკიდა. იმ ადგილას რომ მივიდა, სადაც ნავი დატოვა, აღარ დახვდა. მდინარეს მოეტაცა, რა ექნა? ადგა და ტივის კეთებას შეუდგა.

- ოოო, ვითომ ამის დრო მქონდა რა? - ასე ამბობდა, - მდინარე ქურდი ყოფილა, ნაგების ქურდი.

როგორც იქნა, შეკრა ოთხი ფიცრისგან ტივი, იალქნად ზეწარი გამოაბა, დადო ზედ თავისი ბარგი-ბარხანა და მდინარის ტალღებში გაერია. ანკესი თან ჰქონდა. გემრიელი ყოფილა უმი თევზიო, დაასკვნა. ყოველ წუთას რუკაში იხედებოდა, - ვნახო ერთი, სად ვარო. წინ ათი ტყე, ორი მდინარე, სამი მთა და უდაბნო ჰქონდა გადასალახი. უდაბნოს ბოლოში ნაძვის ქვეშ კი განძი ელოდა.

ცოტა კი შეფიქრიანდა, - ვაი, შენ, ჩემო თავო, განძის მაგივრად ქვეები რომ შემრჩეს ხელთო! მაგრამ თავგადასავლების მოყვარული რადგან იყო, მაინც არ გატეხა საკუთარი თავისთვის მიცემული სიტყვა. საღამოს ერთ კუნძულს მიადგა. ზედ მშვენიერი ტყე იყო გაშენებული. მაგრამ მხოლოდ წიწვოვან მცენარეებს გაედგათ ფესვი. ბიჭი ტივიდან გადმოვიდა. გაიხედ-გამოიხედა. “უჰუუ, ჰუუ, უუუ”, ვეება ბუმ ჩაუფრინა. გონსალო შეხტა. უეცრად ირემი დაინახა. მას შეეძლო მოეკლა და ირმის მწვადი ეჭამა, მაგრამ ეს ყელმოღერებული, დაკოპლილი, ამაყი ნადირი შეეცოდა. იგი კუნძუზე დაჯდა და ირმის

სილამაზით გაბრუებულმა მისი ცქერა გადაწყვიტა. ირემმა გონსალო შენიშნა. რადგან ბავშვს სანდომიანი სახე ჰქონდა, უშიშრად მიუახლოვდა.

- ირემო, ირემო! - გონსალო წამოხტა.

ირემმა დაყნოსა. ბიჭმა ბალახი მოკრიფა და ირემს გაუწოდა. ნადირმა უყოყმანოდ მიიღო ძღვენი.

- ლამაზო, გინდა ჩემი მეგობარი გახდე? ვერცერთი მხეცი გავნებს რამეს.

ირემმა რქები მიაღო გონსალოს. მან კი ეს თანხმობის ნიშნად ჩათვალა, გადახვია ხელი და გზა განაგრძო. გზადაგზა ნიშნებს ტოვებდა, ტივი რომ არ დაეკარგა.

იგი ერთ ნაძვთან შეჩერდა.

- მოდი, აქ დავბანაკდეთ, კარგი? - ამოიღო თავქვეშ ხელი და ჩაეძინა. ირემმაც მას მიბაძა, ისიც წამოწვა. სულ მალე ორივე მეგობარს ღრმა ძილით ეძინა.

*

ირიჟრაჟა. გონსალომ გაიღვიძა, ირემი ვერ დაინახა, წამოხტა, ირგვლივ მიმოიხედა. უეცრად სისხლის წვეთი შენიშნა. მიჰყვა კვალს. სისხლის წვეთები ამტკიცებდნენ, რომ ირემმა რაღაც დაიზიანა. ბიჭმა სხვა კვალიც შენიშნა, ფოცხვერისას ჰგავდა. ეს ორი კვალი, სისხლი, ნაჩლიქარები და ფოცხვერის ნაფეხურები ერთმანეთში არეულიყო. ბოლოს გონსალოს შემდეგი სანახაობა გადაეშალა თვალწინ: ფოცხვერი კუდით ნაძვის დაბალ როკს გამოსდებოდა, ნაცნობი ირემი კი ფეხნატკენი იწვა, ღრმა ნაკბილარებიდან სისხლი წვეთავდა.

- ლამაზო, ოღონდ ახლა არა, ჩემო ირემო, - გონსალო ყვირილით გაიქცა ირმისკენ, - ნუ გეშინია, გამაგრდი, შენთან ვარ! ნუ შეშინდები, სისხლისგან არ ხარ დაცლილი.

სისხლის დენა რომ შეეჩერებინა, ტანსაცმლის საყელოზე მიკერებული სამყურა ფოთოლი ჭრილობაზე დაადო. ახლა საქმე ნაძვისაკენ მისი წაყვანა იყო. იფიქრა და გადაწყვიტა, ეს ფოცხვერი მაინც დასასჯელიაო, ერთი დასცხო და სული გააფრთხობინა. მან ცხოველი გაატყავა, ტყავზე კი ირემი დააწვინა. ტყავის კუდზე ხელჩაკიდებულმა, დაჭრილი ტივთან მიათრია, ტივზე მალამო ედო. თუ უშველის, ეს უშველისო. მართლაც, საღამომდე რქოსანს ფეხი მოუშუშდა.

- შეგვიძლია გზა განვაგრძოთ, მაგრამ ტივი ჩაიძირება, თუ შენც ჩაგსვამ. რაიმე სხვა უნდა მოვიფიქრო. ნავი, ნავს გავაკეთებ!

მთელი სამი დღე მოუწდა ნავის გაკეთებას, შუადღე იყო, ნასვრეტები რომ ამოქოლა, ნიჩბებიც გააკეთა, ჩაისვა ირემიც და მდინარის ტალღებს მიანდო ნავი. გზაში ფიქრობდა, რა დავარქვა ამ ახალ მეგობარსო. “პიტო, ჰო, ასე დავარქმევ”.

- პიტ, პიტ, ირემო, შენ მე პიტს დავარქმევ, კარგი?

ნადირმა თავი მიაღო ბიჭს. გონსალომ განძის რუკას დახედა.

- მეგობარო, ჩვენ შენი ტყიდან ხუთი მილით ვართ დაშორებული. იცი, პიტ, მე განძს ვეძებ. ერთ პარკ ოქროს ავიღებ და დარჩენილ განძს მუზეუმ “ახალ ტალღებში” წავიღებ. პიტ, კაპიტანი ვარბერი შეუწყალელებელი მეკობრე იყო, მის შვილს მეკობრეობა კი არა, წიგნი უყვარდა. ამის გამო, ვარბერმა იგი თავისი ხელით მოკლა, საუკეთესო გემები გამარცხა, მეზღვაურები ზღვაში ჩაყარა... მოპოვებულ ფულს კი ერთ რეალსაც არ მოაკლებდა, იმდენად ძუნწი იყო. ერთხელ გემიდან გადმოხტა, რადგან ოქროთი სავსე კიდობნიდან ერთი, ერთადერთი ოქრო გადმოუვარდა, იმ წუთასვე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, მაგრამ იმ ერთადერთი ოქროსკენ მაინც მიცურავდა. ის-ის იყო, ხელი უნდა ეტაცა, რომ ზვიგენმა მოაჭამა გაწვდენილი ხელი. გულწასულ მეკობრეს

წყალშივე ამოხდა სული. მისი ცხედარი ერთ მზიან დღეს მდინარემ ჩამოატარა იტალიის ერთ-ერთ სოფელში. პიტ, გესმის, პიტ...

ირემს უკვე ეძინა. გონსალოს გაელიმა და კვლავ რუკას ჩახედა.

*

მერიენი დასნეულდა და დადარდიანდა შვილის მოლოდინშიც, ელიუსის მოლოდინშიც, უფულობის შიშითაც. არც სალკროკს ადგა უკეთესი დღე. მათ ბავშვს კუნძულზე მიაკითხეს, მაგრამ ვერ იპოვეს, თანაც სამსახურის უფროსმა დაურეკა, - ჩქარა, მოხუცებისთვის გამოგვიჩინდა სამუშაო, ის კი, აბა, ახლა როგორ უნდა წასულიყო იქ, როცა შინ ავადმყოფი რძალი იწვა. არადა, ფული შემოეღიათ, პური ხომ უნდოდათ? საკუჭნაოში რომ ხორბალ-სიმინდი ჰქონდათ, იმის დაფქვას ფული ხომ უნდოდა? ერთ საღამოს, ჩვეულებისამებრ, აგუზგუზებულ ბუხართან რომ ისხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ მურაბასთან ერთად, სალკროკმა თქვა:

- მერიენ, იქნებ, ელიუსის სახლში რაიმე ფული არის დატოვებული? - თან ფანჯარას გახედა.

მერიენი ახლავდა გამოერკვა.

- ოჰ, დიდებული აზრია, სალკროკ ბატონო, მშვენიერი აზრია! უფრო, ალბათ, იატაკქვეშ იქნება, ანდაც კედელში რომ ხვრელია, გარედან გაჯით ამოვსებული, იქ.

- დიახ, მეც ეგ ვიფიქრე. წავედი, აბა, მოვძებნი.

მან კარი გააღო და ელიუსის სახლისკენ შეუხვია.

ელიუსის სახლში კი მათხოვრები და ღატაკები საღამოს პურს ჭამდნენ, ღვინოსაც აყოლებდნენ. ქალები ცეკვავდნენ, კაცები საუბრობდნენ, მოხუცები ტაშს უკრავდნენ. ბავშვები იმ საწოლზე ხტუნაობდნენ, “ვიძინოთ კოსმოსში” რომ ერქვა. ბუხარი აქაც ენთო. თბილოდა, ყველას გაეხარდა სალკროკის სტუმრობა. მოხუცმაც გულთბილად ჩამოართვა ხელი ხალხს.

- მოდი, სალკროკ, დაგვეწვიე! - დაუძახა ერთმა კაცმა.

- გმადლობთ, რაღაც მინდა მოვძებნო ელიუსის საძინებელში.

დედები წამოიშალნენ და საძინებელში შეირბინეს ბავშვების გამოსარეკად. ოთახში შეაბიჯეს თუ არა, ალიაქოთი ატყდა, ბავშვები დედებს გაურბოდნენ, ჩვენი ოთახიაო. ძლივს გამოიყვანეს. როგორც იქნა, სალკროკს მშვიდი ძიების ჩატარების საშუალება მიეცა. კარი ჩაკეტა და საქმეს შეუდგა.

თავდაპირველად ხვრელი გახსნა, შიგ აბლაბუდაში

გახვეული პატარა მოცულობის ოქრო იდო. როგორ გაუხარდა! ამით რაიმე სახელოსნოს გაეხსნა, ვიმუშავებ და თავს გავიტანთო, გაიფიქრა.

როდესაც სახლში დაბრუნდა, მერიენს ეძინა, ძილში კვნესოდა. სალკროკმა საბანი გადააფარა, თვითონ კი გეგმის დაწერას შეუდგა...

*

ელიუსი ძალზე გახარებული იყო, სახლში რომ ბრუნდებოდა, ხშირად იგონებდა, თუ რას აკეთებდა ჯერ კიდევ შვიდი წლისა, სანამ იტალიაში ცხოვრობდა. იმ საღამოს, სანამ სალკროკი გეგმას წერდა, იგი ცეცხლთან იჯდა და ირგვლივ შეკრებილებს თავისი ბავშვობის ამბებს უყვებოდა:

- მაშინ შვიდი წლის ვიყავი. მიყვარდა ბუნება, ტყე, ციყვებს ხელით ვიჭერდი, ხეებზე ვცოცავდი. ტბაში ვჭყუმპალაობდით მე და ჩემი ამხანაგ-მეგობრები. ზაფხულში

ერთმანეთს ტალახის გუნდებს ვესროდით, ზამთარში - თოვლისას. შობის დილას ეზოს ანთებული სანთლებით ვავსებდით, ჩიტუნებს, ბელურებს ხორბალს ვუყრიდით! მამები გვიწყებოდნენ, ხორბალი ჩვენ მოგვეცით, მაგათ ქერიც ეყოფათო. ღამე ჩვენ მიერ ანთებული სანთლები ყვითლად აშუქებდნენ თეთრად ამოსულ თეთრყვავილებს. არც ის დამავიწყდება, მოგიზგიზე ბუხართან ჩემი ცხონებული ბებია ანე ზღაპარს როგორ მიყვებოდა. ერთხელ, ღამით, ცას შევაცქერდი და მთვარეს თვალი ვერ მოვწყვიტე, მთვარე სიბნელეში იძირებოდა. ბებია მითხრა: “შვილო, ამას მთვარის დაბნელება ჰქვია. სამ წელიწადში ერთხელ ხდება ეს”. თანაც, დასძინა, ეს ყველაფერი კოსმოსში ხდებაო. მე მოსვენება დავკარგე, აღარც ვთამაშობდი, აღარც ხეებზე დავცოცავდი, კითხვა ნასწავლი მქონდა და წიგნებს წამოვავლე ხელი, ვკითხულობდი კოსმოსზე, მთვარეზე, ვარსკვლავებზე, მზეზე, დედამიწაზე... ვკითხულობდი და დრო გადიოდა, კოსმოსთან ერთად ვიზრდებოდი. აი, ახლა, ხომ ხედავთ, მე ასტროლოგი ვარ.

- რამდენი ბებია გყავდა? - ჰკითხა მეფემ.

- ორი. ერთს ანე ერქვა, მეორეს - ბებკინი. მეორეს მე არ ვუყვარდი, და არც ახლა ვუყვარვარ. მისი გულის მოგება ბევრჯერ ვცადე, მაგრამ - ამაოდ. მას მე არ ვუყვარვარ!

ამ სიტყვებთან ერთად იგი კარავში შეძვრა.

*

- პიტ, გაიღვიძე, პიტ, გათენდა! - გონსალო ირემს ეჯაჯგურებოდა.

ცხოველი წამოხტა.

- მოგშივდა? ჯერ პირი დაიბანე!

მან წყალში ჩაყო ხელი და სახეზე მოუსვა ირემს:

- აი, ასე, ახლა შეგიძლია ისაუზმო.

გონსალომ ტომრიდან ბალახი ამოიღო. თვითონ კი რუკას ჩახედა:

- აჰა, აჰა... ჩვენ, ერთი-ორი საათით ფოთლოვან ტყეში შევაბიჯებთ. ძალიან კარგი. მე ვინადირებ, შენ კი ბალახით და ფოთლებით გაიტანე თავი.

პიტმა თავის ენაზე დაიზმუვლა. ბიჭმა ნიჩბები მოუსვა. მან გადაწყვიტა, თევზით ესაუზმა. ანკესით მოუხერხებელი იყო, ნიჩბიც ხომ უნდა მოესვა? არა, ასე არაფერი გამოუვიდოდა. ბოლოს მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა. დედამ ყოველი შემთხვევისთვის ბადე რომ გამოატანა, მისი ერთი ბოლო ნავს მოაბა, მეორე წყალში ჩაუშვა, მერე რაც ძალა ჰქონდა, ნიჩბები აამოძრავა. ნავი მთელი სისწრაფით გაცურდა. ხოლო როდესაც გაჩერდა და გონსალომ ბადე ამოსწია, ბადეს ათი მსხვილი თევზი მოჰყოლოდა. მას, რა თქმა უნდა, შემწვარი თევზი ერჩია. მან აქაც იპოვა გამოსავალი. ტივი ხომ თან ჰქონდა (ზედ ნავზე მოეპირქვავებინა ტივი). ის მოაბა ნავს ჯაჭვით და ცეცხლი წაუკიდა. შამფურად ნადვის გრძელი ტოტი იკმარა. გარეცხა თევზები და ტოტ-შამფურზე წამოცმულეები ცეცხლს შეუშვრა.

“წითელი ლომი” ერთ-ორ საათში ფოთლოვან ტყეს გაეცნო. მშვენიერი დილა იდგა. ჩიტები ხეებზე მოუსვენრობდნენ, ჟღურტულებდნენ თავგამოდებით, კოდალა ჭადარს უკაკუნებდა. ამდენი კაკუნით თავმოებურებული თხუნელა ბრაზობდა და ხეზე ასვლას ამაოდ ლამობდა. ორი ვაშლის ხე ერთ დიდ თაღს ქმნიდა. გოლიათი მუხები ათ რიგად ჩამწკრივებულყვანენ, ნაკადულში ლიფსიტები და თავკომბალები დასრიალებდნენ. ბალახი ნიავის ნაზ რხევას აჰყოლოდა, ყვავილები პეპლებს აწყნარებდნენ. ციყვი რკოს ეძებდა, შველი - ნუკრს... ეს ყველაფერი დიდ სიამოვნებას წარმოადგენდა.

პიტმა ბალახი დაინახა თუ არა, სიხარულისგან აკუნტრუშდა. ბიჭსაც მოეწონა ტყე, რომელიც ბევრი ცხოველით იყო განთქმული. სასწრაფოდ მშვილდ-ისარი მოიმარჯვა.

პიტიც კუნტრუმ-ნავარდით აედევნა სანადიროდ მომართულ მეგობარს. ამ ტყეში ბევრი კურდღელი იყო, ასე რომ “წითელი ლომი” ნაპირზე ხელდამშვენებული დაბრუნდა. მოშუადღევდა, მზემ დააცხუნა. გონსალოს მოსწყურდა, მაგრამ მდინარის ჭუჭყიანი წყლის დაღვევის სურვილი არ ჰქონდა. ირემი კი მშვენივრად იკლავდა წყურვილს, სანერვიულო არაფერი ჰქონდა.

- რა ვქნა, ბოთლში წვეთი წყალიც არ მაქვს. ალბათ, წყაროს მოძებნა მომიწევს. როგორ ცხელა. სულ არ მსურს ახლა, ამ გაგანია შუადღეს, წყაროს მოძებნა! - ასე თქვა, თუმცა, თავბრუ ეხვეოდა, გული ერეოდა, ეძინებოდა, ყელი უშრებოდა, მაინც ჯიუტად არ უნდოდა ადგომა. ბოლოს გული წაუვიდა. პიტმა ცქმუტვა დაიწყო. მეგობარს ლოკავდა, რქებით თმებს უჯეჯავდა, ფეხებს აბაკუნებდა, ბოლოს კი გვერდით მიუწვა სასოწარკვეთილი.

- თვალი გაახილე და შემომხედე!

გონსალომ ქუთუთო ასწია. თავზე მშვენიერი, სასიამოვნო გარეგნობის ქალიშვილი ადგა.

- გამარჯობა, მე ანასტასია ვარ, თოთხმეტი წლის. შენ?

- გონსალო ანტონიო! ჩემი პიტი სად არის? - ჰკითხა და წამოდგა.

- აჰ, ირემზე ამბობ? აი! - და ანასტასიამ გონსალოს მიმინარე ირემი დაანახვა, შემდეგ განაგრძო: - ბევრი სიტხე გქონდა პირადად შენ დაკარგული. მე რომ არა, შეიძლებოდა მომკვდარიყავი. რატომ არ დალიე მდინარის წყალი?

- ფუ, იმ ჭუჭყიან წყალს რა მიეკარებოდა. არა, შეუძლებელია, რომ შენ ახლა ამაზე მელაპარაკები, ანასტასია!

- მე ვერ მასწავლი! - გაცხარდა ანასტასია, - მეც ვიცი, რომ ჭუჭყიანია. უნდა აგედულებინა.

- ო, ამაში გეთანხმები.

- კარგი, სხვა დროს გაითვალისწინე. ახლა წამოდი, უნდა გაგაცნო ჩემი ტომის ცხოვრება.

- რაო, თქვენ ტომი ხართ?

- არა, მე ვამბობ ასე, მე და ჩემი ძმები, ობოლთა თავშესაფრიდან გამოვიქეციით. წამოდი, ნულარ აყოვნებ.

ანასტასიას ლამაზი ქოხი ჰქონდა. მორებს შორის ნასვრეტები ხავსით იყო ამოვსებული, ავეჯად მორები და კუნძები იდგა. ჭურჭელი თიხისა იყო. ფარდები - ფოთლისა. ქოხი კი ნაძვის ტოტებით იყო გადახურული.

ანასტასიას თორმეტი ძმა ჰყავდა. ლეანდრო, ლეონარდო (სხვათა შორის, პირველი ორი ტყუპები იყვნენ), ბორისი, ფრანცი და ლუჩანო ამ თორმეტ ბავშვში ყველაზე უფროსები იყვნენ. შუათანები: პიერო, კარლო და ტეფი. უმცროსები კი - ფეროდე, საული და ხუანი. სულ პატარა კი - ული.

მათ გამოჰკითხეს გონსალოს მისი თავგადასავალი, ყურადღებით მოუსმინეს და ლეონარდომ ურჩია:

- ძმაო, ტყუილად ირჯები, ვინ დატოვებდა იქ განძს?

- აჰ, არა! მე მჯერა, რაც ამ რუკაში წერია. თუმცა, თქვენთან ერთი კვირის გატარებას კი ვაპირებ, თუ მხოლოდ ეს გადარდებთ.

ბავშვებს გაეხარდათ და ტაში შემოჰკრეს.

ერთ საღამოს ყველანი ცეცხლს მიუსხდნენ და საუბრის სიმები ააჟღერეს. ანასტასიამ ქოქოსის რძე გააცხელა, ჭიქებში ჩაასხა და მათ დაუნაწილა, ცეცხლი ტკაცუნობდა და ქოხში სასიამოვნო სითბო ტრიალებდა. თოვზე სარეცხი ეკიდა გასაშრობად. ოთახი ნაძვის სახურავის თავისებური სუნით იყო გაჯერებული. ამოჭრილი სარკმლიდან

ვარსკვლავები მოჩანდნენ. მერე სიჩუმემ დაისადგურა, ანასტასია ულის ბანდა, მხოლოდ

წყლის ხმა და ბავშვის წამოტირება არღვევდა სიჩუმეს...

*

გათენდა. გონსალომ გამოიღვიძა. უფრო სწორედ, პიტის სველმა დრუნჩმა გამოაღვიძა. ბავშვები რომ ვერ შენიშნა, გარეთ გავიდა, ანასტასია თევზს წვადა. ული ჭილოფზე კოტრიალობდა.

- დილა მშვიდობისა, ანასტასია, შენი ძმები სად არიან?

- მდინარეზე თევზაობენ, დაჯექი, ისაუზმე.

გონსალო კუნძუზე ჩამოჯდა. ანასტასიამ თევზი დაუდო ლედვის ფოთოლზე.

ბიჭმა ჩუმად შეჭამა და მდინარეზე ჩავიდა.

ბავშვები ნაპირზე ისხდნენ და თევზაობდნენ. ჯოხებზე ძუა გამოებათ, ზედ კი მოკაუჭებული და წვეტიანი ქვები ეკიდა. სათლი ხისა იყო, შიგ თევზები სხმარტალებდნენ.

- მოდი, გონსალო, ვთევზაობთ. აჰა, ანკესი! - მიეგება ლუჩანო.

- გამარჯობა! - აკუნტრუშდა გონსალო და მათკენ გაექანა.

როდესაც ყველას მიესალმა, თვითონაც დაჯდა სათევზაოდ. თუმცა, რაკი ნავარჯიშევი არ იყო, ორად-ორი თევზის დაჭერა მოახერხა მხოლოდ.

- არა უშავს, მეგობარო, სხვა დროს მეტს დაიჭერ. ახლა, მოდი, ვიბანაოთ, - უთხრა ლეონარდომ.

ბავშვებმა სამოსი გაიხადეს და მდინარეში გადაეშვნენ. ერთმანეთს წყალს აშხეფებდნენ, ცურავდნენ, თამაშობდნენ, იცინოდნენ, ერთობოდნენ.

თორმეტისთვის უკვე ქოხში ისხდნენ.

ანასტასიამ მათ ცხელი ქოქოსის რძე დააღვინა, თევზი კი წყალში შეინახა. გონსალომ ბიჭებს უთხრა:

- წამოდით, ვინადიროთ, შუბები გაქვთ?

- არა, - უპასუხა ბორისმა.

- კარგი, მე დაგიშხადებთ, თქვენ დიდი გამძლე სქელი ტოტები მომიტანეთ.

მათ მოუტანეს. გონსალო თლას შეუდგა. ბოლოს, როცა თლა დაამთავრა, თქვა:

- ბიჭებო, რკინის დიდი ნაჭერი მჭირდება!

დიდხანს ეძებდნენ, მაგრამ ბოლოს მხოლოდ რკინის დიდი ბურთი იპოვეს.

გონსალომ ის დაადნო და ფორმა მისცა. შემდეგ გამზადებულ ტოტებს ჩამოაცვა. მჭიდროდ რომ დამაგრებულიყო, ფისით ჩააწება. მერე შუბები დაარიგა. თითო ბავშვს თითო შუბი ერგო, ანასტასიას და პატარა ულის გამოკლებით. ტყეში ბუნების სიმყუდროვე იგრძნობოდა, ჩიტუნები ჭიკჭიკებდნენ. ხეები შრიალებდნენ, ყვავილები სიოს ესალბუნებოდნენ. წყარო წკრიალებდა. ბავშვები ჩუმად მიაბიჯებდნენ, მათ უკან პიტი მობაკუნობდა. უცრად მელია შენიშნეს, ირემს რქებში ხელი ჩაავლეს და უზარმაზარ მუხას ამოეფარნენ. მელია გარბოდა, უკან კი გაცოფებული მგელი მოსდევდა.

- მოდით, გადავარჩინოთ მელია და მგელი მოვკლათ, ცოდოა ის კუდიგრძელა, თან ჩვენზე ბევრად პატარა ნადირი! - თქვა ბორისმა.

ყველა დაეთანხმა (თუმცა, ერთი ხანობა გონსალო ორჭოფობდა, ფიქრობდა, რომ ბელურების გარდა სხვა ცხოველების მოკვლა სისასტიკეა და მეტი არაფერი. მაგრამ მალე

ის დაარწმუნეს, რომ ცდებოდა). მათ ხეზე აცოცება გადაწყვიტეს, მაგრამ პიტს(ირემს) ხეზე ცოცვა არ შეეძლო.

- მოდით, სახლში გავუშვათ! - თქვა ლეონარდომ, - მე წავიყვან, მაინც მცხელა და...

ასეც მოიქცნენ. როდესაც დარწმუნდნენ პიტის უსაფრთხოებაში, მუხაზე იწყეს ასვლა, გამოწვერილი როკები ეხმარებოდა ფეხის დადგმაში. სულ მალე ხეზე იყვნენ.

- ახლა ისე უნდა მოვიქცეთ, რომ მელას არაფერი დაუშავდეს, - თქვა ფრანცმა.

დაელოდნენ. შემთხვევაც მალე მიეცათ. მგელი მოტრიალდა და შუბები ესროლეს. მელია გაიქცა, ხოლო დაჭრილი მგელი მოკვდა.

ისინი ხიდან ჩამოცოცდნენ.

- ვაჰა, ვაჰა! - აყვირდა პატარა ლუჩანო, - რა კარგია, ანასტასიას ამისი ქურქი გამოადგება!

- მოიცადეთ, ჩვენ ნადირობა უნდა განვაგრძოთ. ამ ცხოველს კი თან ვერ წავიღებთ, ვინმე გამოგვაკლდეს და სახლში წათრიოს ნანადირევი.

- მე! - დაიყვირა ბიბომ, რომელიც უკვე საკმაოდ დაღლილიყო.

დანარჩენებმა ნადირობა განაგრძეს. ლეანდრომ ხუთი ციყვი ცოცხლად დაიჭირა, გონსალომ კი ერთადერთი როჭო. ნადირობასთან ერთად შიგადაშიგ მხიარულობდნენ, ერთმანეთს დასდევდნენ. ყველაზე მეტად გონსალოს უხაროდა, რომ ნადირობა ისწავლა, მაგრამ დანარჩენებისთვის ნადირობა დიდს არაფერს წარმოადგენდა, ისინი ხომ, დიდი ხანი იყო, შეჩვეოდნენ ნადირობას (მაგრამ შუბებით ნადირობის ბედნიერება არასოდეს არ ჰქონიათ). ამიტომაც, როდესაც ბიჭმა ნადირობის აღნიშვნა შესთავაზა, უარი უთხრეს, რა საჭიროაო.

მოსაღამოვებულზე, ქობში რომ დაბრუნდნენ, პატარა ულის უკვე ეძინა. ბიბო მათ მიეგება:

- მოდით, მოდით, ანასტასია ნამცხვარს აცხობს.

ბიჭები სახლში შეცვივდნენ. დიდი ხანი გასულიყო, რაც ნამცხვარი არ ეჭამათ. ისე გაუხარდათ, სკამებზე აცვივდნენ, აყვირდნენ.

- აბა, აბა, ახლავე ჩამოდით, ხელები დაიბანეთ, ნუ ყვირით! - დატუქსა ბავშვები ანასტასიამ, - დაგსჯით და ნამცხვარს არ გაჭმევთ!

სასწრაფოდ გაჩუმდნენ და ხელების დასაბანად გაიქცნენ მდინარეზე. მალე ამოვიდნენ. სუფრა უკვე გაშლილი იყო. ნამცხვარს ქიშიშიც ჰქონდა. ჰოდა, ეს ხდიდა სუფრას გემრიელს. ისინი სწრაფად ჭამდნენ, დიდ ლუკმებს იტენიდნენ, ასეთმა უნახაობრივმა საქციელმა ანასტასია გააბრაზა და ნამცხვარი სწრაფად შეინახა.

- დღეს აღარ შეჭამთ! აბა, დაწეით!

მათ ჭილოფი გაშალეს და დაიძინეს, ოთახში მდგარი სანთელი მკრთალად ანათებდა, ბოლოს სულ მიიღია, ჩაქრა. სრულ სიჩუმეს თავის ფხაკუნილა არღვევდა.

*

სალკროკი მაშინ მივატოვეთ, როდესაც მან ფურცელზე გეგმის შემუშავება დაიწყო. იგი წერდა და თან ბუტბუტებდა. იმდენად იყო ჩართული თავის გეგმაში, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ დაათენდა თავზე.

მერიენს გაელვიდა:

- მგონი უკეთესად ვარ.

იგი წამოიწია და წამოჯდა.

- შეხედე, ეს გეგმაა, მე სახელოსნოს გახსნა გადავწყვიტე, ელიუსის სახლში სულ ერთი პატარა მოცულობისა და ხუთიც დიდი ოქრო ვიპოვე.

კარზე დააკაკუნეს.

სალკროკმა კარი გააღო და...

- ოი, სინიორ ფერნანდო, არ გელოდით, მობრძანდით!..

ფერნანდოს გაგონებაზე მერიენი შეკრთა.

სტუმარი შემოვიდა.

- გამარჯობა, მერიენ, არ მელოდი?

- არა, სინიორ. თუმცა, ჩვენ ცოტაოდენი ფული ვიშოვეთ.

- სად? - ფერნანდოს თვალები გაუფართოვდა.

- ელიუსის სახლში!

სტუმარი კი ჩაფიქრდა: “ცოლი არ მყავს, ელიუსი ნამდვილად დაიღუპა. ხელფასს მაინც ვუხდი, ტყუილად ვხარჯავ ზედმეტს. სჯობს, ხელი ვთხოვო...”

- ოხო, ხო... მერიენ, მოდი, ასე მოვრიგდეთ: მე ფულს კვლავ მოგცემთ. მაგრამ თუ ჩემი ცოლი გახდები, მათხოვრობა აღარ მოგიწევს.

- ო, არა, ეს რა თქვით! მე ჩემი ქმრის ერთგული ვარ და ასევე ერთგული დავრჩები! მირჩევნია, ფული სულ არ მოგვაწოდოთ.

- აბა, დაფიქრდი, ძვირფასო, რას ამბობ? იგი დაიღუპა. მთელი სიცოცხლე ამაზე ფიქრი უაზრობაა... იცოდე, ძალით გითხოვ.

- არა, თქვენ მე ამას ვერ დამამალებთ! გთხოვთ, თავი დამანებეთ.

ფერნანდომ ხელი სტაცა. სალკროკი გაბრაზდა, როგორ თუ ჩემს რძალს ხელი ახლეო. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ სალკროკმა და ფერნანდომ იჩხუბეს და მერე ერთმანეთი გალახეს. ფერნანდომ სალკროკისგან

როგორღაც თავი გაითავისუფლა და კარისკენ გაიწია.

- გიჩვილებთ, გიჩვილებთ! - ამ სიტყვებით დატოვა მან ეს გაუბედურებული ოჯახი.

მეორე დღეს, როდესაც სალკროკი და მერიენი შუა ძილში იყვნენ, კარები ბრახუნით გაიღო. სალკროკი წამოხტა, მის წინ ჟანდარმები იდგნენ. საშინელი წუთი იყო.

- სინიორ, ახლავე ადექით, წამოიყვანეთ ეგ ქალი და სასამართლოში წამოგყვებით! - უბრძანა სერჟანტმა.

სალკროკმა ამოიოხრა, გააღვიძა მერიენი, ჩაიცვეს და მძიმედ გაჰყვინენ მოსულეებს.

*

წარმოიდგინეთ თქვენი თავი, როგორი გახარებული იქნებოდა ელიუსი, როცა სამშობლოში დაბრუნდებოდა, ყველა ერთი ამბით შეხვდებოდა, მისი სახლი (სადაც ელიუსი მუშაობდა) სუფთად შენახული დახვდებოდა და გონსალო მიეგებებოდა. ბებკინი ერთ „გამარჯობას“ მაინც იტყვისო, იმედი ჰქონდა. ერთი სიტყვით, ენით აუწერლად უხაროდა. რა იცოდა, რა ელოდა სახლში? მან მხოლოდ ერთი რამ იცოდა: იგი მეფეს მიჰყვებოდა, რომელსაც თან რუკაც ჰქონდა.

ერთ საღამოს, როდესაც ყველანი ცეცხლს შემოუსხდნენ და მწვადების წვა დაიწყეს, უეცრად ცა გაწითლდა. ყველა ამ სანახაობას მიაშტერდა, ლურჯი გუმბათიდან წვრილი წვიმასავით წამოვიდნენ პატარა ცეცხლოვანი ჯოხები. ისინი მდინარეში ეშვებოდნენ და იქ ასრულდნენ სიცოცხლეს. ძალზე საინტერესო და მომხიბვლელი სანახაობა იყო.

- ოი, მგონი, ეს ატმოსფერული მოვლენაა ან... - ელიუსმა კალამი და ფურცელი მოიმარჯვა ამ სილამაზის აღსაწერად, თუმცა, სიტყვები ემალებოდნენ. მაინც ვერ აღწერა მათი სიდიადე. ის მდინარესთან ახლოს მივიდა და გულში თქვა: “ასეთ რამეს პირველად ვხედავ, ეს იშვიათობაა”.

უეცრად მეფის ვეზირმა იყვირა, შეხედეთ ამ წითელ თვალსო. ამ პატარა ნაპერწკლებს შორის გამოჩნდა ოდნავ უფრო მოზრდილი წითელი თვალი. ყველაფერს წითელი ფერი დაედო. იგი მდინარისკენ ეშვებოდა და... ლურჯდებოდა... მაგრამ ის უეცრად მდინარიდან თორმეტი კილომეტრის დაშორებით გაჩერდა, ნაპერწკლები კი შეწყდა. შემადრწუნებელი სიჩუმე გამეფდა. მხოლოდ აუტანელი მხურვალეობა იდგა.

- ღმერთო, დიდებულო! - ამოდერდა მეფემ.

მეფის სეფექალს კი გული წაუვიდა. ყველა გაკვირვებული იყო. არ იცოდნენ ამ უცნაური მოვლენის შესახებ არაფერი. თან შიშობდნენ, რატომ გაჩერდა წითელი თვალიო.

პირველად მეფე მოვიდა გონს:

- ვის აქვს აპარატი?

- მე! - წამოხტა ანტუან დე სენტ ეგზიუპერი. ასი სურათი მაინც გადაუღეს ამ საოცრებას, საღამოს კი ყველა პაჟის ცოლის კარავთან იდგა: ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, პატარა ელიზა გაჩნდა! და აი, გადია, როგორც იქნა, გამოვიდა ჩვილით ხელში. გოგონა მეფეს მისცეს ხელში, მეფემ მომავალ სეფექალად დანიშნა იგი, რაც პაჟისთვის დიდი პატივი იყო. მაგრამ ბავშვი ატირდა, იგი სხმარტალებდა. ვერ მიხვდნენ მისი ტირილის მიზეზს.

- იგი ვერ ხედავს ვერაფერს, მაგრამ ის გრძნობს! - იყვირა პაჟმა - შეხედეთ!

ისინი მოტრიალდნენ და ნახეს, რომ წითელი ბურთი ცისკენ მიფრინავდა და შავ კვალს ტოვებდა.

*

- გონსალო, გაიღვიძე გეთაყვა, გონსალო! - აღვიძებდა ანასტასია გონსალოს.

- რა ხდება? ოი, დილა მშვიდობისა, ანა.

- დილა კი არა, დღემშვიდობისა!

- როგორ?

- ჰო, აი, ამდენი ხანია, გძინავს.

გონსალო წამოდგა.

- შენი ძმები სად არიან?

- პიტს აჭმევენ, შენ ჯერ მოწესრიგდი.

ბიჭმა დაიბანა, დაივარცხნა და გარეთ გავიდა. მართლაც, ბავშვები ირემს აჭმევდნენ.

- გამარჯობა! - მიესალმა ლეონარდო.

- გამარჯობა! - გაიქცა მათკენ გონსალო.

ამით დასრულდა მათი მისალმება. ბავშვები ჩაფიქრდნენ. ცოტა ხანში ანასტასიას ხმა მოესმათ:

- ბიჭებო, დაიბანეთ ხელები და სასაუზმოდ შემოდით.

საუზმედ შემწვარი ჩხიკვი ჰქონდათ, პალმის წვეთთან ერთად.

- დღეს, რაღაც, უხასიათოდ ხართ, ბავშვებო! - გაუკვირდა ანასტასიას.

- ერთი კვირა ამოიწურა! - ამოიოხრა ლუჩანომ.

- და გონსალო წავა... - დასძინა პიერომ.

- ნუ გემინიათ, განძს რომ მოვძებნი, ფულს მოგცემთ და ქალაქში იცხოვრებთ, ჩვენს სახლთან! - თქვა გონსალომ.

- გმადლობ! - გაიღიმა ანასტასიამ და საგზლის ჩალაგებას შეუდგა. თავის დაწნულ დიდ კალათში ჩაულაგა: გაპუტული ჩხიკვი, ირმის ბარკალი, ბატი, იხვი, ორი ლიტრი პალმის რძე და ხილი.

შუადღეს გონსალო მეგობრებს გაემოემშვიდობა, ჩაალაგა ნავში ნივთები, მერე ირემთან ერთად თვითონაც შიგ ჩაჯდა და ეს ლამაზი კუნძული დატოვა. ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, როცა მან რუკაზე აღნიშნული ერთი მდინარე გადაცურა, უეცრად გრძელი სანაპირო ზოლი შენიშნა. ბიჭმა ნაპირზე გადასვლისთანავე თვალი მოჰკრა უჩვეულო მთას, რომელზეც ერთი მწვანე ხეც არ იყო, მხოლოდ ტოტები ეყარა. კიდევ ორმოებს ნახავდით ბევრს, ქვებს, პატარა გამოქვაბულებს, მშრალ ჭებს... მოკლედ, ეს მთა ბუნების სიმწვანეს არ ფლობდა. გონსალომ რუკაზე ეს მთა და ხუთი ტყე ფანქრით გადაჩხაპნა. მას გასავლელი ჰქონდა ორი მთა, სამი ტყე და დიდი უდაბნო. აილო ბარგი-ბარხანა, აჰკიდა პიტს და მეგობრებმა გზა განაგრძეს.

*

დიდი ხანია, ბოროტ ბებკინზე არაფერი გვითქვამს. ჩვენ ვიცით, რომ იგი იმყოფებოდა ჭკუათხელთა ბანაკში. იქ ის ყოველდღე ბუზღუნებდა:

- მე მართალი ვარ, ის ცუდი ბიჭი იყო, მამბრაზებდა!

მაგრამ ყურს მარტო საკუთარი ტვინი უგდებდა. სხვებს თავიანთი სადარდებელიც ბევრი ჰქონდათ: მაგალითად, ის, რომ ბებკინის ატანა აღარ შეეძლოთ, ასევე მისი ჩხუბის მიზეზების გარკვევის თავიც აღარ ჰქონდათ. ის, რომ ბებკინი მათ ჩაგრავედა, ყველაზე ბევრი უნდოდა,

წუწუნებდა და იოლად ბრაზდებოდა.

ერთ საღამოს, როდესაც ექიმმა ბებკინს ერთი ტკბილი წამალი დაალევინა და დაემშვიდობა, ბებკინმა მას ჯიბეში შეუმჩნევლად ხელი ჩაუყო და მოჰპარა წამალი. გავიდა ოთახიდან ექიმი. სულელმა ბებერმა სინათლე აანთო, გახსნა წამალი და ბოომდე გამოცალა.

იმ დღის შემდეგ ტკივილები დაეწყო, მაგრამ არ იმჩნევდა, სანამ ექთანმა არ შენიშნა მისი მდგომარეობა. ამის გამო იგი დასაჯეს და დესერტად ნამცხვრის მაგივრად წამლები მიართვეს. მაგრამ როდესაც გაბრაზებულმა ბებკინმა ერთ ავადმყოფს მისცხო, იგი სპეციალურ ოთახში მოათავსეს, სადაც მარტოდმარტოს ეძინა და ეღვიძა.

*

სასამართლო გაიმართა: მთელ ოთახში კარაბინებით შეიარაღებული წითელპიჯაკიანი მცველები იდგნენ. მდივანი მოსამართლეს ესაუბრებოდა. მომჩივანი მოსამართლის ხელმარჯვნივ წამოჭიმულიყო, ბრალდებული კი რძალთან ერთად მარცხნივ დასვეს, მოგროვდა ხალხი და მოსამართლე იმ მოწმეების დაკითხვას შეუდგა, რომელთაც ამ ამბისა რაღაც იცოდნენ.

- სად იყავით, როდესაც ელიუს ანტონიოს ოჯახი ბატონ ფერნანდოს ეჩხუბებოდა და შეურაცხყოფას აყენებდა? - ჰკითხა ელიუსის მეზობელს.

- ოჰ, მე კაფეში მივდიოდი და ფანჯრიდან დავინახე, ბატონი სალკროკი როგორ მივარდა ბატონ ფერნანდოს და როგორ წააქცია.

- მეორე მოწმე! - დაიძახა მოსამართლემ.

მეორე მოწმე ლიზა აღმოჩნდა, ბებკინის და, მაგრამ არც მას ეხატებოდა გულზე ეს ბედკრული ოჯახი.

- იცით, თქვენო ბრწყინვალეზავ, მათ ჩემი და შეურაცხვეს და სრულიად უმიზეზოდ “ჭკუათხელთა ბანაკში” მოათავსეს. ამ ქალბატონმა კი ერთ ღამეს მას სახეში ჩაარტყა.

- კი მაგრამ... - წამოხტა სალკროკი.

- სიმშვიდეს საძირკველი გაუმაგრეთ! - იყვირა მოსამართლემ და ხის ჩაქუჩი მაგიდაზე სამჯერ დააკაკუნა.

- დიახ, მე მეტი არაფერი მაქვს სათქმელი! - და ბებუნის და დაჯდა.

ამის მერე ფერნანდოს მისცეს სიტყვა.

- ბატონო მოსამართლე, რაც ელიუსი დაიკარგა, მას შემდეგ მე ეს ოჯახი მეცოდებოდა, მაგრამ ასე ტყუილად ფული რად დამეხარჯა და მე მათ ვუთხარი, რომ თუ ელიუსი არ დაბრუნდებოდა, ფულს აღარ მივცემდი. უფრო სწორად, სამუშაოს ჩამოვართმევდი. არ ჩანს ეს კაცი... ჰოდა, მე მერიენს ხელი ვთხოვე ფულის საფასურად. მან იუარა, ხელი მოვკიდე, უნდა შევხვეწნოდი, ამ დროს კი სალკროკი მეცა, დამაგდო, უსამართლოდ გამლანძღა...

- ეს ტყუილია! - წამოხტა სალკროკი, - თქვენო მოწყალება, თვალეში ჩახედეთ, იგი ტყუის. ხალხო, ტყუილზე როგორ იძლევიტ დასტურს?! სამართალი სად არის? უსამართლოები არ ისჯებიან და სამართლიანები ისჯებიან? კარგად დაფიქრდით. მას მხარს მისივე წარმოშობის გამო ნუ დაუჭერთ!

იგი ყვიროდა, ცრემლები სახეს უსველებდნენ. ის ტიროდა.

მოსამართლემ დააკაკუნა და უბედური კაცი კვლავ ადგილს დაუბრუნდა.

- ჩვენ მოვუსმინეთ მოწმეებს და ახლა განაჩენის გამოტანის დროა. შესვენება!

დარბაზი დაცარიელდა.

სალკროკი და მერიენი პატარა ოთახში ჩაკეტეს. როდესაც მცველი ოთახიდან გავიდა, ორივენი ჩაფიქრდნენ:

- რა ვქნათ? - იკითხა შეწუხებულმა სალკროკმა.

- სალკროკ, რატომ შენ არ მოგისმინა?

- ალბათ, დაავიწყდა. გავახსენებ.

- ჩემი საბრალო ბიჭი! თუ დაბრუნდება, რა უნდა ქნას? მე მოსაკლავმა როგორ გავუშვი?

- მერიენ, სიმართლე გაიმარჯვებს, აი, ნახავ...

ზარი დაირეკა, წითელპიჯაკიანმა მცველმა კარი გააღო.

- გამომყევით!

მოსამართლე და მდივანი რაღაცას წერდნენ, მსაჯულები ფურცლებს აწვდიდნენ...

ხალხი საუბრობდა...

და აი, დამაბულმა წუთებმა მთელ დარბაზს გადახედეს და ბრალდებულებთან შეჩერდნენ.

- ახლა განაჩენი იქნება! - წაიჩურჩულა მერიენმა.

- შევახსენებ! - ჩუმად თქვა სალკროკმა.

მოსამართლემ სათვალე ცხვირზე დაისკუპა და ფურცლები მოფხიკა.

- სალკროკი დაიბადა...

- მოიცადეთ, - წამოდგა სალკროკი - მე დაგავიწყდით, ბრალდებულს აქვს უფლება, თავისი აზრი გამოთქვას.

მოსამართლე ჩაფიქრდა.

- ბრძანეთ!

- თქვენო ბრწყინვალეება, მოწმეები ცრუობენ. მათ, ჯერ ერთი, არაფერი უნახავთ, მეორეც, ისინი შეძლებულ ადამიანს უჭერენ მხარს, დიახ, დიახ... ხალხო, დაფიქრდით, ტყუილზე როგორ მოწმობთ? იქნებ, თქვენი ტყუილის გამო უსამართლოდ ვისჯები?! ასეთი რა დაგიშავთ, რომ თქვენგან ეს დავიმსახურე? მე ხომ მუდამ გეხმარებოდით, ხელს გიწვდიდით. ახლა მიჭირს. რატომ არც ერთი არ იტყვით: ეს კაცი გასაჭირშია და

მივებმაროთო? მისმინეთ! გუშინწინ ბატონი ფერნანდო კარს მოგვადგა და მერიენს ხელი სთხოვა, მას ეს არ უნდოდა. ასეთ დროს კაცს უფლება არ აქვს, რომ ქალს რაიმე დააძალოს. ჰოდა, ფერნანდომ უარის საპასუხოდ ხელი სტაცა არა შესახვეწად, არამედ მოსატაცებლად.

ამის გაგონებაზე ხალხმა ჩურჩული ატეხა, ყველამ ფერნანდოს შეხედა.

- მე რძალი დავიცავი და მოძალადეს ხელზე ვტაცე ხელი. მე მისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. მან კვლავ ძალით სცადა ჩემი რძლის წაყვანა, მე ვეჩხუბე, მეცა და ამით დაიწყო ეს ყოველივე... მე და ჩემი რძალი არაფერ შუაში ვართ...

ხალხი აჩოჩქოლდა.

- ეს კაცი მართალია! ფერნანდო ტყუის, ეს კაცი მართალია! დაუჯერეთ, ფერნანდო ყოველთვის იტყუება! - ყვიროდნენ, ეჩხუბებოდნენ მცველებს.

- ვაპროტესტებ, მოსამართლე, ეს ასე არ არის!.. - ფერნანდოს სიტყვა კარების ბრახუნმა გააწყვეტინა.

მოსამართლე და მდივანმსაჯულნი გაშრნენ, ხალხი გაოგნდა, მცველებმა პირი დაადეს. კარში მათხოვარმაწაწალების ჯგუფი იდგა, იმათი, ვინც ელიუსის სახლში ცხოვრობდნენ.

- მოსამართლე, აი, სამხილი! - და მაწაწალების მეთაური მოსამართლისკენ გაემართა, - აი, ეს ვიდუოკამერა, პატარა ვიდუოკამერა, “ფერნანდო” ზედ ამოტვიფრული, ჩვენ ეს ვიპოვეთ და ოთხშაბათს ფანჯრიდან ეს ყველაფერი ჩავიწერეთ. ინებეთ, ახლა გამჟღავნდება ყველაფერი!

მოსამართლემ უსიტყვოდ გამოართვა და ბრძანება გასცა, ჩანაწერი დიდ ეკრანზე ეჩვენებინათ. 10 წუთის შემდეგ ყველაფერი ნათელი იყო და სინიორ ფერნანდომ ციხეში ამოჰყო თავი.

*

და აი, ღამის ჩაბნელებულ ქუჩას სალკროკი და მერიენი მიუყვებოდნენ.

ორივენი ნაღვლიანები, დარდიანები იყვნენ.

მერიენი ყრუდ ახველებდა.

- ალბათ, ამის მერე ფერნანდო შურს იძიებს! - ამოიოხრა მერიენმა.

- აბა, გაბედოს! 9 თვით კი არა, მთელ ცხოვრებას ციხეში გაატარებს!

- არ ვიცი...

მალე მათი სახლიც გამოჩნდა. შევიდნენ, ამოიოხრეს და მაშინვე დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ.

*

- რა უცნაური მთაა! რატომ არ არის ზედ სიმწვანე? - ეკითხებოდა თავის თავს გონსალო, - უცნაურია! შენ როგორ ფიქრობ, პიტ?

მზე შეუბრალებლად აცხუნებდა. ჩვენს მეგობრებს დასცხათ და დასასვენებლად შეჩერდნენ. გონსალოს ხანდახან გული ეწურებოდა: არ იცოდა, განძი დახვდებოდა თუ ევიშა. ახლაც ასე მოხდა, ჩაფიქრდა და ამოიოხრა.

- პიტ, ძვირფასო, როგორ გგონია, დაგვხვდება განძი თუ ვინმემ უკვე წაიღო?

ირემმა თავისებური ხმა გამოსცა და ფეხები დამსკდარ მიწაზე დააბაკუნა.

- შენ გშია. კარგი, ჩადი ძირს, ჭამე და ამოდი.

პიტტი ჩაბაკუნდა.

“მოდის, აქაურობას კარგად დავათვალიერებ”, - გაიფიქრა ბიჭმა, ადგა და მთას მაღლა აუყვია.

მოშივდა, მოსწყურდა, საგზალი უკვე გამოლოდა. რაც მეტს მიდიოდა, მით უფრო სწყურდა, სცხელოდა და შიოდა.

უეცრად თვალი მოკრა, რომ მაღლა უზარმაზარი ფრინველი დაფრინავდა. კისერზე თოკი ჰქონდა გამობმული. ცოტაც და ფრინველი ძირს დაენარცხა. კონდორი იყო. გონსალო შეკრთა, ხელის კანკალით მიუახლოვდა და დანა მოიმარჯვა. ფრინველი ფრთებს ატყლაშუნებდა. მასაც შეეშინდა, ნისკარტს მიწას სცემდა. ბავშვი ახლოს მივიდა და თოკი მოუშვა, შემდეგ გადაჭრა. კონდორმა მადლობის ნიშნად თავი დახარა და გაფრინდა. გონსალოს კი, თითქოს სახსოვრად, ბუმბულები დაუტოვა.

- ჰეე, - თქვა თავისთვის - კონდორმა არაფერი დამიშავა. სასწაული თუ გინდა, ეს არის. თან ბუმბულებიც მაჩუქა. რა უცნაურია. ეს არასდროს დამავიწყდება. როცა სახლში დავბრუნდები, ამ ამბავს ყველას მოვუთხრობ.

ამ ფიქრებში იყო, როდესაც ცაში კვლავ კონდორს მოჰკრა თვალი, მაგრამ, ის მარტო არ იყო, ვიღაც ეჯდა ზურგზე. გონსალოს გაუკვირდა და უკან დაიხია, შემდეგ კი ჭას ამოეფარა.

კონდორი დაჯდა და გვერდზე გადახარა ფრთა, საიდანაც ლამაზი ინდიელი გოგონა ჩამოვიდა, მაგრამ, რაკი ვერავის მოკრა თვალი, კონდორს ჰკითხა:

- აბა, აქ რისთვის მომიყვანე, ბოსიკადო?

ფრინველი ჭისკენ გაიწია, სადაც ბიჭი იყო. გოგონამ ჭის უკან შეიხედა და გაოცდა, როდესაც გონსალო იხილა.

- გამარჯობა! - გაუღიმა გონსალომ.

- გამარჯობა, შენ ვინ ხარ?

- გონსალო ანტონიო.

- მე კი “ძუ ლომი”.

- ეგ როგორი სახელია?

- ინდიელი! მე ინდიელი გოგონა ვარ. დედა ინდიელი მყავს, მამა - იტალიელი, ამიტომაც ვიცი იტალიური. წამოდი, ესტუმრე ჩემს ტომს.

- სიამოვნებით გესტუმრებოდი, მაგრამ მარტო არ ვარ, ირემიც მყავს. პიტტი ჰქვია. შენი ბოსიკადო კი ამდენს ვერ ასწევს.

- ვერა ხედავ, რამოდენა ფრინველია? წამო, ნულარ აყოვნებ.

ამასობაში პიტიც ამოვიდა. შესხდნენ და გაფრინდნენ.

გონსალოს ეგონა, კონდორს ფრენა გაუჭირდებოდა, მაგრამ ბოსიკადომ გაჭირვების გარეშე მიაღწია დიდ ტყეს. გონსალომ შორიდანვე შენიშნა ცეცხლი, მის გარშემო კი - გრძელი ჯოხები, აქეთ-იქით - საშუალო ზომის ქვები. როდესაც კონდორმა დაშვება დაიწყო, ბიჭმა დაინახა, რომ ტოტები ინდიელები, ხოლო ქვები ქოხები იყო.

- აი, ჩემი ტომიც! - ჩამოხტა „ძუ ლომი“. ინდიელები გაშრნენ, როდესაც უცხო დაინახეს.

- გამარჯობათ! - წაილულლულა გონსალომ.

- ბუმა მემა. ბეედე, აბე დუმა, მუმაბ ბოია! - წარმოთქვა ინდიელების ბელადმა.

- ამბობს, გამარჯობაო. სასიამოვნოა, თქვენი ფეხი ჩვენთანო. თან, კარგად გამოიყურებითო, - უთარგმნა „ძუ ლომმა“, - ჩემი მამა ახლავე მოვა.

ის გაიქცა და ქოხში შევიდა. იქიდან კი ვიღაც მომლიმარ კაცთან ერთად გამოვიდა. კაცმა გონსალოს ხელი გადახვია და თქვა:

- ბუ-ბუ, მუ-მუ, აინუნა, ბოა-ნუნა.

შემდეგ ბიჭს მიესალმა.

- გამარჯობა, გონსალო, მე მერის მამა ვარ, არტური.
- გამარჯობათ, მე გონსალო მქვია, თუმცა, თქვენ ეს უკვე იცით.
- დიახ. წამოდი, ახლა უკვე გიცნობენ. წამოდი, არ გინდა, ნახო ინდიელთა ქოხები?

და გონსალო ქოხების დათვალიერებას შეუდგა. იქაურობა მოეწონა. ქოხები პატარა იყო, ერთი ადამიანისთვის განკუთვნილი. კედლები თიხით ამოყვანათ და ირმის ტყავით დაეფარათ. ყველა კუთხეში თითო დიდი ქვა იდო. შუა ოთახში კი ხის დიდი ქერქი იდგა, დიახ, იდგა, რადგან პატარა ქვეები ჰქონდა შედგმული, ზედ პალმის ფოთლები ეფარა, შუაში ხის ლანგარი იდო, ხილით სავსე, თითო ქოხს ორორი ფანჯარა ჰქონდა. უკანა კარის ზემოთ და წინა კარის გვერდით. ფარდები ქალებს ბუმბულებისგან შეეკერათ. კედლებზე ირმის რქები ეკიდა.

ყველა ქოხი ერთნაირად იყო მოწყობილი. ერთმანეთისგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა. მარტო ბელადის ქოხი იყო დიდი და გამორჩეული. საწოლები ტყავის ჰქონდათ. უბრალოდ, მიწაზე ეფინა გროვებად, ეს იყო და ეს.

სადამოს ყველა ერთად შეიკრიბა დიდი ცეცხლის გარშემო. მოცეკვავეებმა პატარა ნაჯახები მოიმარჯვეს და ცეცხლის გარშემო დაიწყეს ტრიალი. ცოტა მოშორებით მაგიდაზე საჭმელი ეწყო. თუ ვინმეს მოუნდებოდა, ადგებოდა, აიღებდა რამეს და მიირთმევდა. ცეკვის შემდეგ ბელადი ადგა და თქვა:

- ბამბუნა, დე-ლა-ოდე-ამუა ოა-აკუნა მატანა. ოაოა, ბამბუნა ოა აკუნა, ოა-ოაა.

არტურმა გონსალოს უთარგმნა:

- ბამბუნა სახელია. დე-ლა-ოდე-ამუა გვარია. ჰოდა, ამბობს, რომ ბამბუნა დე-ლა-ოდე-ამუა და აკუნა მატანა შეეჯიბრებიანო. ბამბუნა და აკუნა ეჯიბრებიან, ამას ამბობს. იცი, ჩვენ წესად გვაქვს ყოველ ღამეს ჭიდაობა.

მართლაც, ორი მონაწილე გამოვიდა, აკუნას ჭორფლი ეყარა, შავი თმები კულულებად ჩამოსდიოდა. ტილოს ქვედაბოლო მუხლებს უფარავდა. ფეხზე ირმის ტყავის ჩექმები ეცვა. თმებში არწივის ფრთა გაერქო. ასე ოცდაორი წლის ბიჭი იქნებოდა. ბამბუ კი უფროსი იყო, ოცდაათი წლისა, მოწითალო გრძელი დაწნული თმა მხრებზე ამაყად ჩამოეყარა, ტანად დიდი იყო, მკერდი წინ გამოეშვირა, რუმბივით გაბერილიყო.

ისინი ბელადს მიუახლოვდნენ.

- ბუმა, მუმა-ბუმბაა! - თქვა აკუნამ (ეს უკვე გონსალოსთვის გასაგები იყო).

მან ორივეს ფეხზე თოკი მოაბა, შემდეგ ორივე თოკის ბოლო ხეს გამოაბა და ცეცხლთან მივიდა.

- ამანკო, სამუნკო, ჰუმა, ბალანა, იდა ოა-ოა ლეონალე!

- ამბობს, ცეცხლო, გაძლიერდი, გადიდდიო. ახლა შეეჯიბრებიან ერთმანეთსო. - უთარგმნა “მუ ლომმა”.

ბელადმა მუშტი გაშალა და რაღაც მარცვალი შეაგდო აბრიალებულ ცეცხლში, შემდეგ მონაწილეებს დანები დაურიგა და დაითვალა:

- ელე, ბელე, ოა კელე! - და მოჭიდავეები ერთმანეთს ეცნენ დანებით ხელში.

აკუნა ბამბუზე მოქნილი იყო. ცდილობდა უკნიდან მოხტომოდა და წაექცია, ამას კი მშვენივრად მოახერხებდა, რომ არა ბამბუს ტლანქი სხეული. ის არ წაიქცეოდა, თუ ფეხებზე არ მოეჭიდებოდა, თანაც ბამბუ ბრმა ხომ არ იყო. ის გულხელდაკრეფილი იდგა და აკუნას ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა. ბოლოს აკუნამ გაბედა და ფეხებზე ხელი სტაცა, მაგრამ ბამბუმ ხელი ჰკრა და წააქცია.

- ნეო, ნეო, ომაა ბამბუ, ომაა ბამბუ! - ყვიროდნენ მაყურებლები.

- ყვირიან: წააგო, წააგო, გაიმარჯვა ბამბუმ, გაიმარჯვა ბამბუმო! - უთარგმნა ანტუანმა.

ბელადმა გამარჯვებული ირმის რქით დააჯილდოვა.

ამის შემდეგ ყველანი ქოხებისკენ გაემართნენ. რო-დესაც გონსალო მისთვის მიჩენილ ბინაში შევიდა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს პაპისეული კერა ეძახდა, კვნესოდა, დახმარებას სთხოვდა.

ბიჭმა ერთი კი გადადგა ნაბიჯი კარისკენ, მაგრამ ისევ უკან დაბრუნდა, გულზე მჯილი დაიდო და ჩაწვა.

გარეთ ცეცხლი ხრჩოლავდა. ბუ კიოდა, ნაცრისფერი ღრუბლები მთვარეს მალავდნენ და ფიქრები თანდათან სიღრმეს იძენდნენ.

*

გადიოდა დრო, წლები ქარივით მიქროდნენ. ელიუსი ორმოცდაექვსი წლის იყო. ანტუან დე სენტ ეგზიუპერს ძალიან უნდოდა ჩაეწერა ყველაფერი, მაგრამ ფურცელი არ ჰქონდა, ამიტომაც გადაწყვიტა, კარგად დაემახსოვრებინა მომხდარი. ელიუსი უმეტეს დროს პატარა სეფექალთან ატარებდა. და აი, წამოიზარდა გოგონა, შესრულდა ხუთი წლისა, ღია თმები ბოლოებში უკუღმობოდა, თეთრი ბავშვი იყო, წითელლოყება, ფეხის ტერფები დედამისივით ვარდისფერი ჰქონდა. თეთრი, ქათქათა კბილები ლამაზად ჩაწიკწიკებოდა. იყო ნიჭიერი, ლამაზი, ხატავდა ლამაზად. ყოველმხრივ შემკული და დაჯილდოებული იყო.

როდესაც მეფის ამაღლა გზას მიუყვებოდა, ელიუსი ელიზას ყვავილებს უკრეფდა. როდესაც მეფის ამაღლა ისვენებდა, ისინი თამაშობდნენ. როდესაც მეფის ამაღლა ფეხზე იდგა, ელიუსს და ელიზას ეძინათ, დაფრინავდნენ სიზმრებში...

ელიუსს არაფერი აღონებდა, ელიზას კი მოსმენა უყვარდა.

ღამით ის და ელიუსი ცეცხლის პირას ისხდნენ და ელიუსი მას კოსმოსზე უყვებოდა.

ელიზა განაბული უსმენდა, უსვამდა შეკითხვებს და შემდეგ სიზმრის კოსმოსში დაფრინავდა.

შეიძლება იკითხოთ, თუ რატომ მოანდომეს მათ ამდენი დრო გზის გავლას, მაგრამ ისინი ყოველ კილომეტრს ხუთ საათში ფარავდნენ. თანაც, ხანდახან, ერთი კვირაც ბანაკდებოდნენ.

ერთ მშვენიერ დილას, როდესაც მზემ მთის წვერს კამკაშა შუქი მოჰფინა, მეფის ამაღლა დაიძრა. რუკის მეშვეობით ისინი გზას განაგრძობდნენ. ელიზა ტყის პირას დარბოდა და ყვავილებს ეძებდა. ცხელოდა, აუტანლად აცხუნებდა მზე. ელიუსი ელიზას უკნიდან მიეპარა და:

- ბუმ! ელიზა, მოდი, დამიჭირე!

ელიზა მოტრიალდა, გადაიკისკისა და გაედევნა გაქცეულ “ყაჩაღს”.

- ბახ! ბახ! - გამოსახა თითებისგან თოფი გოგონამ, - არ გაუშვათ, დაიჭირეთ! - ბახ, ბახ, ბახ!

ელიუსი წაიქცა.

- აა, მიშველეთ, დამჭრეს... აააა...

შემდეგ წამოხტა და გაიქცა.

ასე თამაშობდნენ მთელი გზა. ბოლოს, საუზმობის დრო რომ დადგა, ელიზა ელიუსთან მივიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ელიუსი ადგა და გაჰყვა. როდესაც ტყის პირს მიუახლოვდნენ, ელიზამ უთხრა:

- ელიუს, მე შენ ძალიან მიყვარხარ, პატივისცემის ნიშნად მინდა, რომ ერთად ვისაუზნოთ ჩემს გაწყობილ სუფრასთან.

მან თავი დაღუნა, გაწითლდა და თან ფეხსაცმლით მიწის ჩხაპნა დაიწყო.

ელიუსმა ხელი მოჰკიდა:

- ჩემო ელიზა, შენ ძალიან კარგი გოგო ხარ, მაგრამ მაგიდას რომ ვერ ვხედავ?
- მაშ, გინდა, რომ ერთად ვისაუზმოთ?
- დიახ, მაგრამ...

ელიზამ ხელი სტაცა და ტყისკენ გააქანა, სადაც ხის მაგიდა იდგა, გარშემო ორი სკამი, გადასაფარებელი ჩითის იყო, ზედ იდო ლორი, ღვინო, აუარებელი პუდინგი, ჩაი, პუდრამოყრილი ფუნთუშები, ქაღები, შემწვარი, პირში ვაშლგაჩრილი გოჭი, ხილი, ნამცხვარი, რძე, მეფის სამი სადღესასწაულო სანთელი და ჭიქები, აგრეთვე თეფშები და დანა-ჩანგალი.

ისინი დასხდნენ. ელიზამ ღვინო დაუსხა. ელიუსმა დალია და თვალი გააშტერა.

- ელიუს, ელიუს, რა ხდება?

ელიუსი გამოფხიზლდა:

- ბატონო?
- რა მოხდა?
- არაფერი, განა რამე უნდა მომხდარიყო?
- არა... უბრალოდ, გამიკვირდა... იცი... არა, არაფერი... მოდი, რამე მომიყევი.

ელიუსი ჩაფიქრდა.

- გინდა, ჩემს ოჯახზე მოგიყვე?
- კი.

და ელიუსმა დაიწყო:

- ელიზა, მე მაქვს პაპისეული სახლი, უფრო სწორად, მე სხვაგან, ჩემს აშენებულ პლანეტაში ვც... ვმუშაობდი და პაპის სახლში ვჭამდი...

- განა პლანეტის აშენება შესაძლებელია?

- განა ბუნებრივი, არა, სახლი! ჰო, მყავს ბებია, ბაბუა, მამა, დედა... შეიძლება ბაბუა, დედა და ბებო უკვე გარდაიცვალნენ... თუმცა, რა ვიცი. ელიზა, ბებო გყავს?

- არა მგონია. დედა მეუბნება, შენი ორი ბებო ზეციდან გიყურებსო.

- მოკლედ, მე მყავს ან მყავდა. ბებკინს არასდროს ვუყვარდი, და არა მგონია, როდისმე გული მოიბრუნოს... იცი, როგორი გულდაწყვეტილი ვარ! მე... მე... ეჰ, ძნელია ცხოვრება.

- მართლა? კი, მაგრამ...

- ოი, სულელი ვარ, რა თემაზე გელაპარაკები ჯერ კიდევ ხუთი წლის ბავშვს. მაპატიე, დაივიწყე ყოველივე, რაც გითხარი.

მოდი, გავისეირნოთ,
ყვავილები დაყნოსე.
დაივიწყე ნათქვამი,
ცას ახედე - მაღლა მზეს.
გაგიქრება წუხილი,
ლილისფერი ღრუბლები
სად მიქრიან ნეტავი?
წამო, ერთად გავიგოთ,
გადვირბინოთ მთა-ველი.
ყველაფერი დაივიწყე,
დიდხანს ნუ შეყოვნდები.
ყველაფერი ტყუილია,
დიდხანს ნუ ჩაფიქრდები.

მათ გაისეირნეს ტყეში. ელიუსმა ელიზას ყვავილები დაუკრიფა. ითამაშეს, იცეკვეს და დადლილები კვლავ მაგიდას მიუსხდნენ. ელიუსი ჩაფიქრდა და მან გოგონას შეხედა.

- იცი, ელიზა, რომ ძალიან მეძნელება?

- რა გეძნელება?

- როდესაც მეფის სასახლეში დაბრუნდები, მე აღარ გეყოლები, შენ კი მე აღარ მეყოლები, ხომ ხვდები? მე იტალიაში ვიცხოვრებ და არა ინგლისში.

- აბა, ინგლისური რომ იცი?! - გაუკვირდა ელიზას.

- ეჰ, მე ექვსი ენა ვიცი! ფრანგული, გერმანული, ესპანური, ინგლისური, რუსული და იტალიური თავისთავად.

- ვერა, მე ვერ დაგშორდები.

ელიუსმა არა უპასუხა რა, მხოლოდ მადლობა გადაუხადა საუზმისათვის:

- გმადლობ, ელიზა, ახლა წავიდეთ. ალბათ, მეფე უკვე დაიძრა.

ისინი კვლავ დაბრუნდნენ.

- სად იყავით? - იკითხა მეფემ.

- ტყეში გავისეირნეთ. ყვავილები დავკრიფეთ! - უპასუხა ელიუსმა.

და მათ გზა განაგრძეს... ინგლისისაკენ.

*

ცხოვრობდა ბებკინი განმარტოებით, თუმცა მორჯულებას სულ არ ცდილობდა. მისი ჭკუით, ასე უფრო კარგად იქცეოდა. ბევრჯერ უცდია ამ ოთახიდან გამოპარვა, მაგრამ, ასეთი ცდებისთვის ყოველთვის სჯიდნენ და დესერტის ნაცვლად წამლები მიჰქონდათ, რაც ყველაზე ძალიან არ მოსწონდა, და აი, ერთხელაც გეგმა შეიმუშავა.

ერთ დღეს, როდესაც ექთანი შემოვიდა, იგი აყვირდა:

- მიშველეთ, ტვინი მიჭერს, ცუდად ვარ!

ექთანმა ექიმს დაუმახა, ექიმი დირექტორთან ავარდა.

- ვაი, უი, ახლა ეს დამთხვეული რომ მოკვდეს, ხომ ამოვყოფთ ციხეში თავს! შენ შემოგველე, წამოდი, მიშველე რამე, თორემ დავიღუპე!

დირექტორი ჩამოვიდა სასწრაფოდ, ყოველი კაბინეტიდან ექთან-ექიმები გამოცვივდნენ.

ბებკინის საწოლი ფანჯრის წინ იდგა, ასე რომ, სანამ ექიმები შემოცვივდებოდნენ და ექთანი თავში ხელების ცემას მორჩებოდა, იგი ფანჯრიდან გადახტა და გაიქცა.

ყველა მიხვდა საქმის ვითარებას, სასწრაფოდ პოლიციელები დაადევნეს.

ბებკინი შეუსვენებლივ გარბოდა, წიოდა, კიოდა, ხარხარებდა. ამასობაში მართლა ასტკივდა თავი, შორიდანვე დაინახა თავისი ქმრის სახლი (ელიუსის ბაბუის). “აი, სულ ცოტაც დამაცადეთ, სროლას ხომ ვერ გაბედავთ!” მან ქვა აიღო და უკან ისროლა. ერთ პოლიციელს ხელში მოხვდა და აყვირდა:

- აი, შე დედაკაცო, ვაი შენი ბრალი, თუ დაგიჭირე!

- ვერ დამიჭერ, ხა, ხა, ხა!

ფეხებიდან სისხლი სდიოდა, ფეხშიშველა იყო, შემინებული გამვლელები გზას უთმობდნენ, როგორც ცირკიდან გამოქცეულ, გამძვინვარებულ ლომს.

აჰა, ერთი მეტრი დარჩა და ის სახლში შევარდა. ისე სწრაფად, რომ მერიენს ლომი ეგონა, ისე კი ჰგავდა ლომს სტაფილოსფერი პერანგით და აწეწილი თმებით. მოკლედ, საწოლქვეშ შეგორდა. ატეხა მერიენმა ერთი ვაიუშველებელი.

- სალკროკ, მიშველეთ, ლომი!

- სად, სად?! - გამოვარდა სასადილოდან სალკროკი.
 - საწოლქვეშ! - აკვილდა მერიენი და მაგიდაზე ახტა.
 სალკროკმა ჯოხი მოიმარჯვა და შეიხედა.
 - ჰე-ჰერი... ამ ქალს აქ რა უნდა? ბებკინ, წადი შენს ბინაში.
 - კიდეც, კიდეც რა?
 ამასობაში პოლიციელებმაც მოირბინეს.
 - სად არის, სად? აი, ე... სალკროკ, კაცო, შენთან არის! განა, არ იცი?
 - ვიცი, ლეონარდო, ეს ქაჯი ხომ ჩემი დედაა!
 - კი, ასეა. თუმცა, მოგვიწევს ჩვენი საქმის სისრულეში მოყვანა. იქ ისეთი ამბები დაატრიალა!
 - მოიცა, მოიცა, ასე არ გამოვა! იქნებ, ცოტა მორჯულდა?
 - არავითარი... არაფერი დასტყობია! გამიგონე, ეგ ქალი გიჟია!
 ლეონარდომ ახლავდა შეამჩნია მერიენი, რომელიც კუთხეში ატუზულიყო. ის მერიენს მიესალმა.
 - აა, მისის მერიენ, რა აზრის ბრძანდებით?
 მერიენი ჩაფიქრდა და თქვა:
 - იცით, სენიორ ლეონარდო, მართალია, ბებკინი ჩვენ მოვიყვანეთ ჭკუათხელთა ბანაკში, მაგრამ, ცოდვავა, ისიც ადამიანია, ვპატიობ უპატიებელს... დაე, დარჩეს ამ სახლში, აქ კვლავ ასე იქნება.
 - კი, მაგრამ...
 - მერიენი მართალია!
 - მაშ კარგი, ასე იყოს! - თქვა ლეონარდომ და რაზმი უკან გაბრუნდა.
 და აი, მერიენის სიტყვებზე სასწაული მოხდა, ბებკინს გული მოუღება, მოინანია თავისი საქციელი, მაგრამ რაღას უშველიდა ელიუსს? მოდიოდნენ მეზობლები, მოჰქონდათ ტკბილეული, რაც ასე ენატრებოდა ბებკინს “წამების სახლში”.

*

ელიუსის სახლი არავის დაუნგრევია, იქ ჩასახლებული ღარიბები სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად. მაშინ სალკროკი შევიდა და იქაურობა გაასუფთავა, მხოლოდ აბლაბუდის ნაჭრები დატოვა, რათა მნახველებზე მეტი შთაბეჭდილება დაეტოვებინა.

მართლაც, ხალხმა იწყო აქ მოსვლა. იხდიდა ფულს, რომ შიგნიდან ჯერ არავისთვის ნახული სახლი ენახა. ჭკვიანმა ხალხმა მოუხშირა იქ სიარულს, რათა წაეკითხა ჯერ არწაკითხული წიგნები კოსმოსზე.

სალკროკი კი ამით ფულს აკეთებდა და მალე პატარა სახელოსნო გახსნა, სადაც ის დურგლობდა, თლიდა ფიგურებს, აკეთებდა ავეჯს. ბევრს ჭადრაკის ფიგურა აკლდა, ბევრს ხის სუვენირის შექმნა უნდოდა.

და ამ ოჯახის საქმე კარგად წავიდა. არაფერი აკლდათ. თანაც, რადგან ბებკინი მორჯულდა, სახლი მუდამ დაწვრიალებული ჰქონდათ. დღე და ღამ მუხლჩაუხრელად ფუსფუსებდა ეს ქალი, ოფლს ღვრიდა, ეხმარებოდა მერიენს, გვიდა ეზოს, ხანდახან ელიუსის სახლშიც (უკვე მუზეუმში) იყო სტუმრების მიმღები. მაგრამ ბოლო დროს ავადმყოფობამ დარია ხელი. დღითიდღე უფერულდებოდა, დნებოდა, თვალეები დაეკლო, ფეხი დაუწყლოვდა. თან დარდობდა, რცხვენოდა, რაც მან ჩაიდინა: საკუთარი შვილიშვილი დაღუპა.

გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, მაგრამ არ იმჩნევდა. არ უნდოდა მიწა, მაგრამ გამჩენი თავისას მოითხოვდა, იზიდავდა. და ერთხელაც, ზუსტად თავისივე დაბადების დღეს, გარდაიცვალა. დარეკა გლოვის ზარმა, შეკრეს კუბო და... სასაფლაოს კიდევ ერთი ქვა შეემატა.

სანამ ორმოცი დღე გაილეოდა, სალკროკი, მერიენი, მისი და ელენი, მისი ამხანაგები ლოცულობდნენ. და აი, ეს სამგლოვიარო დღეები ამოიწურა. ქელეხის გადახდის დროც დადგა.

ორშაბათ დილა გათენდა.

მერიენი ადგა და სამზარეულოში გავიდა. სანამ სალკროკი ადგებოდა, მარტო ყავის დალევა სიამოვნებდა. სკამზე ჩამოჯდა, ამოიოხრა და ჩაფიქრდა:

“დღეს ქელეხია, ეზოში გავშლი სუფრას, დიდს ვერაფერს გავაკეთებ, ნამცხვარს გამოვაცხობ, გოჭს შევწვავ, ქათმის ფლავს გავაკეთებ, კარტოფილის მაჭკატებს, ბლინებს, ხილს დავდებ, ძეხვს ვიყიდი, შამპანიურს და ღვინოს. მეტი რა. არც ისე ღარიბული გეგმაა“.

ყავა მოწრუპა და უეცრად დანალვლიანდა. „ხუთი წელია, ჩემი ბიჭი რაც წავიდა, ალბათ უკვე დაიღუპა. თუ გადარჩა, ის ახლა 15 წლის იქნება. მე ხომ ათი წლისა გავუშვი! რა ცუდად მოვიქეცი! ამისთვის ღმერთი დამსჯის. უფალო, გთხოვ, ცოცხალი დამიბრუნე, ნუ გამწირავ...“

სამზარეულოში სალკროკი შემოვიდა.

- დილა მშვიდობისა, მერიენ!

- მშვიდობა ნუ მოგაკლოთ უფალმა! - მან კედლის საათს შეხედა, შვიდის ნახევარი იყო.

- რა ადრეა, - თქვა და წამოდგა ნამცხვრის გამოსაცხობად.

- სალკროკ, გოჭი დამიკალი?! - სთხოვა მან მამამთილს. სალკროკმა დანა აიღო და საღორისკენ გასწია. სულ ცოტა ხანში მოისმა გოჭის ჭყვიტინი. მერიენს გული შეეკუმშა და ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ამის გამო დანაშაულში არ ჩავარდებოდნენ.

ასეთი რამ სხვა დროს არ უფიქრია, მაგრამ ახლა გონსალოზე ფიქრით უფრო იყო განერვიულებული.

თავის დასამშვიდებლად მან რადიო ჩართო, ატრიალა სახელური და ბოლოს გაჩერდა.

- ყურადღება, ყურადღება: ატლანტის ოკეანეში ჩაეშვა ამოუცნობი წითელი თვალი. ის ყოველ ხუთ საათში ერთხელ ჩერდებოდა (სხვადასხვა დროს). მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს წითელი თვალი უცხოპლანეტელთა ხომალდია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ აეჭვებთ, რადგან ასეთი შემთხვევა ჯერ არსად იცინა. უსმინეთ მისის იზისს:

“ქალბატონებო და ბატონებო! როგორც იცით, ამოუცნობი წითელი თვალი ჩაეშვა ატლანტის ოკეანეში და ამ წუთებში ობსერვატორიიდან მივიღეთ ცნობა, რომ ამ ფაქტმა გამოიწვია მიწისძვრა და მიმდებარე ადგილებში ხანძარიც. ცოტა დამაეჭვებელია, მაგრამ მეცნიერებს მაინც უცხოპლანეტელთა ხომალდი გვგონია. დიახ, მეტი სათქმელი არაფერი მაქვს”.

- თქვენ უკვე მოუსმინეთ მისის იზისს. ახლა ვნახოთ, რას ფიქრობენ ექიმები. ექიმი მარკუსი ამბობს, რომ ეს იშვიათი მოვლენაა, ამ დროს იბადება ბავშვი, რომელიც შემდეგ ისეთ რამეს ნახავს, რაც სასწაულია.

მოისმინა მერიენმა ეს და გონსალო გაახსენდა, შეეშინდა, აკანკალდა.

ამასობაში სალკროკმა საქმე მოათავა, შევიდა სახლში და:

- მერიენ, რა მოხდა?

ქალმა ყველაფერი უამბო.

- არ იდარდო, შენი შვილი დაბრუნდება! - შეეცადა მის გამხნევენას სალკროკი.

მერიენმა ღუმელში შეიხედა, საიდანაც ოქროსფრად დაბრაწული ნამცხვარი ეძახდა, მაგრამ მერიენმა მეორე მხარეს გადააბრუნა და ღუმლის კარი დახურა, ოფლი მოიწმინდა და გოჭის გამოშინვას შეუდგა. შემდეგ გაჭრილი ადგილი გაკერა და ღუმლის მეორე ნაწილში შედო, თვითონ კი სკამს ჩამოეყრდნო და ჩაეძინა.

*

გონსალომ გაიღვიძა.

მზემ მის ქოხს ნათელი მოჰფინა.

ბიჭი წამოდგა, გაიხედა გარეთ, ინდიელი ბიჭები თამაშობდნენ, ყვიროდნენ და ერთმანეთს დასდევდნენ...

როგორც ჩანდა, უფროსებს ჯერ კიდევ ეძინათ. ყოველ შემთხვევაში, ორი-სამი ძიძის მეტი არავინ იყო იქ უფროსი.

გონსალომ ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

“ძუ ლომმა” მიირბინა.

- დილა მშვიდობისა!

- ღმერთმა მშვიდობით გაგატარებინოს ეს დილა!

- გაიღვიძა ბელადმა? - ჰკითხა გონსალომ.

- არა. წამოდი, ვითამაშოთ!

ბავშვებმა გონსალომ რომ დაინახეს, დაიძახეს:

- სელიმ, სელიმ!

- იო სელიმ ნუა, იო სელიმ. ნულა, ნულა! - უპასუხა გონსალომ, რაც ნიშნავდა, - აგრეთვე, მშვიდობა თქვენცო.

შემდეგ მათ დაჭერობანა შესთავაზეს და ბიჭიც დაეთანხმა.

- ოლე მიატო, ოლე ჰე! - აყვირდნენ ბავშვები და გაიქცნენ. ოლე მათ გამოეკიდა.

გონსალომ სირბილში ინდიელი ბავშვებივით გავარჯიშებული არ იყო, ამიტომ ნელა დარბოდა. ოლე ექვსი წლის იყო, ცდილობდა გონსალოს სისუსტით ესარგებლა და მას გამოეკიდა. ჰა, რაღა დარჩა, ის იყო სტაცა ხელი, რომ ოლე წაიქცა, ვეღარ წამოდგა. ბავშვები მიუახლოვდნენ. ოლე ტიროდა, მუხლი გადაყვლეფოდა და სისხლი ყაყაჩოსფრად დასდიოდა.

- ძიო, ძიო! - დაიძახა “ძუ ლომმა”.

ინდიელმა ძიძამ მოირბინა, წითელი თმა მხრებზე ჩამოშლოდა, ვარდისფერკოპლებიანი კაბა საკერებლებით ჰქონდა აჭრელებული. ლეო რომ დაინახა, შეეშინდა. აიყვანა ხელში, დაუყვავა, წაუსვა წამალი, ფეხი შეუხვია და დააწვინა.

მაღე მას სისხლი შეუჩერდა და კვლავ გამხიარულდა...

შუადღე იყო, გონსალომ ქვაზე ჩამომჯდარიყო, ჩასცქეროდა მიწას და ფიქრობდა: „განძის პოვნა კი მინდა, მაგრამ, ჩემი ოჯახი?! აგერ უკვე თხუთმეტი წლის ვარ და სახლი არც კი მახსოვს, სირცხვილი! მგონი, მხოლოდ დედაჩემი დამამახსოვრდა: ყავისფერთვალემა, ქათქათა კანით, შავი თმით, წითელტუჩება (ვარდსაც კი შემწურდებოდა), ვარდისფერი ლოყებით, ნაზი ხმით, რომელიც პატარაობისას ძილში ნანას მიმღეროდა. მისი ღიმილი.... მახსოვს, როგორ ველოდებოდი. მიუჯდებოდა პიანინოს, ასწევდა ჰაეროვან თითებს და ჩასვამდა კლავიშში. უკრავდა იავნანას... უკრავდა და მეც ვთვლემდი. ნელ-ნელა შევდიოდი ძილის სამყაროში და იქაც კი დედას ვხედავდი...“

მაგრამ უეცრად, მისდა უნებურად, ფიქრი სხვა საგანზე გადაიტანა. დროს ვკარგავ, გზა უნდა განვაგრძო, განძი ვიპოვო და სახლში დავბრუნდეო, თქვა და შეასრულა კიდეც: საღამოს გამოსამშვიდობებელი წვეულება გაიმართა.

დიდი ცეცხლი გაჩაღდა, ყმაწვილმა ინდიელმა ვაჟებმა ინდაურები მოინადირეს, გოგონებმა გაპუტეს, დაჭრეს, წამოაგეს სარებზე და კოცონი ააბრიალეს. შემდეგ მოამზადეს ქოქოსის რძის წვნიანი, ბალახის ჩაი, ხილი, კენკრა, თევზი... ხეებზე ჩირაღდნები მიამაგრეს, მოიტანეს ქვები და სკამების ნაცვლად დააწყვეს ცეცხლის ირგვლივ.

წვეულება საღამოს ცხრა საათზე უნდა დაწყებულიყო და, აი, ბელადი მობრძანდა, გვერდით მსახური ედგა და პალმის ფოთოლს უნიავებდა.

დაიწყო წვეულება, დოლები აგუგუნდა, დაფდაფებმა ხმა შეუწყვეს დოლების გუგუნს...

მოცეკვავე ქალები ცეცხლის გარშემო ტრიალებდნენ, იცინოდნენ და თავიანთ ენაზე რაღაცეებს იძახდნენ. პიტი ფეხებს სიამოვნებით აბაკუნებდა, როდესაც რომელიმე ბავშვი ტკბილეულს სთავაზობდა. გონსალოს ქოქოსის რძის წვნიანი არასდროს ეგემა და ახლა, როდესაც ნახა, რაც იყო, გადაიფიქრა, რომ შინდაბრუნებულს დედისთვის ესწავლებინა. „ძუ ლომი“ მის გვერდით იჯდა და ეკითხებოდა, რა მიეწოდებინა მისთვის.

თქვენთვის უკვე ნაცნობია ინდიელების წესი, მაგრამ ახლა გონსალოს პატივსაცემად ბავშვები დაეჭიდნენ ერთმანეთს. მათ შორის გონსალოც. მაშ, ასე, საჭიდაოდ გამოვიდნენ გონსალო და ერთი ინდიელი ბავშვი, რომელიც ორი წლით უფროსი იყო: მაღალი, მხარბეჭიანი. შუბლი წინ წამოწოდა, კუპრისფერი ნაწნავი მხარზე ამყად გადმოეგდო, ტილოს ნაცრისფერი ქვედაბოლო უკვე გახუნებოდა, ფეხზე ვეფხის ტყავის ფეხსაცმელები ეცვა, თმებში არწივის ფრთა გაერჭო.

გონსალომ იცოდა მისი სახელი: რინდა. არტურისაგან

იცოდა, რომ ეს ბიჭი ჭიდაობაში საუკეთესო იყო და, ამიტომაც, სულ არ ეპიტნავა გონსალოს ის, რომ მას უნდა დაჭიდებოდა. წასვლის წინ სულ არ უნდოდა, თავი დამარცხებით ესახელებინა. მაგრამ რა უნდა ექნა, უარს ხომ ვერ იტყოდა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ბელადმა ორივეს ფეხზე თოკი მოაბა და ყოველგვარი დანების გარეშე გასცა ბრძანება:

- უდეს! (რაც ნიშნავდა: “დაიწყეთ!”).

გონსალო ცდილობდა, უკნიდან მიპარვოდა, მაგრამ, თითქოს რინდას კეფაზეც კი თვალები ჰქონდა, შემობრუნდებოდა და უთაქებდა ხოლმე, თან ცდილობდა, რომ თვალში არ მოერტყა სტუმრისთვის (ეს კი კარგად გამოსდიოდა).

გონსალომ ძალა მოიკრიბა და ფეხზე ეცა, რინდა ცოტა კი წატორტმანდა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და ხელი ჰკრა მუცელზე.

გონსალო დაეცა, თუმცა, მაშინვე წამოხტა, გაცოფებულივით გაქანდა მისკენ, რინდა კი ვითომც აქ არაფერიო, განზე გადგა და გონსალო ხეს დაეჯახა, რის შედეგადაც კოპი დააჯდა. თავბრუ ეხვეოდა, “ძუ ლომს” ხან ხეზე ხედავდა, ხან ცეცხლში... წამოდგა, მოუხმო ძალებს და გიჟვით გაექანა მისკენ. რინდა ისევ განზე გახტა, მაგრამ გონსალო სანამ მიუახლოვდებოდა, სიჩქარეს უკლო, გეზი შეცვალა და... სირცხვილო, რინდა მიწაზე გაიშოტა. მაყურებლები გაოცდნენ, ეს რომ დაინახეს. ხუმრობა საქმე როდია, გონსალომ ჭიდაობის ამ გოლიათზე გაიმარჯვა. ბელადმა მას ირმის რქები გადასცა .

დიდხანს იქეიფეს და ბოლოს წვეულება დასრულდა, გონსალო ყველას გამოემშვიდობა და დასაძინებლად წავიდა.

*

სანამ გონსალოს ამბავს ვცვებოდით, ამასობაში ბებკინის ქელები მიმდინარეობდა.

მერიენმა სუფრა ეზოში გაშალა. დააწყო ნუგბარი. სულო და გულო, რაც იქ ეწყო: გოჭი და ქათამი გინდა, ფლავი გინდა, ნამცხვარი, მაჭკატები, ძეხვი და ა. შ.

სტუმრები საღამოს უნდა მოსულიყვნენ.

მოსადამოვდა.

მზე მთებს მიეფარა, ცის კამარა გაწითლდა, აქა-იქ ნარინჯისფერი დაკრავდა. ღრუბლები ქარს დაჰყვებოდნენ. ლილისფერი მთები ერთმანეთისკენ გადახრილიყვნენ.

ნელ-ნელა სტუმრებიც მოგროვდნენ და სუფრასთან დასხდნენ. მხოლოდ ელიუსის ორი მოწმედ აყვანილი მეზობელი და ლიზა, ბებკინის და, არ მოვიდნენ. მიირთმევდნენ და ბებკინს იხსენებდნენ, სალკროკის დარდს იზიარებდნენ და ერთმანეთსაც ეჭორავებოდნენ. მაგრამ ამ ქელებს ბებკინის მეგობარი აკლდა, რომელმაც მოსვლა ვერ შეძლო, რადგან ფეხი იღრმო.

ჰოდა, მერიენმა გადაწყვიტა, მისთვის დაერეკა.

ყურმილი მისმა ქმარმა, რიკარდო ლერდენმა აიღო.

- გისმენთ.

- ბატონო რიკარდო, გამარჯობა!

- აჰ, მერი, ეს თქვენ ხართ? როგორ ბრძანდებით?

- კარგად, გმადლობთ. მისის მარია როგორ არის?

- ამ დროისთვის კარგად. დაგალაპარაკოთ?

- თუ შეიძლება.

რიკარდომ ყურმილი მარიას გადასცა.

ქალებმა ერთმანეთი მოიკითხეს და სიტყვა ბებკინზე ჩამოაგდეს.

- მერიენ, ჩემი მეგობარი ხომ მშვიდად გარდაიცვალა?

- დიახ, თან გამოსწორდა, იცი....

- ვიცი, მითხრეს, რომ შენი დამსახურებაა. დიდად გამიხარდა, ეს რომ გავიგე, შენი მადლობელი ვარ.

- აჰ, არაფერია. სალკროკი ხომ არ დაგალაპარაკო?

- დიახ, ვანუგეშებ.

მერიენი სტუმრებთან დაბრუნდა, სალკროკი კი სასაუბროდ სახლში შევიდა.

მოსულებს ღვინო ესიამოვნათ და კაცებს ცოტა მეტი მოუვიდათ, რაც შეხარხოშებაში გადაიზარდა.

ერთი სტუმარი მამაკაცი, ბებკინის ერთ-ერთი მეგობარი, წამოდგა და იტალიის ჰიმნი წამოიწყო. მას სხვებიც აჰყვნენ და საერთო მხიარულება შექმნეს. იცინოდნენ, ხარობდნენ, მღეროდნენ, ხმაურობდნენ და ზოგს ისიც კი დაავიწყდა, თუ რისთვის იყო აქ მოსული.

სალკროკი აღშფოთდა, აგზნებულ სენიორებს ვეღარ ამშვიდებდა, გაცეხული ქალები მეუღლეებს წესიერად მოქცევას სთხოვდნენ. ასეთი რამ იტალიაში ქელებზე ჯერ არ ახსოვდათ. მაგრამ როდესაც ბებკინის ნათესავმა თავის ცოლს თავში წაჰკრა, მერიენმა მაშინვე პოლიცია გამოიძახა და გაგიჟებული კაცები წააყვანინა. განა ყველა, არა! ზოგიერთები არ დამთვრალიყვნენ, მაგრამ დაღლილები იყვნენ და ისინიც წავიდნენ. ასე რომ, ქელები დასრულდა.

მოქანცულმა მერიენმა ძლივსძლივობით აალაგა სუფრა და მკვდარივით ჩაეძინა.

ცაზე კი ვარსკვლავები ციმციმებდნენ და მთვარე გზას უნათებდა მომავლისაკენ ხალხს.

*

გათენდა.

მეფე კვლავ გზას განაგრძობდა ინგლისისაკენ. იგი ვარაუდობდა, რომ თუ სწრაფად ივლიდნენ, ორ დღეში მიაღწევდნენ ინგლისის საზღვარს. მაგრამ, აბა, სწრაფად როგორ ივლიდნენ? უნდა ესაუზმათ, ესადილათ, ევახშმათ, დაეძინათ, დროდადრო დაესვენათ კიდევ.

ასე ერთი კვირა მაინც მოუხდებოდნენ.

მეფემ ელიუსს უთხრა, რომ სამეფო ეტლი ღამით, მგზავრობისას, დაუზიანდათ. ელიუსმა კი შესთავაზა, რომ ეცადათ და ეტლი შეეკეთებინათ.

მეფე დათანხმდა და ელიუსმა ეტლის შეკეთება დაიწყო. მუშაობდა თავაუღებლად, მეფის მსახურები და მისი მეგობარი ანტუნ დე სენტ ეგზიუპერი ფიცრებს ამზადებდნენ. ორ დღეში ეტლი მზად იყო, მაგრამ, იმხელა, რომ მთელი ამაღა ჩასხდებოდა. მეფეს და ხუთ დიდებულს ჰყავდათ ცხენები, და აი, ერთ მშვენიერ დღეს ექვსი ცხენშებმული ხის ეტლი დაიძრა.

- ელიუს, გენიალურია, ახლა ჩვენ ხომ სულ რაღაც ორ დღეში მივალწევთ ინგლისს! დიდი მადლობა! როდესაც ჩემს სამშობლოში დავბრუნდები, მთხოვე რაც გენდომება და შეგისრულებ! - შეაქო ჩარლზმა ელიუსი.

სანამ მოსაღამოვდებოდა, მთელი ამ ხნის მანძილზე, ანტუნ დე სენტ ეგზიუპერს ხმა არ ამოუღია.

როდესაც ვახშობის დრო დადგა, ელიუსმა ცალკე გაიყვანა მეგობარი და ჰკითხა:

- რაზე იყავი ჩაფიქრებული? მომეჩვენა, თითქოს, რაღაცაზე დარდობდი. გამიმხილე, მე ხომ შენი მეგობარი ვარ.

- არ ვდარდობდი, ელიუს, შენ ამდენი რამ გააკეთე და

მე ჯერ არაფერი განსაკუთრებული არ ჩამიდენია. გამიგონე, მეფის გულის მოგება მინდა, მაგრამ, არ გამომდის...

- მოესწრები, ყველაფერს მოესწრები, ოღონდ თავის დროზე.

- იმედია!.. - თქვა ანტუნმა და დასაძინებლად წავიდა.

ელიუსმა ეს სიტყვა რამდენჯერმე გაიმეორა, ამოიოხრა და გაიფიქრა:

- უცნაური კაცია, ორმოცდახუთი წლისაა და ასე ბავშვობს. პატარებმა იციან ყველაფერზე დარდობა. არა უშავს, თავის დროზე ისიც მოახდენს რაიმე განსაკუთრებულს და მერე ჩემს ნათქვამს გავახსენებ.

- ელიუს, მოდი გამართე! - დაუძახა ელიუსამ და ელიუსს მოეჩვენა, თითქოს ვარსკვლავებით გაჩახჩახებულ ცაზე მისი დედა და ბებკინი გამოისახნენ, თითოეულს ხელში ჯვარი ეჭირა, თავზე ოქროს რგოლი დაჰნათობდათ და ზურგს ანგელოზის ფრთები უმშვენებდათ...

*

როდესაც მეფესთან დაღამდა, გონსალოს მზე მიესალმა. ბიჭი დილაუთენია გაუდგა გზას უდაბნოსკენ.

მის უკან გაბუსხული პიტი მიბაკუნობდა და დროდადრო, გონსალოს ჯიბრზე, შერდებოდა, ხის უკან იმალებოდა და გონსალოს ქანცგაწყვეტამდე არბენინებდა (როგორც ჩანდა, ირემს ასე ადრე ადგომა არ ეპიტნავებოდა).

ასე რომ, გონსალო დაიღალა და დასასვენებლად უახლოეს ლოდზე ჩამოჯდა.

- პიტ, ცუდი ბიჭი ხარ! დამღალე და დასვენება მომიწევს. ასე კი მთელი წელი მოვუნდები განძის პოვნას! მერე შინაც ხომ უნდა დავბრუნდე, ამასაც სამი წელი მაინც

უნდა, და გამოდის, რომ შინ ცხრამეტი-ოცი წლისა დავბრუნდები. ეჰ, ისე არ გამოვიდა, როგორც მეგონა... სახლში კაცი დავბრუნდები, აღარ მექნება საბავშვო დრო. როგორც მამაჩემი იყო, მეც ისეთი საქმიანი ვიქნები. რას მოვკიდო ხელი? იქნებ, პოეტი გავხდე? მხატვარი? მათემატიკოსი? მაგრამ მე... მე ხომ ამ ხუთი წლის განმავლობაში სკოლაში არ მივლია, არაფერი ვიცი, რაც მეოთხე კლასიდან მოყოლებული უნდა მცოდნოდა... ერთი სიტყვით, უვიცი ვარ, პიტ! კარგი აბა, საუზმობის დროა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ არაფერიც არ ჰქონდა. მან გადაწყვიტა ენადირა. ტყეში ღრმად შევიდა, მიიხედ-მოიხედა, ირგვლივ სიჩუმე სუფევდა.

“რა ამბავია? როდის აქეთ ჩაკვდა სიცოცხლე ამ ტყეში! - გაიფიქრა გონსალომ, - ერიჰა!”

ბიჭმა ისროლა, მაგრამ კურდღელს ააცდინა და ხეს მოახვედრა. მაშინ გონსალო გაედევნა, კვლავ გაისროლა და კურდღელს ყური გაუხვრიტა. ნადირი სისხლის მოსაწმენდად შეჩერდა. სწორედ ამ დროს გამოუხტა მგელი...

გონსალო შეჩერდა: „ახლა კი ფრთხილად! ეს მგელი საუზმობას არ დამაცდის!”

გონსალო მახლობელ ხეს ამოეფარა და შემკრთალ კურდღელს ქვა ესროლა.

ნადირი ისეთი მიმართულებით გაიქცა, რომ იმ ხეს, სადაც გონსალო იმალებოდა, აუცილებლად ჩაურბენდა. მაგრამ, მგელი გამოეკიდა. ბიჭმა ისროლა და მგელი მიწაზე უსულოდ დავარდა.

გონსალომ კურდღელსაც ესროლა... თუმცა, მსხვერპლი ვეღარ იპოვა. უეცრად ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული სისხლის წვეთები შენიშნა. აშკარად კურდღლის ნაკვალევი იყო. ბიჭს გაუხარდა და კვალს მიჰყვა. თან ფიქრობდა: “ახლა კურდღელს ვიპოვი. საუზმედ მწვადი მექნება. ჰო, მგელს გავატყავებ და ქურქს ვიშოვი. მართალია, კერვა არ ვიცი, მაგრამ ისე მოვისხამ. კურდღლის ტყავს რა ვუყო? მის ტყავს გვერდებს მოვაჭრი და ქუდს გავიკეთებ... მოიცა, იქ რა მოჩანს თეთრად? ოი, ეს ხომ კურდღელია...”

მან ნაბიჯს აუჩქარა და მკვდარი ნადირი დაინახა... მის გვერდით პატარა ბაჭიაც იჯდა. ადამიანი რომ დაინახა, გაიქცა, მაგრამ სანამ წავიდოდა, მკვდარს თათი დაადო.

როდესაც გონსალომ ისაუზმა, მაშინლა დაფიქრდა: “იქნებ, ის ბაჭია მისი შვილი იყო?”

აილო ბარგი და ამ ფიქრით დამიმბებული, ირემთან ერთად გაუდგა გზას.

*

“აი, ასე! მალე განძს დავისაკუთრებ!”

გონსალომ რუკას დახედა:

- აჰა, აჰა! მაშ, ორი მთა და ერთი ტყე დამრჩა, რათა უდაბნოს მივალწიო, მერე იქ მთა დამხვდება და ნამვის ძირას კი განძი. პიტ, როგორ ფიქრობ, რა იგულისხმება ამ განძში? მეკობრეებს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვერცხლი არ ექნებოდათ, ოქრო, ბრილიანტი, მოწი, მარგალიტი, ზურმუხტი, ფირუზი... და ჩვენ მდიდრები ვიქნებით, მე ბაბუაჩემს ვთხოვ, პატარა სახელოსნოს, სადაც პატარა ფიგურებს გამოვთლი, ოქროს დავადნობ და სუვენირს ჩამოვასხამ.

გონსალო ოცნებების ზღვაში დაცურავდა და ვერ შენიშნა, როგორ მიუახლოვდა ერთი ქალი.

პიტ იახტა, დარბოდა, რქებით უტევდა უცხოს და გონსალოც გამოეხიზლდა.

- აბა, აბა! პიტ, ნუ ცუდლუტობ! ა, გამარჯობა, ქალბატონო!

- გაგიმარჯოს შვილო! მე ერთი მოხუცი ქალი ვარ, დავიკარგე, დიდ უდაბნოს ვეძებ, იქ ჩემი წიგნი დამრჩა, ჩემი შვილის პირველი წიგნი... შენ საით გაგიწევია?

- რა დამთხვევაა! მეც იქ მივდივარ, გან... განსაკუთრებული ქვიშაა იქ. როგორც ვიცი, ჭრილობას წამლობს! - გონსალომ ენაზე იკბინა, კინაღამ “განძი” წამოსცდა.

- არა მგონია! მოდი, ბიჭუნავ, დავისვენოთ.

გონსალო ვერ დაფიქრდა, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ გაცნობას და ამიტომ გულუბრყვილოდ გაუმხილა, თუ რისთვის მიდიოდა უდაბნოში.

- იცით, ქალბატონო, მე... მე შევცდი, მოგატყუეთ. უდაბნოში, მთაზე, ნაძვი დგას, მის ძირში კი განძია ჩამარხული. ჰოდა, აი, რუკა, აქ წერია ყოველივე. მე ეს რუკა სიცილიის კუნძულზე ვიპოვნე, როდესაც ვნადირობდი...

- კარგი, კარგი, გავიგე! - ხმა დაეთაფლა ქალს.

რა იცოდა გონსალომ, რომ ეს ბებრუხანა ბოროტი ადამიანი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, ესეც განძს ეძებდა. როგორ? მას რუკა არ ჰქონდა, მაგრამ, თურმე ისიც იყო სიცილიაზე, უპოვნია ხეზე გეგმა და ფურცელზე გადაუწერია, შემდეგ ძირს დაუგდია...

ასე რომ, მასაც სცოდნია ეს ამბავი.

- რა გქვიათ?

- მარია! მე მარია ვარ.

- მე კი გონსალო მქვია.

მოსადამოვებელი იყო, მზემ უკანასკნელი, ნათელი სხივი სტყორცნა დედამიწას და მთებში ჩაესვენა. ცა შეწითლდა, შეფაკლდა, ლილისფერმა ღრუბლებმა ბედი ნიავს მიანდეს, ტყეს აჩრდილებმა გადაუქროლეს და ხეებმა ფოთლები ააშრიალეს. საათმა რვა ჩამოჰკრა. გონსალომ ადრე დაძინება გადაწყვიტა, რათა ადრევე ამდგარიყო გზის გასაგრძელებლად. შემადრწუნებელი სიჩუმე გამეფდა. მარიამ ღამის თორმეტზე გადაწყვიტა დაძინება.

და აი, დედაბერი მძინარე გონსალოს მიეპარა, დახედა და ჩაიქირქილა:

- აა, მძინარე მზეჭაბუკო, დაგიდგა აღსასრულის დღე! განძის პატრონი შენ კი არა, მე უნდა გავხდე. დროა, დაივიწყო შენი თავი. ახლა მე გავმდიდრდები, მე! ყველა ჩემზე ილაპარაკებს. ბოდიში, რომ ახლა, შენი სიზმრებიდან სიკვდილში გაგისტუმრებ. საქმის ვითარება ასე მოითხოვს. რას იზამ! გაიღვიძებ? მომკლავ? ჰა-ჰა-ჰა! ვაშა! წინასწარ ვზეიმობ შენს ჯოჯოხეთში წასვლას...

ამ დროს უნდოდა დაერტყა, მაგრამ ღვთის განგებით შანდალს ხელი გაჰკრა და მძინარე ბიჭს დაეღვენთა, რის შედეგადაც მას გამოეღვიძა. შეშინებულმა მარიამ დანა გააგდო და თავის კარავში გაიქცა.

- აჰ, როგორ მეწვის! შშშშ! რა მოხდა? აი, სანთელი, მისი მდნარი სითხე დამღვენთია. ოჰ, რა კარგი სიზმარი იყო: ვითომ დიდი ვიყავი. იტალიაში დიდი ომი დაიწყო და მეც საომრად დამიძახეს. შვედებს უნდა შევბრძოლებოდი. უამრავი სისხლის წყარო მოჩუხჩუხებდა. თუ არ მეშლება, მძორის სუნი იდგა. ორივე ტერიტორიაზე თითო ტყე იყო, ხეებზე კი სისხლიანი ფოთლები შრიალებდნენ. ქარი ქროდა. გაწვიმდა. თვალეები მეზინდებოდა, ხედვა მიჭირდა. მთლად წითლად ვიყავი შეღებილი. სიკვდილი არ მიწოდდა. მე ვიბრძოდი მთელი არსებით... და უეცრად ქალიშვილი შევნიშნე. იგი ტიროდა. გავიხედე და ასე ხუთი-ექვსი წლის გოგონას მოვკარი თვალი. გავეკიდე. ისიც მოთქვამდა. თურმე, ერთმა შვედმა ჯარისკაცმაც დაინახა გოგონა და ის-ის უყო უნდა მოეკლა, რომ გოგონას ხელი ვკარი და ტყვიამ გულში გამიარა. სწორედ ამ დროს გამომეღვიძა. ეს წყეული სანთელი რომ არა, ხომ არ გავიღვიძებდი...

გონსალომ ლოყაზე მოისვა ხელი და კვლავ დაიძინა.

მარიას გეგმა ჩაეშალა. გონსალო გადარჩა, ბედმა მას არ უღალატა ამ დამით.

*

სალკროკი ქელეხის ინციდენტით აღშფოთებული იყო, თან კი დედის გარდაცვალებით შეწუხებული. მერიენი კი ლაპარაკისას ადვილად იღლებოდა და იქანცებოდა.

ერთ დღეს სალკროკმა მერიენს იტალიის ტყეში გასეირნება და სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა შესთავაზა, რაზეც მერიენი სიხარულით დათანხმდა. მან კალათაში ხილი ჩაალაგა, აგრეთვე ქაღებიც, ღვინოც და წვენიც. სუფრაც დაკეცა ტყეში დასაფენად, ჩაიცვა საყვარელი კაბა და ორივენი ტყისკენ გაემართნენ გამხიარულებულები. ტყეში ყოფნა ესიამოვნათ. ბელურები ჟღურტულებდნენ, პატარა წყარო მნახველს გასაგრილებლად უხმობდა. წითელი სოკოები თავს მორცხვად ხრიდნენ, ხეზე კოდალა იჩიჩქნებოდა და მატლებისგან ათავისუფლებდა. ბებერი წიფელი დამრიგებელივით ამაყად იდგა ვერხვებს შორის. თუ ფიჭვზე აძვრებოდი, შორს მთებს ჩაუპაჭუნებდი თვალს. მერიენს ბავშვობა მოენატრა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ოცდაცხრამეტი წლის იყო, ერთი-ორჯერ მაინც გაირბინ-გამოირბინა გახარებულმა.

- სალკროკ, რა კარგია ტყეში! სამი საუკუნეა, არ გამოვსულვარ ბუნების წიაღში. მშვენიერია, მშვენიერი!

უეცრად მერიენმა დაინახა, როგორ გამოძვრა სოროდან დედა კურდღელი ბაჭიებით. ქალი ჩაფიქრდა და სალკროკს მიუბრუნდა:

- სალკროკ, ძალიან მინდა, მყავდეს ვინმე, ვინც ჩემი შვილის მაგივრობას გამიწევს. ჩემი აზრით, ბაჭია მშვენიერი რამაა.

მამამთილი მას მიუხვდა და შეჰპირდა ბაჭიის დაჭერას. ამისთვის ხელსაყრელი მომენტი იყო საჭირო. მან კალათიდან სტაფილოს სალათი ამოიღო და იმავე სოროსთან დაყარა. ორივენი ხის უკან დაიმალნენ. სალკროკს ხელში ბადე ეჭირა. აი, დედა კურდღელი კვლავ გამოჩნდა თავისი შვილებით. დაინახა სალათა და დაეჭვებულმა ბაჭიები შეაჩერა. (სალკროკი და მერიენი კი მათ ხის უკნიდან უცქერდნენ). კურდღელმა სასუსნავი შორიდან შეათვალიერა და თათით მუცელი მოიფხანა. შემდეგ თავისებური ხმა გამოსცა და ბაჭიებს უსაფრთხოება ანიშნა. მათ სალათა მოეწონათ და სოროშიც შევიდნენ, იქნებ იქაც იყოსო.

სალკროკმა მიირბინა და სოროს შესასვლელს ბადე ააფარა. შიგ სოროში კი ერთი აურზაური ატყდა. იმ პატარა ხვრელში სანამ დახტოდნენ, ამასობაში ბაჭია დაიბნა და ბადეში გაიხლართა.

კაცმა იგი გაათავისუფლა და მერიენს აჩუქა.

- ოჰ, სალოკროკ გმადლობთ! იცით, როგორ მიხარია? პატარავ, რაო, მე შენ ლაჟარდენს დაგარქმევ. “ლაჟარდენი” ორივე სქესის სახელია! პატარა ლაჟარდენ, რა კარგი ხარ!

- მერიენ, ახლა მაგას სახლიც ხომ უნდა? მე გავაკეთებ.

- გმადლობთ! შეიძლება, მე შევლებო?

- რა თქმა უნდა!

- უი, არ მივირთვათ? ჩვენ ხომ პიკნიკი მოვაწყეთ!

ორივენი დასხდნენ და მერიენმა სუფრა გააწყო.

- აჯობებს, სამოგზაუროდ წავიდეთ!

სალკროკმა მერიენს შეხედა. ქალს ეს აზრი მოეწონა და გამგზავრება გადაწყვიტეს. ბევრი ითათბირეს და ინგლისი აირჩიეს.

- რა დროს პიკნიკია, ბარგი ჩავალაგოთ, - თქვა მერიენმა.

ისინი სახლში დაბრუნდნენ, მაგრამ სალკროკი პირდაპირ საავიაბილეთოში გაიქცა.

მერიენი გახარებული იყო და ღიღინით ალაგებდა ჩემოდნებს, პატარა ლაჟარდენი კი გალიიდან უყურებდა დიასახლისს.

“ხვალ დილას გავფრინდებით. არ მაწყენდა დასვენება”. ამის გაფიქრებაზე გაეცინა. ის ხომ არ მუშაობდა. ორი დიდი და სამი პატარა ჩემოდანი ჩაალაგა. ახლა ისღა დარჩენოდა, ფანჯრიდან ეცქირა, როდის დაბრუნდებოდა სალკროკი.

მზე ჩადიოდა. მთის კალთებმა მზე ისე დამალეს, თითქოს სიბნელისგან უნდა დაეცვათ. ყვავილებმა თვალეები დახუჭეს და მიწისკენ გადაიხარნენ. ცის კამარა გაწითლდა, აბრჭყვიალდა და მარიხი გამოჩნდა მეწამულ თაღზე. შორს შავი წერტილი ამოდრავდა, გადიდდა და სალკროკი სარკმელს მოადგა.

- მივდივართ?

- კი. აი, ბილეთები.

იგი შემოვიდა და დივანზე წამოწვა დაღლილი.

- რაო, რა ხდებოდა? - ჰკითხა გახალისებულმა მერიენმა.

- მივედი და ბევრი ადამიანი დამხვდა. შემშვებმა მითხრა, რომ ინგლისის სალარო მესამე ნომერი იყო. ჩავდექი რიგში. ბილეთი გამვირებულა: 200 ლირის ნაცვლად 331 ლირა გამხდარა. აი, ავიღე ორი ბილეთი. ვიკითხე, შეიძლება თუ არა კურდღელი წაგვეყვანა. მითხრეს, მისთვის ცალკე ბილეთი დაგჭირდებათო. მესამე ბილეთში 30 ლირა გადავიხადე.

- ბარგი მზად მაქვს!

- ძალიან კარგი, ხვალ დილაადრიან გავფრინდებით.

საათმა რვას ჩამოჰკრა და მათ ხვალინდელი დღის მოლოდინში დაიძინეს.

*

მარია გონსალოს თავს ისე აჩვენებდა, თითქოს არაფერი ხდებოდა. სინამდვილეში კი ბევრჯერ სცადა მისი დაღუპვა. ერთხელ გონსალო სანადიროდ მიდიოდა, გზად ძველისძველი ხიდი უნდა გაევიღო. მარიამ ეს იცოდა და ხიდის შუა ნაწილი გაბზარა, ნაბზარს კი ფოთლები დააფარა. გონსალო ხიდს რომ გადიოდა, ფოთლები შეამჩნია და თქვა:

- ცოდონი არიან ფოთლები, რად უნდა დავაბიჯო!

და ნაბზარს გვერდი აუარა. ასე რომ, ბოროტ ქალს ამჯერადაც ხელი მოეცარა. მეორედ, ღამით, ბიჭის საწოლში კიბორჩხალები ჩაყარა, მაგრამ გონსალოს გამოეღვიძა და მარიამ თავი იმართლა, შემთხვევით გამივარდა სათლი ხელიდანო.

აბა, რას ეტყოდა გონსალო, იგი ამ მოხუც ქალს კეთილ ადამიანად თვლიდა. რა იცოდა მან, თუ ვისთან ჰქონდა საქმე.

ბიჭი აქედან მალე წასვლას აპირებდა.

- ასე თუ გავაჭიანურე, განძთან სიკვდილამდე ვერ მივალწევ. ეჰ, ვაი თუ განძის ნაცვლად ნეხვი დამხვდეს? არ უნდა გამხარებოდა წინასწარ!..

- ამიტომაც, შვილო, არ უნდა აკეთებდე იმას, რაშიც არ ხარ დარწმუნებული, - დაუწყო დამოდღვრა ბებერმა, - წარმოიდგინე, ახლა გიხარია და რომ მიხვალ, არაფერი დაგხვდეს. ბავშვობაში ჩემი ცხოვრება, მომავალი სულ ფურცელზე მქონდა დაწერილი, დაგეგმილი... არასდროს წინასწარ არ მიხაროდა და შემდეგ არც იმედი მიცრუვდებოდა. იქნებ, მართლა არ გარჯილიყავი ტყუილად?

გონსალომ ჯერ იფიქრა, მოდი ასე მოვიქცევით, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და იუარა:

- გმადლობთ, მე ბევრი ვიარე ამ განძისთვის.

*

მზე მიესალმა მიდამოს. გონსალომ სანადიროდ გასწია და პიტიც გაიყოლა, ხოლო მარია კარავში დატოვა.

შემოდგომა ხეთა ფოთლებს ფუნჯით წითელ-ყვითლად ღებავდა, ნიავი კი ეხმარებოდა, რათა საღებავი ფოთლებს კარგად შეშრობოდა. კუდფუმფულა ციყვი შვილებთან ერთად რკოსა და თხილს აგროვებდა, დათვი - მაჩალოს, თან აბეზარ ბელებს ტორებით იგერიებდა.

ხმელი წიფელის ფოთლები არ ისვენებდნენ, პიტი იმათ ჩამობერტყვას დიდ დროს ანდომებდა, რაც გონსალოს არ სიამოვნებდა. ხშირ-ხშირად უხდებოდა შედგომა და ფოთლებისგან ირმის გათავისუფლება. უცრად მუხის ტოტზე დედოფალამ გაირბინა, რომელსაც შუბლზე თეთრი ზოლი დაჰყვებოდა. ფუმფულა კუდის დასაწყისიც ქათქათა თეთრი ჰქონდა, თავი ნაცრისფერი, ყურები კი შავი. იგი ამაყად მოაგორებდა კაკალს, რომელიც ხენდროზე ოდნავ დიდი იყო და დედოფალაც, როგორც ჩანდა, მის ზომას გაეხარებინა.

გონსალო ბუჩქს ამოეფარა, რომელზეც ბელურები ისხდნენ და შეშინებულები აფრინდნენ. დედოფალაც შეშინდა და მიუხედავად იმისა, რომ კაკალი გაუვარდა, მაინც მოკურცხლა. ბიჭმა ისროლა და ცხოველს ფეხში მოარტყა. დედოფალამ ახლა კოჭლობით განაგრძო გზა. ცოტადა უკლდა ფულურომდე, რომ კვლავ გაიზუზუნა ჰაერში ტყვიამ და დედოფალაც ძალაუნებურად გადაეშვა ფულუროში.

- ახლა ხიდან ამის ამოყვანა არ გინდა? - წაიბურტყუნა გონსალომ და უმიზნოდ გაიხედ-გამოიხედა.

იქვე კაუჭიანი ტოტი დაინახა. მართლაც არ იქნებოდა ცუდი იდეა. გონსალომ კაუჭი ფულუროში ჩაყო. არც ისე შორს, ჯოხი რბილს შეეხო. უეჭველი იყო, რომ ეს დედოფალა იქნებოდა. იგი ჯერ არ მომკვდარიყო და სხმარტალებდა, სისხლიანი ფეხი ზევით აეწია.

ეს რომ ბიჭმა დაინახა, წუთით ძალიან შეეცოდა, მაგრამ შემდეგ იმ აზრით დამშვიდებულმა, რომ ეს დიდი ცოდვა არ იქნებოდა, კაუჭი მოსდო, ამოსწია ნადავლი და რათა ცხოველს არ ეწვალა, იგი მოკლა და ტოტზე ჩამოკიდა.

სწორედ ამ დროს მშვენიერი ქორბუდა, ყელმოღერებული, ამაყი ხარირემი შენიშნა, ზურგზე თეთრი კოპლებით.

გონსალომ ინსტინქტურად ისროლდა. არ იცოდა, რას შვრებოდა. ნადირმა იყვირა და დავარდა. იგი გაგორდა და პატარა დაღმართის ძირში, ღელეში ჩავარდა. წყალი წითლად შეიღება. ბიჭს თვალები დაენამა და გული დასწყდა, გაშრა. მუხლებზე დაეცა და თვალებზე ხელები აიფარა.

- არ უნდა მომიკლა, მე ირემს არ ვჭამ, ირემი ირემს არ შეჭამს და... ასეთი ლამაზი ნადირი ბუნებას დავუკარგე. თუ მე ეს გასართობად გავაკეთე, მაშინ მთლად მკვლელი ვყოფილვარ, პიტ...

გვერდზე მოიხედა, პიტი იქ აღარ იყო.

“ნუთუ, მას ჩემი შეეშინდა?”

- პიტ, პიტ! - იძახდა და ამაოდ დარბოდა ტყეში გონსალო.

- ეჰ, - ჩამოჯდა ქვაზე დაღლილი, - ნამდვილად ჩემი შეეშინდა იმის მერე, რაც ნახა. ეჰ, ცუდია, ცუდი. რა ვქნა, როგორი კარგი მეგობარი იყო. ვერაფერი გავიგე, სხვა დროსაც ხომ მინადირია...

მან ამოიოხრა და ადგა. იქნებ, დაკარგული მეგობარი ეპოვნა. მიდიოდა და იმ მომენტზე ფიქრობდა, როცა ირემს იპოვნიდა და შემდეგ უდაბნოში განძს დაეპატრონებოდა.

ამ დროს თვალი მოჰკრა პიტს, რომელიც ბალახს აგემოვნებდა.

- ო, პიტ! - შესძახა გონსალომ და იქითკენ გაიქცა. ირემმა თავი ასწია და გაიქცა.

- აჰ, მეგობარო, დაბრუნდი! პიტ, გთხოვ! ბოდში, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი შენს თვალწინ.

მაგრამ ცხოველს არ ესმოდა, გარბოდა დამფრთხალი. გონსალომ პიტს წინიდან შემოუარა და გზაზე გადაეღობა. ირემმა რქები გამოიყენა, თუმცა გონსალომ არ ნებდებოდა.

- შენ ჩემი კარგი მეგობარი ხარ, არ გამექცე! - და გონსალომ პიტს ხელი ჩასჭიდა.

უეცრად ირემი შეჩერდა, სველი დრუნჩი ბიჭს მიადო, თითქოსდა მიტვევების ნიშნად, მაგრამ მერე უკან დაიხია და გაიქცა.

ატირდა გონსალომ, გამოაბა ირემს თოკი, აიყვანა დედოფალა და კარვის გზას დაადგა.

მარიამ შორიდან დაინახა და ვითომც აქ არაფერიო, ცეცხლს მიუჯდა.

- ა, ჩემო ბიჭო, რას დამმარებულხარ! პიტი სად არის? ეს ვინლაა?

- ეჰ, ქალბატონო, ირემი მოვკალი, ასეთი ლამაზი ირემი! პიტი კი... პიტს შეეშინდა.

- არაფერია, არაფერი. დაწევი, მოსალამოვდა, დაისვენე.

გონსალომ თავის კარავში შევიდა, ამოიოხრა, წამოწვა. გახედა ვარსკვლავებს. ისინი, ვითომც აქ არაფერიო, თვალებს უპაჭუნებდნენ.

- ხვალვე დავასაფლავებ ამ ქორბუდას.

უსმენდა მარია კარს იქით და ხითხითებდა.

ცოტა ხანში გაისმა ნაჯახის ხმა. გავარდა ბიჭი გარეთ, მაგრამ მარიას ირემი უკვე აეჩეხა. გონსალომ ვერაფერი თქვა. სევდა მოაწვა და დარდიანმა და გულდამძიმებულმა დაიძინა.

*

- თუ ჩქარა ვივლით, ხვალ ინგლისში ჩავალთ. - თქვა ჩარლზმა.

- და იქიდან იტალიაში, მშვენიერია! - დაუზუსტა ელიუსმა.

- არ მოგენატრა დედა? - ჰკითხა ელიზამ ელიუსს.

- კი, შენ?

- მე აგერ არ მყავს?

წუხდა ელიუსი, რომ მალე პატარა ელიზას დაშორდებოდა, მაგრამ უხაროდა სახლში დაბრუნება. ოცნების კოშკებს აგებდა წინასწარ.

ჰოდა, აი, ანთია სალამოს ცეცხლი. ვახშობენ. სადღაც ინგლისის სოფლების ქოხებიდან კვამლი ამოდის.

“წარმომიდგენია, ჩემი დავაჟკაცებული გონსალომ როგორ მომეგებება, ჩემი მერი კი კისერზე მომხვევს ხელებს. მე მათ საჩუქრებს ჩავუტან. არ ვიცი, ჩემი სახლის მოხუცები, მამა, ბებო, პაპა, ალბათ ისინი გარდაიცვალნენ...”

უეცრად ელიუსმა წამოიძახა:

- ჩემი შარვალი! ჩემი ძველი შარვალი!

- რა მოხდა? - გაუკვირდა ელიზას.

ელიუსი თავის კარავში შევიდა. მალე იქიდან სახეგაბრწყინებული დაბრუნდა.

- მეფეო, ამდენი ხანია, ერთად ვართ და თქვენთვის პლანეტებიდან წამოღებული ქვები არ მიჩვენებია, - თქვა და მერკურის პლანეტის ქვა ამოიღო.

- აი, ეს მერკურია.

შემდეგ სხვა ამოიღო და თქვა:

- ეს კი მარსი!.. ეს ურანია. ძლივს მივაღწიე იქამდე.

მან სათითაოდ გააცნო მეფეს ქვები და უთხრა:

- დიახ, ამ ქვებს მე მუზეუმში წავიღებ.

- ეს ქვები თქვენ საიდან გაქვთ? - გაუკვირდა ჩარლზს.

- ეს ქვები, ზღაპრების სამყაროდან რომ დავბრუნდი, მაშინ მოვიპოვე.

მან დაწვრილებით უამბო, საიდან და როგორ.

- ელიუს, მე ეს არ შემიძლია? ღამე ვარსკვლავად და დღისით ადამიანად ვერ გადავიქცევი?

ელიზა მოიხიბლა ვარსკვლავთა მეფე ალიონათი.

- ან კიდევ, მე ვერ გადავარჩენ რუს?

- კი, თუ მოინდომებ, ყველაფერს შეძლებ! - უპასუხა ელიუსმა.

მაგრამ სეფექალმა ელიზა გაიყვანა და აუხსნა, რომ ამას ვერ შეძლებდა.

მალე დასაძინებლად დაწვნენ. ელიზა წამოდგა და თვალცრემლიანმა მიაშურა ჩამქრალ ცეცხლს:

- ეჰ, ვარსკვლავებო! ალიონა! მოდით, გამახარეთ!

ხის უკან ელიუსი იდგა და უყურებდა. ელიზამ თავი ჩალუნა და ის-ის იყო დაბრუნდა კარავში, რომ უკან რაღაც განათდა. გოგონა მიტრიალდა და ვარსკვლავთ ხელმწიფე დაინახა:

- შენ უკვე შეძელი!

ხელმწიფე გაქრა და ექომ მისი სიტყვა გაიმეორა.

ელიუსი გაოგნდა, ელიზას კი სიხარულის ღიმილი დასთამაშებდა ღამით დაჩრდილულ სახეზე.

*

ირიჟრაჟა...

სალკროკმა მერიენი გააღვიძა.

- ადექი, მერიენ!

- რომელი საათია? - იკითხა ქალმა და გაიზმორა. საათის ისრები ექვსის ნახევარს აჩვენებდნენ. მათ ნივთებით სავსე სამი დიდი და ორი პატარა ჩემოდანი უკვე მოემზადებინათ. ასე რომ, ბარგის ჩალაგებაზე დრო აღარ დაუკარგავთ.

სახლიდან ექვს საათზე გავიდნენ.

- ვის დაუტოვოთ სახლი? - იკითხა გაკვირვებულმა მერიენმა, - ხომ შეიძლება გაქურდონ?

- მე უკვე გავაფრთხილე ჩვენი მუზეუმის ყარაული.

მერიენმა ბორბლებიან ეტლში ჩაალაგა ჩემოდნები, დაიჭირა ხელში გალია თავისი ლაჟარდენით და აეროპორტს მიაშურეს. ქუჩები ცარიელი იყო. ქალაქის ჭიშკარს მიადგნენ. ქალაქის მთავარი საათი მათ აუწყებდა, რომ ნახევარ საათში თვითმფრინავი აფრინდებოდა.

აი, გამოჩნდა აეროპორტიც. შევიდნენ შენობაში. მომსახურე პერნოსალმა მათ ბარგი ჩამოართვა და თვითმფრინავის საბარგულში გაგზავნა. უნდოდა კურდღლის დაბინავებაც, მაგრამ მერიენი ამ შემოთავაზებაზე არ დათანხმდა.

მალე ბილეთები შეუმოწმეს და თვითმფრინავში მოასვენეს, სადაც მათ ყავა და ნამცხვარი მიირთვეს.

ნელ-ნელა თვითმფრინავიც დაიძრა. ნელა, ცოტა ჩქარა, სწრაფად, უფრო სწრაფად და... ჰაერში აჭრილმა თვითმფრინავმა გეზი საფრანგეთისაკენ აიღო.

- აღარც კი მახსოვდა, რა არის თვითმფრინავით ჰაერში ნავარდი, - თქვა აღტაცებულმა მერიენმა, - აღარ მახსოვდა იმის მერე, რაც საფრანგეთში ვიყავი.

- მართლაც კარგია, - კვერი დაუკრა სალკროკმა.

ლაჟარდენს კი ეტყობოდა, ამგვარი გასეირნება სულაც არ ეხატებოდა გულზე, რისი ნიშანიც იყო, რომ მან ორჯერ ააყირავა გალია, გააღო კარი და იქვე დარბაისელ ლედის შეასკუპდა თავზე. ჩანდა, ეს სცენა მიმტანს არ სიამოვნებდა, რადგან ამ აყალ-მაყალში სინი, რაზეც გამაგრილებელი სასმელები ეწყო, დაუვარდა.

ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ საბრალო ბაჭია იზოლირებულ კაბინაში ჩაკეტეს.

- მალე, ასე ნახევარ საათში, ინგლისში ვართ! - თქვა სალკროკმა.

- იქ სასტუმროში დავისვენებთ? - ჰკითხა მერიენმა.

- ჰო, სასტუმროში. შეიძლებოდა იქ სახლის ყიდვა, მაგრამ ასე აჯობებს. გამიგია, იქ ერთი ძვირიანი სასტუმროა, შალვე! ჰოდა, იქ მოვეწყობით.

- საინტერესოა, ჩემს ლაჟარდენს თუ შეუშვებენ?

- თუ არ შეუშვებს, დამატებით ფულს გადავიხდით. ახლა ხალხი ისეთია, ოღონდ ფული მიიღონ და ბაჭიას კი არა, დათვსაც შეუშვებენ.

*

ამალა უკვე უელსის მთავარ მოედანს ხედავდა, სადაც სასახლე იდგა. სასახლეში მიხვდნენ, მეფე დაბრუნდაო. დოლებს დაჰკრეს, ბუკებს ჩაჰბერეს. ფოიერვერკები ააფეთქეს. მთელი ქალაქი, მთელი ინგლისი ფეხზე დადგა. სასახლეში ეშაადებოდნენ, სუფრას შლიდნენ. შიკრიკები დაბრუნდნენ და ხალხს აუწყებდნენ მეფის დაბრუნებას.

სასახლის წინ ხალხი შეიკრიბა. დარიბების სუფრაც გაიშალა. ეზოში უფლისწული ამხედრდა. მის უკან დიდებულები მიაჭინებდნენ ცხენებს. შემდეგ - ვეზირები, ბოლოს კი - მსახურები. ცოტაც და მამა-შვილი სიხარულის ცრემლებს ღვრიდა და ერთმანეთს ეხუტებოდა.

პატარა ელიზა, ელიუსი და ანტუან დე სენტ ეგზიუპერი იქვე იდგნენ.

- ეს ვინ არის? - იკითხა მეფის ერთ-ერთმა ვეზირმა.

- ეს ელიზაა, ჩემი შვილი! - აიტაცა დედამ ბავშვი.

და ისინი გზას გაუდგნენ სასახლისკენ. ხალხი მეფეს მიეგება, მერე კი მეფე და მისი ამალა სასახლეში შევიდნენ.

*

ჩარლზს დასვენება ესაჭიროებოდა და თავის ოთახში მოისვენა. მისი მეუღლე ამასობაში ელიუსს გაეცნო, ანტუანს კი დაუსწრებლად იცნობდა, მისმა ნახვამ და პირადად გაცნობამ დიდად გაახარა.

დედოფალი ელიუსს დაჰპირდა: იტალიაში, როცა კი მოისურვებ, ეტლით გაგამგზავრებ, არ დაგჭირდება ტრანსპორტის ძებნაო. ანტუან დე სენტ ევზიუპერსაც იგივე უთხრა.

და აი, წვეულებაც დაიწყო. სამეფო დარბაზში დიდი სუფრა გაშალეს, ათი დიდი მაგიდა დადგეს. მეფის ოჯახის წევრთათვის ცალკე იდგა ოქროთი მოვარაყებული მაგიდა. სეფექალები მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივდნენ. მათ გვერდი ჰერცოგებმა დაუმშვენეს. მუსიკოსები ყველგან ისხდნენ. საყვირები ცალკე, ვიოლინო ცალკე, ჩელო ცალკე, სალამური... ხოლო დირიჟორი ხის მაღალ კიბეზე იდგა. მსახურები, კარისკაცები ლამაზად ჩამწკრივებულიყვნენ. მათ გულ-მკერდზე ოქროს ღილები ესხათ. ლურჯ-წითელ პიჯაკებზე აბრეშუმის ფოჩებიანი დროშები ეკერათ. ხავერდის მოსასხამები ხაოიან საყელოზე ჰქონდათ დამაგრებული, მაღალ ქუდეზე ხელოვნური ფუმფულა ბუმბულები გაერჭოთ. მოცეკვავე გოგო-ბიჭები სასიამოვნო სანახაობას ქმნიდნენ. თეთრპერანგა, შავ ბაფთიან-კოსტუმიან მიმტანებს ახალ-ახალი კერძები შემოჰქონდათ.

ელიზა ელიუსის გვერდით იჯდა. მეფემ ის და ანტუანი საოჯახო სუფრასთან დასხა. ელიზა ელიუსის ახლოს, ბავშვების მაგიდასთან იჯდა. ყოველ წუთში იგი ელიუსს პიჯაკზე ექაჩებოდა და ხელზე ხელს უთათუნებდა.

- ელიუს, ელიუს, - გადაუჩურჩულა ელიზამ, - წამოდი უკანა ეზოში, შადრევანთან.

- ჩემად, უყურე, როგორ ლამაზად ცეკვავენ. სალამოს წავიდეთ.

ელიზა მოიბუჟა და უკანა ეზოში გამსვლელ ფანჯარას შეხედა. (ალბათ, მოსალამოვებას ელოდებოდა).

დრო უშნოდ გაიწელა, მაგრამ, მაინც დადგა სალამო. ელიუსი, ანტუანი და ელიზა უკანა ეზოში გავიდნენ. თბილი სალამო იყო. ზეცა პატარა მნათობებით იყო მოჭედილი, ყვავილები ფურცლებს ხურავდნენ. შადრევანი ცეკვადა, სიო ქროდა, თეთრი ღრუბლები ამ სიოს მიჰყვებოდნენ.

ელიზა თეთრ კაბაში გამოწყობილ ფერიას ჰგავდა. იგი დარბოდა, ხეებს უკან იმალებოდა და შემდეგ ანტუანს და ელიუსს გამოუხტებოდა ხოლმე. თუმცა, ეს ორი მეგობარი გოგონას ყურადღებას არ აქცევდა.

- ვერც კი წარმოიდგენ, როგორ მიხარია, შინ ვბრუნდები... ცოლ-შვილთან, დედ-მამასთან, ბებია-ბაბუასთან. ჩემს პროფესიას განვაგრძობ.

- მეც მიხარია, მალე საფრანგეთში დავბრუნდები.

- რომ წამოხვედი უდაბნოში, რა წიგნს წერდი?

- ჩემს სამშობლოში მოგონებების წიგნი დავასრულე და ისე წამოვედი. სხვათა შორის, ეს დღეები იმაზე ვფიქრობდი, შენ რომ მითხარი, რაიმე გასაოცარს შენც ჩაიდნო.

- კი, ასე იქნება.

- საიდან იცი?

- ასე ხდება! შენისთანა ადამიანმა როგორ ვერ უნდა შეძლოს რაიმე განსაკუთრებული? ყოველ ადამიანს შეუძლია, შეძლების ნიჭით ყოველი მეორეა დაჯილდოებული...

ელიუსი შეჩერდა. გაახსენდა უდაბნოში მომხდარი სასწაული, ალიონა. და გაიფიქრა: “ეს სასწაული იყო, თუმცა რა, მე ხომ მასთან ერთად დავეხეტებოდი ზღაპრების ქვეყნებში. მაგრამ ელიზას ძალიან გაუხარდა” - ძალაუნებურად თვალი დაენამა.

- რა მოხდა? - ჰკითხა ანტუანმა.

- არაფერი!

- აბა, რაღაც ხდება, გუშინაც საეჭვოდ იქცეოდი.

ბედად ელიზამ ელიუსს დაუძახა და ასტრონავტმა თავი აარიდა ანტუანს, მხოლოდ ეს უთხრა:

- არაფერია, მეგობარო, თავი ამტკივდა.

ანტუანს ეწყინა და სკამზე ჩამოჯდა. ელიუსი კი ელიზას გაედევნა.

- შეჩერდი! დაიჭირეთ!

ელიზა გულიანად კისკისებდა, როდესაც ელიუსს იგი თავის ბუნაგში (ბუჩქებში) მიჰყავდა. უეცრად ელიზამ ტიტაზე ლამაზი პეპელა შენიშნა. ცისფერ ფრთებზე ოქროსფერი წრეები ეხატა, ბოლოები გალურჯებოდა, მტვერი არ ეტყობოდა, ეგდო და სულს ღაფავდა. ელიუსს უნდოდა, გოგონას მზერისთვის გულსაკლავი სურათი აერიდებინა. მაგრამ ელიზა ჭკვიანი გოგონა იყო. იგი მივიდა პეპელასთან და შენიშნა, რომ მისი მკერდიდან წითელი სისხლი მოწვეთავდა.

- საბრალო პეპელა, - ბავშვმა მომაკვდავს ცრემლების სუდარა გადააფარა, - რატომ ხდება ასე? რატომ არგუნა ღმერთმა მას ასეთი მწარე სიცოცხლე? საბრალო! მოდი ელიუს, დავმარხოთ!

ელიუსმა გოგონას სურვილი აუსრულა. მკვდარი პეპელა შადრევნის გვერდით დასაფლავეს და მისი საფლავი ყვავილებით შეამკეს. რა თქმა უნდა, ელიუსი ელიზას თხოვნას ასრულებდა, თორემ, აბა, პეპლებს ასეთ პანაშვიდს ვინ უხდის.

ელიზა კმაყოფილი ჩანდა ამ საქმით, თან არ მოსწონდა, რომ ასეთი ლამაზი არსებები ერთ დღეში უნდა მომკვდარიყვნენ. ის და ელიუსი შადრევნის პირას ჩამოსხდნენ.

- იცი, ელიუს, რას ვფიქრობ? იქნებ, ცოტა ხნით წამიყვანო შენთან?

- არა, დედა ამის უფლებას არ მოგცემს.

- აბა, შენთან განშორება მიჭირს, ისე შემიყვარდი.

- მეც! მაგრამ, მოდი, ერთმანეთს წერილები მივწეროთ, ხომ მომწერ?

- მე ხომ წერა არ ვიცი... მაგრამ ჩემს მაგივრად დედა დაწერს.

ელიუსი და ელიზა შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს წერილებს მისწერდნენ.

ანტონიო ჯერ კიდევ ნაწყენი იჯდა სკამზე, როდესაც მასთან ელიუსი მივიდა.

- ადექი, ძმაო, გავისეირნოთ!

- შენ მე რაღაცას მიმაღავ!

- არა, დარწმუნებული იყავი ამაში.

ანტონიომ თითქოს დაუჯერა, მაგრამ კვლავ ეჭვობდა.

ათ საათამდე სეირნობდნენ ბაღში. შემდეგ ელიზა დასაძინებლად გაისტუმრეს. ძილის წინ ელიუსმა აკოცა ვარდისფერ ლოყაზე და დაბრუნდა დარბაზში, სადაც წვეულება მიმდინარეობდა. იგი მივიდა დედოფალთან და უთხრა:

- დედოფალო, ხვალ გამგზავრებას ვაპირებ და გთხოვ, უფლება მომცეთ, წავიდე ეტლით.

თანხმობა მიიღო და მშვიდად დაიძინა.

*

გათენებულზე ელიუსმა ბარგი ჩაალაგა და სანამ წავიდოდა, ანტუანთან და ელიზასთან ერთად ქალაქში გაისეირნა. უეცრად თვალი მოჰკრეს ძველ შენობას, რომელიც ცეცხლის ალში იყო გახვეული. ხალხი არსად ჩანდა. სულ მალე ეს სახლი დაიხრუკებოდა. ანტუანი ჭისკენ გაიქცა. ელიზა და ელიუსი კი იდგნენ და შეშინებულები უყურებდნენ ცეცხლს.

ანტუანმა მეხანძრეებს მოუხმო. სულ მალე გამურული შენობა მშვიდად იდგა.

ელიუსი გონს მოვიდა:

- აჰ, ანტუან, შენ გმირი ხარ!

ანტუან დე სენტ ეგზიუპერსაც უხაროდა.

- ახდა შენი ნათქვამი, მე შევძელი!

უეცრად მეხანძრეებმა დაიძახეს: ახალშობილი გოგო ვიპოვეთ, იგი გადარჩაო. ამაზე კი ანტუანის სიხარული გაათკეცდა. რა სასიხარულოა! მან პატარა გოგო გადაარჩინა. ჟურნალისტები აწუხებდნენ ანტუანს და ათას შეკითხვას უსვამდნენ, ავტოგრაფს სთხოვდნენ და ასე შემდეგ.

ანტუანი სიხარულით ცას სწეოდა. მან ერთი კვირით ინგლისში დარჩენა გადაწყვიტა.

აჰა, ელიუსის გამგზავრების დროც დადგა. დილიჯანსი წუთი-წუთზე უნდა გამოჩენილიყო სასახლეში. ელიუსს ეთხოვებოდნენ.

ელიზა მწარედ ტიროდა, დედა ეუბნებოდა:

- ელიზა, როგორ არ გრცხვენია, დედას და მამას გვტოვებ?

- არა, უბრალოდ, უბრალოდ, მე ის შემეყვარდა. დედა, გთხოვ, გავყვები! - ეს წინადადება ისეთი სიმტკიცით იყო წარმოთქმული, მოხუცმა სეფექალებმა აღშფოთებით გადახედეს ელიზას და მკაცრი გამომეტყველებით ჩააჩუმეს.

- თქვენო უდიდებულესობავ, ნახვამდის! - ემშვიდობებოდა ჩარლზს ელიუსი.

- დედოფალო, თქვენ სილამაზისა და სათნოების სრული ნიმუში ბრძანდებით! ნახვამდის.

შემდეგ პრინცს ჩამოართვა ხელი და მასაც გულითადად დაემშვიდობა.

- ელიზა, ძალიან მომენატრები.

გოგონა ატირდა. ელიუსი კიბეზე ჩავიდა. დილიჯანსის კარებთან ანტუანი ელოდებოდა.

- მეგობარო, კარგად იყავი!

- მომენატრები!

- კიდევ შევხვდებით ერთმანეთს!

ელიუსი ეტლში მოთავსდა. აჰა, მეეტლემ ცხენი მოქაჩა და...

- შეჩერდით! - ამ სიტყვებით კიბეზე ელიზა გამოჩნდა. იგი ეტლში ჩაჯდა და ელიუსს გადაეხვია.

- ელიზა... კი, მაგრამ, დედაშენი და მამაშენი? ეს როგორ შეიძლება? დაბრუნდა, არ გამოიპარო.

მაგრამ ამ დროს აივანზე ელიზას მშობლები გადმოდგნენ და ელიუსს თავი დაუქნიეს. დაიძრა დილიჯანსი და ეტლი სიხარულისა და ოცნების ქარმა გააქროლა.

*

აი, დაეშვა თვითმფრინავი საფრანგეთის აეროპორტში. სალკროკი და მერიენი ჩამოვიდნენ. მათ ჩემოდნები დაუბრუნეს, აგრეთვე - პატარა ლაჟარდენიც. მათ ფრანგული შესანიშნავად იცოდნენ და არ გაუჭირდათ სასურველი სასტუმროს შერჩევა. მეკარემ ბაჭია რომ დაინახა, თქვა:

- ექვსი კრონი!

სალკროკი დაჰყაბულდა და აი, ისინი თავიანთი ოთახის კარს უახლოვდებოდნენ. ეს იყო ორასმეხუთე ოთახი. გადაატრიალეს გასაღები და საოცრად სასიამოვნო სიგრილეში შეაბიჯეს. აანთეს შუქი და სიხარულისგან მერიენი შეხტა: ოთახში ორი დიდი სარკმელი იყო. ჩამოფარებული ჰქონდა ლურჯი ფარდა, ცისფერი და თეთრი ღრუბლებით.

კედელი და ჭერი მოცისფრო-მოთეთრო იყო. იატაკი იყო მუხის, გაფენილი იყო ლურჯი, თეთრღრუბლებიანი ხალიჩაც (კუთხეში ყველაფერს ეწერა შალვე). საწოლებზე ცისფერნისლიანი თეთრი გადასაფარებელი იყო, ლეიბი - ლურჯი, ბალიშიც - ლურჯი, ზეწარი - ცისფერი. სარკის ჩარჩო ლაკწასმული ხისა იყო. მაგიდაზე თეთრი ქოთნები იდგა, რომლებშიც ლამაზი ყვავილები ხარობდნენ. იყო ბალიშებიანი ტახტიც, სულ თეთრი ხავერდის. ბალიშები კი - წითელი, ლურჯი, ცისფერი, თეთრი და შავი ხავერდის. სააბაზანოს კარი თეთრი იყო, ტუალეტის ნიჟარა - ცისფერი, კაფელი - თეთრი, აბაზანაც - თეთრი. იქვე ეკიდა ორი ტანის, ორიც ხელ-პირის გასამშრალეული ხავერდოვანი პირსახოცი. ხელსაბანი ნიჟარა იყო ცისფერი, მარმარილოს შემოსაზღვრულ მაგიდაზე ეწყო: ორი სავარცხელი და ორი შეკვრა ყურის საწმენდი. კედელზე თმის საშრობი იყო მიმაგრებული. სარკის ჩარჩო მინისა იყო, ჭერი - სარკის. ქოთნის წინ ხაოიანი საფენი იდო, რომელზეც გარკვევით იყო ამოქარგული შალვე. ოთახში კარი იყო. თუ გააღებდი, აივანზე აღმოჩნდებოდი. ოთახში ერთი დიდი კარადაც იდგა, ორი კომოდი, ზედ თითო-თითო ნათურით. მოკლედ რომ ითქვას, ზღაპრული სასტუმრო იყო. მერიენი ისე იყო დაღლილი, ბარგის ამოლაგებაზე არც უზრუნია, მიდო თავი ბალიშზე და ძილმა გაიტაცა სიზმრების სამყაროში.

*

- რა სასიამოვნო სიოა! - თქვა ელიუსმა და ხარბად ჩაისუნთქა ყვავილების სურნელი. ელიზა კი ისე იწეოდა დილიაქანსიდან, ლამის გადმოვარდნილიყო.

- მალე მივალთ? - კითხულობდა ყოველ წუთში და მოუსვენრად იწვალეზდა კაბის კალთას.

- სულ მალე, ასე ხუთ წუთში...

მაგრამ ელიუსს ეს ხუთი წუთი საუკუნედ მოეჩვენა. ვერ ითმენდა, ისე უნდოდა ოჯახის ნახვა. და აი, გამოჩნდა წითელკრამიტის თეთრი სახლი, მის გვერდით კი - პლანეტა-მუზეუმი. ელიუსი გაშეშდა, როდესაც საკუთარ სახლზე წარწერა - “პლანეტა მუზეუმი” - დაინახა. გული შეუქანდა და მშობლების სახლის კარს დაეჯაჯგურა. კარი არ გაიღო, ფანჯრებს გარედან აბლაბუდის ქსელები მოჰკიდებოდა. ელიზა თვალს ვერ წყვეტდა მუზეუმს და თან გონსალოსაც დაეძებდა, რომელიც მის ტოლა ბიჭუნად წარმოედგინა. ელიუსი დაღონდა და ამოიოხრა, ჩემი ოჯახი დაიკარგაო. ამ დროს მეზობლებმაც დაინახეს და, აბა, მკვდარი გაცოცხლდაო, ჟურნალისტები მოგროვდნენ, ელიუსს ფურცლებს უხვავებდნენ, შენი თავგადასავალი დაგვიწერეო. ყოველ ოჯახს ჩართული ჰქონდა რადიო, რომელშიც ენაჭარტალა ხალხი დაუღალავად ლაპარაკობდა. აბა, უყურეთ, ელიუსი მკვდრეთით აღსდგაო. აბა, ჰე, პლანეტის ნატეხები ჩამოუტანიაო, თავის თავგადასავალს გვიამბობსო. აგერ მეფე მობრძანდებაო. იჯდა ელიუსი და გარშემოკრებილ ხალხს აოცებდა თავისი ზღაპრული მოგზაურობით, ელიზა კი მის გვერდით დასკუპებულიყო და, ვინ იცის, მერამდენედ ისმენდა პატარა უფლისწულის ამბებს.

*

ელიუსი გულდამძიმებული იყო, ასე რომ გაუცრუვდა იმედი. თუმცა, მეზობლებისაგან გაიგო, მერიენი და სალკროკი დასასვენებლად გაემგზავრნენ, ხოლო გონსალო დაიკარგაო. კი უთხრეს, სადაც წავიდა, მაგრამ თან ეხვეწნენ, არ წახვიდე, შენც

არ დაიკარგო. მაგრამ ელიუსმა ქვები მუზეუმში მოათავსა, შემდეგ ელიზას ხელი მოჰკიდა და წავიდა სიცილიაზე.

დიდხანს იცურა ნავით და ბოლოს კუნძულს მიადგა., ჯერ ნაპირზე არ იყო გადასული, რომ ინდიელების მოტივზე აგებულ ქოხს მოჰკრა თვალი. სულმოუთქმელად შევარდა, მაგრამ დაცარიელებულ ქოხს აბლაბუდას ფარდები ამშვენებდა. ელიუსი დასასვენებლად ჩამოჯდა. ამ დროს ელიზამ ახალგაზრდა ბიჭის პორტრეტი იპოვა და ელიუსს მიუტანა.

ელიუსმა გონსალო იცნო და გახარებულმა სურათი უბეში ჩაიდო. ამ დროს შიშველი ფეხის ნაკვალევი შენიშნა. ეს ნაკვალევი ქვიშას დაეფარა, მაგრამ მაინც ჩანდა. დიდი ხნის ძიების შემდეგ ნაკვალევმა მდინარესთან მიიყვანა, სადაც შვილის ტანისამოსის ნაგლეჯი იპოვა. გაუხარდა, მაგრამ ჯერ სად იყო? არ იცოდა გონსალოს ასავალ-დასავალი. მაგრამ მაინც ჩაჯდა ნავში და გაცურა იმ იმედით, რომ შვილს იპოვნიდა.

*

- მარია, მოდი, გზა განვაგრძოთ, თან ირემი ვეძებოთ, თან უდაბნოში ჩავიდეთ. ამასობაში, ის ორი მთაც გადავიაროთ.

მათ ბარგი ჩაალაგეს და გზა განაგრძეს. ტყიდან რომ გავიდნენ, თვალწინ დიდი მთა გადაეშალათ. უნდა ასულიყვნენ და ეს ერთი მთა უკან მოეტოვებინათ. მოხუცისთვის მთაზე ასვლა სიძნელეს წარმოადგენდა. ბევრჯერ წაიქცა. რამდენჯერმე ფეხი დაუცდა და ჩასრიალდა. გონსალომ შეამჩნია, რომ მგლები ამ მთას დაჰპატრონებოდნენ და შეიძლებოდა განძისმაძიებლებს თავს დასხმოდნენ, მაგრამ გონსალოსა და მარიას ბედად ბევრი და მაღალი ხე-ნაძვები იზრდებოდნენ ამ მთაზე.

მალე გადალახეს ეს საშინელი გზა და მეორე მთა დაინახეს.

- ღმერთო ჩემო! შენ რა, გონსალო, დასვენებას სულ არ აპირებ?

- ქალბატონო, ესეც გადავლახოთ და ტყე ადვილი გასავლელია. განძიდან ცოტას თქვენც მოგცემთ.

“არა მგონია მოასწრო, როგორმე შენს სულს საიქიოს გავამგზავრებ” - გაიფიქრა მარიამ.

იწყეს მთაზე აცოცება. ამ მთაზე მგელი არ იყო, სამაგიეროდ ირმები იცოდა ბევრი. ჰოდა, გონსალოც თავის პიტს დაემებდა. ამიტომ ჩასვლა დააგვიანეს და მთაზევე შემოადამდათ.

აცივდა...

მთვარე ზეცას ესტუმრა და ვარსკვლავების ციმციმს შეაცქერდა.

მარიას ძილი სულ არ ეკარებოდა. გონსალომ კი გადაწყვიტა, არ ღირს კარვის გაშლაო, და ღია ცის ქვეშ დაიძინა.

- ო, ახლა კი, მეტიჩარავ, ბოლო მოგეღება! - ხითხითებდა მოხუცი, თან გონსალოს გამხმარ ფოთლებს ადებდა.

- არა, ამ ფოთლებს ჩამოიბერტყავს და მორჩა. ჰოდა, ქალაღი უნდა გამოვიყენო.

მან გონსალოს სახეზე, თავზე, ხელებზე, ქალაღები დააფარა. ყველაფერი მზად იყო. მხოლოდ ცეცხლი უნდა წაეკიდებინა ბიჭისთვის, მაგრამ სად გაქრა კაჭი? “ნუთუ, ღმერთი დაეხმარა ამ საძაგელ არსებას? არა, ეს უსამართლობაა!” - ბრაზობდა მარია.

ხის უკნიდან კი ერთგული პიტი იყურებოდა და სევდიანი თვალებით გაჰყურებდა მთვარეს.

*

დილით გამოეღვიძათ და ქვევით ჩავიდნენ სასაუზმოდ სალკროკი და მერიენი. წვიმდა და ციოდა. როდესაც სასაუზმეში შევიდნენ, საოცარი სითბო იგრძნეს. ფანჯარასთან ორადგილიანი მაგიდა იდგა. მერიენმა თეფშები, დანა-ჩანგალი და ჭიქები დააწყო. სალკროკმა კი შემწვარი ძეხვი, ლორი, კვერცხი, კატლეტი, პური, წვენი და კრემიანი მარწყვის ნამცხვარი დაალაგა.

ორივენი უხმოდ მიირთმევდნენ. მერიენმა თქვა:

- სალკროკ, უცნაური სიზმარი ვნახე.

- მეც! - კვერი დაუკრა მოხუცმა და ნამცხვარი ხელიდან გაუვარდა.

- აი, ჩემი სიზმარი: ვნახე, ვითომ თეთრი რვეულის ერთ მხარეს ფრანგული ასოები ეწერა, მეორე მხარეს - იტალიური. რვეულის ორთავ გვერდზე კუბები ეხატა. ფრანგული ასოების მხარეს, კუბებში, ფრანგული ასოები მოთავსებულიყვნენ. იტალიური ასოების მხარეს - იტალიური ასოები. (აქ სალკროკი ფეხზე წამოხტა). უეცრად ორივე გვერდიდან ეს ასოები დაიდრნენ და იტალიური ასოები ფრანგული ასოებისკენ გაემართნენ, ფრანგული კი - იტალიურებისკენ! ორივე ენის წარმომადგენელ ასოებს ხელში ძახილის ნიშნები ეჭირათ, თუ კუბებში ჩაკეტილებს არ ჩავთვლით. შეეტაკნენ ერთმანეთს. ბევრი ასო გაწითლდა და გაქრა. უეცრად მთელი რვეულის ორივე გვერდი მეწამულისფრად შეიღება. ამ დროს მეც გამომეღვიძა.

- მერიენ, რა დამთხვევაა, მეც ზუსტად ასეთი სიზმარი ვნახე! ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს?

- ვაიმე, ეს სიზმარი ომს ხომ არ მოასწავებს იტალიასა და საფრანგეთს შორის?!

- არ ვიცი!

მათ საუზმე მიატოვეს და თავიანთ ნომერში ავიდნენ. სალკროკმა სთხოვა, გავისეირნოთო. საწვიმურები ჩაიცვეს და გარეთ გავიდნენ. შავი ზეციდან სეტყვა ცვიოდა. დილა იყო, მაგრამ მაინც ბნელოდა. ხალხის ჭაჭანება არ იყო. მერიენმა ლაჟარდენი ნომერში ჩაკეტა, რადგან არ სურდა მერე გალუმპული ბაჭია დაებანა.

- ერთმა ფრანგმა მთხოვა, მისი კნუტი მეყიდა. გადაგდებას აპირებდა... აბა, მე სად მქონდა ამის ფული? საზიზღარი, ხუთი ათასი კრონი დამიFFფასა! - ამოიოხრა მერიენმა.

ამ დროს კნავილი მოესმათ, მოიხედეს და სწორედ ის კნუტი დაინახეს (მერის მისი გამოცნობა არ გასჭირვებია). საბრალოს წინა მარცხენა თათი აგურში მოჰყოლოდა და სტკიოდა.

მერიენმა სწრაფად გაუთავისუფლა დაშავებული თათი და გულში ჩაიკრა.

- ღმერთო, საწყალი! - წამოიძახა სალკროკმა.

- ეს სულ იმ საზიზღარი კაცის ოინებია! - უპასუხა მერიმ და კნუტი ცხვირსახოცში შეახვია. მათ გზა აღარ განაგრძეს და სასწრაფოდ სასტუმროში დაბრუნდნენ.

სალკროკმა კნუტი უბეში ჩაისვა და ისე შევიდნენ, ასე რომ მეკარეს არაფერი შეუმჩნევია.

სასწრაფოდ აირბინეს ორი სართული. ოთახის კარი გააღეს.

- აბა, ჩქარა, უნდა ვუმკურნალოთ, - თქვა მერიენმა და აბაზანა მოამზადა. ის კი აღარ ახსოვდა, რომ კურდღლის დაბანა არ სურდა. ახლა კი დიდი მონდომებით ასუფთავებდა კნუტს. როდესაც გაამშრალა, თათზე მალამო წაუსვა და მარლით შეუკრა.

პატარა არსებას წამში ჩაემინა.

- საბრალო! - ამოიოხრა მერიენმა.

- მგონი, მე უფრო საბრალო ვარ! - თქვა სალკროკმა და თავის გალუმპულ საკვირაო სერთუკზე მიუთითა, საიდანაც სისხლი ჟონავდა.

- ღმერთო, დიდებულო! - წამოიყვირა მერიენმა და გონებადაკარგული სალკროკის მოსულიერება სცადა, - რა დაგემართა? დამეხმარეთ, მამამთილი მიკვდება! ექიმს დაუძახეთ!

ოთახში დამლაგებლები შემოცვივდნენ.

- რა დაემართა? - ეს იყო მთავარი კითხვა. ვინც კი მორბოდა, პირველ რიგში ამას კითხულობდა. პასუხად კი ჩურჩულებდნენ:

- უბედურება და შავი ჭირი!

გაოგნებული სამართალდამცველები და გუშაგები თავებს იქნევდნენ.

ექიმებიც მოვარდნენ, გაფანტეს ხალხი, დააწვინეს სალკროკი საკაცეზე და ოთახიდან გაიყვანეს.

მათ მტირალი მერიენი მისდევდა. ორივე საავადმყოფოში წაიყვანეს. მერიენი გარეთ დასვეს და სალკროკი საოპერაციოში შეიყვანეს. შეიძლება თქვენი სისხლი დასჭირდესო, ამბობდა ექთანნი. გაოგნდა მერიენი, აღარც თავისი სისხლის ჯგუფი ახსოვდა და ყველა ხმა ყურში საშინელ ღრიალად ჩაესმოდა. წუთით თვალები დახუჭა, ყველაფერი ქვეყნისოდენა მოეჩვენა. ექთანნი რომ ესაუბრებოდა, არაფერი ესმოდა და ბოლოს გონი დაკარგა. გონს რომ მოვიდა, სასტუმროს დერეფანში, ცივ იატაკზე იწვა. ისევ აძვრა სავარძელზე და ამოიოხრა. დამლაგებელი მიუახლოვდა და უთხრა:

- ქალბატონო, გუშინ ღამით მოგიყვანეს და აქ დაგაწვინეს. ალბათ, ძალიან განერვიულდით და სავარძლიდან ძირს ჩამოვარდით, გონებადაკარგული იყავით და ვერ გაგაღვიძეთ. აი, ინებეთ ყავა!

მერიენმა თავის ნომერში აირბინა. სალკროკი რომ ვერ ნახა, მაშინღა მიხვდა და გაახსენდა, რომ სალკროკი საავადმყოფოში იყო. კართან უზარმაზარი სისხლიანი ლურსმანი დაინახა.

- ღმერთო, ეს აქამდე არ შემიმჩნევია! ალბათ, ამას წამოედო. რა ვიღონო?

აკვნესდა და საწოლზე დაემხო. კნუტი გვერდით მიუწვა.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

- ვიცვლი, - ამოიბუზლუნა მერიენმა.

- ქალბატონო, დოქტორი უილიამი ვარ!

მერიენი წამოხტა და კარი ფართოდ გამოაღო.

- რა ხდება, როგორ არის ჩემი მამამთილი?

ექიმმა თავი ჩაღუნა.

მერიენი შეშფოთდა, მივარდა და შეანჯღრია:

- მითხარით, მითხარით!

- იგი გარდაიცვალა.

*

უბედურება უბედურებაზე დაერთო საბრალო ქალს. ჯერ ერთი, რომ სალკროკზე დარდობდა, მეორე - ფული არ ჰქონდა, მესამე - გარდაცვლილი უნდა ჩაეყვანა იტალიაში.

“კარგი, ფული სალკროკს ჰქონდა... აი, ვიპოვე! მაგრამ არ გინდა მკვდრის ჩატანა იტალიაში? ამისთვის ცალკე თვითმფრინავია საჭირო. მის დაქირავებას მილიონები უნდა. უიმე, ქალბატონ სოფისტან მივალ, ჩემი ქმრის მეგობართან, იმ ქვრივთან!”

გარეთ გაიხედა. მზე ანათებდა. ჩაიცვა შავი ხავერდის კაბა, მოიცვა ნაცრისფერი ჟაკეტი და შავი ჩექმები ამოიცვა. თმები დაიკულულა და თავისი შავი ტყავის ჩანთა აიღო. გავიდა, კარები ჩაკეტა და ლიფტი გამოიძახა.

“მგონი, ჯერ “ლამპიონების ნათება” უნდა გავიარო. მერე... - და ლიფტის კაბინაში შევიდა - ...მერე ტიკტიკას ქუჩა, მთავარი მოედანი გადავჭრა, ვიარო დონ კიხოტის ქუჩით და მერე სულ პირდაპირ განვაგრძო გზა”.

მერიენი დერეფანში გავიდა, გააღო სასტუმროს კარი და გზას გაუდგა. ფიქრებმა დარდის სამყაროში გადაისროლეს. როდესაც მერიმ ამ სამყაროში შეაბიჯა, უამრავი ფიქრი შემოეხვია და ცდილობდნენ თავისიანად გაეხადათ, მაგრამ თავის ფიქრებს თვალი ვერ მოჰკრა. ამ დროს დაინახა ერთ-ერთი თავისი დარდი, რომელიც იჯდა და თავის ამბებს ჰყვებოდა: “მე საბრალო ავად თუ გავხდი, ვინლა მომივიღის”. “გეთანხმები, მე კიდევ მარტო მეშინია, რა ვიცი, ყაჩაღები, ქურდები”. “გვერდზე გადადეთ ყველაფერი, უმუშევარი ვარ, რომ დავიწყო მუშაობა, სახლი?” ამ დროს ერთი მხიარული აზრი გამოხტა. “გამარჯობათ, მე მხიარულეთიდან ვარ”... არც კი დააცადეს, თავზე ერთი სათლი წყალი დაასხეს საბრალო მხიარულ აზრს...

გამოფხიზლდა მერიენი. წვიმდა, თავსხმა იყო. სად შეეფარებინა თავი? ჯერ დონ კიხოტის ქუჩაზე იყო. როგორც იქნა, გადაჭრა ეს ქუჩა, შორს სახლები დაინახა. პირდაპირ! აჰა, ესეც სახლი. ქალმა შეაღო დაბალ თეთრ მესერში დატანებული კარი და ორსართულიანი სახლის წინ აღმოჩნდა. ზარი დარეკა, კარები ქალბატონმა სოფიმ გააღო. (აბა, სხვა ვინ გააღებდა, მისი სიამის კატა ხომ არა?) ეს იყო მოხუცი ლედი, ამაყი გარეგნობით, თეთრი დაკოკორავებული თმით და დიდი სათვალით.

მერიენი რომ დაინახა, გაკვირვებისგან სათვალე ჩამოუვარდა (იმდენი რამ უკვირდა სოფის, რომ უკვე მასედა გატეხა სათვალე). ჯერ ვერ იცნო მერიენი, კარგად შეათვალიერა, მერე გაეღიმა...

- ქალბატონო...

- დიახ, თქვენი განსვენებული მეუღლე ჩემი ძმა იყო.

- უკაცრავად...

- მართალია, მე მას ძმად ვთვლიდი! - და ატირდა.

მერიენმა ცხვირსახოცი მიაწოდა. დახედა ქალმა ცხვირსახოცს და მკაცრად ჩაახველა. გასაკვირი არც იყო, ცხვირსახოცი გაჟღენთილიყო და წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. როგორც იქნა, იპოვეს სხვა ცხვირსახოცი და ამ უცნაურმა ლედიმ მთელი ამბით და ცერემონიებით მოიხოცა ცხვირი, ცხვირსახოცი კი სანაგვეში გადააგდო.

ათი წუთის მერე უკვე ჩაის მიირთმევდნენ.

- ქალ...

- დიახ, ვიცი, საქმეზე ბრძანდებით. გისმენთ.

- ჩემი მამამთილი...

- რა თქმა უნდა, ჩემი მამის ჯგუფელი, კლასელი და უნივერსიტეტშიც ერთად სწავლობდნენ. საუკეთესო მეგობრები, ნამდვილი ძმები იყვნენ.

- დიახ... და ის გარდაიცვალა... ლურსმანს...

- დიახ, მე ვხვდები, რომ ალბათ ლურსმანს წამოედო. საშინელებაა. ალბათ, გულს წამოედო ეგ საზიზღარი ლურსმანი, ეგა! - სოფიმ ხელი მაგიდას დასცხო.

ამ დროს მერიენი ჩაფიქრდა. რა უცნაური ლედია, რა ჩქარა ლაპარაკობს, თან კაი მისანივით ხვდება, რის თქმას ვაპირებ და მაწყვეტინებსო. ან ის ცხვირსახოცი რომ გადააგდო, ალბათ, მასედა ტეხდა სათვალესო.

- მიპასუხეთ! - გაისმა ამ დროს სოფის ხმა.

- დიახ, ამას რა ფიქრი უნდა, - წამოხტა მერიენი.

- რაო? თუ ასეა, ახლავე პოლიციას ვეძახი.

- რა ხდება?

- რა უნდა ხდებოდეს?! მკვლელი! მამ, მეთანხმები, რომ ბატონი სალკროკი განზრახ მოკალი?

- უკაცრავად, სხვა რამეზე ვფიქრობდი. ისე, მართლა, თუ შეიძლება, გაიმეორეთ, რასაც ამბობდით, სანამ ფიქრებში ვიყავი...

როგორც ჩანდა, ამ უცნაურ ლედის ეს პასუხი არ მოეწონა და უკმაყოფილების მიმნად კვლავ მკაცრად ჩაახველა. კვლავ დასხდნენ, ახლა უკვე საქმეზე საუბრობდნენ, თუმცა სიამის კატას ხუთჯერ მოუწინა გარეთ გასვლა, ამ ქალბატონს კი - სახლის დალაგება.

- ქალბატონო სოფი, ჩემი...

- ვიცი, ვიცი, მისი იტალიაში ჩასვენებაა საჭირო. თქვენი გარდაცვლილი მამამთილის... არა, მაინც რა კაცი იყო! ჩემი კატასავით! ჩემი კატა მამრია. როგორ უყვარს ჩემი დამზადებული სალათა... მოდი, თქვენი კატისთვისაც ჩაიწერეთ რეცეპტი.

- საიდან...

- არავითარი პრობლემა არ არის ამის გამოცნობა, თქვენი კაბა მიმითითებს ამაზე.

დაიხედა მერიენმა კაბაზე და თავისი კატის ბეწვები კი დაინახა. სოფიმ მიაჩეჩა ბლოკნოტი და ჩააწერინა სალათის რეცეპტი.

- აბა, იწერთ? თორმეტი თევზის თვალი. თევზის კუჭი, ერთი კილო თაგვი და ერთი ბოთლი რძე. აურიე ეს ყველაფერი და სალათა მზადაა.

მერიენს კინალამ გული აერია, იმ წუთას რძის ნამცხვარს მიირთმევდა, რომელზედაც თაგვის ფორმის ბეზე იდგა.

- ახლა კი, ქალბატონო, საქმეზე გადავიდეთ.

- ჰო, მე ვფიქრობ, უმჯობესია, ცალკე თვითმფრინავი დაიქირაოთ მისთვის. ეს დაჯდება ორი მილიონი ფრანკი.

- ო, ამის ფული...

- არ იღელვოთ, ვიცი, ფული არა გაქვთ.

- ჰოდა...

- შემიძლია მე გითხრათ, როგორც უნდა შეაგროვოთ ფული. ადექით და გამყიდველად დაიწყეთ მუშაობა, თან მეც დაგიმატებთ ცოტ-ცოტას.

- კი, მაგრამ რა...

- კატები.

ქალბატონმა სოფიმ თვალის დახამხამებაში ხელი ჩაავლო და სარდაფში ჩაიყვანა. გაიღო კარი და...

ასეთი არაფერი ენახა მერიენს. ყველაფერი კატებით იყო სავსე, თან რა მოვლილები! ასამდე კატა იქნებოდა. ყველა ჯამში სოფის სალათა, სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, სუპი ესხა.

- თქვენ მთავაზობთ, რომ ესენი გავყიდო? - დიდი მადლობა! - ეს იყო მერის მიერ ნათქვამი პირველი სრული წინადადება.

სალამო იყო. აცივდა. სოფიმ მერიენი ჩაფუთნა. ეს ჯემპრიო, ეს ორი ჟაკეტიო, რეიტუზიო, ტყაპუჭიო...

როდესაც მერიენი გაისტუმრა, კიდევ იმას მისძახოდა, ქუდი კარგად ჩამოიფარეო.

სასტუმროში რომ შეაბიჯა, ყველამ მას შეხედა. აირბინა ნომერში და გაბრაზებულმა გაიხადა, თან თავისთვის დუდლუნებდა:

“კატები გაყიდე! რა კაია! ხომ გაიხრწნა ამასობაში სალკროკი!”

დარდეთში კიდევ ერთმა დარდიანმა აზრმა შეაბიჯა.

*

- ძია ელიუს, დავიღალე... აი, უკვე მესამე დღეა, ვეძებთ გონსალოს.
ელიუსი ელიზას არ უსმენდა. მან ტყიდან წამოსულ ხმას მიუგდო ყური.

- გესმის?

- რა?

- ხმა!

ტყის სიღრმიდან სიმღერის ხმა მოისმოდა.

- წამოდი. მაინც ღამეა.

მათ ნაპირზე ნავი თოკით დააბეს და ტყეში შევიდნენ. შორს სინათლე აკიაფდა. თხუთმეტ წუთში მივიდნენ სინათლის წყარომდე. ერთი დაბალი კაცუნა ანთებული კოცონის გარშემო ცეკვავდა. ასაკოვანი იყო, თოვლივით ქათქათა თეთრი, მაგრამ უხეში წვერი მიწამდე დასთრევდა. მელოტი თავი ფარფლებგაცვეთილი ქუდით დაემშვენებინა. გახუნებული ნაცრისფერი პერანგი ეცვა. აქა-იქ ხავერდის ნაფლეუებიდა შერჩენოდა. ეტყობოდა, თავიდან ლაზათიანი პერანგი ყოფილიყო. შავ შარვალს მუხლი გამოხეოდა. კარგა ჩამრგვალებული იყო. შავ ფეხსაცმლებს პირი გაეღოთ და იქიდან თითები მოუჩანდა. ჯუჯამ ელიუსი და ელიზა რომ დაინახა, გაკვირვებისგან შეხტა.

- უკაცრავად, ღამეს ხომ ვერ გაგვათევეინებდით? - იკითხა ელიუსმა.

მოხუცმა უხმოდ გაიშვირა თითი ნაძვისკენ, რომლის ქვეშაც ქოხი იყო აგებული. გარედან თითქოს არაფერიო, უბრალო მორებისგან იყო ნაგები. აი, შიგნით კი ისეთი სიმყუდროვე იგრძნობოდა, რომ ელიზამ სიხარულისგან ტაში შემოჰკრა. კედლებზე გაკრული იყო ირმის ტყავი. იქვე, კედელზე არწივის დიდი ბუმბულები იყო თაიგულივით მიკრული. იატაკი მიწის იყო, ზედ პალმის ფოთლები ეფარა. კარის თავზე დამაგრებული იყო უშველებელი ირმის რქები, კუთხეში გვერდიგვერდ ორი საწოლი იდგა, დასაფარებლად ორი საბანი იდო (ელიუსი ვერ მიხვდა, რა ცხოველის ტყავი იყო საბნად გამოყენებული).

- რა დამთხვევაა, ორი საწოლი! - წამოიძახა ელიზამ.

- მართლაც რომ! მაგრამ ეს რა არის?

კარის თავზე შავ-თეთრი სურათი ეკიდა.

- ღმერთო დიდებულო, ფრანცი! ეს კი მისი ცოლი ელიზა! ჩემი სკოლის მეგობრები!

რა ახალგაზრდები არიან სურათზე!

ელიუსი გარეთ გავიდა.

- მეგობარო, ფრანც, როგორ ხარ? ელიუსი ვარ, აანტონიო! შენი ყოფილი კლასელი!

მოხუცი შეჩერდა.

- შენ?

- ხო, ფრანც, ვერ მიცანი? მეც ვერ გიცანი, რომ გნახე.

ელიუსს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ორივენი ერთმანეთისკენ გაიქცნენ.

ელიზა ჯერ ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა. ხან ელიუსი იყო ჰაერში, ხანაც - მოხუცი.

- ეე, ფრანც, რა მსუბუქი ხარ!

- ეე, ელიუს, კაცმა რომ თქვას, არც შენ ხარ მძიმე.

- ფრანც, ელიზა როგორ არის? ხომ არა უჭირს რა?

ფრანცი შეჩერდა და ისე შეხედა ელიუსს, რომ ელიზამ იფიქრა, ახლა მოკლავსო. მაგრამ არა, მოხუცს მეგობარი არ მოუკლავს, ამოიოხრა და უთხრა: - გუშინ გარდაიცვალა! - აქ ფრანცმა გვერდზე გაიხედა და ცრემლი მალულად მოიწმინდა, - გუშინ მიმატოვა. ჰო, მე ის დღეს დავასაფლავე. ხვალ გაჩვენებთ მის საფლავს, ახლა ღამეა... მართლა, ეს პატარა ვინ არის?

- ჩემი შვილიშვილია, - გაიღიმა ელიუსმა, - არა, არა, გეხუმრე. ფრანგი სეფექალის შვილია. ძალიან ვუყვარვარ. არ მშორდებოდა და ბოლოს გამოიმყვა.

- როგორ, ამსიშორეზე გამოყოლის უფლება მისცეს?

- ჰო, ბავშვი ჩაბჭირდა. ფრანც, რომ იცოდე, როგორ გამიხარდა შენი ნახვა! მაგრამ ძალიან შევწუხდი, ალისას გარდაცვალების ამბავი რომ გავიგე.

- საბრალო, როგორი კარგი მოსწავლე იყო!

- თან რა ეშმაკი! მაგას ხომ ტყუპისცალიც ჰყავდა, ლუიზა. როგორ ჰგავდნენ ერთმანეთს. გახსოვს, როგორ მოატყუეს მასწავლებელი? ლუიზამ გაკვეთილი არ იცოდა. შემდეგ მათ ადგილები გაცვალეს და გაკვეთილს ალისა მოყვა.

- თუ გახსოვს, ერთხელ რა დახატეს? ჩვენი ბრაზიანი მასწავლებელი, ჭრელი თმები, სახე, ტანისამოსი, ხელები, ფონი, სულ ჭრელი ჰქონდა, და რა დაარქვეს: “ქალი, რომელმაც არ იცის, რა სურს”.

- ელიზა, ელიზა!

ელიუსი ქოხში შევიდა. გოგონა იწვა და ეძინა.

- ფრანც, შენ სად დაწვები?

და ელიუსმა გარეთ გაყო თავი, მაგრამ ფრანცი იქ არ დაუხვდა. ჩამქრალი ცეცხლიდან კვამლი ცაში ადიოდა და ნიავი მას ლამაზ ფორმებს აძლევდა.

*

იმ ღამეს მერიენს არ ეძინა. მთელი ღამე იმის ფიქრში იყო, რა ეღონა. ამ დროს გაახსენდა, სად ინახავდა სალკროკი ფულს. ის იყო უნდა ამდგარიყო, სინათლე ჩაქრა.

- ჯანდაბა!

მერიენმა, როგორც იქნა, საფულე მოძებნა და მსახური ქალიც მოადგა. გერმანელი იყო.

- Hier die Kerze.

- Ach, danke!

სანთლის შუქზე მერიენი ფულს თვლიდა, თან დუდღუნებდა:

- სხვა ყველა გზა მოჭრილია, ბარგში უნდა ჩავაბარო! აბა, თვითმფრინავის სალონში ხომ არ მოვისვამ გვერდით?... მყოფნის! ვაშა, ხვალვე იტალიაში ვბრუნდები!

*

- სიკვდილის წინ ასე მითხრა, სამოთხეში ერთმანეთს კვლავ შევხვდებითო. ვიგრძენი, როგორ მომკიდა ხელი. მე გულში ჩავიკარი და ავკვითინდი. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. სკოლაში რომ ვუმღეროდით ერთმანეთს, ის სიმღერა იმღერა. ბოლოს უკანასკნელი სტროფი ვედარ შეძლო და ხელი მომიჭირა, მე დავამთავრე.

“ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით”. მან გაიღიმა. მე ავტირდი. უეცრად სუსტად მომიჭირა ხელი და... ყველაფერი გათავებული იყო. ელიზა ქვეყნად აღარ არსებობდა.

დაასრულა ფრანცმა და საფლავის ქვაც გამოჩნდა, მუხის ხის ძირას.

- აი, აქ უყვარდა ალისას კითხვა...

ატირდა ელიზა, იმის დედასაც ხომ ალისა ერქვა.

- საბრალო, რა დაემართა?

- ეჰ, ელიუს, ღმერთმა უწყის... არც მე ვიცი. მთელი დღე მხიარულობდა, უეცრად შეჩერდა, გულზე ხელი მიიდო და კრუნჩხვები დაეწყო.

- გულის შეტევას მიიღებდა!

- შესაძლებელია, მაგრამ უფრო...

უეცრად ფრანცმა შეჰყვირა:

- საფლავი... ააა-ახ... მოპარულ... ამოთხრილ... მოპარულია...

საფლავი გაეთხარათ. კუბო მოეპარათ. ფრანცი ატირდა. იფიცებოდა, თუკი სადმე შევხვდები იმ ნაძირალას, ვინც ეს ჯოჯოხეთი საქმე ჩაიდინა, ნავთს წავუსვამ, გახურებულ საწოლზე დავაწვენ და მუცელში ცხელ დანას გავუყრიო.

- უფრო... უფრო... მეტად... ვაწამებ...

საწყალს ენა ებმოდა. ელიზამ წამოიძახა:

- კვალი!...

მართლაც, შიშველი ფეხის კვალი ორმოდან ამოდიოდა და ნელ-ნელა მიხვეულ-მოხვეულით ტყეში ღრმად შედიოდა.

- მივხვდი...

მაგრამ ფრანცი თავკუდმოგლეჯილი მირბოდა ნაკვალევზე.

- გავყვით? ჩვენ ხომ ბიჭი უნდა ვიპოვოთ... მაგრამ კარგი, წავედით! - თქვა ელიუსმა.

კვალს სამნი მიჰყვებოდნენ. ერთი საათი იარეს და ნამპთან შეჩერდნენ. აიხედეს და ველური კი დაინახეს. კუბო ეჭირა და ყნოსავდა. ათი-თერთმეტი წლის იქნებოდა.

- ეჰე, ინდიელი! - თქვა ელიზამ.

- ველურია! - შეეკამათა ელიუსი.

- ვინც არ უნდა იყოს, ნაძირალაა! - იღრიალა ფრანცმა და ბიჭისაკენ გაიწია, - მიმიშვით!

- მოიცა, შე კაცო, დამშვიდდი! - უთხრა ელისუმს, - ჯერ მოიცადე. შიშისაგან კუბო გაუვარდება და მაგ წუმპეში ჩავარდება.

მაგრამ ბიჭი ხის მეორე მხრიდან ჩამოხტა და კუბოიანად გაიქცა. სამივენი დაედევნენ, მაგრამ ვერ ეწეოდნენ. უეცრად ბიჭი თვალიდან დაეკარგათ.

- უნაურია, კუბო რაში სჭირდებოდა?! - თქვა ელისუმს.

ელიზა ამ ამბავმა იმდენად დათრგუნა, რომ გულამოსკვნილი ტიროდა.

- ხედავ, უხ ეგ, ეგ... - ფრანცი მიხვდა, რომ ახლა ლანძღვა არაფერს უშველიდა და გაედევნა.

(მერე ფრანცი, თურმე, ველურების ბელადი გახდა).

ელიზამაც გადადგა ნაბიჯი. მაგრამ, ელიუსმა შეაჩერა.

- წამო, ჯერ ჩემი ბიჭი ვიპოვნოთ და მერე ვნახოთ.

- კარგი! - უპასუხა ელიზამ და გზა განაგრძეს.

*

- დიახ, გმადლობთ! - მერიენი დურგალს გამოემშვიდობა და შენობიდან გამოვიდა. გამოიძახა ტაქსი და უნიფორმიანებს რაღაც ანიშნა. ორმა უნიფორმიანმა დიდი ყავისფერი კუბო გამოიტანა და ტაქსის თავზე ბარით დაამაგრა...

“ჩემი აზრით, სოფის უნდა დავემშვიდობო!” - იფიქრა

მერიენმა ძილის წინ - ხვალ მივალ და რაიმეს მივუტან...

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ატყდა კარზე ერთი კაკუნი და ბრაზუნნი.

მერიმ ხალათი მოიცვა და კარის გასაღებად გაიქცა. გააღო და...

თქვენ წარმოიდგინეთ კარში სოფი იდგა.

- აჰ... - აღმოხდა მერიენს.

- არ მელოდით?

- არა, მე მეგ... რომელი საათია?

- მაგას მნიშვნელობას არ ვანიჭებ... ეს რა არის?

- კუბო!

- იიიის?

- დიახ.

სიჩუმე ჩამოვარდა ბოლოს ისევ სოფიმ ამოიღო ხმა:

- ნუთუ, ასეთი დაუდევარი დამლაგებელი გყავს? რაღა დაგიძალო და აქაურობა სადორეს მაგონებს!

კვლავ ჩაჩუმდა. მერე გაოცებულ ქალს ჰკითხა:

- რას გაჩუმებულხართ? ფული ვინ მოგცათ?

- ვიპოვე, მამამთილის საფულეში. ხვალვე მივემგზავრები იტალიაში. ქალბატონო სოფი, რა მაინტერესებს: თქვენ აქ სულ მარტო ხართ?

- დიახ.

- წამოდით ჩემთან, მეც მარტოხელა გავხდი.

ერთხანს სიჩუმემ დაისადგურა. შემდეგ სოფიმ თქვა:

- ეჰ, ჩემი უბედურება რომ იცოდეთ...

- მერედა, გადამიშალეთ თქვენი გულის საიდულო წიგნი.

- კარგით! ჩემი უბედურება ასე დაიწყო: თვრამეტი წლისა გავთხოვდი, ორი წლის მერე ვიმშობიარე. ორი გოგონა შემეძინა. ორივე - ავადმყოფი. იმავე ღამეს კი ღამის თორმეტ საათზე დაიბადა მომავალი ყაჩაღი ტოპი. ბავშვებიც გაიზარდნენ, ტოპი მამის გზას გაყვა. ჯერ მსუბუქ წამლებს იღებდა. მერე მთელ ამბულებს უშვებდა ვენაში. გული მომიკვდა, როდესაც ვნახე, როგორ ამასხარავებდა ერთხელ თავის დებს ტოპი. „ჰაიტ, თქვე რეგვენებო, რაო, ქათმის ჭკუა გაქვთ?! ან რა კურდღლის კბილებით დაიპარებით? ჰა, ჰა, ჰაა!“ ატირებული გოგონები, ნინა და ინა, სააბაზანოში შეიკეტნენ. ოჯახური მდგომარეობა მართლაც რომ მძიმე იყო. ყოველდღე ერთი და იგივე: ნემსი, ლუდი, არაყი, ქალები, ჩხუბი, ცემა, წივილ-კივილი, გინება. ერთადერთი, ვისაც არაფერს უშავებდა ბენი, ეს ტოპი იყო. გადიოდა ხანი, შემიყვარდა ერთი ახალგაზრდა, წესიერი ადამიანი. მალულად გავდიოდი პაემნებზე, თან დამყავდა ნინა და ინა, ტოპი და ბენი ვერაფერს მიგებდნენ, რადგან სულ ქუჩაში დაწანწალებდნენ, ბოლოს ჩემს კომოდში გაჩნდა უილიამის, ჩემი შეყვარებულის, ფოტო. ჩემი რჩეული მართლაც რომ ლამაზი იყო: მხრებზე წაბლისფერი დაღალები ეყარა. მუდამ ოდეკოლონის სურნელი ასდიოდა და სულ კოხტად გამოწვეპილი მეცხადებოდა. მაგრამ მაშინ, როდესაც სიკვდილისგან მიხსნა, სულ სხვა იყო. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი: საღამოს შვიდი საათი იყო. მე და უილიამი საუბრით ვტკბებოდით ჩემთან, საწოლ ოთახში. რა თქმა უნდა, გიჟურად არა. უბრალოდ, ერთმანეთისგან საკმაო დისტანციით ვისხედით და ვსაუბრობდით ვარდების სახეობებზე. მაგრამ ფანჯრიდან დავინახე, როგორ აღებდა კარს ბენი, მის უკან კი ტოპი პარკს კრავდა. გასაგები იყო, რაც იდო ამ პარკში, ამბულები და შპრიცი, იოდები და სხვა. „უნდა დაიძალო!“ ნერვიულად ვუთხარი უილიამს. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და საწოლის ქვეშ შევტენე, ჩემოდნებთან ერთად. მე კი სასწრაფოდ წიგნი ავიღე. ამ დროს ბენი შემოვიდა ოთახში და ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ბოლოს ხელიდან წიგნი გამომგლიჯა და ორად გაფხრიწა. „რა არის ეს? მე ხომ აგიკრძალე წიგნის კითხვა?! ახლა კარგად მომისმინე, ჩემო სოფი: ამ ბოლო დროს ძალიან უცნაური მეჩვენება შენი ქცევა, აჩქარებული საუბარი, ყოველ წუთს ფანჯრიდან იხედები. მითხარი რა ხდება?“ „არა, ძვირფასო, მე... მე... უბრალოდ“ „რა? ჰო, რა შენ?“

სახეზე შევატყვე, ბევრი დაელია. „ახლა არა, სხვა დროს მცემე, ახლა დაიბანე, შენ მთვრალი ხარ, უბრალოდ მიზეზს ეძებ რომ მცემო, გთხოვ დამშვიდდი“. სილა გამაწნა. „მე შენ გიჩვენებ სეირს! როგორ მიბედავ?“ „არა, მე...“ „წამოდი!“ მან თმებში მტაცა ხელი და გამათრია. შემიყვანა გოგონების ოთახში, ორივეს ეძინათ.

„ახლა მიყურე!“ სტაცა ინას ხელი (აქ სოფის ცრემლი წასკდა და განგრძო) და... ჩემი ქერათმიანი გოგონა ყელგამოდარული ეგდო ძირს. „არა!“, ვიღრიალე და დანას ჩავეპოტინე. ხელი მკრა, მივარდა ნინას და მისი სისხლითაც მორწყა საწოლი. მე კი ვღრიალებდი: „შე ნადირალა, მუხთალო, ნარკომანო! პოლიცია! პოლიცია!“ და მე დავინახე იარაღი, რომელიც შუბლზე მქონდა მოდებული.

„გაიმეორე! სიტყვაც და მოკვდები!“ მაგრამ გაისმა გამაყრუებელი სროლის ხმა. თვალები დავხუჭე. ნახევარი საათი ასე ვიდექი და როცა თვალი გავახილე, დავინახე ის, რისი ხილვაც ასე მეშინოდა. „უილიამ, უილიამ!“ არა, ეს მართალი იყო. უილიამის გვამსღა ვკოცნიდი. „უხ!“ ვიღრიალე და დაჭრილ ბენს ვეცი. ის იწვა დ ხრიალებდა. ტყვიას მკერდში გაევლო. იგი არ მომკვდარიყო. სიძულვილით ანთებულმა ხელი ვტაცე დანას და ჩემს მტერს ყელში...

აქ სოფიმ ამდენ ვარამს ვეღარ გაუძლო და მთელ ხმაზე ატირდა.

ათი წუთის შემდეგ მერიენმა მორიდებით ჰკითხა:

- და ტოპი?

- ამბობენ, ველურივით ტყეში გაიქცა და მთვარიან ღამით უმანკო ქალწულების წივილით ხარობს... ჩემზე უბედური არავინაა...

გულდამძიმებულმა სოფიმ ბარგის ჩალაგება არჩია.

*

- როგორც იქნა, - ამოიხვნეშა მარიამ, - მომბეზრდა ამდენი ხეტიალი!

- კი, მაგრამ თქვენი შვილის პირველი წიგნი? ისე, არც მიკითხავს, უდაბნოში რა გინდოდათ.

მარია დაიბნა. რა უთხრას? იქნებ, აჯობებს, სიტყვა ბანზე აუგდოს? ბოლოს უთხრა:

- იქ გადაგვასახლეს!

- რაო?

- ჰო, იქ კი ჩემმა ვაჟმა წიგნი დაწერა თავის ცხოვრებაზე. სამი წელიწადი ვიტანჯებოდით იმ უდაბნოში. ვიქურდეთ, მე ქმარი ადრე გარდამეცვალა, თავს ვეღარ ვირჩენდით. ბანკირი გავძარცვეთ.

- მაშ, ქურდი ყოფილხართ!

- არა, ცხოვრებამ მაიძულა. ხანდახან ოთხი დღე ვშიმშილობდით ხოლმე.

მარია მიხვდა, რომ ღრმად შეტოპა და სასწრაფოდ დასძინა:

- მაგრამ თუ შენ მე ფულის მეასედს მომცემ, აღარ ვიავაზაკებ.

გონსალოს არაფერი უპასუხია.

- წავალ, ვინადირებ!

აიღო თოფი და ტყეში შევიდა.

ქრელ-ქრელი ფოთლები ბიჭს ხალიჩას უგებდნენ. უეცრად მის წინ ხეში წვრილი დანა ჩაესო. მოტრიალდა. სამი კაცი იდგა. ერთს ლურჯი, წითელუჯრებიანი თხელი მაისური ეცვა, ზევიდან კი - ნაცრისფერი ჟაკეტი. შავი შარვალი მუხლებამდე სწვდებოდა, მერე კი დაფლეთილ ძონძს ემსგავსებოდა. ფეხზე გრძელი თეთრი წინდები ამოეცვა. ფეხებს ტყავის ლურჯ-შავი, რეზინის ძირებიანი ფეხსაცმელები უმშვენებდა. თეთრი წვერი მუცლამდე სთრევდა. თავზე კი ჭყეტელა ფერის ქუდი ეხურა. უფროსი ჩანდა. წინ იდგა. სახეზე შავი ნილაბი ეკეთა, ისეთივე, როგორც - მის უკან მდგომ დანარჩენ ორს. უკან მდგომნი კი ჩასუქებული საახალწლო გოჭები გეგონებოდათ. ჩამოდონძილებს თითებწაჭრილი ხელთათმანები ეკეთათ. ფეხშიშველები იყვნენ.

- არ გაინძრე! თოფი დააგდე! აქ თოფები, დანები და ისრები გვაქვს. მეტი რომ არა, ჩვენ სამნი ვართ, შენ ერთი.

რა უნდა ელონა. გონსალომ იარაღი დააგდო. უფროსმა უმცროსებს გადახედა და თქვა:

- შავ აურაზე გამარჯვების ნიშანია.

მყისვე ეცნენ ორივენი გონსალოს და როგორც შემწვარ გოჭს, ისე ჩაუდო ერთმა პირში ვაშლი.

- ახლა კი წაგვიძეხი!

*

- იცი, - უყვებოდა ელიზა ელიუს, - როცა რაღაცას მოინდომებ, თურმე, ყოველთვის გამოგივა.

- ჰოო!

- რა მოხდა, ელიუს? არც იღიმი, არც საუბრობ. იქნებ მითხრა, რა მიზეზით?

- არაფერი, ალიონაზე ვფიქრობდი.

- იმ ღამეს მეც ვნახე.

- ვიცი.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

უეცრად იჭექა.

- აი, თურმე, დღეს მთელი დღე რატომ იყო დაბულული.

გაიქცნენ და ნაძვის ქვეშ დადგნენ. დასცხო. სეტყვა სახეზე ეყრებოდათ. ქარი ქროდა. ელიზა კინალამ გაიტაცა, მაგრამ ელიუსმა იაზრა და ხეს ჩაეჭიდა, თან ხელში ზავშვის ხელი ეჭირა. ატირდა ელიზა. თვალში მოხვდა ხოშკაკალი.

- მოითმინე, მოითმინე!

სათნახევარი ამ დღეში იყვნენ. როცა გამოიდარა, ელიზამ შენიშნა:

- ეჰე, იქ რაღაც ბრჭყვინავს...

მივიდნენ და დანა დახვდათ. დანის ტარი აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული.

„ეს დანა ხომ მე ვაჩუქე გონსალოს“, გაიფიქრა ელიუსმა.

იქვე რვეული შენიშნა. ელიუსი დაიხარა და მზრუნველი ხელით აიღო რვეული. მისი ფურცლები ყვითლად იცრიცებოდნენ მზის სინათლეზე, მაგრამ ეს არ იყო გონსალოს დღიური: “ნამდვილად უნდა მოვკლა გონსალო, დიდ უდაბნოს მეც მშვენივრად მივაგნებ. განძს დავეპატრონები და...” გარეკანზე მიწერილი იყო: მარია.

ელიუსი ერთხანს გაოგნებული იდგა, მერე კი მარჯვნისაკენ გაიქცა, უკან ელიზა მისდევდა.

- სად მივდივართ? - კითხულობდა ის.

თუმცა, პასუხი არც ერთხელ არ მიუღია.

მანამ, სანამ ზემოთ ხსენებული ამბავი მოხდებოდა, სამი თავხედი მარიას და გონსალოს აბუჩად იგდებდა.

- გონსალო, ეს რას ნიშნავს?! - შეკრთა მარია, როცა ტყიდან დაბრუნებულ გონსალოს სამი კაცი მოჰყვა და ერთ-ერთმა საფეთქელზე თოფი მიაბჯინა.

- მეც არ ვიცი, მარია, მაგრამ მაინცდამაინც სიყვარულით არ შემოგვცქერიან.

- რა გნებავთ? - ახლა თაღლითებს მიუბრუნდა მარია.

- მაგას მაშინ გაიგებთ, როცა ერთ ადგილას ნიჩბებს დაგაჭერინებთ ხელში.

- ჩვენ მეკობრე ბორისის შვილები ვართ, მამაჩვენმა ყაჩაღობისას ჩაიგდო განძი ხელში. მან ეს მაშინ მოახერხა, როცა, მე-20-ე საუკუნის დამლევეს, გემი „ოქროპირი“

ზღვებს სერავდა. ანდერძიც დაგვიტოვა. ჰოდა, ველარაფერი შეგვაჩერებს, ვერც თქვენ, მისტერ მარია, და ვერც შენ - მაღამ გონსალო!

- შეურაცხყოფას ნუ მაყენებ, ცინგლიანო! - გონსალომ დანას ფეხი ჰკრა და იმ მიმართულებით მიმართა, საითაც შემდეგ ყაჩაღებმა ისინი წაიყვანეს.

*

- ეს ჩემოდანიც გაიტანეთ! ეი, შენ რას გამტერებულხარ?! ფუთა იხსნება! ფრთხილად! ეს კატა ჩემთვის ძვირფასია! შავი! შავი კნუტი არ გაჭყლიტო!

ეს კატების ზღაპრებია, ფრთხილად, რეცეპტები არ დახიო, ოჰ, ეს კატები!

როგორ ვერ ამჩნევ იმ თავგს კარადის თავზე! არა, მიშველეთ!..

სოფიმ ჯერ მაგიდაზე ისკუპა, შემდეგ კი - მაცივარზე. ატყდა ერთი აურზაური. შავი კატა კარადაზე აძრომას ცდილობდა, მაგრამ უჯრაში ჩავარდა.

ფრედი კი მისწვდა, მაგრამ ვერ იმარჯვა და როცა თავგს მისდევდა, ჭალზე ჩამოეკიდა. დიდმა შეშინებულმა კატამ ზედმეტი გულმოდგინებისგან თავგის ნაცვლად თავისი კუდი დაიჭირა. ორმა თეთრმა კატამ შევარდენის გალიას მიაგნო და ახლა იქ ატყდა აყალმაყალი. ყველაზე დიდი საშინელება კი მაინც ის იყო, რომ თავგი სოფის საყელოში ჩაუძვრა. სოფი კინაღამ გადაირია, კატებმა კი იგრძნეს, ჩვენი პატრონი გასაჭირშიაო, და ყველა ჩხავილით დაესია.

ამ ამბავსა და არეულობაში სასტუმროს მეპატრონემ შემოიხედა და მის ჭადრა თავზე ლაჟარდენმა ისკუპა. შეშინებულმა მეპატრონემ ერთი შეჰღრიალა და სოფის დაეჯახა. სიტუაცია წამში შეიცვალა. თავგმა მეპატრონის ჯიბეში ისკუპა, ლაჟარდენმა კი უფრო დარბაისელ პიროვნებასთან არჩია ყოფნა (იმედია, ხვდებით, ვისზეა საუბარი). კატებმაც მეპატრონესთან გადაინაცვლეს. მარტო მერიენის საწყალი კნუტი იყო ჩუმად. მიყუჟულიყო კუთხეში და კანკალებდა.

ამასობაში კი მერიენი ტაქსისტს ესაუბრებოდა.

- ... ძვირი არ არის. კუბოს საბარგულში ჩადებთ?!

- არა! იყოს, სადაც არის.

- ხოო... და რამდენ ხანში ჩავალთ?

- თუ საწვავი გამითავდა, ორი დღე ყველაზე ცუდ შემთხვევაში...

- არა, არა, მეყოფა ცუდი შემთხვევები.

- ისე, აქედან იტალიაში მგზავრობა ტაქსით... - მერი შეჩერდა. - ...ჩუმად, ეს ჩემი ახლობელი კვივის... კარგით, ერთ საათში გავიდეთ.

- დიახ! - ტაქსისტმა ქუდი მოიხადა.

*

როგორც იქნა სასურველ სოფლამდე ჩავიდნენ.

- ეს თქვენი სახლია?

- ეს, ეს... - სოფიმ ჯუნგლებად ქცეულ ეზოს მოავლო თვალი.

- სოფი, ახლა პრეტენზიების დრო არ არის!

- აქაურობას შეხედე! დროზე ცოცხი, ფოცხი, ბარი! ამ დაბლაგვებულ კოვზს ნიჩაბი ჰქვია?! ეს რაღაა?

- ეს ჩემი ყოფილი მეუღლის სამუშაო პატარა სახლია.

მერიენმა დიდი ხნის დამტვერილი კარი შეაღო. როგორც ტყვია, ისე შევარდა სოფი სახლში. მაშინვე ცოცხს სტაცა ხელი.

ასე, ასეე... ჩემო ენ. ეს სახლი კი არა, ბოსელია. ჩქარა სარეცხი ტილო მომეცი, მტვრის ტილო, ჩარჩოს ტილო, ჭადის ტილო, ფანჯრის ტილო... ხალხო, ამ ოჯახში ტილო არ იშოვება?!

- მე ოჯახი არ მაქვს! - გაბზარული ხმით თქვა მერიენმა.

მან თავისი ბიჭუნას ოთახი შეაღო და...

ფანჯარასთან გონსალო იჯდა.

- გონსალო! - შესძახა ბედნირმა დედამ და მისკენ გაექანა, - ოოო, შვილო, დედა გენაცვალოს...

- მე შენი მესმის! მაგრამ გაგიჟების უფლებას ვერ მოგცემ! - და ოთახში შემოსულმა სოფიმ სკამი თავის ადგილას დააბრუნა.

- ჰო, მართალი ხარ.

- წამოდი, ჩემი ოთახი მაჩვენე.

და წავიდნენ.

ელისუის „გარდაცვალების“ შემდეგ გონსალოს ფანჯარასთან ჯდომა უყვარდა.

*

- კიდევ როდემდე ვიტანჯო! - ბუზღუნებდა მარია.

გონსალოს ხმა არ ამოუღია.

- მაგას მაშინ გაიგებ, ნიჩბის ხმარებას რომ ისწავლი...

- მაგას უკვე მეთასედ იძახი.

- თუ მინდა, ასმეერთედ დავიძახებ! - და ვიოტეკმა ტბას გახედა, - ამ ტბას გადავცურავთ და იქიდან ერთი დღის სავალზე ერთი ნაძვია.

- აქ არც ბორანია და არც ხიდი! - დანაღვლიანდა უფროსი, რომელსაც ჯორჯს ეძახდნენ.

- მაგრამ, სერ, ჩვენ ჯუნგლებში ვართ, და დანებიც ულევად გვაქვს.

- მართალი ხარ, ხოსე! აბა, ნავის შენებას შევუდგეთ!

თავდაპირველად ვიოტეკმა და ხოსემ ფიცრები დათალეს. შემდეგ გონსალო აიძულეს, შეეკრა (მათ ტყვეებს თოკები ახსნეს).

- სერ, ტივი მზად არის, დიდია!

- ტივი? მმმ? ჰო, კარგი! აბა დასხედით!

კაპიტანმა ჯორჯმა ნიჩბები აიღო.

შემდეგ კი ხუთივენი ჩასხდნენ.

- რაა? ააა! გეთანხმებით, ოფიციალურად გამომივიდა. გეგონება, ის ორი ტყვეც ტივზე დაბრძანდა. არა, ყაჩაღები რის ყაჩაღები არიან, უხეშად თუ არ მოგეპყრობიან!

ორივეს ხელი ჰკრეს და კუთხეში ყუთებთან მიაგდეს. წყნარად იყავით, თორემ ტყვია არ აგცდებათო, უბრძანეს.

გონსალოს ბავშვობაში მგზავრობა უყვარდა, განსაკუთრებით ბუნების წიაღში, მაგრამ ახლა სიხარულის ხალისი სულ არ ჰქონდა. რა სასიამოვნოა, დაემორჩილო სამ სუნიან გარეწარს? აბა, რა სასიამოვნოა, იჯდე და გრძნობდე, როგორ ასდის შენს გვერდით მჯდომ ყაჩაღს ფეხზე ოხშივარი. ბოლოს მარიაც გამოვიდა წყობიდან: “მე მოკვდები, მაგრამ არც ამ ლაწირაკს დავტოვებ ცოცხალს“. ამის გაფიქრება იყო და თვალისდახამხამებაში გონსალომ ჯოხის დარტყმა იგრძნო. მერე გონება დაკარგა და წყალში გადავარდა.

გონსალო ჩაიძირებოდა და ჩვენი რომანის დასასრულიც ეს იქნებოდა, რომ არა ხოსე. მან ბიჭი წყლიდან ამოთრია და ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა, შემდეგ კი ჩასძახა:

- ჩვენ ორი მთხრელი გვჭირდება და არა ერთი!
- უხ, შე ნაბიჭვარო! - მარია ხოსეს ეცა.
- ფრთხილად, დედაკაცო, იცოდე, წყალში ჩაგახრჩობ!
მარიამ ხოსეს კეტი გააწნა და ლოყა გაუხეთქა. მაშინ ჯორჯმა დედაბერი წყალში მოისროლა.

სწორედ ამ დროს გაახილა თვალი გონსალომ.

- რა მოხდა?

- ისეთი არაფერი.

- სად არის?

- ზღვის ფსკერზე. შენი დახრჩობა უნდოდა.

- და შენ გადამარჩინე?

- ჰო! ოღონდ სიყვარულის გამო კი არა, არამედ ვინმემ მიწა ხომ უნდა თხაროს.

- ნაპირი გამოჩნდა! - ვიოტეკმა ნიჩბები მარჯვედ მოუსვა.

- მე ვიცი, რასაც ნიშნავს! - ხოსემ ცას ახედა.

- რა?!

- სიმდიდრე.

ისინი ნაპირს ნელ-ნელა მიუახლოვდნენ.

*

- ჩაი ცხელია! მერი, გთხოვ, ყინულის ნატეხი მომაწოდე. გმადლობთ... მერი, ხომ კარგად დავალაგე?

- რა თქმა უნდა მაგას?! - მერიენი შეიშმუშნა.

- რა ცუდია, მარტოხელა რომ ვარ...წინადადება ველარ დაასრულა.

- ახლა შენ მარტო აღარ იქნები! - მოესმა საზიზღრად ნაცნობი ხმა.

კარი გაიღო და ოთახში ფერნანდო შემოვიდა. მერიენი სკამს ამოეფარა.

- აბა, მერი, დავიწყოთ მოლაპარაკება?...

- ჩემი ნებართვის გარეშე ვერაფერსაც ვერ დაიწყებთ!

ფერნანდომ თავი მოატრიალა.

- რაო?

- რაც გაიგეთ.

- ქალბატონო, ხომ არ გინდათ, ლავაშივით გაგაბრტყელოთ? - დაინტერესდა ფერნანდო.

- რახან მერის არ უნდიხართ, ვატყობ, აქედან უნდა წახვიდეთ.

- მოიცადეთ! - მერი საფარიდან გამოვიდა, - ფერნანდო, თქვენ მე არ გიყვარვართ!

- სწორედ რომ მიყვარხართ.

- რომ გიყვარდეთ, თავს დამანებებდით.

- უარს ვერ მეტყვით.

-თქვენ მე თოჯინა გგონივართ.

- უარს ვერ მეტყვით, თქვენი ბიჭი მე მყავს და იცოდეთ, ყელს გამოვჭრი, ან სულაც ვაწამებ.

- გიჩივლებ! - იკივლა მერიმ.

- კი, ბატონო! და სანამ შენ მიჩივლებ, შენი ბიჭი სიცოცხლეს გამოესალმება.

- მოგყვები, მოგყვები!

მერიენი ატირდა. იჭექა, იელვა... სადღაც წვიმაში ობოლი კნუტი კნაოდა.

*

- მოვედით! - ხოსემ ნიჩბები ძირს დაალაგა.

- მაშ წავედით! - ჯორჯმა მთელი ბარგი-ბარხანა გონსალოს შეაჩეჩა.

ახლად განათებული იყო და ბალახზე ნამი ეკიდა. ნელა მიდოდნენ, არ შეჩერებულან.

დრო გადიოდა, ისინი კი შეუსვენებლივ მიიწევდნენ წინ. ბოლოს დაიღალნენ და სადამოს შვიდი საათი იქნებოდა, ტყეში რომ დასხდნენ დასასვენებლად. გონსალოს ერთი ხმელი პური და ერთი ჭიქა წყალი მისცეს, თვითონ კი გონსალოს ჩანთა გადმოაბრუნეს.

მცირედი, მაგრამ გემრიელი საჭმელი იპოვეს და იმით მოილხინეს.

*

ახლა კი ელიუსის ამბავს მივუბრუნდეთ.

- დავიღალე, დავისვენოთ და წავიხემსოთ! - ელიზამ ფეხები დააბაკუნა, - ელიუს!

- მართალია! - ელუსი ჩამოჯდა, - დავისვენოთ. სადამოა.

- დავისვენოთ კი არა, დავიძინოთ. ხვალ კი ტივს გამოვთლით ან, უფრო სწორად, შევკრავთ.

ელისუმს ახლავს მიმოიხედა. მდინარის პირას ისხდნენ.

ელიზას ათი წუთის შემდეგ ჩაეძინა. ელიუსს კი თვალი არ მოუხუჭავს, მთელი ღამე ბრძოლის გეგმას აწყობდა.

*

ამასობაში კი მერიენი საქორწილოდ ემზადებოდა.

- ჩემს ქმარს ვუღალატე! - მერი საწოლზე დაემხო.

სოფიმ უხმოდ აიღო უთო.

- გამაგრდი, მერიენ! - სოფიმ ცას ახედა, - ღმერთი ყოვლისშემძლეა!

ამ დროს კარის ღრიჭოდან წერილი შემოაგდეს. მერიმ გახსნა და ატირდა. ერთ კვირაში მას უნდა ეთქვა: „ღიახ, მე ფერნანდო მიყვარს!“

*

- როგორც იქნა, მოვედით! - ჯორჯმა გონსალოს ნიჩაბი მიაწოდა, თან დასჭყვივლა.

- თხარე!

ხის ძირას ჯოხი ერჭო.

- აქ!

- გაინძერი!

ოთხი საათი გავიდა, ის კი თხრიდა და თხრიდა.

ამასობაში კი სამი ავაზაკი მის სიკვდილით დასჯაზე ფიქრობდა. ჯორჯი სასტიკი იყო და უნდოდა, რამე საშინელი სასჯელი მოეფიქრებინა, იგი ასოასო აქნის მომხრე იყო. ვიოტეკი დახრჩობას ამჯობინებდა. ხოსემ კიდევ აზრი გამოთქვა, იქნებ აჯობებს, დავემუქროთ და გავუმვათო.

ჯერ დამთავრებული არ ჰქონდა სიტყვა, რომ ვიოტეკმა და ჯორჯმა თვალეები დაუბრიალეს. გონსალომ კი გულის ფანცქალით მოიხედა, იქნებ მართლა ასე მოხდესო. მაგრამ, კაპიტანმა წამოართყა თავში და დაუყვირა:

- შენს საქმეს მიუბრუნდი!

შემდეგ ისევ ხოსეს შეხედა.

- ხოსე, შენ გაგიჟდი! ჩვენ რომ ძმები არ ვიყოთ, ახლავე წაგაყუდებდი წყალში!

ხოსემ თავი მოაბრუნა.

მზე ჩადიოდა.

*

ელიუსი და ელიზა კი, რაც გათენდა, თავდაუზოგავად მირბოდნენ.

ბოლოს, მზის ჩასვლისას, ერთ მდინარეს მიადგნენ.

- ელიზა, უნდა გავცუროთ, დრო ცოტა გვაქვს, გონსალო საფრთხეშია. ცურვა ხომ იცი!

- კი მაგრამ, აი, ხეები, მსხვილი, წვრილი. ტივი გააკეთე.

- ამის დრო არ არის! - ელისუმა გოგონა ხელში აიყვანა, - აბა!

და წყალში შეაგდო.

- მცივა, მიშველე! - ელიზა უმწეოდ ფართხალებდა წყალში.

- ვიცი! შენ გგონია, მე არ მცივა?! მაგრამ უნდა ვიჩქაროთ! ჩემი ბიჭი საფრთხეშია. დღიურში ეწერა, რომ მარია მის მოკვლას ცდილობს. ის არ იყო გონსალოს დღიური. არ დაიხრჩობი, გასცურე და გათბები.

შემდეგ ელიუსმა ფეხსაცმლის ზონარი შეიხსნა და დღიური თავზე დაიმაგრა:

- მოვდივარ!

მას ის არ გაუთვალისწინებია, რომ ელიზას მალ-მალე დასვენება ესაჭიროებოდა. ხომ შეეძლო, ერთი მორი შეეგდო და ელიზა იმას მოსჭიდებოდა. ამიტომ მას ზურგზე ელიზას შესმა უწევდა.

*

ზაფხულის მიწურული იყო. მაგრამ გონსალოს ისე სცხელოდა, როგორც შუა ზაფხულში. საწყალმა ბიჭმა თითქმის სამი მეტრის სიღრმის ორმო გათხარა და ყაჩაღები კიდევ ჩასძახოდნენ, - კიდევ, კიდევო.

უეცრად ნიჩაბი რაღაც მაგარს მოხვდა.

ბიჭი მიხვდა, კიდობანიაო, და კიდევ ოცი წუთი თხარა, სანამ კიდობანი მთლად არ გამოჩნდა. იფიქრა, იფიქრა და ასძახა, თოკი ჩამოაგდეთო.

ყაჩაღებმა თოკი ხის სქელ ტოტს გადაატარეს, ერთი ბოლო თვითონ დაიჭირეს, მეორე კი გონსალოს ჩაუგდეს.

გონსალომ თოკით კიდობანი შეკრა და ამოსძახა, ასწიეთო. ყაჩაღებმა კიდობნის ამოწევა დაიწყეს. ჯორჯსა და მის ძმებს კიდობნის ამოწევაში წელები დააწყდათ. ამ დროს კი, აი, რა ხდებოდა: როგორც კი ზანდუკი ცოტა მაღლა აიწია, გონსალო ზანდუკს ქვევიდან მოეჭიდა და თან ფიქრობდა:

„ისინი თუ ძალით მჯახბიან, მე ჭკუით დავჯახბნი!“

მართლაც, ყაჩაღებს დიდი ჯაფა დაადგათ ამ ზანდუკის ამოტანაზე.

როგორც კი ამოსწიეს, გონსალომ უჩუმრად ჩამოხტომა მოინდომა, მაგრამ ჯორჯს კი ჩაუვარდა ხელში.

ჯორჯმა გაიცინა და ხელი სტაცა:

- სად მიიპარები?

გონსალო არ დაფიქრებულა, ისე ეცა და წააქცია. ორი წუთის მერე მტვრის კორიენტელში ხან ჯორჯის ხელი ჩანდა, ხან - გონსალოსი.

ვიოტეკი და ხოსე პირდადებულები იდგნენ.

ბოლოს მტვრის კორიანტელი გაიფანტა და კაპიტანმა გაკოჭილ გონსალოს თავში წაჰკრა.

- ვიოტეკ, გეთაყვა, ნაჯახი მომიტანე!

ვიოტეკმა ბრძანება მყისვე შეასრულა.

- მშვიდობით, გონსალო! - ჯორჯმა ნაჯახი მოიმარჯვა, ხოსემ კი თვალები დახუჭა.

მორჩა, გონსალოს ვედარაფერი უშველიდა.

უცებ, როგორც ფილმებში ხდება, გაისმა გონსალოსათვის კარგად ნაცნობი ხმა და ტყიდან გამოვარდა თმაჭადარა, წელში ოდნავ მოხრილი კაცი. ხელში კეტი ეჭირა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მორბოდა. (გონსალოს ეს წუთი არასოდეს დავიწყებია).

ჯორჯმა გონსალოს ნაჯახის პირი დაუმიზნა.

„ნუთუ, ყველაფერი დამთავრდა?!“ გაიფიქრა გონსალომ.

ხუთი წუთის მერე ნელ-ნელა გამოერკვა, თვალი გაახილა, მაგრამ მის გვერდით მისი თავი კი არა, სხვა სხეული კანკალებდა.

ნუთუ, მამამ გადაარჩინა? გონსალომ მიიხედ-მოიხედა, გამოერკვა. მამას შველა სჭირდებოდა. წამიც და ყველანი ერთმანეთს ბეგვავდნენ. სანამ ხოსე გონსალოს მამას ეჩხუბებოდა, ვიოტეკმა გონსალო მოიხელთა და ორმოსკენ წაათრია. ხოსემ ეს სწრაფად შენიშნა და ელისუსს ხელი უშვა, მივარდა ვიოტეკს და ხელი ჰკრა. მერე გონსალოს ჰკითხა:

- კარგად ხარ, შვილო?!

გონსალომ და ელისუმა პირი დააღეს. გონსალომ ხოსეს შეხედა.

- გადამარჩინე?

- ხო!

- გონსალო, ვინ არის ეს კაცი? ელიუსი გაოგნებული შეჰყურებდა ხოსეს.

- ხ-ხ-ხო-სე ჰქვია. მაგრამ ვერ ვხვდები, რატომ გააკეთე ეს? შენ შეგეძლო, ჩემთვისაც ხელი გეკრა და ორმოში ჩაგეგდე.

- არა! არ მინდოდა. რომ მომეკალი, ეს რას მომცემდა? ახლა კი, იქნებ, შემინდოს ღმერთმა ჩემი ცოდვები... მე წავალ...

ხოსემ ნაბიჯი გადადგა.

- მოიცა!

ხოსეს არ მოუხედავს.

ისინი გაჰყურებდნენ მიმავალ ხოსეს, ვიდრე თვალს არ მიეფარა.

გონსალო ახლად გამოერკვა და შესძახა:

- მამა! - და ეს ისე გამოუვიდა თითქოს ეს წამია ენახოს ელიუსი.

ელიუსმაც ხელები გაშალა. გონსალო ზუსტად ისე შეახტა, როგორც - პატარაობაში. უსაზღვრო იყო მათი სიხარული. დიდი ხნის დაკარგული მამა ახლა შვილთან ერთად იყო.

- მამა, თმა გაგჭადრაგებია. დაბერებულხარ... მაგრამ უცერად პირი გაუშრა. სკივრს საკეტი არ ჰქონდა.

ელიუსმა ნელ-ნელა ახადა სკივრს თავსახური და იქიდან უცებ ნახევარზე მეტი ოქრო ამოიყარა.

ელიუსმა თავში იტაცა ხელი და იმ რაღაცას თუ ვიდაცას უთხრა:

- ელიზა, რომ მოეკალით?! მერე რა მეშველებოდა!

გონსალომ ინტერესით ჩაიხედა სკივრში და ოქრო-ვერცხლში ჩამჯდარი გოგონა დაინახა.

ელიზა ტყიდან გამოპარულიყო. არ ესიამოვნა მარტო ყოფნა, სადაც ელიუსმა დატოვა.

- ეს ვინ არის?

- შენი დობილია. გონსალო, შენზე ვნერვიულობდი მე დღი...

უეცრად გაისმა გუგუნი და იქვე ვერტმფრენი დაეშვა. ვერტმფრენის სარკმელი ჩაიწია და იქიდან ანტუან-დე-სენტ-ეგზიუპერმა გადმოყო თავი.

- დახმარება ხომ არ გჭირდებათ? - იკითხა მან.

ის დღე ელიუსს არასოდეს დაავიწყდებოდა.

მთელი გზა ხუმრობდნენ და თამშობდნენ.

*

იტალიაში კი საწყალი მერიენი ქორწილისთვის ემზადებოდა. იდგა წითელი თვალებით და ხვალინდელ დღეს კანკალით ელოდა.

- ჭამე რამე! - ოთახში სოფი შემოვიდა.

ქალს არ უპასუხია.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

მერე მერიენმა ამოიკვნესა:

- ეს საქორწილო კაბა სუდარას ჰგავს!

- თუ გინდა, ახალს შევუკვეთავ.

- არა.

*

მეორე დილით მერიენმა ადრიაანად გაიღვიძა. ჯერ კიდევ ბნელოდა. საათის ისრები ხუთის ნახევარს უჩვენებდნენ. ჩამიჩუმი არ ისმოდა. სკამზე საქორწილო სუდარა იყო გადაკიდული. ერთხანს მონუსხულივით შეჰყურებდა მერი ამ კაბას.

ისიც კი იფიქრა, თავს მოვიკლავ ან გავიქცევო. ის კი არა, ფანჯარაც გამოაღო რამდენჯერმე გეგმის განსახორციელებლად, მაგრამ რამდენჯერაც ფერნანდოს მუქარა ახსენდებოდა, იმდენჯერ დაზაფრული უკან იხევდა. „ვაწამებ!“, ეს სიტყვა გულში ისარივით ესობოდა.

დილის რვა საათზე სოფიმ შემოიხედა.

მერიენი იატაკზე იწვა. ლოყები უხურდა. ასაკის მიუხედავად მაინც ბავშვივით გამოიყურებოდა.

- მერი! მერი!

სოფი მძინარე მერიენს არყევდა.

ქალმა თვალები გაახილა. გაახსენდა, რომ თხოვდებოდა და ამოიკვნესა. სოფი „პატარძალს“ კაბის ჩაცმაში შველოდა...

ოთხ საათზე ჯვრისწერა იწყებოდა. მერიმ უხმოდ ისაუზმა. ადრე თუ საუზმეზე ყოველთვის ჩაის სვამდა, დღეს შავი, მაგარი ყავა დაისხა.

რაც უფრო მეტად გადიოდა დრო, მით უფრო ღელავდა მერი.

ბოლოს თავი ხელებში ჩარგო და ატირდა.

სოფის სხვა რა შეეძლო, თუ არა მისი დაიმედება? თუმცა, ეს იოლი არ იყო.

ბოლოს, როგორც იქნა, სოფიმ მისი დამშვიდება მოახერხა და ორივენი ეკლესიაში წავიდნენ.

ბურუსი იდგა. ნიავს ეტყობოდა, სადაც იყო, შემოდგომაც მიიწურებოდა და წელიწადის ამ მშვენიერ დროს მერიენის უკანასკნელი იმედიც გაჰყვებოდა.

ჯვრისწერის ადგილას მივიდნენ.

სოფიმ მერის შეხედა. მან თავი ჩალუნა, სოფიმ ამოიოხრა და ტაძრის კარი შეაღეს. ხალხი ფეხზე წამოდგა. ფერნანდო ეპისკოპოსის გვერდით წამოჭიმულიყო. მან უღვაშებში ჩაიღიმა, რაც მერის არ გამოჰპარვია. ყველამ შეატყო, რომ პატარძალი უხალისოდ იყო. მთელი დამის უძილო მერი სოფის მკლავს ეყრდნობოდა.

კათედრასთან მივიდნენ. მერი საბრალოდ ამოუდგა მხარში ფერნანდოს.

- გაიღიმე! - წაუსისინა მან. მაგრამ რომ მოეკლა საწყალი ქალი, მაინც ვერ გაიღიმებდა. ეპისკოპოსი მთელი ერთი საათი რაღაცას ბუტბუტებდა. მერი არ უსმენდა. უეცრად ფერნანდომ თქვა:

- დიახ.

- თქვენ, მერიენ?

მერიენს სწორედ ახლა ელანდებოდა, როგორ სცემდა მას ფერნანდო და იყვირა:

- არა!

ხალხი შეჩოჩოლდა.

ფერნანდომ ქალს ფეხზე ფეხი დაადგა.

- მერიენ, ესე იგი, თქვენ არ ხართ თანახმა, გაჰყვეთ სენიორ ფერნანდოს ცოლად.

- არა, როგორ არა, მაპატიეთ... მე... მე არ ვფიქრობდი... მე თანახმა ვარ, გავყვე მას ცოლად.

ფერნანდომ ჩაიღიმა.

- ამ დარბაზში ვინ არ არის თანახმა, რომ ფერნანდო და მერიენი შეწყვილდნენ?

- მე! - კარი შემოაღო ელიუსმა.

მერიმ იკივლა. ხალხი ისევ შეჩოჩოლდა.

- მიცვალებული! - იყვირა ეპისკოპოსმა და უკან დაიხია.

- მიცვალებული დაბრუნდა! - აყაყანდა ხალხი და ატყდა აურზაური, ფანჯრებს ლეწავდნენ და გარბოდნენ.

მთელ სოფელს უმაღლ მოედო ეს ამბავი.

ტაძარში სოფი, მერიენი, ფერნანდო და ელიუსი დარჩნენ. ფერნანდომ მერიენს სტაცა ხელი:

- ელიუს, ფეხი არ გადმოდგა თორემ...

- თორემ... .

- თორემ შენს ცოლს მოვკლავ.

- შე ბებერო ლაწირაკო! - ელიუსმა ფერნანდოს ეპისკოპოსის კვერთხი ესროლა, - ხელი არ ახლო!

- დედა! - გაისმა ხმა და უკანა კარიდან დანა გამოფრინდა და შიგ ფეხში ჩაესო ფერნანდოს, რომელიც იქვე ჩაიკეცა.

მერიენი ელიუსს მკერდში ჩაეკრა.

მათ ფერნანდო იქ დატოვეს და გარეთ გამოვიდნენ.

ეკლესიის ეზოში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ინტერესით აკვირდებოდნენ ოჯახს. სოფლელები ელიუსს ლამის სახლში შეჰყვნიენ, მაგრამ კარში სოფიმ აღარ შეუშვა.

*

მერი მთელი დღე თავს ეხვეოდა ქმარ-შვილს, ცივ ნიავს არ აკარებდა. არც პატარა ელიზა დავიწყებია. ყოველ წამს ეკითხებოდა, რაიმეს ხომ არ შეჭამდა. სოფიმ იფიქრა, რადგან მერიენმა ოჯახი შექმნა, მე წავალო, თუმცა არ გაუშვეს და შეჰპირდნენ, ასივე კატას იტალიაში ჩამოგიყვანთო. ელიუსის ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო, არც საფრანგეთს და იტალიას უომიათ.

რამდენიმე დღის შემდეგ ელიზას მშობლებიც ჩამოვიდნენ და შვილის თხოვნით მთელი კვირა დარჩნენ ელიუსის სახლში, სანამ ელიზას სახლში წაიყვანდნენ.

*

გავიდა ხანი. იქ, სადაც ერთ დროს ელიუსის ოჯახი ცხოვრობდა, ახლა მოხუცი პიერი იჯდა და თავის პატარა შვილიშვილს ელიუსის ზღაპრულ თავგადასავალს უყვებოდა, რომელიც მას ერთ დროს მისმა ბაბუა გონსალომ უამბო.

დეკემბერი, 2006 - დეკემბერი, 2009

გამომცემლის ბოლოსიტყვა მშობლებისთვის

იმ მიზნებს შორის, რომლებსაც ჩემი შვილის პირველი რომანის გამოქვეყნება გადამაწყვეტინა, ორ უმთავრესს დავასახელებდი და ორივე ეს მიზანი პედაგოგიური ხასიათის გახლავთ: პირველი თვით ნორჩი ავტორის ესთეტიკური აღზრდის უწყვეტობაზე ზრუნვით არის ნაკარნახევი. ვერავინ და ვერაფერი უზრუნველყოფს ბავშვის გონებრივ და სულიერ განვითარებას ისე ერთგულად, როგორც – მისივე შემოქმედებითი შრომა. მსგავსი შრომა კი ბუნებრივად გულისხმობს შემოქმედებითი პროცესის პერიოდულ შეჯამებებს, ერთგვარი ნიშნულების აღმართვას, მერე კი – ახალი ნიშნულების ასაგებად გზის გაგრძელებას. სწორედ ასეთი საწყისი ნიშნულია სალომესთვის მისი ეს სათავგადასავლო რომანი. მეორე მიზანი დამუხტვა და მოტივირებაა სხვა მშობლებისა, რომლებიც მათი შვილების გემოვნებისა და ესთეტიკური უნარების ჩამოყალიბებაში, დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებასა და ენობრივი შესაძლებლობების გამდიდრებაში მოზარდის შემოქმედებითი შრომის როლს ან ჯეროვნად ვერ აფასებენ ან გასაღები ვერ მოურგიათ იმ კარისთვის, რომლის მიღმაც ფანტაზიების, ოცნებების, მისწრაფებების უმდიდრესი სამყაროები იმალება და ისინი კულტურულ ფორმებში ჩამოსხმას, მოწესრიგებას, კაცობრიობის საუკეთესო გამოცდილებებთან ზიარებას მოელიან.

ერთადერთი, რაც მშობელს ბავშვის აქტიური შემოქმედებითი უნარების ასამუშავებლად, მერე კი ნაბიჯ-ნაბიჯ ამ უნარების გასაძლიერებლად მოეთხოვება, არის ბავშვისთვის იმ სათანადო პირობების შექმნა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის არა მხოლოდ ათვისება და მასთან ზიარება, არამედ – პარალელურად – ბავშვის ხალას გონებაში იმთავითვე კულტურის აქტიურ თანაზიარად, თანამონაწილედ ყოფნის უნარ-ჩვევების გამომუშავება, უფრო მეტიც, კულტურული წესრიგის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

თავს უფლებას ვაძლევ, არა მხოლოდ მხატვრული ნაწარმოების (და არა სასკოლო თავისუფალი თემის) შექმნის, მხატვრულ ტექსტზე მუშაობის პროცესთან ხატვის, ძერწვის, მუსიკის მოსმენის, ლექსების დაზეპირების და ბევრი სხვა სასარგებლო ესთეტიკური ვარჯიშის შედარებაზე და შეპირისპირებაზე ვთქვა უარი, არამედ შეგნებულად ავარიდო თავი მაგალითების მოტანას, თუ რა როლს ასრულებდა, დასავლურ თუ აღმოსავლურ კულტურებში, ბავშვობიდანვე მხატვრულ ტექსტთა ავტორად ყოფნის პედაგოგიკა. ჯერ ერთი, ნებისმიერი დაინტერესებული მშობელი თავადაც იოლად მოიპოვებს ასეთ მაგალითებს, მეორეც, მათი მოხმობა მშობლების დასამუხტად არ გამოდგება, რადგან ასეთ მაგალითებს მხოლოდ შორეულ დროთა დაკარგულ სურნელზე მითითება შეუძლია და არა – ამ სურნელის ცოცხლად შეგრძნობა. ამიტომ თავს არ შეგაწყენთ და მოკლედ ვიტყვი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი.

როცა სალომემ თავისი პირველი რომანის წერა დაიწყო, მხოლოდ რვა წლის იყო. უფრო ადრე, ჩემი თხოვნით, პატარ-პატარა ჩანახატებს წერდა. როგორც ყველა ბავშვს, არც მას უყვარდა საქმის გადადება და ცდილობდა, წამოწყებული საქმე ან მოკლე დროში მიეყვანა ბოლომდე ან შუა გზაზე მიეტოვებინა. რა თქმა უნდა, ყურადღებით ვადევნებდი თვალს ამ პროცესს, და როცა დრო დადგა ანუ როცა გადავწყვიტე, რომ მისი წერითი რიტმიც, ლიტერატურული ჰორიზონტიც (სალომე ბევრს კითხულობდა, ხოლო ვიდრე კითხვას ისწავლიდა, ბევრს უკითხავდა დედამისი) და ფსიქოლოგიური მზაობაც საკმარისი იყო ჩემი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, შევთავაზე – დაეწერა ამბავი, რომელსაც, დღისით დაწყებულს, იმავე დღის ბოლოს კი არ გამოუყვანდა წირვას, არამედ, როგორც ამას ნამდვილი მწერლები სჩადიან, გადადებდა და წერას მომდევნო დღეს გააგრძელებდა. ალბათ, პირველად მაშინ ჩავწვდი იმ გამოცდილებას, რომელსაც სხვადასხვა კუთხით და სიძლიერით ყველა მშობელი ზიარებია და რომლის ფორმულირებას ყველა მშობელი თავისებურად ცდილობს, მე კი ასე გამოვთქვამდი: ბავშვები ჩვენზე დიდები არიან! რაღაც ათიოდე წუთი დამჭირდა სალომესთვის იმის ასახსნელად, თუ რატომ უნდა დაეწყო მას რომანზე მუშაობა. მერე იყო, რა თქმა უნდა, პერიოდული საუბრები ისეთ თემებზე, რომლებიც მას ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაში

უნდა დახმარებოდა, მაგრამ ეს ხდებოდა ტექსტში ჩემს ჩაურევლად. უფრო მეტიც: არათუ მის ტექსტს არ ვკითხულობდი, არამედ მისი რომანის შინაარსიც არ ვიცოდი და არც მინდოდა მცოდნოდა. შეთანხმება ასეთი იყო: ტექსტს წავიკითხავდი მხოლოდ მას მერე, როცა ავტორი ბოლო წერტილს დასვამდა. ეს კი მხოლოდ სამი წლის მერე მოხდა (სალომე, ძირითადად, არდადეგებზე წერდა), როცა ის უკვე თერთმეტი წლისა იყო და მისი საყვარელი პერსონაჟები უკვე მარტო პეპი, კარლსონი და ვინი პუპი კი არა, დონ კიხოტი, აივენჰო და დიკენსის გმირები იყვნენ. სალომეს ესთეტიკური განვითარების ეს გზა მისმა რომანმაც გაიარა. რვა წლის ასაკში დაწყებული რომანის პირველი ნახევარი, ცხადია, თერთმეტი წლის ასაკში მყოფ ავტორს უკვე აღარ აკმაყოფილებდა და დანაწევრებით იმეორებდა, - ახლა რომ ვიწყებდე წერას, სულ სხვა ენით და სხვა სიტყვებით დავწერდიო. განიცდიდა იმასაც, რომ არ შეეძლო ისე წერა, როგორც მისი საყვარელი მწერლები წერდნენ. მისი პატარა თავი დახუნძლული იყო ბევრი სხვა მკვირფასი საფიქრალით და შეპყრობილი იყო ისეთი პრობლემების გადაწყვეტის სურვილით, რომლებიც მის ლიტერატურულ აზროვნებას თვალსა და ხელს შუა ამდიდრებდა, მაგრამ ამ პრობლემების გადაწყვეტა მის ძალებს აღემატებოდა. ერთი სიტყვით, მას საკუთარი რომანი ზრდიდა; უკეთ, ისინი ერთმანეთს ზრდიდნენ, რაღაც მომენტში კი მოხდა ის, რაც წერის პროცესში ნორჩი ავტორის ასეთ ინტენსიურ ჩართულობას ლოგიკურად უნდა გამოეწვია: მან გააცნობიერა, რომ მისივე ნაწარმოების „ბავშვობით“ (მისივე სიტყვა რომ გავიმეორო) გამოწვეული დაუკმაყოფილებლობიდან თავის დასაღწევად ერთადერთი გამოსავალი არსებობდა – რაც შეიძლება დროზე მიეყვანა რომანი ბოლომდე, რათა... ახალი რომანის წერა დაეწყო! (სწორედ აღნიშნული მოთხოვნილების ძლიერი გავლენა იგრძნობა იმაში, რომ ტექსტის ბოლო მეოთხედი ნაჩქარევად დაწერილის შთაბეჭდილებას ტოვებს). ხოლო როცა ნანატრი ბოლო წერტილი დასვა, ეს ფაქტი ჯერ ჩვენს ნაგაზს ახარა და მიულოცა, მერე ხელნაწერი დიდის ამბით გადმომცა წასაკითხად, მე კი პირობა სწორედ იმგვარად დავარღვიე, როგორც ამას ჩემს ადგილზე ნებისმიერი ჩემსავით ცუდი მამა მოიმოქმედებდა, ხელნაწერს მხოლოდ თვალი გადავავლე და წაუკითხავად გავაქანე მბეჭდავთან, ხოლო მომზადებული ელექტრონული ვერსია საკორექტუროდ ისევ ავტორს დავუბრუნე. ამან მასში, კორექტურის კეთებასთან ერთად, მცირე-მცირე ჩანართების და მხატვრულად გაუმართლებელი ადგილების შეცვლის, ალოგიკური პასაჟების ამოჭრის ან „გამოსწორების“ მოთხოვნილებაც აღძრა. ამის მერე კი ჩემი ჯერი დადგა და ტექსტში უმნიშვნელო სალექტორო-სარედაქტორო ჩარევა პუნქტუაციების გამართვას და მცირე-მცირე გრამატიკულ და სტილისტურ ჩასწორებებს არ გასცდენია. ხოლო ახლა, როცა თქვენ ამ რომანს კითხულობთ, სალომე უკვე თავის ახალ რომანს უზის და მას იმ შეცდომების გათვალისწინებით წერს, რომლითაც ყელამდეა სავსე მისი პირველი რომანი.

და კიდევ: თუ თქვენთვის, მშობლებისთვის, რამე არ არის მოციმციმე ვარსკვლავებით მიუწვდომელი, სწორედ – ის ოცნება, რომ თქვენმა შვილებმაც წერონ რომანები. ამისთვის საჭიროა, როგორც უკვე აღინიშნა, მათთვის სათანადო პირობების შექმნა, მეტიც არაფერი. ეს რომანები კი მათ, ჯერ ერთი, იმ ამორფული, უწესრიგო და ბორკილებში „გამობრძმედილი“ გარემოსგან დაიცავენ, რომლის არაადამიანურ წერტილოვან დარტყმებსაც ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე განიცდიან და შეძლებისდაგვარად ეწინააღმდეგებიან მათ; მეორეც, ხელს შეუწყობენ მათ ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ, გემოვნებიან, შემოქმედ ადამიანებად, რომლებიც ჩვენი გარემოს გასაუმჯობესებლად აუცილებელი მექანიზმების გამომუშავების პროცესში სხვების კი არა, საკუთარი თავის იმედად იქნებიან და ასე დაიცავენ სინათლეს და სიკეთეს საკუთარ თავში; ასე ექნებათ ყოველთვის იმის შეგნება, რომ სწორედ მათთვის შექმნეს დიდი პოეზია და ფილოსოფია ძველმა ბერძნებმა; მათი სულიერი წინაპრები არიან რუსთაველი და დანტე, კანტი და ჰეგელი. და, რაც არსებითია, ყოველთვის იქნებათ მოთხოვნილება – ეძიონ, მოიპოვონ და მერე პერმანენტულად დაიმსახურონ კულტურაში ის ერთადერთი ადგილი, რომელიც ღმერთმა მხოლოდ მათთვის შექმნა; სულ მცირე კი, არ ექნებათ მოთხოვნილება, ცხოვრებაში მაინცდამაინც იმ ადგილებს წაეპოტინონ, რომლებსაც არ იმსახურებენ ან რომლებიც სხვებს, მათზე ძლიერებს, ეკუთვნიან; სულ მცირე, არ ექნებათ მოთხოვნილება, სხვებს ხელი შეუშალონ კულტურის შენებაში და ჩვენი მთავარი სენის – მანებლობის – მსახურებად იქცნენ.

კარგად მესმის, რომ ბავშვობისა და სიყმაწვილის ასაკში კი არა, აკვნის ასაკში დაწერილი რომანებიც ვერ იქნება იმის გარანტი, რომ მათი ავტორების მომავალი ცხოვრება მაინცდამაინც ჩემს მიერ აღწერილ იდეალურ მოდელის მიმართულებით განვითარდება და არ გადაიქცევა ერთ რიგით და უსახურ არსებობად, თუნდაც კარგი საშუალო და უმაღლესი განათლების სტანდარტული ფრთებით და საბაზისო მორალით შეიარაღებულ, მაგრამ უხეში სოციალური გარემოს აგრესიით შეკმაზულ პრაგმატულ და მომხმარებლურ ცნობიერებად. რა თქმა უნდა, „მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა“; რა თქმა უნდა, მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ადამიანური გონებისთვის ამოუცნობ აუცილებლობათა გადაკვეთის ერთადერთ ადგილზე ღმერთმა ცეცხლის დანთება არ ინება; მაგრამ, ასევე, რა თქმა უნდა: ბედი ცდაა!

დაბოლოს, უსამართლობა იქნება, ჩემს რომანტიკულ რიტორიკას ერთი პრინციპული ხასიათის შენიშვნითაც თუ არ შევავსებ: ეს ბოლოსიტყვა განკუთვნილი არ არის იმ მშობლებისთვის, რომლებსაც ჩემი მისამართით, სულ მცირე, ორი სრულიად ბუნებრივი კითხვის დასმას ისურვებდნენ: 1. კი, მაგრამ რაღა მაინც და მაინც ბავშვობიდანვე რომანების წერა? 2. განა, ეს აუცილებელია? უნდა ვაღიარო, რომ პირველ კითხვაზე პასუხი არ მაქვს და საპასუხოდ მხოლოდ იმ ტკბობის წარმოდგენას ვცდილობ, რომელსაც ჩემი შვილი თავისი პირველი რომანის წერისას განიცდიდა (მაგრამ, ცხადია, ჩემი წარმოდგენები არგუმენტებად არ გამოდგება); მეორე კითხვას კი თავდახრილი ვუპასუხებდი: რა თქმა უნდა, ეს არ არის აუცილებელი! სალომეს მამა ხომ თავად არის მწერალი და რა აუცილებელია, ვინმე ამ უკანასკნელის ლიტერატურულ სეპარატიზმს წამოეგოს!

დათო ბარბაქაძე
08.07.2010